თამაზ მეტრეველი

მუზის ძუძუ მიწოვია

თბილისი
2012

ცა იმუქრება

ცა იმუქრება, გრგვინავს,
უცბად იცვალა ფერი,
შუბლით ვეხები მინას,
ვგრძნობ რომ მენგრევა ჭერი...
მალე დაუშვებს წვიმა,
ქარი უკვალოდ დაძრწის,
შენი სიშორე მტკივა,
შხამით სავსეა ყანწი...
როგორ მჭირდები, იცი,
თითქოს ბავშვივით მცივა,
მინდა გავექცე სირცხვილს,
ცა კი ელავს და გრგვინავს...
ცა კი ელავს და გრგვინავს,
ან მე ვინა ვარ ცისთვის,
შენი სიშორე მტკივა,
როგორც წვეთები სისხლის...
როგორ გვპარავენ, როგორ,
ბედნიერების წუთებს...
ჩემი ჟანგდება ოქროც,
სხვისი ბროლია წუმპეც...

თუ დამივიწყებენ

სულ თარსი დღეები როგორ მებედება,
სად გაქრა ცისკრები ერთად რომ ვხვდებოდით,
ან როცა მიყვარდი, ხომ გთვლიდი შედეევრად,
სავსეა, სავსეა დღე უიმედობით...
რატომღაც მგონია შეჯიბრში მიწვევენ,
თუმც დაფნის გვირგვინებს მე მაინც არ ველი...
თუ დამივიწყებენ, თუ დამივიწყებენ,
შენ დაიმახსოვრე კვლავ ჩემი სახელი...
ან იცის კი ვინმემ, ვინ რისი ღირსია,
აფრიან ხომალდებს დაემსხვრათ ანძები...
მე ზღვაში მოვკვდები და წყალში მისვრიან,
როგორ მენატრები, როგორ მენატრები...
ზეცისკენ ყურებით დამაწყდა თვალები,
შენც გედი ყოფილხარ და სხვაგან მიფრინავ...
არ შეცდე, ძვირფასო, დავნიშნე წამები,
მიზიდავ, მიზიდავ, მიზიდავ, მიზიდავ...
რად ჩადის, რად ჩადის, რად ჩადის მზე ზღვაში,
არ მესმის, იქ, აბა, ვის უნდა უნათოს...
ვიღლები, ვიღლები, მე სხვების ძებნაში,
მე ხომ შენ მიყვარდი, მითხარი, თუ გახსოვს...

ამ სანთელმა მეც გამათბო

და სულ ფსკერზე, სადაც ჩემთვის,
ადგილი გაქვს შენახული,

როგორც თბილი ბუდე მერცხლის,
სანთელივით იწვის გული...
მეც მის გვერდით მოვკალათდი,
სულს ვუბერავ რომ არ ჩაქრეს,
წვეთავს სისხლი როგორც თაფლი,
იწვის შენი სილამაზე...
შენც ლამაზი სანთელი ხარ,
ჩემთვის ღმერთის დანთებული,
თუ შემთხვევით ჩამეძინა,
გამაღვიძებს შენი გული...
რა ძნელია რომ ანათო,
რომ ანათო, როგორც სხივმა...
ამ სანთელმა მეც გამათბო,
სისხლმა შენგან დაღვენთილმა...

ვინა ვარ შენთვის

მიყვარს სიცოცხლე, სიცოცხლე მიყვარს,
შენში რომ ასე ღელავს ზღვასავით,
გავუმკლავდები ყოველგვარ რისხვას,
მტერს შემოსეულს კალიასავით...
არად ჩავაგდებ ბედის მუქარებს,
მეხეთქებოდეს ზღვა ფერშეცვლილი,
თავს დამყურებდეს მთვარე მწუხარე,
და მომკიოდეს ქარი შეშლილი...
მართლაც, მითხარი, ვინ ან რა შეცვლის,
შენი თვალების ღვთიურ ნათებას,
ვინა ვარ შენთვის, ვინა ვარ შენთვის,
ჯვარცმა, იმედი თუ ანათემა...
საშინელია, დღემდე არ ვიცი,
უნდა მიყვარდე თუ არ მიყვარდე?
თითქოს, სულ ბოლო წრეზე დავიწვი,
და ნახატივით სადღაც მიმაგდეს...
თუმცა, სიცოცხლე მარადიული,
თავის თოკებით შენსკენ მეწევა,
შენ წვეთები ხარ ჩემთვის ციური,
შენით ვამარცხებ მე უმეცრებას...
ხელი მომხვიე, ხელი მომხვიე,
არ მომაცილო შენი თვალები...
ეს სიყვარული აწყობს ორგიებს,
მე კი ვერ ვხედავ, შენ მეფარები...

მტრედად ვიქცევი

მე შენი მზერა არა მბეზრდება,
როცა მიყურებ ვარდის თვალებით,
შენ ფრთები მოგცეს თეთრმა მტრედებმა,
მე კი, იცოდე, მზრდიდნენ სვავები...
მთებში, ყინულთა სიკრიალეში,
როცა ლაპლაპი გააქვთ მნათობებს,
მე წამოფრენას ცისკრებს ვასწრებდი
და დავცქეროდი ციდან ტაფობებს...
კი, მიყვარს, მიყვარს მტრედის ხუნდები,
მიყვარს იმათი ფრთების ფართხუნი,
შემოვირიგე სეტყვის ღრუბლები,

რომ გადავთქერო ეს გაზაფხული...
შენ კი, ძვირფასო, თუ ვერ ამიტან,
არც გიყვარვარ და არც გესიზმრები...
მტრედად ვიქცევი მაშინ ხვალიდან,
და შიგ ბუდეში ჩაგიფრინდები...

ჩემებს

მე სათითაოდ შევკრიბავ სითბოს,
თქვენგან რომ ასე უხვად იღვრება,
ცა გახსნილია და ზეცაც თითქოს,
უბედნიერეს წუთებს გვპირდება...
მე მუდამ ვამჩნევ თქვენს სიახლოვეს,
რომ სანთლებივით იმედს მისახავთ,
ის სიხარულიც თქვენ მისახსოვრეთ,
ჩემს აწმყოზე რომ გამოისახა...
უამრავ სიტყვებს მოაკლდა ფერი,
უამრავ წუთებს გადაშლის ხსოვნა...
მაგრამ დარჩება ერი და ბერი,
და აქ ახალი თაობა მოვა...
ჩვენ კი ერთმანეთს მინდა ვეფეროთ,
ულამაზესი დილა გვმასპინძლობს,
ხელში ყანწს ვიღებ, ვსვამ სადღეგრძელოს,
ჩვენს ერს, სიცოცხლე, სამარადისო!!!

ნუ ამაცილებ!

შენ მაპატიე, თუ შეგიძლია,
ჩემს დანაპირებს რომ ვერ ვასრულებ...
მეც ჩემი თავი ვერ შემიცვნია,
მას შემდეგ, რაც შენ მომინახულე...
მას შემდეგ, რაც შენ მომინახულე,
თითქოს მიხმობენ სხვა დარბაზები...
მესიყვარულე, მესიყვარულე,
ნუ მიბრაზდები, ნუ მიბრაზდები...
ნუ მიბრაზდები, მე ავადა ვარ,
მე ვეღარ ვპოვე ვერსად სიმშვიდე,
არ მინდა მოვკვდე შენს უნახავად,
და მინდა, მინდა, რომ გამიფრთხილდე...
იქნებ შენ მითხრა, მასწავლო შენვე,
რით გადავურჩე მოჯადოებას?
კი, მინდა, მინდა, რომ ხელსა მხვევდე,
მაგრამ რა ვუყო, შენს სათნოებას...
რა ვუყო თვალებს, სანთლების მზერას,
მზერას, საოცარს, სულს რომ აშიშვლებს,
მოდი, მესროლე, მე შენი ტყვე ვარ,
ნუ ამაცილებ, ნუ ამაცილებ!!!

ნეტა, როგორი იქნები, მაშინ...

როცა ყველაფერს ამაოდ ჩავთვლი,
და სხვის ფეხის ხმას ვეღარ ავყვები,
დავმარხავ დღეებს უშენოდ ჩავლილს,
როცა აღარც შენ მომენატრები...
როცა დავკარგავ ყველა თილისმას,

ან შემრჩებიან გატეხილები,
დამეზარება სხვებთან ღვინის სმა,
და მარტოობის შემჭამს ჩრჩილები...
ნეტა, როგორი იქნები მაშინ,
ახლა რომ ავსებ ოქროს დარბაზებს...
ისევ გექნება გვირილა თმაში,
ისევ სიყვარულს შემომთავაზებ?
თქვენ ხომ ვერ იტანთ, ძვირფასო, ჭკნობას,
არ მავიწყდები, არ მავიწყდები...
მაშინ, კი, როცა სიკვდილი მოვა,
ალბათ, მეც უკვე აღარ ვიქნები...

მაინც ჩემი ხარ

მაინც ჩემი ხარ და ვერასდროს ვერ გაგცვლი სხვაში,
რატომ? იმიტომ, რომ, უბრალოდ, სხვებს მირჩევნიხარ,
და თუ გადავრჩი ამ საშინელ ϫგლეთა–ჭყლეტაში,
მე შენ საჩუქრებს ჩამოგიტან ვარსკვლავებიდან...
ვიცი, რაც გიყვარს, რაც იტაცებს შენს თვალს საამოდ,
რა გიხარია, რა ატყვევებს შენს სულს ტკბობამდე,
შენ იქნებ ფიქრობ, რომ ვარ შენთვის შეუსაბამო,
ჭორამდე დაგყავს ეს სიტყვებიც, ჰო, ლაყბობამდე...
არ ვიცი, თუნდაც იყოს ასე, არაფერს ვკარგავ,
ყველა მიიღებს იმას, ალბათ, რისიც ღირსია,
ასე მინდვრებში ვარდი ხარობს, სხვა ვარდებს არ ჰგავს,
მაგრამ ამ ვარდზე სხვა ვარდებმა არა იციან...
ისიც მეყოფა, რომ გიპოვე სხვა ვარდთა შორის,
და რომ დავბრმავდი შენი უღვთო სილამაზისგან,
მე დავიღალე გრძნობებსა და ნერვებთან ბრძოლით,
თუმც სურნელებას მაინცა ვგრძნობ შენი ვარდისას...

წყლული

რაღაც სხვაგვარი, სულ სხვაგვარი განცდებით დავალ,
არ ვიცი ვინ ვარ, ან რა ხდება ჩემს სამშობლოში...
ან სული ჩემი რატომ ითხოვს ყოველწამს წამალს,
ან რატომ გავჩნდი, რატომ გავჩნდი ამ წყეულ დროში...
ყველა იმედი ნელა–ნელა მიდის და მტოვებს,
ჩემი მამული ჩემგან ითხოვს ხარკსა და ღალას,
მისი ველები გაუყვიათ ყვავებს და ყორნებს,
და უსტვენს ქარი, მოვარდნილი, ზვრებს ფარღაღალას.
ვინ მეტყვის, მართლაც, ხმას ვინ გამცემს, ვინ მიკარნახებს,
რა გზას დავადგე... სად წავიდე, როგორ მოვიქცე?
ცილისწამების და სიცრუის ვისმენ ტრაქტატებს,
ვარჩევდი სიკვდილს, დღეს სიკვდილი სულზე მომისწრებს...
ვარ ცოდვის ყუთი, ამ დარდების და სინანულის,
ჩემი ცრემლები ვით მდინარე დღეს წყალუხვია,
ვერ მოვირჩინე გაჩენილი სხეულზე წყლული,
რადგან ქვეყანამ გატკეპნილ გზას გადაუხვია...

თითქოს მზე ჩაქრა

რატომ ვერ ვხედავ, რატომ ვერ ვხედავ,
შენ ლამაზ თვალებს, უსიყვარულესს...
თითქოს მზე ჩაქრა და მთვარეც კვდება,

მთვარე სიკვდილის ცეკვას ასრულებს...
და მიყოლებით, როგორც ციფრები,
ცის მნათობები ჩუმად ქრებიან,
ზღვებიც ჩაყუჩდნენ და ლიცლიცებენ,
არც გემებს აღარ ემუქრებიან...
აღარ ირწევა, აღარ ირწევა,
არსად არცერთი ჩვილის აკვანი...
ჭირს ქვეყანაზე რამის მიღწევა,
ქარიც არ დაძრწის მიუსაფარი...
აღარც სატანა, არც ლუციფერი,
აღარც ღმერთები და ანგელოზი,
გამორთულია კომპიუტერი,
და ცხედარივით დუმს კავკაზუსი...

არ მახსოვს

არ მახსოვს, არ მახსოვს, მიყვარდი როდისმე?
მითქვამს კი, მე შენთვის რაიმე ამგვარი?
მითხარი, მითხარი, მე მაინც მოგისმენ,
მითხარი სიტყვები სურვილით გამთბარი...
ნუ უსმენ, ნუ უსმენ, ნურავის ნუ უსმენ,
დღეს შენი სიკეთე ცოტას თუ ახარებს...
უსმინე სამყაროს, წყაროთა ჩუხჩუხებს,
უსმინე ფრინველებს, ცასა და ვარსკვლავებს...
და, მართლაც, ისინი არასდროს ტყუიან,
უსმინე საკუთარ გულსა და მას ენდე...
ვერ ხედავ, გარშემო სიცრუის ბუმია,
ეს ღამეც ოდესმე ხომ უნდა გათენდეს...
სხვა დროა, სხვა დროა, იმსხვრევა კერპები,
მიყვარხარ? არ ვიცი, თუმც შენი დარდი მაქვს...
მივდივარ, ძვირფასო, მე ვერ შევჩერდები,
და გრძნობაც შენდამი, რაც მქონდა, თან მიმაქვს...

ან ხელის დაკვრით კაშხალები ვის აუგია

ასე მგონია, ყველაფერი თითქოს დამთავრდა,
თითქოს ბოლომდე ამოვწურე ჩემი სათქმელი...
თუმცა, ვერ მივხვდი, წინათგრძნობამ სად მიღალატა,
სად ცეცხლი იყო, სად კი მხოლოდ კორიანტელი...
ან ხელის დაკვრით კაშხალები ვის აუგია,
ან კი შველიან შუქურები ვითომ ხომალდებს...
მე ხომ ღმერთებთან არაერთგზის მისაუბრია,
ჰო, მიკითხია, სამოთხიდან რად გამოგვაგდეს...
დღეს ყველამ იცის, თუ გამოსცდი, ჩასჭრი მეგობარს,
ჰოდა, რად გვიკვირს ევა გველთან თუკი ჩაიჭრა...
რომ ჩაჭრილი ვარ ახლა შენთან, ესეც მეყოფა,
და ცრემლიანი თუკი ვხვდები ყველა გარიჟრაჟს...
შენც კარგად იცი, შენ იყავი ჩემი აისი,
მე კი ზღვა ვიყავ აისებზე განრისხებული,
სანამ არ მოხველ, სანამ ხაზი არ გადამისვი,
და ფსკერისაკენ არ წავიდა ჩემი სხეული...
ვისთვის ანათებს თეთრ სადაფის მრგვალი საყურე,
ყველა ხომალდი ჩემი უკვე ზღვების ფსკერზეა,
ერთი ღიმილი, რით ვერაფრით დავიმსახურე,
მე ჩემი ვთქვი და ჯერი ახლა, ალბათ, შენზეა...

მართლაც

მართლაც, რა არის ბედნიერება?
ბევრი რამეა, ძალიან ბევრი...
კაცი მხრებით თუ ზეცას ეხება,
ქალს სიხარულის თუ მოსდის ცრემლი...
ჩემთვის კი, ჩემთვის, ბედნიერება?
ისე შორია, მიუწვდომელი,
ზოგჯერ მუზებს თუ გაემეტებათ,
რასაც იმათგან ასე მოველი...
მე კი რაც მქონდა, ალბათ, გავეცი,
მე ჩემი სისხლი ფულივით ვხარჯე;
მე გავიარე ამ გრიგალებში
გზა ცეცხლოვანი მიწიდან ცამდე...
რა მაღალია სული, რომელსაც,
ვერ ეკარება ჭუჭყი და ღველფი...
მე ანგელოზის ხმაც კი მომესმა,
ბევრჯერ, როდესაც ჩემს ლექსებს ვწერდი...
მაგრამ რა იყო, დღემდე არ ვიცი,
განცდა, რომელიც ხშირად მქონია;
ლექსი გამომდის, მე კი განვიცდი,
რაღაც სევდას და მელანქოლიას...
იქნებ იმიტომ, იქნებ იმიტომ,
რომ ჯერაც ისევ ყალყზე მდგომელი,
ყველა ქართველის საფიქრალს ფიქრობს,
მკერდში დაჭრილი სვეტიცხოველი...
დღეს ისევ ცოდვით მძიმდება სული,
და შვებას ითხოვს მიწა ვედრებით...
იყო დიდება, იყო წარსული...
დღეს? სულ ღალატი, მსხვერპლი, ცრემლები...

ვერ ვპოვე

რად ნანობ, რად ნანობ, რად ნანობ,
მე მუდამ უფსკრულზე ვკიდივარ...
ამ წუთებს, ამ დღეებს ვაბრალოთ,
წლები რომ გვიქცია ტკივილად...
ჩამესმის, ჩამესმის, ჩამესმის,
როგორ კვეთს, შორს, წყვდიადს შენი ხმა;
ნუ მიმზერ, ეგ მზერა თვალებს მჭრის,
მე ბედმა ისედაც შემრისხა...
ვერასდროს, ვერასდროს, ვერასდროს,
ვერ ვპოვე, ის, რასაც ვეძებდი;
ეს ღამე გუშინდელს ბევრად სჯობს,
ამას კი აჯობებს შემდეგი...
ვერ ვხედავ, ვერ ვხედავ დასასრულს,
იმ ჯაჭვის, ბედმა რომ გაგვიბა;
თუმც შხამის დალევა არა მსურს,
ამათი არც თაფლი არ მინდა...
ღრმავდება, ღრმავდება უფსკრული,
აქ სადღაც ედემის ბაღია...
ამ ადგილს დარაჯობს ურჩხული,
რომელსაც კახპები ვარცხნიან...
ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ნუ წახვალ,

ჩადგება ეს ცივი ქარები...
ნუ გამხდი ქალების უნახავს,
მაჩუქე ეს ბოლო წამები...

სველი თმები

სულ მგონია, შენ რომ გხვდები,
ვიმუხტები დადებითად...
მიყვარს შენი სველი თმები,
და თვალები მაგ თმებიდან...
ამბობენ, რომ ყველა ამბავს,
აქვს თავისი ისტორია,
მე კი შენი თმებით დამთვრალს,
ვერაფერი მიპოვია...
მოკვდა, მორჩა, ძველი ხანა,
სიწმინდე და უმანკობა,
შუბლში ტყვია დაიხალა,
და სიმშვიდე ცაში ჰპოვა...
ამით იმან თავს უშველა,
მე სიმშვიდე სად ვეძებო,
მე ხომ შენი თმების ტყვე ვარ,
და შენს სურვილს უნდა ვენდო...
თითქოს ხელზე დამიხვია,
და ბავშვივით ამიჩემა;
შენ კი მიმზერ ვით სიცხიანს
და არ გინდა ჩემი შველა...
ყველა ქალი ერთმანეთს ჰგავს,
და ჯანდაბას ჩემი თავი...
მერქვას, მერქვას, გიჟი მერქვას,
ჭკვიანი კი შენ იყავი...
მაგრამ თუკი მაინც შევცდი,
ვერ მოვთოკე სურვილები,
წამეკიდა ისევ ცეცხლი,
ცეცხლი შენი სველი თმების...
მითხარ, რომ სხვებს არად ჩათვლი,
რომ გიჟდები მხოლოდ ჩემზე.
რომ გიყვარვარ როგორც ძაფი,
დაკიდული ნატვრის ხეზე...

რად არის ასე

რად არის ასე, რად არის ასე,
ასე შორიშორს სამყაროები...
მაშინ, როდესაც მზე თვალებს ახელს,
მთვარე იძინებს განმარტოებით...
ასე დაგეძებ ცაშიც, მიწაზეც,
მაგრამ ვერაფრით ვერ მიპოვიხარ...
როცა, შენ, ალბათ, მთებში იზამთრებ,
მე ზღვებზე დავქრი, არ გამოვრიცხავ...
ამბობენ, თურმე იშვიათია,
იშვიათია ბედთა თანხვედრა...
შენ ვარსკვლავეთის ხარ სიმპათია,
მე შორეული მკვდარი პლანეტა...
იქნებ ვხვდებოდით კიდეც ოდესმე,
და ერთმანეთი ჩვენ ვერ ვიცანით...

მე ვიყავ, ალბათ, ვინმე მოლექსე,
შენ გზას გითმობდნენ თაღნი ცისანი...
და მართლაც ვნანობ, რომ ეს სამყარო,
დააქუცმაცეს ასე ღმერთებმა...
მოდი, აბჯარი მინდა ამყარონ,
და დამიმონონ შენმა ხელებმა!!!

ნუ ჩამიქრობ

ნუ ჩამიქრობ, ნუ ჩამიქრობ,
სანთელს, შენთვის რომ ავანთე,
ნუთუ, გული არას გიგრძნობს,
ხომ იცი, რომ ხელს არ გახლებ...
გადასულა, გადასულა,
ჩემი ვაზი შენს ატამზე,
სად წასულა, სად წასულა,
შენი უღვთო სილამაზე...
გაყინულა, დათოვლილა,
გაზაფხულის ფარდაგები,
ჩემი მკერდი დაფოთლილა,
შენი ტუჩის მათრახებით...
ჩავიძინებ და თავიდან,
სიზმარს პირველ კოცნით ვიწყებ...
ვერ ავიტან, ვერ ავიტან,
თუკი, მართლაც, დამივიწყებ...

სულ მგონია

ეს წამებიც როგორ გარბის,
მინდა, მინდა ხელი ვტაცო,
რა დრო რჩება შენს ხილვამდის,
რა ვიღონო, რა მოვასწრო...
სულ მგონია, სულ მგონია,
რომ ჩემს გამო ლამაზდები;
რამდენ ქარებს უქროლია
ამ მხარეში გაბრაზებით...
მითხარ, მართლაც რა ვაკეთო,
ამ შტორმსა და ქარიშხლებში,
სხვებმა თუნდაც გაგაღმერთონ,
შენც აენთო გარიჟრებში...
ნუ დამასწრებ, ნუ დამასწრებ,
სიტყვის დაძვრას სიყვარულზე,
ამ გიჟ ქარებს როგორ ავყვე,
როგორ ავყვე სეტყვის ღრუბლებს...
შენც სულ მალე აალდები,
შენშიც ბედი არ მქონია,
მებრძვის, მებრძვის გააფთრებით,
შენი უღვთო ჰარმონია...

დავრჩები შენთან

დავრჩები შენთან, დავრჩები შენთან,
ოღონდ, ძვირფასო, შენ თუ მიმიღებ...
ჩემი თვალები შენს თვალებს შერჩა,
დავრჩები, მართლაც, თუ შემირიგებ...

მაგრამ, იცოდე, მე ქარიც მახლავს,
ქარი რომელიც სევდას შემპირდა,
ის გულის კედლებს ეხლება ახლაც,
და გამოღწევას ცდილობს მკერდიდან...
მე, ვიცი, ვიცი, ვერ გადავრჩები,
რომ კატაფალკა ჩემსკენ მოგორავს,
რომ დაბერილი ჩემი ძარღვები,
ვერ გაუძლებენ სისხლის მოწოლას...
ვერ ვხვდები, ნუთუ, კვლავ მარტოს მტოვებ,
გესმის, რა ძალით რეკავს ზარები...
ერთს გთხოვ, დამმარხო შენს სიახლოვეს,
მაგრამ საფლავს ნუ გაეკარები...

ხელს ნუ ამიკრავ

ხელს ნუ ამიკრავ, მე წამებს დავთმობ,
წუთებსაც დავთმობ, თუ საჭიროა,
იცი, ძვირფასო, დღეს შენ რომ გათრობს,
ჩემი ფიქრების სანაპიროა...
სანაპიროა, ჩემი ზღაპრების,
ჩემი ოცნების სანაპიროა,
ნუ მისაფრები, ნუ მისაფრდები,
შენ და ჯაშუში? სასაცილოა.
სასაცილოა, თუმცა, რატომღაც,
აღარაფერზე არ მეცინება...
მე შენი სახე დამამახსოვრდა,
ბავშვობის ნათელ გაკვეთილებად...
ასე მგონია, მკლავებს მომხვევ და
ამ ზღვაში ერთად ჩავიძირებით,
გითხრა, რა არის გასხივოსნება?
აელვებული ზღვის ნაპირები...

არ მოხვედი

არ მოხვედი, მე გიცდიდი,
ჩემი სული მორევს მიაქვს...
მოზიდული ჩემი შვილდი,
შევალეწე ლოდებს კლდიანს...
შენნაირი მრავალია,
შენ არა ხარ ერთადერთი,
მთვარე ღამემ გადარია,
ცა აიკლო თურმე კვეხნით...
შენნაირი? ზღვის ნაპირას
ხვინჭასავით ბლომად ყრია...
სანაპირო, კონცხის ძირას,
ჩემი ძველი მონმარტრია...
მე უშენოდ ისედაც ვძლებ,
შენ უჩემოდ? ღმერთმა უწყის...
სხვა მოგიტანს წითელ ვარდებს,
ალბათ, ვისაც ღიმილს სჩუქნი!!!

სხვა გიპოვია

სიყვარულივით ღალატსაც თურმე,
მილიონობით სახე ჰქონია...

ზღვა ჩამჩურჩულებს, ზღვა ჩამჩურჩულებს,
რომ ჩემს მაგიერ სხვა გიპოვია...
სხვა გიპოვია, ჩემზე ამაყი,
ჩემზე მდიდარი, ჩემზე გულღია,
გვიან გავიგე შენი ღალატი,
ჩემ რაშს ლაგამი გადაუღრღნია...
მოთქრიალებენ, მოთქრიალებენ,
ვენიდან სისხლის ნაკადულები...
ვიცი, ძვირფასო, რომ თავს მანებებ,
რომ უკვე სულ სხვას ეერთგულები.
რომ სული ჩემი უკვე აიჭრა,
ჩემი მკერდიდან გამოაღწია,
ცას შეეჯახა და გადაიმსხვრა,
რომ მალე გულსაც ამომაცლიან...
ჩემი ფიქრები თრთოლას იწყებენ,
არავინ იცი, რომ მანუგეშონ?
სანამ ღრუბლები გადამისწრებენ,
რომ სული ჩემი გააუხეშონ...

გადაივლიან ცაზე ქარები

როგორ მახსოვდა, როგორ მახსოვდა,
ბავშვობიდანვე შენი სახელი...
მითხარი, მთვარე რას გიამბობდა,
რატომ უვლიდა ან ჟრუანტელი...
ქარის ბრალია, ქარის ბრალია,
ჩვენ რომ ვერ შევხვდით გზად ვერასოდეს,
ვინ იცის, მართლაც დასანანია,
ვერც ვერაფერი გამოასწორებს...
გადაივლიან ცაზე ქარები,
და შორს ცის კიდეს მიაშურებენ,.
ნუ ეკრძალები, ნუ ეკრძალები,
სთხოვ და სამ სურვილს აგისრულებენ...
მაგრამ რას ეტყვი, რა მიგაჩნია
ნატვრად, ეს არის ამოსაცნობი,
ზოგჯერ სურვილი ისე მძაფრია,
ტყვიებს აასწრებს ცისკენ ასროლილს!!!

ნუ გენანები

ისევ დუმილი, ისევ სიჩუმე,
თითქოს დამცხრალან ოკეანენი,
ბრძოლა მისურვე, ომი მისურვე,
ნუ გენანები, ნუ გენანები...
თოვლსა და ყინვას ცეცხლს ვამჯობინებ,
ჩამქრალ ვულკანებს ამოფრქვეულებს,
მოდი, სამყარო შემაცნობინე,
სადაც დავეძებ მე ორეულებს...
ზღაპარი მიჯობს დღეს რეალობას,
იყოს სამყარო ირეალური,
არ მინდა ვთხოვდე ღმერთებს წყალობას,
გაიღე ჩემთვის ზღვა სიყვარული...
გაიღე, თორემ გული გაცივდა,
ასე გედები ტბებზე კვდებიან,
მომასმენინე ყეფა არწივთა,

სიკვდილს მკერდით რომ ეხეთქებიან...
ნუ, ნუ დაუსვამ წერტილს ნურაფერს,
ქროდნენ წამები უკიდეგანოდ,
რომ წმინდა სისხლის შავთეთრ ულაყებს,
აღარ ჩაევლოთ არსად უკვალოდ...

როგორ მეგონა

რატომღაც გაწყდა დროთა კავშირი,
აზრი არა აქვს თანმიმდევრობას,
რა უსასრულო გახდა მანძილი,
მე კი როგორი მოკლე მეგონა...
როგორ მეგონა, როგორ მეგონა,
რომ მოგაწვდენდი ჩემს გულის ძახილს,
უირაღოდ როგორ მეომა,
მე ხომ დიდი ხნის დაჭრილი გახლდი...
ნუთუ, ჩემს მკერდზე ჯერ არ გინახავს,
ახალთახალი ნატყვიარები,
მე ისევ ვანთებ რწმენის ჩირაღდანს,
რომ მოვირჩინო ნაიარევი...
ვიცი, პირქუშად ისევ მოღელავს,
სისხლის მდინარე აზვირთებული,
და მიყვარს, მიყვარს ცაზე რომ ელავს,
და სეტყვაც უშენს განრისხებული...
მე და ბუნება ნაღდი ძმები ვართ,
მართლაც უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს,
შენ კი რა სწრაფად დაგვიწყებივარ,
მიხსენი, სანამ თავს მომკვეთავენ...

მოდი, მაგრად ჩამეკარი...

ნეტა, ღმერთი რატომ ხატავს,
რატომ ხატავს ეშმაკს ქვაზე,
ერთს დედოფლად თუკი ნათლავს,
სხვას ლუკმაპურს რატომ ართმევს...
კაცმა რომ თქვას, ისე მართლაც,
რა დროს სხვებზე დარდებია,
მე მექცევა ბედი მკაცრად,
მუზებს მაცნობს წამგებიანს...
ან, შენ, თუნდაც, რატომ გახდი,
როგორ გახდი, ჩემი მუზა?
სად დგას შენი ოქროს ტახტი,
შენ სულს მშვიდად ვინა ფურცლავს...
მე აქ ხანძრებს ვემალები,
გადარჩენის ზღურბლზე მდგარი,
რომ ეგ შენი მწვერვალები,
ვერაფრით ვერ დავიპყარი...
იღრუბლება, იღრუბლება,
ზეცა, ჩემი საკუთარი,
ქარიშხლები წყება–წყება,
თოვლი, წვიმა, სეტყვა, ქარი...
ჩემს ხელთ არის, ჩემს ხელთ არის,
და ვაპირებ შენსკენ ვგზავნო,
მოდი, მაგრად ჩამეკარი,
და გრიგალებს დავემგზავროთ!!!

ნეტა, რა ჰქვია, ამ მონატრებას,

ნეტა, რა ჰქვია, ამ მონატრებას,
რითაც მე ახლა თქვენ მენატრებით...
გინახავთ, სულთა გამყინვარება?
დუმს თქვენი სახე ვით მწვერვალები...
მე კი მგონია, რომ თავს მესხმიან,
და მონატრებას თქვენსას მტაცებენ;
რომ სული წყენას გადაეჩვია,
რომ თქვენს სიყვარულს არ შემარჩენენ...
მარტოს ნუ მტოვებთ, ნუ მტოვებთ მარტოს,
აქ კვლავ მეფობენ ზამთრის ქარები...
დაწრიალებენ ჩემ სულთან ახლოს,
მეკი სათოფეს არ ვეკარები...
მაგრამ, გაუშვი, თოვლი ფარავდეს
მიწას, უცვლიდეს ქურქებს სუსხიანს,
ქარი ახლიდეს სარკმლებს დარაბებს,
და ღრიალებდეს რაც შეუძლია...
გაუშვი, ქროდეს, სანამ დაღლილი,
სადმე, ველებზე მიესვენება,
როგორც მერანი ფაფარაშლილი,
ქვა–ღორღს მიჰკვალავს, მიეთქერება...
გაუშვი, თავის თავზე აიღოს,
ბუნებამ ჩვენი მიეთ–მოეთი...
და ღმერთმაც ცოტა ხარკი გაიღოს,
რომ ლექსს უწერდეს ვინმეს პოეტი...
რომ იჯდეს, ბჭობდეს და ჩურჩულებდეს,
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ღმერთი...
მუზა კი ჩუმად კარებს უღებდეს
და აკვირვებდეს ღმერთს სიშიშვლეთი...
ეს მე ვარ, მართლაც, ეს მე ვარ ღმერთი,
მე თვითონ დროც კი მემორჩილება...
მე სიყვარული მომქონდა თქვენთვის,
მაგრამ არ გეყოთ, თქვენ, მოთმინება...
იცით, ვვარვარებ, როგორც ვულკანი,
საშინელია ყოფნა უთქვენოდ...
მალე ზეცაში წავალ მუქარით,
რომ ვნება მოვკლა, თავს კი ვუშველო!!!

ნუ გამომარჩევ

ნუ გამომარჩევ, მე არაფრით გამოვირჩევი,
უბრალოდ, სხვებზე მეტს ვფიქრობ, ალბათ,
ისე დავტანჯე და ვაწამე ჩემი ფიქრები,
ვდგავარ და მათთვის ეშაფოტს ვმართავ...
რომ მოვიცილო, ჩამოვახრჩო ყველა ერთბაშად,
განა, რას შველის ფიქრი, მართლაც, რის მაქნისია.
ვდგავარ ფიქრებით წამომართულ სახრჩობელასთან,
და ფიქრებს ვკიდებ ყულფზე, რადგან საკმარისია...
საკმარისია, დამანებოს თავი სულყველამ,
რადგან მგონია, ყველას ნაცვლად, მე ვფიქრობ მარტო...
ჩავჭიდებივარ ათასობით ტყუილს, ცრურწმენას,
რომ არ ვიფიქრო შენზე, ალბათ, არ მომენატრო...
ვიცი, ფიქრები სათითაოც რომც ჩამოვახრჩო,

და აფართხალდნენ ჩემს წინ, როგორც ხმელზე თევზები,
მაინც გავუძლებ, ჰო, გავუძლებ, რომც ვერ მოვასწრო,
შენზე ფიქრები კი მძარცვავენ ვით გარეწრები...
საკმარისია, თვითონ ავალ სახრჩობელაზე,
რადგან უშენოდ, უკვე ფიქრმაც დაკარგა აზრი,
ყელზე მაქვს ყულფი, ამოცოცდა სული ენაზე,
აი, ეშმაკიც, ისეც ვიცი, სად გამაგზავნის...

ვილაპარაკოთ ბავშვის ენაზე

მადლობა ყველას, ვინც ჩემთანა ხართ,
მადლობა ღმერთს, რომ თქვენ დაიბადეთ,
ყველამ, სულ ყველამ, სოფლად, ქალაქად,
ვილაპარაკოთ ბავშვის ენაზე...
ვიცინოთ, როგორც ბავშვი იცინის,
და ბავშვებივით გულით ვიტიროთ,
და დამარცხდება, მაშინ, სიკვდილიც,
ულაპარაკოდ და უსიკვდილოდ...
აღარ იქნება ქვეყნად ომები,
სავარძლებს ძალა გამოეცლებათ,
ვიქნებით ყველა თანასწორები,
ფულსაც შევხედავთ, მშვიდად, გულგრილად.
ვიქნებით ყველა ისევ ბავშვები,
გავიბუტებით და შევრიგდებით,
მუდამ კარგები, მუდამ მართლები,
და მუდამ, მუდამ, ერთად ვიქნებით!!!

ვარდი მესროლე

როცა ყველაფერს, როცა ყველაფერს,
უიმედობის დაფარავს ხავსი,
აღარ ვიქნებით ქვეყნად მე და შენ,
და ხსოვნაც ყველა წიგნიდან წაგვშლის...
ვის გაახარებს, ნეტა, ვარდების
ჭრელი ფერები ულამაზესი,
აქაფებული კლდეზე ჩანქერის
ვარდნა ქუხილით და გაბრაზებით...
ასე ყოფილა, ასე იქნება,
რადგანაც მუდამ დრონი მეფობენ...
მრავალი ვარდი გაიცრიცება,
მაგრამ დღეს ხომ ვართ, შენც დღეს მესროლე

ვერ ამოვხსენი

არ გადაკვეთეს ჩვენმა მიზნებმა,
მაგრამ არ იყო ეს ბრალი ჩვენი...
სხვა არის ლტოლვა, სხვა გაგიჟება,
და სულ სხვა კიდევ – ზეცის სასჯელი...
არ დავეძებდი ბედნიერებას,
არასდროს, რადგან არ მიმართლებდა,
რას ვიფიქრებდი შენთან შეხვედრა
თუ სულ სხვა ბაღებს გამინათებდა...
რა მოხდა მაინც, შენგან მიზეზი,
ვერ ამოვხსენი ვერასდიდებით,
ან თავს თუ ასე გაიგიჟებდი,

მართალი გითხრა, ვერ ვიფიქრებდი.
უარი გრძნობებს, უარი განცდებს,
რა გვრჩება ბოლოს? უღიმღამობა...
ვინ ახარებდა შენს წითელ ვარდებს
შენს მკერდზე ვინა კოტრიალობდა...
ახლა არც ვიცი, ან რისი დროა,
ამ წლებს ვერაფრით ვერ შევეგუე...
თუ სიყვარული თავისით მოვა,
ასე უბრალოდ, ვერ გიერთგულებს...
მე შენს ადგილზე, ალბათ, ჩათრევას,
ისევ ჩაყოლას ვამჯობინებდი,
მეც ერთხელ მაინც გამიმართლებდა,
მითხარ, არ მქონდეს, თუნდაც, იმედი?

წინ მერნებო

სულ პირველი დილის სხივი,
როცა გაჭრის ქართლის ველებს,
და შროშანი ვარდის ღიმილს
ტიტასავით შეიფერებს...
გამოვრეკავ კარში რემას,
მაყვლისფერი ტაიჭების
სანამ ჯანღი აირევა,
ნაღვლისფერი ქარიშხლების...
წინ, მერნებო, თქვენს სილაღეს,
ვერაფერი დაუდგება,
სულერთია სად მიმაფრენს,
გახელებულ ცხენთა რემა...
დავძრავთ ნისლებს, დავძრავთ ზვავებს,
და დაიწყებს მიწა გრიალს,
მთას ღრუბლებში მოტორტმანეს,
ხელი ცისთვის ჩაუვლია...
წინ, მერნებო, თქვენი ქროლა,
ველს და ქედებს გადაედოთ,
ნისლმა ელვა აიყოლა
და მეხის ხმა გრგვინავს ექოდ!
მიქრის მთებში ცხენთა რემა,
გატაცებით, გახელებით...
როგორც მოჭმულ დროთა ნგრევა,
როგორც ვარდნა ჩანჩქერების!!!

მე არ ვცხოვრობდი, მე ვიწვებოდი... (კ–ს)

ხომ, შესაძლოა, რადგან ვერ ვხვდებით,
გადასხვაფერდეს ეს გული, მართლაც,
ნუთუ შემთხვევით, თუნდაც, შემთხვევით,
აღარ შევხვდებით არასდროს, არსად...
იცი, რას ვფიქრობ, რა საჭიროა,
რომ სხვებსა ვჯობდეთ თუნდ რაიმეთი,
შენი ცხოვრება სუფთა ტილოა,
ჩემი კი, ჩემი სავსეა ფერფლით...
მე არ ვცხოვრობდი, მე ვიწვებოდი,
მე ვიწვებოდი ცოდვების ცეცხლში,
გადაღლილი ვარ მე უღმერთობით
და შენნაირი ქალების ეშხით...

სულ მინდა გითხრა, სულ ვიმეორო,
ყველა სიტყვები ულამაზესი,
შენმა წყურვილმა მომიღო ბოლო,
ეს დროც რომ გარბის, მით უარესი...
მით უარესი, ეს ალბათ ჩემთვის,
რადგან როგორი გასაძლებია,
როცა ვერაფერს, ვერაფერს ვერ ცვლი,
ვით დუელისას მტრები დგებიან.
როცა სიცოცხლეს გიჯობს სიკვდილი
და ნასროლ ტყვიას შენს მკერდს ახვედრებ,
და შენი ცხენიც გარბის ჭიხვინით,
გვალვით გადამწვარ იალაღებზე!
ჯერ კი დასასრულს მაინც ვერ ვხედავ,
ჯერ ცოცხალი ვარ, შენს თუ ჩემს ბედზე,
ლარნაკში თეთრი ვარდები ჭკნება,
ნუ, ნუ გამივლი გულგრილად გვერდზე...

აშკარად გატყობ

აშკარად გატყობ, გატყობ აშკარად,
შენს მთლიანობას გაუჩნდა ბზარი...
ის სიყვარულიც თითქოს გამქრალა,
რომელსაც ერთ დროს გაუღე კარი...
და მეტიც, თითქოს ძაფზე ჰკიდია,
შენი ამაყი სული, ღირსება...
თუ რამ გადაგრჩა, მასაც ჰყიდიან,
მასაც ჰყიდიან და იყიდება...
თუ რამ შეეძლოთ, შენმა თვალებმა,
თითქოს ბოლომდე გამოასხივეს...
სადღაც გამქრალა ის მრისხანებაც,
თავდაჭერაში რომ აქვთ არწივებს...
და ხვდები, უკვე სხვისი ჯერია,
რომ სხვებს უფენენ წითელ ხალიჩას...
ბედნიერება, ვით მისტერია,
წლებმა გულიდან ამოგაგლიჯა.
დაბნეული ხარ, რა არის შენი,
შენი რა არის, ვეღარ მიმხვდარხარ...
ეს ღამეც, როგორც გველის ნაკბენი,
შენს ლურჯ თვალებში ამოითალხა...
განიცდი, მაგრამ ვერაფერს შველი,
ვეღარ ატარებ ქარვის ყელსაბამს...
კარგი, ნუ დარდობ, მომეცი ხელი,
შენ ჩემთვის ჯერაც აღმოჩენა ხარ!!!

თუკი თვალები შემოგაფეთე

არ ვიცი, როგორ გავექცე წარსულს,
დავკარგე ყველა გზაგასაყარი...
ახლა ვზივარ და ველი დასასრულს,
დასაწყისი კი აღარსად არი...
დავკეტე ყველა შემოსასვლელი,
გულსაც სუდარა გადავაფარე,
თითქოს ეშმაკი მიტევს სანთელით,
თითქოს შიშველი ხელით მფატრავენ...
მწყურია, მაგრამ წყალს არვინ მაწვდის,

დამშრალა ჩემთვის ყველა წყარონი,
გაბოროტებულს დაღლილს და აჭრილს,
არცა მჭირდება ხელი წყალობის....
ვინ გამოგიწვდის, ვინ გამოგიწვდის,
ქარი ვარ, ვბორგავ, ცას ვეხეთქები...
გამომყოლია ნაღველი სიზმრის,
მძინავს თუ მღვიძავს ისევ ვერ ვხვდები...
ისევ ვერ ვხვდები, საით მივდივარ,
როდემდე ვკეცო მარათონები...
არც დრომ არაფრით არ შემირიგა,
და არც არავის არ ვაგონდები...
კარგა ხანია, კარგა ხანია,
გავითავისე ყველა უფსკრული...
ჩემი ცოდვების ვაკხანალიას
მუდამ მიყვება სიძვა ჩურჩულით...
და სანამ განმსჯი, შენს გულს ჩახედე,
რაზე ტრიალებს მთელი სამყარო...
თუკი თვალები შემოგაფეთე,
შევუყვარდიო, არ დამაბრალო!
რადგან, ვინ იცის, თვალების იქით,
რა საიდუმლოს მალავს წარსული...
ან, იქნებ, მართლაც, არის პირიქით,
სწორედ შენგან ვარ დღეს დათარსული...

ლალი მორიელს

რა ცოტა გვინდა, რა ცოტა გვყოფნის,
ჩვენ ამ ცოტასაც კი ვერ ვიმეტებთ,
გული გიპოვის, გული გიპოვის,
შენ გული ჩემი დაგაიმედებს.
ვისთვის მღერიხარ, ვისთვის მღერიხარ,
ბგერებს ირეკლავს ფრთხილად კედლები...
შენ, ალბათ, ამ დროს ბედნიერი ხარ,
ნება რომ დაგრთონ სულ იმღერებდი...
შენ სიმღერისთვის მსხვერპლსაც გაიღებ,
მსხვერპლსაც გაიღებ ულაპარაკოდ...
თუმც მეგობრების ძვირფას თარიღებს,
ვინ იცის, ეგებ, ღმერთიც გკარნახობს...
იმღერე ჩემთვის, იმღერე როცა,
ცრემლი გაავსებს სულში ნაპრალებს...
როგორც კანდელთან ქალწულის ლოცვა,
როგორც ხატები მოლაპარაკე...

შენ გესმის ჩემი უიმედობის (ბელას, ალანიას)

საოცარია, ვის არ გადაგყრის,
ვის არ გადაგყრის ზოგჯერ დროება...
ასე მგონია სულის ხარაკირს,
მომთხოვს ამ დღეთა ამაოება...
ბევრს არა, მაგრამ შენ კი გენდობი,
შენ ფრინველი ხარ და ბუმბულს იცვლი...
შენ გესმის ჩემი უიმედობის,
რომ მეც მჭირდება დღეს სხვისი სისხლი...
რადგანაც ჩემი ვეღარ პასუხობს,
ჩემი სხეულის ჩამქრალ იმპულსებს,

მე დღემდე ისევ დავდივარ უხმოდ,
და ჩემს ტკივილებს სევდით ვიყუჩებ...
იქნებ ამიხსნა, როგორ მოვიქცე,
რით, როგორ მივწვდე, წლებს გაფრენილებს?
თუ სინანულმა დაიპყრო სივრცე,
და ყველა წუთი შხამს მალევინებს...
ან ვინ ამიხსნას, საით მივდივართ,
ან ეს დრო–ჟამი საით გაუტევს...
მე შენ გეძახდი სხვა ნაპირიდან,
შენ კი არცერთხელ არ მიპასუხე!
მე შენი სულის მშურს სიმსუბუქე,
რა ადვილია მისი ტარება...
ერთი მზის სხივიც გაჰკვეთს უკუნეთს,
თუ ღამეს დილა შეუყვარდება...

იცი, მეგონა...

რად მიხარია, როცა უეცრად,
იქ მხვდები, სადაც არ გელოდები,
თითქოს იპოვეს ყურე სულებმა,
სადაც ბუდობენ ანგელოზები...
და ჩვენთან ერთად ბედნიერები,
ჩვენს დიდ სიხარულს იზიარებენ,
მე მჯერა, მჯერა, მართლაც, შემხვდები,
და ერთად გავლევთ გზას სამარემდე...
მითხარი, განა, რაა ნუგეში,
მასთან გვაშორებს, ალბათ, მტკაველი...
რომ ამ ცოდვიან საუკუნეში,
იყო ლამაზი და საყვარელი...
რა უჭირს თუკი ბეწვზე ჰკიდია,
ჩვენი სულები, როგორც სანთლები,
თუ გული შენთვის გამომიწვდია,
იცი, მეგონა, ჩამომართმევდი...

მწიფდა, მწიფდა ალუჩა

იცი, ქარი ეზოში,
ხეებს როგორ გლეჯავდა?
მხოლოდ საქართველოში,
ალბათ, თუ გაბედავდა...
რადგან, ვერას ვშველოდი,
დავაცადე ალიონს,
შენც ხომ მეკითხებოდი,
რას გიპირებს ქარიო...
კარგად, იცი, რამდენმა
ჩაიარეს დროებმა,
თავზე ჩაჩქნიანებმა,
ომი ომს რომ მოება...
ახლა როცა მღვრიე წყლებს,
ვეღარ ჰგუობს კალმახი,
ზღვები მანდობს ცის ეჭვებს,
ისევ ქარის კარნახით!!!
რომ წინ გველის მრავალი,
ჯერაც უამინდობა,
დროა გარდამავალი

მოკლეს, ჩვენ რაც გვინდოდა...
მწიფდა, მწიფდა ალუჩა
და ჰყვაოდა ატმები,
ნუშმა კოცნა გაჩუქა,
მთვარემ ბრილიანტები...

დილა

დილა სუნთქავს ალისფერად,
როგორც დისკი მოელვარე,
ღამემ ჩუმად განისვენა,
ციდან გაქრა ვერცხლის მთვარე...
რატომ მინდა, რატომ მინდა,
სული იყოს გამჭვირვალე...
მომიწყვიტე მაგ ბაღიდან,
სიყვარულის მსგავსი რამე...
გინდა ვარდი, გინდა ია,
ნუ, ნუ მეტყვი ახლა უარს,
იცი, მე რაც მინატრია,
ზოგჯერ მხოლოდ ვარდი თუა...
და ნუ გიკვირს, დილის სხივებს,
თუ აღვიქვამ მზის ღიმილად,
მე ხომ ზეცა კარებს მიღებს,
გაჩენიდან ყოველ დილას!!!

შენ ხომ ვერ მეტყვი

შენ ხომ ვერ მეტყვი, რატომ სწყდებიან,
რატომ სწყდებიან კლდეებს ირმები...
როცა უფსკრულში იჩეხებიან,
თავგამეტებით, თავდავიწყებით...
რას ნიშნავს, მართლაც, მათი ნახტომი,
ლტოლვას, შეცდომას თუ თავგანწირვას...
მე მცივა, შენ ხომ არ გამათბობდი,
თორემ მე ვხტები ირმის მაგივრად...
ისე მომბეზრდა დახვეწილობა,
ვარჩევ ველური მთების ღრეობებს...
სად ჩანჩქერები ღია ჭრილობად
მკერდზე ატყვიათ უღრან ხეობებს...
სად ზეციურნი ბედის ვარსკვლავნი,
ლურჯად ერწყმიან წყვდიადს მირიადს...
ხომ ვერ ამიხსნი, ხომ ვერ მასწავლი,
ახლა ზეცამდე რა მანძილია...
რომ ჩავაქსოვო ირმის ნახტომში,
ჩემი ნატვრები აუხდენელი...
თორემ ქვევრს ვგავარ ღვინოგამოცლილს,
გაბზარული მაქვს ყველა კედელი...

როგორც არავინ

რა მოხდებოდა, ამ დღეებს თუნდაც,
შენთვის და ჩემთვის გამოედარა,
რომ ჭრელ ველებზე მაისის სუფრას,
ჩვენი ოცნება ამოეყარა...
უკვე არ ვუგდებ ყურს აღარავის,

მე ეს დღეები შენით ვარსებობ,
მიყვარხარ, რაა აქ დასამალი,
როგორც არავინ, ალბათ, არცერთ დროს...
თუმცა, არ ვიცი, როგორ ვუმზირო,
ან რა დავარქვა ამ სილამაზეს,
შენი თვალების სევდას უძიროს,
სახეს უნაზესს, ტანს მოკალმახეს...
რატომ მგონია, რაც კი აქამდე
რამე გამაჩნდა სულ წამიგია...
თურმე წარსულიც კი მივაფლანგე,
და ვერაფერი ვერ გამიგია...
ზღვა ხარ, მემსხვრევი მკერდზე ტალღებად,
მინდა მაწვიმდე, მინდა მათოვდე,
ჩემი სიცოცხლის ხარ ცისარტყელა,
ნუ, ნუ გაქრები ნუღარასოდეს!!!

არ დამემდურო

არ დამემდურო, უბრალოდ, შენთან,
როცა ვარ, ცაზეც ვერ ვამჩნევ მნათობს...
მაცოფებს შენი უმანკოება,
ასე მგონია რომ თოვლი გათოვს...
გასაოცარი იცი დუმილი,
შენ მაგ დუმილით ყველაფერს ამბობ...
მე კი დაღლილი მოგზაურივით,
მარტო დანახვაც კი შენი მათრობს...
და, მართლაც, ვის არ შემყარა ბედმა,
პილიგრიმივით სად არ ვეხეტე,
ათსა ვკოცნიდი და ვიყავ კენტად,
ჰო, სანამ შენ არ შემოგეფეთე...
თუმც, ამ სიყვარულს მზის ჩასვლა ჰქვია,
მართლაც, თუკია უკანასკნელი,
ცხელია, როგორც ჟაკანის ტყვია,
როგორც ქალწულის ხელში სანთელი...
შენ კი, ჩემს თვალწინ დარდებს დაისევ,
და თოვლის ნამქერს მაყრი თვალებით,
ისევ და ისევ, ისევ და ისევ,
მწყურიხარ, მსურხარ, თუმც, გეკრძალები...
მე, გთხოვ, გაჰყარო ზამთრის ღრუბლები,
რომ მაგ შენს ყინვებს ხელი აუკრა...
დევს პიუპიტრზე თეთრი ფურცლები,
რომ რექვიემი ჩემთვის დაუკრან...

სულს ნუ ამომხდი

სულს ნუ ამომხდი, რადგან სამარეს,
არავინ იცის, სად გამითხრიან,
ჩემი ცხოვრება ჰგავდა კაბარეს,
და მეც ვიყიდე სული ნისიად.
ჰოდა, ამიტომ ტკივილს ვერა გრძნობს,
მას ეძახოდნენ სხვა სიამენი,
სულმა ხან უნდა გაიმერანოს,
ხან ქალის მკერდზე თვალოს ხალები...
სულს ნუ ამომხდი, სული ტკბილია,
მეც სული ჩემი კბილით მიჭირავს,

დღეს ჩემი კუბო გადახდილია,
მე ხომ სიკვდილშიც დიდი ნიჭი მაქვს.
ხან დღეში, ალბათ, ათასჯერ ვკვდები,
მაგრამ ყველაფერს ფეხზე ვიკიდებ...
რომ ათასჯერვე წამოვდგე მკვდრეთით,
თუნდ თავს მადგნენ და წამებს მითვლიდნენ...
მართლაც, საერთოდ, ამ რიტორიკულ,
კითხვებს რა დალევს ამ ჩვენს ყოფაში...
ამ წლებს დაკარგულს, ამ დღეებს ბითურს,
გინდა, გაგიცვლი წამის მორალში...
ჰოდა, შეეშვი, ჩემს სულს, უბრალოდ,
მან როგორც შესძლო, ისე იბრძოლა...
უსისხლოდ, სუფთად, წმინდად, უაბჯროდ,
და ვერ აქციეს ვერაფრით მონად!!!

გადაიფრინე

არ დაუჯერო, თუ ვინმემ გითხრას,
რომ სილამაზემ დაკარგა ფასი...
შენ კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს,
ნატვრის ფრთებს ისევ გედივით გაშლი...
ჩემს ცაზე სადაც კვლავ ათასობით,
ჯერაც ქორნი და სვავნი ბუდობენ,
სადაც ჯუნგლების ცივი კანონით,
ძარცვავენ, ჰკლავენ, რყვნიან, ქურდობენ...
შენც გადაიფრენ, ალბათ, დროდადრო,
სად ორბი დაფრენს ვერცხლისბრჭყალება...
მინდა მოვასწრო, მინდა მოვასწრო,
თვალი შევკიდო ამ ელვარებას...
გადაიფრინე, გადაიფრინე,
რომ დავუბრუნდეთ ბავშვობას ჩვენსას,
როცა პუტავდი საწყალ გვირილებს
და ყვავილების პერანგი გეცვა...

დღეს შენთან მინდა (ტ–ს)

გეძახი, შენი მოხმობა მინდა,
ნეტა, სადა ხარ, რომ არ გამოჩნდი,
შენს შემდეგ სულში ჟინჟლავს და ჟინჟლავს,
ალბათ, გულიდან ვეღარც ამოგშლი...
ვიცი, რომ გიკვირს ჩემი სიტყვები,
არ მოგერევა მათზე ცრემლები,
მე კი ამდენხანს რომ გაკვირდები,
თანდათან უფრო მეტად გნებდები...
არავინ არ თქვას, არავინ არ თქვას,
რომ არ არსებობს ტრფობის რეცეპტი,
მე შენ შემომხვდი სულ სხვათა ნაცვლად,
გამოგიტყდები შენ არ გეძებდი...
რა არის წამი, ზოგჯერ უაზრო,
ისეთი სხივით გასხივოსნდება,
შეძლებს ყველაფერს გადაუაროს,
რაც წინ დახვდება, რაც ქვეშ მოჰყვება.
ჰოდა, შენც, ახლა, რაც უნდა მალო,
საკუთარ თავს ვერ დაემალები,
იცი, არც მინდა სხვებს მიგათვალო,

შენ ცალკე დგახარ და მენანები...
და გიხმობ, გიხმობ, დღეს შენთან მინდა,
მინდა გამოჩნდე, მინდა გიხილო,
არ დამიჯერებ და თუნდაც სიზმრად
მსურს ეს სურვილი რომ ავიხდინო!

მომწონს ეგ კაბა, შენც მომეწონე

რატომ მიყურებ ასე ეჭვიან
და მოლოდინით სავსე თვალებით,
რა გსურდა ჩემში გამოგეწვია,
გრძნობა სურვილის, თუ შებრალების?
ან მითხარ, იქნებ, ორივე ერთად,
იქნებ, გწყურივარ, ვით ირემს წყალი?
ან გინდა იყო დროდადრო ჩემთან,
მაშ, ასე რატომ დამადგი თვალი?
კი, ლამაზი ხარ, ვერაფერს იტყვი,
მომწონს საყურეც და სამაჯურიც,
მკერდზე კი, მკერდზე ეგ გულსაკიდი,
და ძეწკვი ცოტა დაბლაც ჩასული...
ვიცოდე მაინც რა დაგიშავე,
რას ამაცეტე და მაყიჟინებ,
ამ უთენია დილა–სისხამზე
არიფივით რომ გამომიჭირე.
ძნელია შენგან თავის დაღწევა,
ძნელია, მაგრამ სხვა რა ჩარაა...
ცოტაც და ალბათ აარტყამს წნევა,
ვხტები, აქ სადღაც ხომ ფანჯარაა?

თავისი დრო აქვს ყველა დასასრულს

ვიცი, სულ მალე აყვავილდები,
რომ ჩემს სიმშვიდეს წერტილს დაუსვამ,
ნუ გამიწყრები, ნუ გამიწყრები,
მთვარეს ღამე და მზეს კი ცა უყვარს...
და თუ მეშლება მეც მისამართი,
ჩემი კი არა, შენი ბრალია,
შენ ყველაფერი ისე წამართვი,
არც გიფიქრია, არც გიწვალია...
მე ვერ მოვიყვან ახალ გაზაფხულს,
ვერც ჩანჩქერივით გადმოვჩქეფდები...
თავისი დრო აქვს ყველა დასასრულს,
და მეც უტკბესი მიყვარს მტევნები...
შენ კი, სულ მალე გაიყვავილებ,
ააფერადებ დღეებს უფეროს,
თუ შემეშალოს, შენ დამარიგე,
რომ ჩემს სურვილებს რამე ვუშველო...
შენ ჩემი ტკბობის თეთრი ყლორტი ხარ,
მაგიჟებს ფერი შენი კანისა...
შენ მე სიყვარულს ვეღარ მომიტან,
ალბათ, ყვავილებს კი, სამარისას.....

დედას ვფიცავარ

საშინელია, ნიჭისათვის რომ გაგრიყავენ,

და რჩები მარტო, როგორც ბევრი, ბევრი შენამდე...
ასე მგონია, ბავშვობაში როგორც მირტყამდნენ,
მცემენ ყოველდღე, მცემენ ჩუმად, გამეტებამდე...
ვეცემი, ვდგები, კვლავ ვეცემი და მაინც ვდგები...
და ვგრძნობ, სამყარო ჩემს გარშემო როგორ ტრიალებს...
რომ მე კი არა, ჩემს სამშობლოს წააჭრეს ფრთები
და მისი ყველა არტერია დააზიანეს...
და მეც, ვინ იცის, სად მოვკვდები, რომელ მიწაზე,
ან ვის ქარიშხლებს უმასპინძლებს ჩემი სამარე...
თვით სამარემდე, სამარემდე ან კი მივაღწევ?
ვინ იცის, ნეშტსაც, როგორც ლექსებს, გადამალავენ!
ვინ იცის, მართლაც, არც მეღირსოს, არსად საფლავი...
და განმეორდეს ისტორიის ჩემზეც მზაკვრობა...
დედას ვფიცავარ, დაზღვეული არ ვართ არავინ...
მე რომ ვუყურებ, მე რომ ვხედავ ამ უაზრობას!!!

რა მქვია, იცი?

ვინა ვარ, მართლაც, ვინა ვარ, ნეტა?
რა მქვია, იცი? ჩამდგარი ქარი...
როგორ მინდოდა გრიგალთან შერწყმა,
არ გამოვიდა, ვერ მოვასწარი...
ახლა ვზივარ და შენს სახეს ვძერწავ,
და მეჩვენება, რომ ღმერთებს ვძარცვავ...
რადგან ისინი მართმევენ შენს თავს,
და მეც განვიცდი ყველაფერს მძაფრად...
რამდენი წელი გამქრალა თურმე,
რამდენი ღამე სხვებთან ალერსში,
რამდენი რამე ვერ ავისრულე,
ან ვერ ვიპოვე სხვის სიამეში...
ახლა კი, ალბათ, მეც აღარ ვიცი,
აკრძალულ ხილს თუ ვეპოტინები,
და ამიტომაც ასე განვიცდი,
ჰო, რა გამოდის, სხვას ვეცილები...
და ამიტომაც რას აღარ ვბოდავ,
ხან ქარი ვარ და ხან კი გრიგალი...
მე ყველაფერი დამამახსოვრდა,
რაც შენ გაბედე, რაც შენ მითხარი...
იცი, არა ღირს, მართლაც არა ღირს,
ამ წლებში ან ვის ექორწილება,
თორემ ქარს, აბა, მართლაც, რა დაღლის,
თუკი ყვავილებს ეკოცნინება...

ჩემს ელენიკოს, დღეს 2 წლის გახდა...

ყველაზე მეტად შენ გესმის ჩემი,
და მე რატომღაც დიდი მგონიხარ,
მომეცი ხელი, მომეცი ხელი,
შენ, მართლაც, ჩემი თანასწორი ხარ...
ვიცი, როდისმე უნდა დავცილდეთ,
დავემორჩილოთ ბედის კანონებს,
მაგრამ იქამდე შენ ამაცილებ,
ჩემსკენ წამოსულ ყველა ფანტომებს...
იცი, რა არის ამ ქვეყნად შვება?
შენი გაჩენა, შენი სიცოცხლე...

შვებაც, სინათლეც და გადარჩენაც,
მე შენში ვხედავ, შენ რომ იცოდე!
და ვიცი, იქნებ, ბევრი ვერც მიხვდეს,
უკვე ასე რომ მეიმედები...
შენა ხარ ჩემი სულის მემკვიდრე,
ჩემი ზღაპარი და ჩემი ფრთები...

სიმშვიდე

არა და არა, ვერ ვეღირსე სიმშვიდეს სულის,
როგორც ტალღებად მონანავე ნიავი ბაღში,
როცა საღამოს ჰარმონია მყარდება სრული,
და ნაკადული მირაკრაკებს კვლებში თამაშით...
ეს, ყველაფერი აღარც მახსოვს თუ როდის იყო,
ახლა გულის ფსკერს ვიღაც ჩიჩქნის, ჩიჩქნის და ჩიჩქნის...
საშინელია, როცა სული არაფერს ითხოვს...
როცა ძარღვებში იყინება თავისით სისხლი...
ასე მგონია, გამუდმებით მესმის მუქარა,
ისევ უაზროდ იყრებიან დღედაღამენი...
აღარ მაწუხებს მზემ ვარსკვლავებს რა დაუბარა,
რას ჩურჩულებენ ხის ფოთლები მონანავენი...
ან რომელია, ნეტა, ჩემი ბედის ვარსკვლავი,
ნეტა, ჰკიდია ისევ ცაზე, თუ ჩამოვარდა?
შემომჩენია რაღაც ფიქრი ობობასავით,
რომელმაც ყველა სურვილები მიფანტ–მოფანტა...
თითქოს ტაატით მიათრევდნენ დროის კიდობანს,
ჩემი ცხოვრების დაღვრემილი ანგელოზები,
მე ხომ წარსულმა მხოლოდ აწმყო გადმომილოცა,
შემივსე თასი, საბოლოოდ დავილოცები...

მზერა (ნანას, შველიძეს)

თვალს თვალში მიყრი, თუმც, ფიქრებს მალავ,
ასე მგონია, დუელში მიწვევ...
მე ხომ შენს მოკვლას ღმერთი მიკრძალავს,
თუმცა, მომწონხარ და ენა მისწრებს...
ნეტა, ჩემამდე ვის ეკუთვნოდი,
ვინა გჩუქნიდა ვარდებს ეკლიანს?
ან, მართლაც, ნეტა, ვისთან ბუდობდი,
ვისი ცხოვრება გაგიფერთხია...
მეც ამადუღა კარმენის მზერამ,
ხელი მომხვიე, ხელი მომხვიე,
მინდა შევიგრძნო მაგ გულის ძგერა,
გთხოვ, კარმენივით შემომემსხვრიე...
მაგრამ, ვინ იცის, ვითხოვდე იმას,
რისი უფლებაც იქნებ არც მქონდეს...
მე შენი მზერა სახსოვრად მიმაქვს,
რომ სამუდამოდ დამამახსოვრდეს!!!

როგორ შევცვალო

აქ შევჩერდები, ძალიან დიდხანს,
მქონდა შეგრძნება შენი ბრჭყალების...
ცხადშიც ვაგრძელებ მე შენზე სიზმარს,
თან მიყვარხარ და თან მენანები...

როგორ შევცვალო, როგორ შევცვალო,
წლები, ქარივით გაფრენილები...
თავხედობაში არ ჩამეთვალოს,
ეს უმძიმესი გაკვეთილები...
კი, მინდა, მინდა ფეხი ავუწყო,
შენს მისწრაფებას, სულისკვეთებას...
მართლაც წამებში გადის საწუთრო,
და ზეცაც ტირის და იცრემლება...
მე ველოდები ზღვაზე მოქცევას,
და ზღვაც მედუზის მიმზერს თვალებით,
მე ხომ მომსწრე ვარ, მართლაც მომსწრე ვარ,
მზისა და მთვარის გარდაცვალების...
გაყუჩებულან, სთვლემენ ტალღები,
და მე მინდება შენი ფერება...
როგორმე ღამეს შევუთანხმდები,
დამითმოს ცოტა ბედნიერება...
და მისი ციკლი რომ გასრულდება,
როგორც კი ოდნავ, ოდნავ ინათებს,
ამოვალ ზღვიდან შენს საკუთრებად,
და იმ ერთ დილას გაგიჩირაღდნებ!!!

რად არ მოკლდება ეს მანძილები

რას ითხოვ ჩემგან, რას ითხოვ ჩემგან,
რატომ არ მეტყვი, მე რა მბრალდება...
თუ სიყვარული დავტოვე ყველგან,
სულ ბოროტება რად მისაფრდება...
ან ამ ბოლო დროს შენი სხივები,
რატომ ვერ აღწევს, მითხარ, ჩემამდე?
რად არ მოკლდება ეს მანძილები,
შენამდე მოსვლას რატომ ვერ ვასწრებ...
რად ვიხარჯები ასე სხვებისთვის,
ბოლო ლუკმასაც რომ ვერ ვინახავ...
ვიბრძოდი შენი დაბრუნებისთვის,
ვიბრძოდი, მაგრამ ვინ დაინახა...
ასე მიდიან ომში გმირები,
თავს მამულისთვის ასე სწირავენ...
მე კი ამ ეჭვებს შევეწირები,
ავსებული ვარ სევდით პირამდე...
და ველი, ველი ბოლო აკორდებს,
და მინდა წმინდა იყოს ფინალი...
ერთხელ ხომ მაინც დაგიმარტოვებ,
თუმცა ის წამი ჯერაც წინ არი...

ნუ მესვრი ტყვიებს

არ ვიცი, რაა, მართლაც, სიცოცხლე,
რატომ გვჩუქნიან, რისთვის ღმერთები...
სანამ გამიცნობ არ გამისწორდე,
ნუ მესვრი ტყვიებს ასე ფეთებით...
ისევ აიმღვრა ზღვების ნაპირი,
სისხლი სწყურია ისევ ქარიშხლებს,
და სული ჩემი გრძნობის ვამპირი,
კედლებზე აკრავს შიშველ აფიშებს...
ზოგჯერ მგონია, რომ სიზმარია,

ულაყებივით გარბიან ზღვები,
ზვირთებს ნაპირი დაუფარია
და პორტებს ესხმის ცა გააფთრებით...
თითქოს ყველაფრის წაშლას აპირებს,
რაც კი აქამდე ხატა და ქარგა,
თითქოს ზღაპარი და სინამდვილე,
ელვით და მეხით ერთმანეთს ფატრავს...
აღარ ვარსებობ, აღარ ვარსებობ,
აღარც ის მახსოვს თუ ვარსებობდი,
და თუ ოდესმე ვინმემ მახსენოს,
თქვენ აუხსენით როგორც ვკვდებოდი...
თუ გრიგალებმა როგორ მიშვილეს,
როგორ ვებრძოდი ჯანღებს ბნელეთის,
მოვედი, ცაზე გადავიფრინე,
და მათ დავუთმე მათი ხმელეთი...

ვშლი ყველა თარიღს

ასე მგონია, რაღაც უბრალო,
და ამოუხსნელ სიზმარში ჩავრჩი...
ვის გინდა გული გადაუშალო,
ყველგან ღალატი და ევას ვაშლი...
ვშლი ყველა თარიღს, რაც კი მიყვარდა,
ხსოვნას სარქველი გადავაფარე...
ლამის მისულმა ჩემს გარიჟრაჟთან,
დღე ღამისაგან ვეღარ გავყარე...
რად დგახარ მარტო, რად დგახარ მარტო,
ქარვა აყვითლებს გიშრის საყურეს,
შენს წაკიდებულ ცეცხლს ვეღარ ვაქრობ,
შენ კი ერთხელ არ მომინახულე...
მინდა რომ მითხრა, რა ჰქვია ამას,
სხეულს იზიდავ, სული კი გარბის,
და შებინდების ნაცნობი გამა,
შენს მკერდზე თოვლის ფიფქივით ბარდნის...
და მინდა მხოლოდ ფიქრებს დავჯერდე,
ნუ, ნუ მიყურებ მსხვერპლის თვალებით...
მართლაც, ვინ იცის, უკვე რამდენჯერ,
მიღალატე და კაენს დანებდი!!!

მე მირჩევია

ხარ მოწყვეტილი უსაზღვრო საზღვარს,
გადაჩეხილი ვით კრავი ხრამში...
და მაინც სადღაც პოულობ საგზალს,
კვლავ მიუყვები მთებს ცამდე აწვდილს...
შენ კარგად იცი, არწივი საკენკს,
არც კენკავს, არც სურს, არც ეკარება,
ის თავის ჯიშზე სწვრთნის თავის მართვებს,
ცაში განიცდის ის ნეტარებას...
არ მაქვს სურვილი, არ მაქვს სურვილი,
ტყეში წიწკანებს ბუდე ვუშალო...
და მომდებია ზამთრის სუსხივით,
ჩემს ბედთან ბრძოლა მეც სამუდამოდ!
გაუშვი სხვებმა კენკონ საკენკი,
და ჯაჭვიც ყელზე სხვებმა ატარონ,

მე მირჩევია სხვათა გატკეპნილს,
გაუტკეპნელი ჩემი სამყარო!!!

გზას ვინ გინათებს? (თამუნა ხელაძეს)

მითხარი, როგორ მეგობრდებიან,
მეგობრდებიან კი პოეტები?
იქნებ, უბრალოდ, ესეც ბედია,
რომ ერთმანეთზე ასე შევჩერდით?
რა გიყვარს, ნეტა, ანდა, ვინ გიყვარს,
იქნებ, ამწუთას, სულაც არავინ?
რანაირი ხარ, რანაირი ხარ,
ჩემთვის ვარსკვლავი ხარ უთვალავი...
ვიცი, არც შენთვის არის ადვილი,
რომ ქალის ტვირთი უფრო დამძიმდა,
თან თითქოს არის ამოვარდნილი
ამ მღვრიე დღეთა ტახტრევანიდან...
გზას ვინ გინათებს, ცას ვინ გინათებს,
ვის აგონდები ან ენატრები?
ვის ოცნებებში დაიბინადრე,
ვისთვის ბრწყინავენ შენი სანთლები?

იცი, მანანა! (მანანა ელიაშვილს)

ძნელია, ვიცი, რომ გწერ აქედან,
შენ კი ვერ მხედავ, ისე შორსა ხარ,
რომ სიყვარული შემოგათენდა,
რომ გაღვიძებაც კი ვერ მოასწარ...
მსურს ავაცილო შენს სულს ნამქერი,
მინდა ზამთრებმა რომ ვერ დააზროს,
რომ გაზაფხულის კორიანტელი,
ჯერ კიდევ ბევრჯერ გაგეთამაშოს...
რით განსხვავდება ჩვენი ბედები,
იცი, გეტყოდი, ალბათ, არაფრით,
მეც მქონდა წამი ბედნიერების,
თავის ვნებებით, თავის ღალატით...
ძნელია, როცა ტალახში გსვრიან,
მოგაწებებენ ათას იარლიყს,
დაუნანებლად გესვრიან ტყვიას,
თავის დაცვასაც არავინ გაცლის...
კვეხნით იკლებენ მერე ქვეყანას,
რომ მოკლეს ტატო, მოკლეს ილია,
რომ მათთვის ტყვია არ დაენანათ,
რომ ქართვლის მიწა ხმალგაყრილია...
იცი, მანანა, მე ბევრჯერ ვფიქრობ,
ვინ ეხმარება ნამდვილ პოეტებს?
ვინ მიაპკურათ ის გრამი სითბო,
თუნდაც პოეტურ საღამოებზე...
მე ვიცი, ახლა შენ გაიფიქრე,
რომ არსებობენ შენისთანები,
მაგრამ კლებულობს რიცხვი დღითი–დღე,
იმათი, ვისაც ჩვენც ვენანებით...

მაგრად მეწყინა

მწყინს მეგობრები თუკი მძარცვავენ,
მტრისაგან ვის რა უნდა ეწყინოს...
ყელს ისე მშვიდად ამოგღადრავენ,
ოღონდ რამეში არ შეეცილო...
ამ ქვეყანაში საწყენს რა დალევს,
თუმც ტკივილებიც განსხვავდებიან,
კანიბალებმა ქვაბში ჩამხრაკეს,
კანიბალიზმიც გადამდებია.
არ მიჭამია მე კაცის ხორცი,
ახლა ისე ვარ, ალბათ, შევჭამდი,
თუ მძარცვავ, მერე, პირზე ნუ მკოცნი,
გამძარცვე, ბარემ, გატყავებამდი!!!

ჩემი პასუხი

მინდა ავაკრა ცისარტყელა ცას ლავაშივით,
და ეს ხმელეთი ცეცხლის თონედ გადავაქციო...
ზღვები მოვიხმო მერნებივით ფაფარაშლილი,
და კავკასია აკვანივით გადავარწიო...
არავის ვტოვებ, ყველა მიმყავს ვინც გამომყვება,
იალქნის ფრთები გაშლილი აქვთ ზღვებზე ხომალდებს,
ვაზის ყლორტები დავიკიდოთ ავგაროზებად,
ვთხოვოთ გალობა დაგვადევნონ ქართულ მონასტრებს...
სხვებმა იომეს, ახლა უკვე ჩვენი ჯერია,
მაგრამ არც ჩვენით ისტორია არა მთავრდება,
ჯერაც გრძელდება უსასრულო ჩვენი სერია,
ვუხმობ წინაპრებს ამ ბრძოლებში მთავარსარდლებად...
რა სილაჩრეა გვამონებდეს კაცთ მომავალი,
ერთად დარეკონ მინდა ზარი ყველა ტაძრებმა,
მსურს ცად გავტყორცნო პოეზია, როგორც ვარსკვლავი,
და მოვაფრქვიო ცოდვილ მიწას ნატვრისთვალებად!!!

როცა გაბედავ (მზენათიიიი)

ასე მგონია შენი თვალებით,
სხვაც ათასობით ქალი მიმზერდეს,
შორს დგები, ახლოს არ მეკარები,
შენ ჩემთვის წამწამს არ დაისველებ...
არ შემიყვარებ, როგორც უყვარდათ,
მხურვალედ, წლობით, როგორც ველურებს...
რადგანაც, ყველას არ გაუმართლათ,
სიყვარულისთვის გადადებულებს...
რამდენი რამე უნდა ჩაიკლა,
რამდენ სურვილებს ელოლიავო,
ნეტა, რა გიყვარს, მართლაც რა გიყვარს,
რომ გათქმევინო, გადამრიაო...
ჩემით კი, თუ გსურს, იებს გაჩუქებ,
როცა გაბედავ და მოხვალ ახლოს,
მე ხომ სისხლში მაქვს კვლავ სიჭაბუკე,
სად, ვინ გაჩუქებს ჩემნაირ ამბორს!!!

კოცნას რად დამაჩვიე

ისევ გარბის სიყვარული,
ფართხა–ფურთხით ვაცილებ...

თუ გიყვარდი, მართლაც, გულით,
თვალი რად მომაცილე...
რად მეძებდი ათას სხვაში,
რატომ გამომარჩიე,
სიყვარულის ამ თავსხმაში,
კოცნას რად დამაჩვიე...
ვინა გთხოვა, ვინ გეხვეწა,
დამითმეო ბაგენი...
მოწმე არის მაღლა ზეცა,
შენ თვითონ მომაგენი...
ჩემზე გული აიცრუე,
სხვებს დაუწყე ფერება,
რად შემეშვი, რად ისურვე,
ჩემი გადამტერება...
მიყვარდი და გეხვეოდი,
კოცნას არ გიკრძალავდი,
შენ კი თურმე მერყეობდი,
არჩევანს მიმალავდი...
ახლა შენი ქერა თმები,
სხვის სურვილებს ატკბობენ,
რომც დაბრუნდე, ვერ დაგხვდები.
არც შენ მომიახლოვდე!!!

სულს, შესაძლოა, ენატრებოდე... (მანანას, ელოშვილს)

ალბათ, არსებობს, სულთა კავშირი,
რაღაც ვარსკვლავთა კავშირის მსგავსი...
იცი, სულს, ალბათ, არც აქვს ნაპირი,
ის სამყაროა თავის სისავსით...
ჩვენი სულები ისე კვეთავენ
ერთმანეთს, რომ არ ეჯახებიან,
იქნებ, ვერც შევხვდეთ ვერსად შენ და მე,
თუმცა სულები უკვე ხვდებიან...
არა მგონია, რომ არსებობდეს,
სული უხეში, ანდა, თავხედი...
სულს, შესაძლოა, ენატრებოდე,
და სხვებზე მეტად სულს ებრალები...
და ვინც არ მომწონს, ანდა, არ მიყვარს,
იცი, მე იმათ სულს არ ვაკარებ,
ხომ ვერ მომიწყვეტ შენი ბაღიდან,
ორიოდ ყვავილს, სულ, სულ პატარებს...

რომ დრომ ჯერ კიდევ როდის გამასწრო

დაკვირვებიხარ, მართლაც, რა ხშირად,
საოცრად ხშირად ჩერდება გული...
ზოგჯერ სიყვარულს დრო არ მაცლიდა,
მეც ვასკდებოდი ცას შერაცხული...
ვინ ვიყავ, იტყვის მემატიანე?
თუ ამ ყველაფერს გადაშლის შლამი...
მგონია, ბედი შევატრიალე,
და უკან მიდის ახლა დრო–ჟამი...
შენ კი ვარსკვლავთა ცივი ასული,
ჩემი ცხოვრების მკაცრი ნიშანი,
რატომ იყავი ხაზგადასმული

ჩემგან, ვერაფრით გამოვიცანი...
ასე მგონია ისევ მარწევენ,
ჩემი ბავშვობის ლურჯი ტალღები...
მაგრამ შენამდე ვეღარ აღწევენ,
რადგან ჩემსავით არ ენატრები...
ვიცი, იტყვიან, რომ კვლავ ვთამაშობ,
რომ არავინაც არ მყვარებია,
რომ დრომ ჯერ კიდევ როდის გამასწრო,
რომ შენი ტრფობაც დამბრალებია...
მე იმედი მაქვს, მე იმედი მაქვს,
რომ შენ არ უსმენ ამ აბდაუბდებს...
მე ისევ სისხლი დამდის მკერდიდან,
მე, ჯერაც ამ დროს, ვერა გავუგე!!!

ვალი

ვეღარ ვიხსენებ, ვეღარ ვიხსენებ,
ვიღაცას კოცნა ემართა ჩემი,
მოდი და ენდე ქალს ამის შემდეგ,
აორთლდა, გაქრა, არც რამ საშველი...
ძლივს გავიხსენე, აუ, რამდენი,
კოცნა ემართა, ბოლოს ვერც თვლიდა,
ის არც ყოფილა წინააღმდეგი,
როგორც ყოველთვის, მე შემეშინდა...
არა, კოცნაზე უარს არ ვამბობ,
კოცნას სადღა აქვს ამ ქვეყნად ფასი...
მერე გახდება სახათაბალო...
ცრემლები, ეჭვი, ინტრიგა, ფარსი...
იმ ცოდვილ კოცნას ქვეყანას მოსდებს,
იცით, ენასაც ძვალი არა აქვს,
ჰო, ააგორებს და ყველა კოცნებს,
გამოიყენებს ხვალ იარაღად...
ისე კი, მაინც ვალი ვალია,
მე რომ მემართოს გადავუხდიდი,
კაი, ჩავთვალოთ, ჩემი ბრალია,
მე ხომ ამდენხანს მაინც ვუცდიდი?

მე გული მწყდება

მე გული მწყდება, რომ სხვად ჩამთვალეს,
ყველას მიაგეს მისაგებელი,
ვიღაც სატანებს ზედ მიმათვალეს
და ჩამიკეტეს მერე კედელი...
ბრიყვნი ბრიყვულად მსჯელობდნენ ჩემზე,
რაღაც ნაჯღაბნებს მიფრიალებდნენ...
მტერი ვყოფილვარ სულ ყველა მტერზე,
ალბათ, კვლავ დედას მიტრიალებენ...
თურმე უვიცთა თავშეყარში
მოვხვდი, ხელები გადაიბანეს,
ძმებო, იცით, რა? თქვენი დემარში,
გამოადგება, ალბათ, პილატეს!

მე მეყვარები

წლები, შენ, ალბათ, ჩანჩქერებად თავზე გეღვრება,

და კიდევ უფრო, კიდევ უფრო გალამაზებენ...
შენს უჭკნობ სხეულს მისი მტვერიც ვერ შეეხება,
დრო და წამები ვერასოდეს ვერ გაგასწრებენ...
დილის ლოცვა ხარ, ნამი ვარდზე მიმობნეული,
შემოგხედავ და ჩემს წინ, თითქოს, ველი იშლება;
გეფერებიან მზის სხივები თითოეული,
ქალზე ნათქვამი, ყველა მითი შენს წინ იმსხვრევა...
კარგი იქნება, ალბათ, ენას კბილს რომ ვაჭერდე,
რადგან სიტყვებში, შენი კანის ალი მკრთალდება,
შენ, რომ ოდესმე ჩემს გულისკარს შემოაღებდე,
მე ხომ სიცოცხლე ასჯერ უფრო შემიყვარდება...
მაინც კარგია, იმედები როცა ცოცხლობენ,
თუ ახლავს სევდაც, სევდა, თუნდაც მიუწვდომლობის,
მე მეყვარები, შენ კი თუნდაც სხვები მოგწონდეს,
სანამ დამფერფლავს, სანამ დამწვავს შენი კოცონი!!!

მა რი – ს!!!

ნუ ითვლი წამებს, ნუ ითვლი წამებს,
დროს გამუდმებით ბენეფისი აქვს,
ჰოდა, რად გიკვირს მისი სისწრაფე,
თუკი მიჰქრის და წამებიც მიაქვს...
ვთქვათ და გაჩერდა მართლაც უეცრად,
დრო გაიყინა ან გაქრა სულაც,
რაც იყო დარჩა იმად ბუნება,
მზეც შერჩა ზეცას, სვლა დაასრულა...
და რა გამოვა, ჩვენც გავქვავდებით?
ვინ, სად და როგორ, შევრჩებით წამებს?
და ჩვენც ვიქნებით სულ ლამაზები,
თუ დრო არ გავა, არ შევიცვალეთ!
ხედავ, რა ძალა ჰქონიათ თურმე,
ჩვენ რომ უბრალოდ წამი დავარქვით,
შენ ნუ იდარდებ, ჩემ წლებს გაჩუქებ,
ოღონდ, მე თვითონ თუკი გადავრჩი...

გადავიარე ფეხით ზღვის ფსკერი

რაღაც ისეთი გრძნობა მაქვს თითქოს,
ანგელოზები მლოცავდნენ ციდან,
თითქოს მსოფლიოს ვიცნობ და მიცნობს,
და ბავშვობიდან მსოფლიო მზრდიდა...
რომ ჩემი თავის მოყვარეც, მტერიც,
მე თვითონ ვიყავ დაბადებიდან...
ჩემს სახლს მე თვითონ ავხადე ჭერი
და წამოვდექი აკლდამებიდან...
ბევრჯერ დიდებაც ბეზრდებათ, ალბათ,
ბევრჯერ სახელიც, ალბათ, მახეა...
მეც ბევრჯერ ხშირად ღმერთების ნაცვლად,
ჩემს გვერდით ეშმა დამინახია...
და ვასწორებდი, სულ ვასწორებდი,
შეცდომებს, გზა–გზა რომ მეშლებოდა,
ხან ვიქცეოდი და ვაბოდებდი,
ხან უმიზეზოდ მემღერებოდა...
მტერიც მყავდა და მყავდა მოყვარეც,
მძულდა? ვერ ვიტყვი, უფრო მიყვარდა...

და ვხსნიდი, ხსნიდი იმ ამოცანებს,
რომლითაც ბედი მცდიდა, მისვამდა...
საოცარია, ასე მგონია,
გადავიარე ფეხით ზღვის ფსკერი...
ვერა ვერ გავცვლი ამ ჰარმონიას,
შენ რომ გამომცდელ თვალით მიცქერი...

ცეცხლი, რომელიც დღემდე შენია!!!

ისევ დაცურავს ჯერ ჩემი გემი,
აფრაგაშლილი ხვდება აისებს,
და როგორც ყელში ბადაგის წვენი,
სიცოცხლეც ისევ გავიხალისე...
თითქოს ასრულებს ზეცის ბრძანებას,
ტალღებს მიაპობს, ვით ქარს მერანი,
მას არ აშინებს ზღვის მრისხანება,
შორს მოისროლა ბედისწერანი.
მუდამ ზღვა იყო ჩემი სტიქია,
აკვანს მირწევდნენ ოკეანენი,
ბევრჯერ სიკვდილთან ბრძოლაც მიცდია,
თვალს ვუსწორებდი ლულებს დატენილს...
და გამოწრთობილს ქარიშხალებში,
სიტყვა აუგად არ დამცდენია...
მე კვლავ მინთია ცეცხლი თვალებში,
ცეცხლი, რომელიც დღემდე შენია!!!

აპრილი აღარ გაგეკარება

თუ გაზაფხული თავს დაგანებებს
და შემოდგომის ნისლში გასცურავ,
თუ აარიდებს თავს შენს ბრძანებებს,
თავს ჩათვლი მძევლად და გაძარცულად...
აპრილი აღარ გაგეკარება,
არც მაისობა არ აგაღელვებს,
არც აღარავინ არ გეყვარება,
და ღამის ტკბობას თავს მიანებებ...
როცა წარსული და მომავალი
გაქრება შენთვის, როგორც ქიმერა,
და გავლენ წლები, როგორც მრავალი,
წამები გარბის დაუფიქრებლად...
ნუ შეეხები, ნუ შეეხები,
შენს დაცლილ ვნებებს დაუკითხავად,
როგორ ვერ ხვდები, როგორ ვერ ხვდები,
რად გაქრა ყველა, ვინც კი გიყვარდა...
სად გაიკრიფნენ, ანდა, მნათობნი,
ცა, მითხარ, რატომ ამოტრიალდა...
თუკი ერთმანეთს ვერ გავათბობდით,
სად გაქრა ჟინი ადამიანთა...

მტკენდა გული ნანემსარი

რით ვუშველო, რით ვუშველო,
ამოვარდნილს სულში ქარებს,
რად გრძელდება უსაშველოდ,
რად მიტოვებს კანზე ბზარებს...

შემოგლიჯა, შემოგლიჯა,
შემოგლიჯა ღამემ კარი...
მე ველოდი წუხელ გრიგალს,
მტკენდა გული ნანემსარი...
შენც შორსა ხარ, ისე შორს რომ,
ტყუილად მთხოვ თანაგრძნობას,
თანაც ვხედავ, როგორ მორცხვობ,
გაურბიხარ ჟინს და ტკბობას...
მე კი, დღემდე გადაყრილი,
ათას ვინმეს, ათას ვნებებს,
შენც მათსავით გადაგივლი,
ჰოდა, თავი დამანებე...
დამანებე, თორემ, ვიცი,
მიწა ჩემ სისხლს ვეღარ იტანს,
ვიცი, ვიცი, მიწა მიცდის,
მოვკვდები და შენც ჩაგიტან...

მიახლოვდები

მიახლოვდები, თუმცა კი, ნელა,
მაინც თანდათან მიახლოვდები,
ლტოლვა, ეჭვები, იმედი, წყენა,
ასდევს შენს სხეულს, როგორც ლოცვები...
რაში გჭირდება, ნეტა, ვიცოდე,
ეს სიახლოვე ნაღმის მაგვარი,
ვინ იცის, ახლოს რომ გამიცნობდე,
ამ სიახლოვემ დაგცეს თავზარი...
მე ხომ არ ვიცი, მე ხომ არ ვიცი,
რომელ ოცნებებს ვეპოტინები,
კი, შესაძლოა, გულს გადაგიხსნი,
მაგრამ იმ გულში, შენ, არ იქნები...

სიყვარულის რძით ამავსე (ი.მ. – ს ვალი)

სიხარულის ბაღი მქონდა,
თეთრ ღრუბლებზე გაკიდული,
გაზაფხულზე გაიფოთლა
შიგ დარგული შენი გული...
ვეფერები, ვეფერები,
არ ვაკარებ ახლოს ნიავს,
მთიდან ბროლის ჩანჩქერები,
შენს თბილ მკერდზე ჩამორბიან...
როგორც უნდა გაიკვირვო,
მე აპრილებს მაინც ველი,
რომ მარჯნებად გაიკვირტოს,
შენი ტანი საკვირველი...
ნიავი ვარ, დილის ცაზე,
სულს ვუბერავ შენს თეთრ ღრუბლებს,
სიყვარულის რძით ამავსე,
და კოცნებით გადამთუთქე...

მე და მთვარე

წუხელ მთვარეს გადავაწყდი,
ჩემს ეზოში, სულ, სულ ახლოს...

იჯდა ხეზე, როგორც ბარტყი,
გაჰყურებდა ზეცის ტატნობს...
გავიფიქრე, ასე, ალბათ,
გასათხოვარ ქალებს რთავენ,
ვარსკვლავების დასი ახლდა,
სთავაზობდნენ მოსართავებს...
იქნებ, ძალით ათხოვებენ,
მას კი სხვა ჰყავს, იქნებ, გულში,
მაყვლის ეკლებს გამოვედე,
აიბზუა მთვარემ ტუჩი...
როგორ ვუთხრა, რანაირად,
რომ მეც მიყვარს, რომ მეც მომწონს,
როცა ცაზე მთვარე ბრწყინავს,
როგორც ქალი სადედოფლო...
თვალი თვალში გავუყარე,
თითქოს მანაც რაღაც მითხრა...
წაიყვანეს ჩემი მთვარე,
მე კი, იქვე, ვიდექ დიდხანს...

რას ელი (ქეთის)

რას ელი, ციდან ვარსკვლავთა ცვენას,
თუ მარგალიტებს, გაბნეულს ზღვაში...
მე დაგიბრუნებ დაკარგულ რწმენას...
და შენც დაკეცილ ფრთებს ისევ გაშლი...
იცი, სულ ცოტა უნდა ეცადო,
ზოგჯერ ღიმილიც საკმარისია,
და მინდა, მინდა, რომ გული მანდო,
თუ უკვე სხვისთვის არ გაგიცვლია.
მე არც მოწყვეტილ ყვავილს ვიწუნებ,
ზოგჯერ ფერები მასში მეტია...
აჰა, გვირილა, რაც გსურს ისურვე,
რა იცი, იქნებ, ბევრნიც გეტრფიან!!!

მწარე სიმართლე საკუთარ თავს

არა, ღირს ფუჭი მოთქმა და ოხვრა,
სულს რომ აწმყოში სევდით ავსებენ...
შენ ხომ იცი, რომ მეორედ მოხვალ,
შთამომავლები აღმოგაჩენენ...
უსმინე, როგორ გალობს რიჟრაჟი,
რაც უნდა წერო, მას ვერ აჯობებ...
შემოქმედება არის მირაჟი,
მუდამ რომ დაძრწის შენს სიახლოვეს...
ჰოდა, მითხარი, რაში გჭირდება,
ყველას მოსწონდე, ყველას უყვარდე;
რამდენ ხანს გასძლებს შენი დიდება,
ჰაა, დილიდან ღამის მწუხრამდე?
თან, ვისაც შენ თავს ასე აწონებ,
ყველანი სადღაც სხვაგან არიან...
დაემორჩილე, ზეცის კანონებს,
რამ აგიყოლა, რამ გადაგრია.

დასასრული

დღეს დილიდან ვზივარ და ვიხედები შენს სულში,
ვიხედები შენს სულში და თავს ვერსად ვპოულობ,
თურმე სულ არაფერი, არაფერი მეკუთვნის,
ვრჩები გაპლუტებული, ლამის მთლად უსხეულოდ...
რად მეგონა, რომ ვფლობდი შენს უთვალავ საუნჯეს,
რად მეგონა, რომ მეფე ვიყავ შენი სიზმრების,
დავრჩი გულგატეხილი, შენს სულს ვერა გავუგე,
ამის შემდეგ, ძვირფასო, ბევრად ფრთხილად ვიქნები...
ალბათ, კვლავ გარეგნულმა სილამაზემ მაცდუნა,
რადგან მუდამ მიყვარდა ოცნებებში ფათური,
ყველაფერი დასრულდა, ყველაფერი დასრულდა,
თუმცა, არც მე არ მომწონს ასეთი დასასრული...

მაკვირვებს, მიპყრობს ეს სიდიადე...

ისევე, ალბათ, როგორც თქვენ ყველას,
მაკვირვებს, მიპყრობს ეს სიდიადე,
მეც ხომ თქვენსავით სამყაროს ტყვე ვარ,
თქვენსავით ველი მეც განთიადებს...
მიყვარს მთვარეთა მკრთალი ნათება,
მეტეორების ცვენა წყვდიადში,
ცაზე ვარსკვლავთა ათინათება,
და სული, სული ადამიანში...
მიყვარს ქალწულთა ლოცვა კანდელთან,
და ანთებული სანთლის ლაპლაპი,
ჩუმი ჩურჩული ხატთან ბაგეთა,
ხატზე ფირუზი და დიამანტი...
მიყვარს გედები ტბას რომ ხატავენ,
გაბრწყინებული მიყვარს თვალები,
როცა სიხარულს გამოხატავენ,
თან აღტაცებით, თან მოკრძალებით...
ო, იცით, იცით, მართლაც რამდენი,
რამდენი ღამე უნდა მეთია,
რომ თუნდაც წამი აღფრთოვანების,
თქვენს ნატკენ სულში გამომეწვია...
და ვიცი, ვიცი, მეპატიება,
ოდესმე ყველა შეცოდებანი,
მჯერა, ერთხელაც ცა გაიხსნება,
და ჩვენც ზეცაში წავალთ ყველანი!!!

სადაც ვიწყები, იქვე ვმთავრდები...

პოეტებს მუდამ დუმილით ჰკლავდნენ,
და კვლავ მოკლავენ დუმილით იმათ,
ვინც თავის სახელს გასტყორცნის ცამდე,
ან, ვთქვათ, უბრალოდ, ვინც კი, თქვენ, გიყვართ...
მეც, ალბათ, სწორედ ამის მსხვერპლი ვარ,
სადაც ვიწყები, იქვე ვმთავრდები...
ვერ გამოვედი ამ ლექსებიდან,
როგორც ტყვიები მკლავენ ბწკარები...
და ველი, ველი, ვინ შემოაღებს,
ჩემი პარნასის ჩალეწილ ჭიშკარს,
ჩემი სხეულის დამწვარ მონასტრებს,
გადარჩენილი დროშები იცავს...
და მჯერა, მჯერა, მაინც მოვასწრებ,

რომ განახლების ვნახო ქარები...
ან აქვს კი აზრი, ამ ჩვენს მონაზვნებს,
ვეყვარები თუ არ ვეყვარები!!!

მომხვიე, მომხვიე, ეგ შენი მკლავები...

ვიცი, რომ არა ხარ ჩემი საჩუქარი,
და თუ უნებლიედ საზღვარს გადავედი,
ერთსა გთხოვ, ნუ ჩაკლავ ჩემს სურვილს მუქარით,
მომხვიე, მომხვიე, ეგ შენი მკლავები...
შეხედე, საღამო ვარდების ფერია,
საღამო, რომელიც მზის ჩასვლით მთავრდება,
გამოდის, რომ დღეს ღამე მოერია,
შენც, ალბათ, შენც, ალბათ, სხვა შეგიყვარდება...
მზეებიც კვდებიან და ცაზე ვარსკვლავებს,
დრო მოვა, შესცვლიან სულ სხვა ვარსკვლავები...
შენს წყურვილს, ჩემშიაც, ჩემშიაც ჩაკლავენ,
მომხვიე, მომხვიე, ეგ შენი მკლავები!!!

თამუნა თაას!!!

ვინ იცის, შევრჩეთ მე და შენ ამ დროს,
რას მარცვლავს ბედის კრიალოსანი?
მინდა მცირე ხნით რომ დამემგზავრო,
მე წყარო ვიყო, შენ კი შროშანი...
შენ კარგად იცი, სიყვარულისთვის,
ორი რამ არის მხოლოდ საჭირო,
არ გამიბრაზდე ამ სურვილისთვის,
გთხოვ, მომეფერო და გამაცილო...
მე შენს ყვავილებს მალე გავცდები,
გადავიქცევი ნაკადულებად,
და თუ შენს მერე ამებნა გზები,
ნუ მიენდობი ჩემს ერთგულებას...

წვიმს

წვიმს დაჟინებით, წვიმს უხალისოდ,
ზეცას ამოაქვს, ალბათ, ნაღველი,
და მიწაც თითქოს ზეცას მასპინძლობს,
მიწა ამდენი რამის მნახველი...
სულს ნუ ახსენებ, სულს ნუ ახსენებ,
სული ისეც წყლით გაჟღენთილია...
ქუჩაში ვდგავარ წვიმა მასველებს,
წვიმა, მე მგონი, ღრუბლის შვილია...
და ვიცი, ვიცი, არ გადაიღებს,
სანამ არ ჩაკლავს დარდებს წვეთებში...
ახლა ისე ვარ წვიმაც მაგიჟებს,
ატანს ფანჯრებში, ატანს კედლებში...
მომეცი ნება, მომეცი ნება,
შენსკენ ვიარო თუნდაც თავსხმაში...
ნუ გეწყინება, ნუ გეწყინება,
მიჭირს, ველარ ვძლებ ამ აკლდამაში...

ანათებ, მაგრამ არ ათბობ...

ანათებ, მაგრამ არ ათბობ,
მე კი უმზეოდ ვერა ვძლებ,
ვიცი, შენ შენსას არ დათმობ,
რომც იყო სახრჩობელაზე.
მე ჯერაც ისევ გზაში ვარ,
ამხედრებული მერანზე,
ჭენებას გავუტაცივარ,
თუმცა უშენოდ ვეღარ ვძლებ...
მე ერთი რამე მაცოფებს,
ვერ გამიგია რა ხდება,
გადავუდგები ღვარცოფებს,
მწვერვალს ხმლით ორად გავჩეხავ...
და გთხოვ, ამ ალეგორიას,
ნუ ჩამომართმევ კვეხნაში,
თუ შემხვდი, ბედი მქონია,
ამდენ ქალების დევნაში...
შენ თუ მზეობა გინდოდა,
დარჩენილიყავ ზეცაში,
შენს მეტი ვინ დამიპყრობდა,
ვინ მაჯობებდა ვნებაში...

ვიცი თავი მოგაბეზრე

ჩემს წინ მთელი ოკეანე გაწოლილა,
მზის ჩასვლამდე რჩება რაღაც წუთები,
ეს ლოდინი, ეს ლოდინიც რა ყოფილა,
მე გიცდი და შენ კი ტალღებს უწვები...
რა მოხდება, რა მოხდება ამ ტალღებმა,
ჩემთან ახლოს, ჩემს ნაპირზე გამოგრიყოს,
სისხლმა ისე მძაფრად იგრძნოს განახლება,
ოკეანემ წყალში ლოჟა გამოგვიყოს...
საიდანაც სასწაულად გამოჩნდება,
როგორ ჩადის მზე ქალთევზთა სამოთხეში,
რა მოხდება, რა მოხდება, რა მოხდება,
ჩემი გახდე, კაი, თუნდაც, სამ–ოთხ დღეში...
ვხუმრობ, მაგრამ, შენც ხომ იცი, ხუმრობაში,
ნახევარი რომ სიმართლე ურევია,
აიქოჩრა ოკეანე სულ ორ წამში,
ოკეანე ღამეს გადაურევია...
აიქოჩრა, წამოვიდა ტალღა ჩემსკენ,
გადამფარა და თევზივით გადამყლაპა,
ვიცი, ვიცი, ვიცი თავი მოგაბეზრე,
ზღვა წამიღებს, ზღვა მომკლავს და ზღვა დამმარხავს...

ნუ, ნუ მენდობი...

ნუ, ნუ მენდობი, არა ვარ სანდო,
ჩემი ცხოვრება ტკბილი ხილია,
შენ კი ასეთი ნაზი და სათნო,
ჩემი აყოლა სად შეგიძლია.
მე დღესაც ისეთ ხასიათზე ვარ,
მსურს გრიგალები გამოვიძახო,
ომის კანონი არის დასწრება,
მე კი არ მინდა, რომ მტერს მივბაძო...
მითხარი, ჩემზე თუ გიფიქრია,

დაგთენებია ჩემზე სიზმრებში?
მტერი მოყვრებში ამოგიცვნია?
ამოგიხსნია ამის მიზეზი?
კარს მომდგომიან შავი მუზები,
გადამიმსხვრიეს ყველა ქნარები,
დაიმახსოვრე, ყველას თუ ებრძვი,
მხოლოდ ცად, ღმერთებს, თუ ეყვარები...
და ამიტომაც, მე კარგად ვიცი,
ჩემი ადგილი მხოლოდ ცაშია,
სადაც ტახტი და დიდება მიცდის
და სადაც ყველა ჩემი მსგავსია...
და თუკი ლაგამს ვინმე ამომდებს,
ცას შეაძრწუნებს ჩემი ჭიხვინი...
მინდა გამომყვე, მინდა გამომყვე,
გვერდით გამომყვე თეთრი კვიცივით!!!

იმას ვერ ამბობს ჩემი ნაწერი

არ გაგიკვირდეს, ისე მიყვარხარ,
ფეხით გადმოვალ, ამ ოკეანეს;
შენზე ლამაზი, მითხარ, ვინა მყავს,
სიყვარულს სხვა ვინ დამიკანონებს...
მაგრამ რა ვუყო, ამ წლებს გაწელილს,
ჩემს სინანულზე ჯვარდაწერილებს,
იმას ვერ ამბობს ჩემი ნაწერი,
შენთვის ამ ლექსებს რაც მაწერინებს...
ნეტა, რას ნიშნავს სიტყვა უფლება,
რომელმა მტერმა გამოიგონა,
ჩამსაფრებია თავისუფლება,
თავისუფლება ზნეობის მონა...
რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი ხარ,
როგორც მაისში ვარდების კონა,
შენი სურვილის ყლორტზე ავცრილვარ,
ვარ შენი ბედის ჭიაკოკონა...
მაგრამ დანახვა უნდა ყველაფერს,
როგორც მე ვხედავ შენს მკერდზე ხალებს,
ხელი შემახე, ხელი შემახე,
ჩემს გაქცეულ წლებს შემოეფარე...
მაკოცე ისე, როგორც ჰკოცნიდნენ,
ულამაზესი ერთ დროს ქალები,
როცა კოცნებით სულს ამოხდიდნენ
მტრებს და ხოცავდნენ ამორძალები!!!

დღეს ერთ ლექსში ამოვიკითხე

მე კარგად ვიცი, ვინა ვარ, რას ვწერ,
იმათ იკითხონ, ვინც არ იციან...
მე პოეზია ღმერთებს მოვტაცე
და ყოველ ბწკარში ჩემი სისხლია...
კი, მართალია, ამ ქვეყანაზე,
არავინაა შეუცდომელი,
მაგრამ პარნასს ხომ მუზა განაგებს,
მუზა სასტიკი და ულმობელი?
და ვთვლი, რომ მაგრად მიჰკიბ–მოჰკიბავს,
ვინც გულს უარყოფს და სულს არ ეძებს...

ჰოდა, წასულხართ პარნასს იქითაც,
ნუ ივლით ხალხის გულის ბზარებზე!!!

ვიცი, მიმიღებ... (რ.ბ. –ს)

შენც ხვდები, ალბათ, მღვრიე ჟამია,
ახლა შენს გვერდით დავისვენებდი...
მართლაც, აღარსად მიმიხარია,
მიწა გაივსო ფარისევლებით...
შენ, მართალია, ისე შორსა ხარ,
რომ ვერ შემიცვლი, ვიცი, განწყობას,
მაინც წამოვალ, მაინც მოგნახავ,
აღარ ვაპირებ აქ მკითხაობას...
ვიცი, მიმიღებ, ვიცი, გიყვარვარ,
რომ ჩემზე გრჩება ლურჯი თვალები,
ვიცი, რომ სადღაც ზღვის ნაპირას ხარ,
თევზი რომ იცის სიფრიფანები...
ჰოდა, მეც, ალბათ, ზღვებით წამოვალ,
სანამ აისი აფერადდება,
და სირინოზთა ჩუმი გალობა,
მომაცილებენ შენს ტკბილ ბაგებთან...

დღეს მეც ომში ვარ

ვინ გითხრა, თითქოს აღარ მახსოვდე,
არ დაიჯერო სხვისი სიტყვები,
აღარასოდეს, აღარასოდეს,
აღარასოდეს დამავიწყდები...
ვერ გნახე, ალბათ, ჩემი ბრალია,
ვერ მნახე, ზოგჯერ შენც ხომ იჭრები,
მიყვარხარ, ისე, ისე ძალიან,
როგორც შენ, შენი მარგალიტები...
ყველაზე მეტად, ყველაზე მეტად,
მანცვიფრებს შენი ხელის მტევანი,
ვერ გამოკვეთდა, ვერ გამოკვეთდა,
ღმერთების მეტი, ალბათ, ვერავინ..
ვიცი, მერნები მხედრებს ნატრობენ
და მერე ერთად ომში შედიან,
მეც ასე მინდა მოგიახლოვდე,
ეს ჩემთვის, ალბათ, ომზე მეტია...
დღეს მეც ომში ვარ, შენმა თვალებმა,
ჩემი დაჭრილი მკერდი შელეწეს,
დაგინახე და თავგზა ამებნა,
უარესი ვარ დღეს მკრეხელებზე...

აანთეთ ყველამ

აანთეთ ყველამ, აანთეთ ყველამ,
ცეცხლი ეკიდოს ყველა ჩირაღდანს,
თუმც წყვდიადია, მე დღემდე მჯერა,
რომ ღმერთი მაინც ხელს გაგვიმართავს...
ჩვენ ყველას გვინდა თავისუფლება,
და ქარიშხლები თუკი გვიტევენ,
არ მოკლა რწმენა, არ მოკლა რწმენა,
ტყვიებს ღმერთები აგვარიდებენ...

რომ ერთად შევხვდეთ მზეს და განთიადს,
ჩვენ რომ ასეთი ძალით გვიყვარდა,
ეს ხდება, ცოტა დრომ დაგვაბნია
და გულშიც სევდა დაგვიბინადრდა...
მე მჯერა მაინც ჩვენსას გავიტანთ,
და ამ წყვდიადსაც გავაჩირაღდნებთ,
ხელი ჩამკიდეთ, ერთად, თავიდან,
მტერს დავუმტკიცოთ ჩვენი სიმართლე.

შენ ფრთები გქონდა

შენ ფრთები გქონდა, გეფიცები, მე შევამჩნიე,
განა ცოტა ხართ დღეს ფრთიანი ანგელოზები?
მოდი, მიშველე, ამ სიგიჟეს გადამარჩინე,
სანამ მოვკვდები და სუდარით შევიმოსები...
მოდი, მიშველე, გამიტაცე მაგ შენი ფრთებით,
შენ სულ ადვილად მოერევი ჩემს სიმსუბუქეს...
წამო, ვიფრინოთ, სადმე, სულ შორს, ღრუბლების ზევით,
სადაც მოხუცი და კეთილი ღმერთი ბუტბუტებს...
იქ სადაც ქარნი და ელვანი ერთად ბუდობენ,
სადაც ვერავის დააბრალებ შურსა და მტრობას,
სადაც ერთმანეთს ბავშვებივით თანაუგრძნობენ,
იქ, იქ დავიდოთ ერთად ბინა ღმერთის მახლობლად...
შენ ანგელოზი, მე კი შენი სულის რაინდი,
ბედნიერების საძებნელად მზემდე ასულნი,
სადაც ბრწყინავენ ვარსკვლავები ნაირნაირი,
და არ არსებობს დღე, არც ღამე, არც დასასრული!!!

გესტუმრებოდი

გესტუმრებოდი, მაგრამ არ ვიცი,
ან რა მაჩერებს, ან რა მაშინებს,
მომწონხარ, ალბათ, სილამაზისთვის,
რომლითაც, ერთხელ გადამარჩინე...
მაგრამ დრო გადის და მეც ეჭვებმა,
ჰო და არაზე ისე გამყინეს,
როგორც მყინვარის წვერთან შეხება,
როგორც ცივია ეს სინამდვილეც...
არავინ იცის სილამაზისგან,
ქალი აგებს თუ იგებს რაიმეს,
შენც, ალბათ, ფეხი ბევრჯერ დაგიცდა,
ხან მოდის სეტყვა, ხან გადაიღებს...
ან ვინ განაგებს ამ ჩვენ სურვილებს,
რას იზამ, ბევრი არც გვისრულდება,
ჩემს ბედს ქალები ხშირად ფურცლიდნენ,
შენ თავს ნუ მისცემ ამის უფლებას...
არ დამივიწყო, არ მიმატოვო,
როგორც ტოვებენ ზოგჯერ ქალაქებს,
ჩემს მეტი სხვა არ დაიახლოვო,
მე, მაგალითად, ვერ გიღალატებ!

ფიქრები რასიზმზე

არის დღეები, როცა არაფერი,
მართლაც, არაფერი აღარ გინდა...

ჩაფიქრებული ხარ, ქალაქს გადასცქერი,
ქალაქს გადასცქერი ქალაქიდან...
შენს უკან იმხელა, იმხელა სინდისი დგას,
ზურგით მიათრევ და ვეღარ ეზიდები,
უმზერ და არ იცი, უკვე რისთვის გინდა,
ყველამ გადაყარა თავის სინდისები...
აღარც სურვილები, აღარც იმედები,
თითქოს ყველაფერი წყალში იძირება,
თურმე გიპოვია რასაც კი ეძებდი,
ერთი დაგრჩენია, ბოლო მიძინება...
ვეღარც რწმენა გშველის, ვეღარც წმინდანები,
და მარადისობაც თეთრი ურჩხულია,
ისეთი გრძნობაა, თითქოს, მტერს დანებდი,
და აღარაფერი გაღელვებს სრულიად...
შენ არც ის სკამი გაქვს, ზედ რომ ეკრობიან,
და მერე ვერაფრით ვეღარ აუგლეჯავთ,
არც იმას განიცდი, როგორ გეპყრობიან,
ჩუმად იმეორებ, ერთი, მაგათ დედაც...
და ასე ნელ–ნელა ტვინი იწმინდება,
და აი, გრძნობ, კიდეც, თურმე რის ბრალია,
გადიხარ ქუჩაში, ისევ ზანგი გხვდება,
და ფიქრობ, ესენი, აქ, რატომ არიან?

შენ გგონია გაპატიე?

შენს ლურჯ თვალებს, შენს ლურჯ თვალებს,
რად მიმიზნებ, როგორც ტყვიებს,
სიყვარული არ მაცალე,
შენ გგონია, გაპატიე?
ამის შემდეგ, სადაც გნახავ,
სულ, რომ ვაის თქმებით გასკდე,
შემოგახევ მაგ ლურჯ კაბას,
და ჩემს მკლავებს შემოგახვევ...
რად მომწონხარ, რად მიტაცებ,
ვერაფერი გამიგია,
კი, მესროლე, თუ დამასწრებ,
ჯერ ხომ სროლა არ გიცდია.
მაგრამ თუკი ამაცდინე,
მერე, ვაი, შენი ბრალი...
შემაცდინე, შემაცდინე,
მკერდზე ვიგრძნო შენი ბრჭყალი...

შენ არ მოწყვიტე ვაშლი იმ ხიდან?

შენ ჩუმადა ხარ და მე მაშფოთებს,
შენი სიჩუმე ისე ძალიან,
მიხმობს ჯალათი და ეშაფოტზე,
ცოტა ხანიც და თავს წამაცლიან...
ანდა, რა ყრია, თქმაში, ართქმაში,
წამები წუთებს ასამარებენ,
სადღაც ერთ სვლაში გვიცდის შამათი,
კაი ბიჭი ხარ და არ დანებდე!
ცელი? რის ცელი, რომელი ცელი?
სიკვდილი დადის ხელში ატომით;
შავია მისი შესამოსელი,

არ ჰყავს არავინ, შვილი, გვარ–ტომი...
რამე მითხარი, მითხარ, რა გინდა?
გინდა, ეს ბოლო ხელიც წავაგო?
შენ არ მოწყვიტე ვაშლი იმ ხიდან?
ახლა ნაჭამი მე გადავაგდო?

შენს ხელთაა სული ჩემი

ვკარგავ, ვკარგავ, რას არ ვკარგავ,
თავსა ვკარგავ, სულ არ ვხუმრობ,
მივატოვე ვინც მიყვარდა
და შენ მინდა დაგეუფლო...
ვერა ვხვდები, როგორ შესძელ,
გიკიდია თითქოს ცეცხლი,
მიაჭენებ ჩემს ოცნებებს,
მეც ვერაფერს უკვე ვერ ვცვლი...
შენს ხელთაა სული ჩემი,
აფრიალებ, როგორც აფრას,
ვიცი, ვიცი, ვინმეს რჩევით,
ბოლოს მაინც უნდა გამთქვა...
მინდა, მაგრამ ვერ გეწევი,
ზღვას მოვყვები კალმახიანს,
ზეცა შენი ნამეწყრები,
მთვარემ თავზე დამახია.
სად გავექცე, სად გავექცე,
ჩემს სურვილებს ან შენს მკლავებს...
როგორც წიგნი გადამკეცე
და მეც ბწკარებს შევეფარე...

ზოგჯერ მგონია

ზოგჯერ მგონია, ჩემს წვალებას არა აქვს აზრი,
რადგან ქვეყანას არ ანაღვლებს ბედი ლექსების...
სანამ მოვკვდები, ალბათ, ვინმე სულს ამომაცლის,
და მეც უსულოდ, სადმე, მშვიდად ჩავიკეტები...
მომბეზრდა ბრძოლა, მოვისროლე ჩემი აბჯარი,
მართლაც, ძნელია, ვერ დაჯაბნი უნიჭოებას;
კი, ვიცი, ვიცი, დაეცემათ ხშირად თავზარი,
წინ რომ ვერაფრით ვერ აღუდგნენ ჩემს პოეტობას...
ეს მართალია, კარგად ვიცი, ბრძოლა მოვიგე,
რომ მათს მცდელობას გადამასწრონ, აზრი არა აქვს...
ისინი მუდამ წააგებენ ჩემთან კორიდებს,
აღარ მანაღვლებს აღარაფრით მათი თავდასხმა...
და თუ კვდებოდნენ პოეტები მუდამ უსულოდ,
მინდა იცოდეთ, რომ ეს მათი ნიჭის ბრალია,
წაიღეთ სული, თავს სიკვდილი მინდა ვუსურვო,
რადგან, იქ, ნამდვილ პოეტებთან მიმიხარია!!!

სახეზე გატყობ

შენ დაჭრილი ხარ, ვიცი, ჩემგან, სახეზე გატყობ,
მაშ, რატომ იცვლი წარამარა მაგ სამკაულებს?
უბრალოდ გეტყვი, დამირეკე თუ მოგენატრო,
თუკი, ძვირფასო, გამიმართავ დღესასწაულებს...
მაგრამ, იცოდე, რომ ვერაფერს ვერ დაგპირდები,

ჩემი სიმდიდრე ხელის გულზეც კი დაეტევა,
შენთან ყოფნისას მე ნამდვილად შენი ვიქნები,
და დაგამშვენებ, როგორც ვიტრაჟს თავის ემბლემა...
კი, ვუპასუხებ ყველა კითხვას რაც გაგიჩნდება,
სიამოვნებით, არაფერზე არ დაგზარდები,
ჩემი სხეულიც იმ მცირე ხნით შენი იქნება,
იმ მცირე დროით უსაზღვროდაც კი მეყვარები...
და ამ ყველაფერს, რასაც ვამბობ, განა ცოტაა?
თუ ქალი მომწონს, მე სულ ყველას ასე ვპირდები,
ყველაზე ტკბილი საჩუქარი ეს ხომ კოცნაა,
ნუთუ არ მოგწონს, მითხარ, ჩემი დანაპირები?

არ მიმართლებს

არ მიმართლებს, არ მიმართლებს,
არ მიმართლებს ტოტალურად,
ალბათ ისევ დავითარსე,
და აკრძალულ ზღვაში ვცურავ...
შუა ზღვაში გადამიდგა
მეკობრეთა ხომალდები,
აბორდაჟზე გადავდივარ
მკლავებს ვშლი და მომაქვს მთები...
ვიცი მათი თილისმა ხარ,
დანით ხელში მომადგები,
ვიცი, ვიცი, რომ გიყვარვარ,
ვნახე შენი იალქნები...
ზედ ეხატა ჩემი გული,
ხმალგაყრილი ოთხი მხრიდან,
და იმათ ქვეშ კი ტიტული,
ტუტი ტუჩს რომ გიკოცნიდა....
მინდა ვნახო, მინდა ვნახო,
მოკალმახე შენი ტანი,
ოკეანე გადავლახო,
რომ დავრწმუნდე შენ იყავი...
შენ იყავი, ის ვინც გუშინ
ჩემს მკლავებში ფართხალებდა,
მარწმუნებდა სიყვარულში,
თავის ღმერთებს მადარებდა...
ახლა ვიცი, ვიცი, ვიცი,
გამიმეტებ მოსაკლავად,
ვერ გაძღები ჩემი სისხლით,
მეც სხვას ვეძებ, დროს არ ვკარგავ...
თუ ვიპოვე, ხომ კარგი და
თუ არა და ზღვას რა დალევს,
აბორდაჟზე გადავდივარ,
ნუ გამიყრი მკერდში დანებს...

მინდა შენს ტუჩებს გემო გავუგო! (რ.ბ.–ს)

სადღაც ზღვის იქით, შორს, ძალიან შორს,
ბედნიერებას დაეძებს ვიღაც,
მაგრამ ღამე დღეს ისე არა შობს,
ისე არა შობს, ჩვენ როგორც გვინდა...
შორს არის შენი ლამაზი აწმყოც,
შორს, სადღაც ცაში მიაქვთ წეროებს,

ხვალ გათენდება ჩვენ როგორც გვაწყობს,
ხვალ გადავკოცნით ერთიმეორეს...
სად მიაჭენებს, ნეტა ვიცოდე,
აწმყო, წარსულის ზურგზე მომხტარი,
მიდის, მიღელავს ჩვენი სიცოცხლე,
როგორც ხევები მთიდან მომსკდარი...
ან ეს ცხოვრება რა იქნებოდა,
ალბათ, თქვენ რომ არ გვილამაზებდეთ,
მე ხომ თვალები შენზე მრჩებოდა,
ბედნიერებას სხვაგან რად ეძებ...
რად გაკრთობს ჩემი ტკბილი სიტყვები,
რად გეშინია, რად გაურბიხარ,
ან ყოველ ღამე თუ გესიზმრები,
მაკოცე, განა, მართლა ცუდი ვარ...
მიყვარხარ, როგორც მზის სხივს ყვავილი,
დილით გაშლილი სასიყვარულოდ,
მე წერას ვყავარ კვლავ ატანილი,
მინდა შენს ტუჩებს გემო გავუგო!

ნუ მიმზერ ასე

ნუ მიმზერ ასე, მე ცაში ვცხოვრობ,
თუმც დაბრუნება მინდა მიწაზე...
არ მიმეორო, არ მიმეორო,
აქამდე როგორ ვერ შემისწავლე...
რომ მე ამ დროში შემთხვევით გავჩნდი,
აქ არაფერი არ მესაქმება,
დიახ, დავფრინავ, ძვირფასო, ცაში,
იქ არის ჩემი ბედის პლანეტა.
შენთვის ბოდვაა ეს ყველაფერი,
პრაგმატულია შენი ბუნება,
არ მოგწონს, როცა ზეცას გავცქერი,
შენ ეს არაფერს არ გეუბნება...
აქ კი დავდივარ, მაგრამ ცაში ვარ,
მე მმასპინძლობენ ჩემი მუზები,
ამ ცოდვილ მიწას დავცქერ მაღლიდან,
ახლაც იქიდან გესაუბრები...
კი, გეთანხმები, მეც ცოდვილი ვარ,
მეც ცოდვებს ვერსად ვერ გავექეცი,
რომ ყველა ცოდვა ზეცაში მიმაქვს,
ვერ მოვიშორე დღემდე ვერცერთი...
ისე კი, ერთს გთხოვ, იცი, ძალიან,
შენი ცოდვებიც არ დამაბრალო,
შენ კარგად იცი, რისი ბრალია,
რად მივატოვე მე ეს სამყარო...

არ მავიწყდება

შუა ზაფხულში მომენატრა თოვლის ფიფქები,
ციდან ალერსით ჩვენსკენ მშვიდად მოფარფატენი,
შენს წამწამებზე თოვლის თეთრი მარგალიტები,
და გაპობილი, გაპობილი შენი ბაგენი...
გეტყვი ყველაფერს, მეშინია სხვამ არ დამასწროს,
ჩვენს ქაჯურ დროში ყველაფერი დასწრებაზეა,
რომ მეშინია, მეშინია არ მიღალატო,

რადგან, ძვირფასო, შენი გული თაფლით სავსეა.
რომ ვიცი, ვიცი, არავისთვის არ გენანება,
ამოაწონ და გაილოკონ თითები თაფლში,
როცა ბაგეზე უნაზესი ფიფქი გადნება,
და ფანტელები სხივებივით ელავენ თმაში...
მე ეს დროც, წლები, ასე სავსე სიურპრიზებით,
შენი დაკარგვით მემუქრება დიდი ხანია,
შენ დგახარ თოვლში გამჭვირვალე და იღიმები,
და, ისიც, თუკი მენატრები თოვლის ბრალია...

ნუ იყიდები

საოცარია, რა დროში ვცხოვრობთ,
შენზე ფიქრებსაც კი არ მაცლიან,
ან როგორ უნდა დაგიახლოვო,
ყოველ ნაბიჯზე ტყვიებს მახლიან...
გუშინ ვუცქირე ქერა მონაზონს,
სიგარეტების კვამლში გახვეულს,
თავის მანქანით რომ გადმომასწრო,
და გამიღიმა მისგან გაქცეულს...
რა ხდება, მართლაც, ვერას მიხვდები,
ვინ წმინდანია, ვინ ვისი მონა,
ნუ იყიდები, ნუ იყიდები,
რომც ოქრო მოგცენ შენივე წონა...
გააწყობ რამეს? არა მგონია...
გადაშლილია ყველა ზღვარები,
გადასწონიან, გადასწონიან,
შენს უმანკობას სექსუალები...
და სანამ შენს გზას ჩუმად მიჰყვები,
კაფედან ისმის კაკაფონია,
და ვგრძნობ ნელ–ნელა როგორ ვიმსხვრევი,
შენ კი, შენც ბედი არა გქონია...

სინათლე

ჩემი დაჭრილი მერანი
ბედის საძებნად გაჭრილა,
ფლოქვებს გაუდით თქერანი,
ლამის გაცვითოს მანძილმა...
გადავიფრინე რამდენი
პირდაღებული უფსკრული,
ხევები ჩამონადენი,
კლდეები გადატრუსული...
უკან მრჩებიან ქარები,
ჩადრმოხურული ნისლები,
დაგორებული ზვავები,
ველები გასაფვიფრები...
გეზი ცისაკენ ავიღე,
მიქრის, მიმაფრენს მერანი,
და მაინც ყოველ ნაბიჯზე,
მდევს ჩემი ბედისწერანი...
მიველ, ცას კარი შევხსენი,
ზეცაში გადავინაცვლე...
განა, ვინ შეძლო ჩემდენი,
მოდით, წაიღეთ სინათლე!!!

შენ გულს არ მატკენ

ახლა შენს მეტი არავინ მინდა,
რომ მწუხარება ჩემი გავანდო,
როგორ მიტევდნენ ყოველი მხრიდან,
და ვნებდებოდი მეც უკამათოდ...
რადგანაც ბრძოლა იყო უაზრო,
ვერავის ვანდე მე ნააზრევი,
ათას ნამდვილს და ათას ცრუ ნაცნობს,
მიჰქონდა ჩემი სულის ნამსხვრევი...
შენ კი მომისმენ, ვიცი მომისმენ,
შენ გულს არ მატკენ, ვიცი დამინდობ,
ისევ შემხვდები, ალბათ, როდისმე,
ყველა სიმწარეს რომ გამარიდო...
რომ გამარიდო დღეებს უფეროს,
რაც ჩემს მტრებს ჩემთვის უგროვებიათ,
რომ ცა მაჩუქო კვლავ უღრუბელო,
მაჩუქო კოცნა, რაც დამკლებია...
იქნებ მომძებნო, იქნებ მიპოვო,
მე უსასრულოდ დაგელოდები,
რომ თუნდ თითიდან გამოვიწოვო,
ბედნიერების ანგელოზები...
ვიცი, რომ კითხვებს შენ არ დამისვამ,
გამიფრთხილდები როგორც ავგაროზს,
გამოფხიზლებულს უღრმეს ძილისგან,
ცხოვრება ისევ რომ შემაყვარო!!!

უკიდია ველებს ცეცხლი

უკიდია ველებს ცეცხლი,
ცაში მიაქვთ კვამლი ქარებს...
ტყუილია, ვეღარ შემცვლი,
მორჩა, ნუღარ გამიკარებ...
დაისია, ზღვაში ჩადის,
მზე და სხივებს უკან იხმობს...
ახლა მივხვდი, არ გიყვარდი,
და იყავი უხალისოდ...
რად მეცლება, რად მეცლება,
რად მეცლება ფეხქვეშ მიწა,
დაიღვრება ცა ცრემლებად,
ჰორიზონტი ელავს წითლად...
საით მიდის, საით მიდის,
ეს ხომალდი უიალქნო,
გაკიდული ზღვაზე ხიდი,
ხვალ ვინ იცის, ვის მიახრჩობს...
წავალ შენგან, წავალ შენგან,
ჩამიტაცებს ტალღა ზღვისა,
რადგან შენი გააფთრება,
მოდის, მუდამ, არაფრისგან!!!

სინანული

არაფერს ვამბობ ჩემს სინანულზე,
რაც მომცა ღმერთმა იმას ვჯერდები...

ამოვიშანთე სამშობლო გულზე,
არ დამცდენია სიტყვა ყვედრების...
ვისაც როგორ სურს, ისე უყვარდეს,
ჰოდა, საფლავშიც ისე წაიღოს...
სამშობლო ყველას ვერ გაუმართლებს,
და არც ყველასი არ უნდა იყოს...
და ვიცი, ვიცი, როცა მოვკვდები,
ეს სინანული მე თან გამყვება...
რომ ვერ ვიხილე ამ საოცრების,
გაბრწყინება და გაჩირაღდნება!

მოდიხარ, მოღელავ!!!

რა არის, რა არის, მითხარი მიზეზი,
მიყვარდე, მიყვარდე, და შენ არ იცოდე...
მე თითქოს მეძინა და შენ მაფხიზლებდი,
თუმც თავი გიჭირავს, თითქოს არც მიცნობდე...
გრძნობანი დღეს თურმე აღარა ფასობენ,
ჰოო, რომ უსმინო ზოგიერთ პოეტებს...
მე კი მსურს მიყვარდე და მუდამ მახსოვდე,
რომც შენთან შეხების წამიც არ მომეცეს...
დე, სხვებმა იცოცხლონ, უსულოდ, უგრძნობლად,
მე კი მსურს, ისე მსურს, რომ საზღვრებს გადავცდე,
და სულ არ დავეძებ, ეს გრძნობა თუ მომკლავს...
მართლაც, სულ ერთია მომკლავს თუ დამარჩენს...
მოდიხარ, მოღელავ, და როგორც მდინარე,
აღვიძებ ჩემს სულში მძინარე ხეობებს...
მიყვარხარ, არასდროს, არასდროს ვინანებ,
და დაუსრულებლად შენც გაგიმეორებ!
და ერთიც იცოდე, ვერავინ შეგცვლიდა,
თუნდ ჩემს წინ ეცეკვათ ზეციურ ქალღმერთებს...
მითხარი, მითხარი, რომ ჩემთან შენც გინდა,
და მე კი დაგიცდი, სისხლიც რომ ჩამექცეს!!!

შენ სიყვარულში ვერ შემედრები

საოცარია, უბრალო წყენას,
ზოგჯერ ბოლომდე როგორ ვატარებ,
ხოლო ვივიწყებ იმ გულისტკენას,
ჯოჯოხეთი რომ გამომატარეს....
სავსე ველებზე მზისკენ ვედრებით
იმზირებიან მზესუმზირები,
შენ სიყვარულში ვერ შემედრები,
შენ მე ტყუილად შემეცილები,...
ჩემს წინ არავინ შენ არ გაგიშვებს,
ჩაკეტილია შენს წინ ჭიშკარი,
მე კი სამყარო მომისაკლისებს,
მე ხომ, უბრალოდ, შენ, გაგისწარი!!!

ჩვენ სულ არა ვართ ერთნაირები

რად მენატრები ასე ძალიან,
ჩვენ სულ არა ვართ ერთნაირები,
ჰოდა, ვერც ვხვდები რისი ბრალია,
მე ხომ მგელი ვარ, შენ კი ირემი...

ვის გაუგია, ან ვის უნახავს,
ერთ ბალახს სძოვდნენ მოსისხლე მტრები...
წყალზე ნუ წახვალ, წყალზე ნუ წახვალ,
ირემი ხარ და შეგჭამენ მგლები...

აბა, რა მექნა? (ნათია ჟ–ს)

ასე მგონია, რომ ჩემს მუზებთან,
ბრძოლაში ვარ და მუდამ ვმარცხდები...
წამართვეს ჩემი თავისუფლება,
და დამიტოვეს რაღაც განცდები...
წამართვეს ჩემი გულუბრყვილობა,
რითაც აქამდე თავს ვიწონებდი,
მე კი მეტი და მეტი მინდოდა,
ახალს ვეტრფოდი, ძველს კი ვტოვებდი...
თუმცა ვხვდებოდი, თეთრი ფრთების ქვეშ,
რა გასაოცარ ბრჭყალებს მალავდნენ,
რამდენი ვდიე და რას ვეღირსე,
დამარქვეს ბლეფი და მოღალატე!
ახლა კი როცა ჩემი ადგილი,
კარგა ხანია ვაკანტურია,
რას დამხატავდა მუზა ნამდვილი,
მუზა რომელსაც ლექსი სწყურია...
სად გამახსენდა, მას აქეთ თითქოს,
ომში ათასი ცხენი წამექცა...
რად შემიყვარდა? არავინ მკითხოს,
მუზა იყო და, აბა, რა მექნა?

გულს ნუ დაკეტავ

როგორ დავიწყე, ჩემი სიტყვებით,
თაფლი ჟონავდა ლურჯი ზეციდან,
თითქოს დაიძრნენ აწვდილი მთები,
თავი დაიხსნეს ჭიუხებიდან...
ჩემს ბრძანებაზე ირგვლივ ფრინველნი,
ერთად იწყებდნენ დილით გალობას,
საოცრებათა ვარ თვითმხილველი,
მიყვარდა, მწამდა და მიხაროდა...
და გულსაც თუკი ცეცხლი ეკიდა,
საცალფეხო გზას როგორც მერანი,
თუ სიყვარული გადამეკიდა,
როგორც მეხს ელვა და ვაზს მტევანი...
თუ ყველას, ყველას, უცნობ–ნაცნობებს,
გავუხსენ გული, როგორც მარანი,
თუ თასით ღვინო გადმოვაწოდე,
რატომ არ დამხვდა გარეთ არავინ...
გულს ნუ დაკეტავ, გულს ნუ დაკეტავ,
თუნდაც ხორცს ჭრიდეს შხამის ჭანგები...
და გაზაფხული როცა დადგება,
ერთ ქალს ხომ მაინც შეუყვარდები!!!

სანამ კოცნას ლამობს ბაგე

ხშირად მიკვირს, ისე მიკვირს,
რატომ ქრება სილამაზე,

როგორც ნატვრა ჩემი სიზმრის,
დღესაც ყვავილს მიგამსგავსე...
დგახარ ბაღში, ჰამაკს არწევ,
ვარდი შენი მზერით ტკბება,
ბროლის ნამი შავ წამწამზე,
მარგალიტად ეკიდება...
ამ მწვერვალებს, იმ მწვერვალებს,
გაანათებს სხივი მზისა...
მიყვარს იის სიფერმკრთალე
უნაზესი ბაგებისა...
ანანავე, ანანავე,
ეგ ჰამაკი სანეტარო...
სანამ კოცნას ლამობს ბაგე,
სანამ ბაღში ვარდი ხარობს...

შენი თმები მოჰგავს თავსხმას

შენ რომ გიმზერ, სულ მგონია,
დავეჯახე შუბლით მყინვარს,
სად ცივ ქარებს უქროლიათ,
მწვერვალებთან შეხვედრისას...
შენც ხომ ჩემი მწვერვალი ხარ,
თითქმის ცამდე ატყორცნილი,
თოვლმა სისხლი გადმოგისხა,
და გულიც გაქვს გამოცვლილი...
ვერ გავუძლებ მე შენს ზამთარს,
ვერც გაზაფხულს ვერ დავუცდი,
შენი თმები მოჰგავს თავსხმას,
შენი ტანი ჭექა–ქუხილს...
მსურს დამსეტყვო, როგორც მინდვრებს,
გაზაფხულის სეტყვა სეტყვავს,
და ზღვის ტალღებს, აქოჩრილებს,
მღვრიე ქაფი გადალეკავს...
შენ თუ ცივი ყინული ხარ,
მე ზაფხულის ვუხმობ მზეებს,
ზღვამაც ასე იგულისხმა,
და ღრიალით ებდღვნა კლდეებს...
დაგიდნება, დაგიდნება,
ეგ სლიპინა ყინულები,
დაგჭირდება გაღიმება,
სულ ტყუილად იმუქრები!!!

დაჰქროლე

დაჰქროლე ქარო, მძლავრად დაჰქროლე,
ეგ შენი ფრთები, გთხოვ, არ დაკეცო,
რომ სიყვარული რაც კი ვაგროვე,
შენი ფრთების ქვეშ გავაასკეცო...
შენ, ვინმეს, იქნებ, კიდეც მოსწყინდე,
მე კი არასდროს არ მომწყინდები,
დაჰქროლე, ეგებ, მზეც ამობრწყინდეს,
და მოგვაფრქვიოს მარგალიტები!!!
დაჰქროლე სანამ მისი სხივები,
ისევ აღწევენ დედამიწამდე,
სანამ ცოცხლობენ ცად არწივები,

არ დაუკარგავთ სანამ სისწრაფე...
დაქროლე, მანამ, სანამ ჯერ კიდევ,
შერჩენილი აქვს, ჩემს ცას ელფერი,
სანამ ამ მიწას, ჩვენს გადამკიდეს,
ჩვენი ჯიში და რჯული შეჰფერის!!!

გულს ვეუბნები

გულს ვეუბნები, კარგი, გაჩერდი,
გეყოფა, მორჩი, საკმარისია,
მე შენ ტკივილებს ძალით გაჩვევდი,
მსურს მიამთავრო შენი მისია...
უცნაურია ჩემი ბუნება,
რაღაც ველურის, პირველყოფილის,
ერთად მეწევა ყველა ცთუნება,
მუდამ ფრენისთვის ვარ განწყობილი...
და არასოდეს, ჯერ არასოდეს,
არა ვყოფილვარ თვითკმაყოფილი,
მაინც ყოველთვის სხვები მასწრობენ,
ვისაც ცხოვრება აქვთ აწყობილი...
და გულიც მე რომ ვეღარ ვენდობი,
ყოველთვის ასე გახლეჩაზეა,
ნუ ჩამეკრობი, ნუ ჩამეკრობი,
დღეს ჩემი სული შხამით სავსეა...
შხამით სავსეა, მაგრამ, მას მაინც,
ალბათ ზეცაში ყოფნა სწადია,
ზეცისკენ ბილიკს ხომ ვერ მასწავლით,
მსურს მივატოვო ეს კავკასია...

გამესაუბრე

გამესაუბრე, მე ხომ ჯერ კიდევ,
ბევრი რამე მაქვს შენთვის სათქმელი,
გიამბობ ცხადში ნასიზმრებ სიზმრებს,
ტყვიებზე, შიშველ მკერდზე ასხლეტილს...
გამესაუბრე, შენს სუფთა თვალებს,
ვენდობი, როგორც შვლის ნუკრი დედას,
გიამბობ შენთან რა დამაბარეს,
ნუშის ტყეებმა და სიომ ველთა...
გიამბობ, მარტო როგორ გეძებდი,
როგორ ვანთებდი ჩამქრალ ჩირაღდნებს,
და დაკარგული გზად იმედები
რა სიყვარულით გამიცისარტყლე...
გიამბობ, დღემდე როგორ მოვედი,
რატომ მატყვია სულზე ბზარები,
შენ სახელს როგორ ვიმეორებდი,
რა სიფაქიზით და მოკრძალებით...
მზე გადავიდა, ზეცა ღრუბლებმა,
გადაიარეს და მიატოვეს,
თუმც, სულს სწყურია თავისუფლება,
თუ სურვილი გაქვს, გაგიბატონებ!!!

კარი გამიღე

ვინ არის ის, ვინც სიყვარულს მპარავს,

სიყვარულს, მე რომ ვაგროვე მისხლით,
ვინც ჯალათივით ღიმილს მიკრძალავს,
და შვების ნაცვლად მუქარებს მითვლის...
კარი გამიღე, კარი გამიღე,
მე შენთვის თეთრი ვარდები მომაქვს,
თუმც, გვიანია, გავიაპრილებ,
და შენს ფრთებს ატმის ყვავილით მოვრთავ...
ნუ დაუჯერებ, ნუ დაუჯერებ,
მას, ვინც ოცნებებს შენსას სდარაჯობს,
მას, ვინც შენს ნატვრებს მათრახს უღერებს,
რომ შენს თეთრ მკერდზე გაინავარდოს...
მე შენსკენ მავალ ბილიკებს ვეძებ,
კლდე–კლდე მოვყვები ჯანღებს ნისლიანს...
შენ კი ვით დროშას მტრების ციხეზე,
ჩემი მიღება არ შეგიძლია...

ბრძოლა

ვიბრძვოდი მუდამ, ადრეც და ახლაც,
ხელით, კბილებით და გააფთრებით,
და ყველაფერი თუ კი რამ ახდა,
ამ ბრძოლით იყო ნაკარნახევი...
და მიკვირს, როგორ არ გადაიწვა,
ტვინი, ომებში ასე ჩართული,
თუმც, გამოვედი ქარიშხალიდან,
დაღლილი, მკვდარი და გაძარცული...
ახლა კი, როცა ასე მჭირდება,
ორიოდ სიტყვით რაღაც სტიმული...
და მთელი ჩემი ავლა–დიდება
ჩემს ლექსებზეა ჩამოკიდული...
ვგრძნობ, რომ ლექსიდან ლექსამდე ვკარგავ,
იმას, რაც ასე ჟინით მაღგზნებდა,
მე აღარა ვარ, ბრძოლა კი დარჩა,
ბრძოლა, სამყაროს გადასარჩენად...

მეც გამიღიმე

მეც გამიღიმე, მეც გამიღიმე,
მეც გამიღიმე და მომეფერე,
მითხარი ტკბილად შენი ჭირიმე,
შენი თვალები ააელფერე...
რომ ამ დილიდან თუ რამ მაწუხებს,
იმწამს გულიდან გადამიაროს,
რომ კვლავ ვიფიქრო შენს სიყვარულზე,
ჩემი ტკივილიც გაგიზიარო...
რად ხდება ასე, რად ხდება ასე,
შენ უარზე ხარ, მე კი გენდობი,
ასეთი მკაცრად ნუ შემაფასებ,
რაღაც ხომ შეგრჩა ჯერაც დედობის...
ვიცი, დღეები, როგორც ღრუბლები,
ყველა სურვილებს ერთად გტაცებენ,
მაგრამ ჩაქრება ეს უკუნეთი,
და ათასებში გამოგარჩევენ...
როცა სინათლე, როგორც სანთელი,
შენს სულს ვარდისფრად აამზიანებს,

და სხვა სიცოცხლეს შენგან გაჩენილს,
ამ სასწაულებს ჩააზიარებს...

ნუ გაჩუმდები

ნუ ამოიღებ, ნუ ამოიღებ,
ხმალს თუ მოქნევა არ შეგიძლია,
ხელუხლებელი დარჩება ციხე,
ქონგურებიდან გადმოგისვრიან...
ამას რომ დაწერ, რა უნდა წერო,
რა უნდა უთხრა, მას ვინც შენ გისმენს,
როცა სიცოცხლე დადის და მკვლელობს,
და ლუციფერიც დაცინვით გიმზერს...
ქარს გავატანე რამდენი რამე,
რამდენ ქარიზმას ავუკარ ხელი,
ისევ უარვყავ, ის, რაც ვიწამე,
გავიფეტიშე ქურდი და მკვლელი...
და თუ დღეები, ანდა წუთები,
კვლავ ერთმანეთზე გადაბმულია,
ნუ გაჩუმდები, ნუ გაჩუმდები,
სადღაც ხომ ჯერაც გაზაფხულია...

ჯოგი

ნუ გიკვირს, თუკი მუდამ მარტო ხარ,
ჯოგურ ცხოვრებას ვერ მიეჩვიე,
გაგინაპირა ყველამ რატომღაც,
ერთიღა რჩება, ღმერთს თუ შესჩივლებ...
თუმცა, გახსოვდეს და ჩაიბეჭდე,
ნუ, ნუ ენდობი ჯოგის სიმართლეს...
ის ბრმად მიჰყვება საკუთარ ღმერთებს,
მათ უკითხავად ფეხს არ ინაცვლებს...
მისთვის უცხოა მონანიება,
ჯოგი ბრძენია თავის გაგებით,
შენს სიმართლეზე გაეღიმება,
ჯოგს შენ ვერასდროს გაუმკლავდები...
ვერსად წაუხვალ თუ თავს დაგესხა,
ანგრევს და უკან არაფერს სტოვებს,
მის ცოდვებს ზღვაც კი ვერ გადარეცხავს,
თუკი შესცოდავს, ვეღარასოდეს...
შენ კი, თუ ოდნავ თამასას ასცდი,
ვერ ეგუები ჯოგის კანონებს,
ჯოგი არ გაცლის, ჯოგი არ გაცლის,
ჯერ მოგკლავს, მერე კი გიპატრონებს...

გული ნუ გწყდება

გული ნუ გწყდება, გული ნუ გწყდება,
მე ხომ მიყვარხარ და გაღიარებ,
როცა აპრილში კვირტი გასკდება,
მოვალ და ვნებით აგაბრიალებ...
და თუ შენც ოდნავ მაინც გიყვარვარ,
ჩემზე ფიქრები ტკბილად გთენთავენ,
გაგიფრთხილდები, როგორც მინანქარს
უფრთხილდებიან გადატეხვამდე...

რაღაცას ჩქარობს საღამოს ქარი,
ჩემს ირგვლივ დაძრწის და ფეთიანობს,
ვარ გაწყვეტილი კრიალოსანი,
მინდა ამკრიფო და მომიარო...
შენ კი, ვინ იცის, ვისთან აპირებ,
ამ უღიმღამო დღეთა შევსებას,
რადგან ზღაპარი და სინამდვილე,
ერთმანეთს ვეღარ შეეჩეხება...
რა მოხდა, თუკი თითო გული გვაქვს,
გული ხომ ხშირად სამყაროს იტევს,
მე მოვალ შენთან, მართლა, თუ გინდა,
მხოლოდ გულის კარს თუ გამომიღებ!

ყველგან ომია

ამ ქვეყნად მართლაც არაფერია,
არაფერია მარადიული,
შეხედე ზეცას, რა ნათელია,
მიწა, მიწა კი რა დაბურული...
სადაც წავედი, ყველგან ომია,
ვერ გავექეცი ჯუნგლის კანონებს,
და ყოველივე ამ ჰარმონიას,
ალბათ, ღმერთი თუ აკაბადონებს...
ორი ფეხი მაქვს, ერთით მიწაზე
ვდგავარ და მიკვირს, რომ არ ვიქცევი,
რადგან მეორე ფეხით კი ცაზე
დავალ და ვცოცხლობ, ისევ, ღვთის ნებით...
და ამ ორიდან ვერაფრით შევძელ,
რომ რომელიმე ამომერჩია,
ვერც სული ჩემი გავყიდე ვერცხლზე,
თუმც სასწაული უკუნეთია...
და ახლა, მართლაც, ვინმემ რომ მკითხოს,
ვინმემ რომ მკითხოს, სად მირჩევნია,
დაუფიქრებლად მივახლი, მიჯობს,
იქ, სადაც ნაღდი საგიჟეთია...
რადგანაც, მართლაც, ისე ძნელია,
ისე ძნელია ახლა გარჩევა,
ცა ნათელია, მიწა ბნელია,
და მიჭირს, მიჭირს, მეც გადარჩენა!!!

შემიყვარდი

შემიყვარდი, ბავშვი ხარ,
შემიყვარდი, არ ვნანობ,
ვიცი გაჩნდი მარწყვიდან
მარწყვი რომ შემაყვარო...
შავი მაყვლის ტევრი ხარ,
გზის პირებს მოდებული,
გაქცეული შველი ხარ,
შიშით ათრთოლებული...
ათას რამეს გპირდები,
შენ კი, ვიცი, არ მისმენ...
არ გსმენია მითები,
ჩემისთანა არწივზე?

ნუ გამაჩუმებ

ნუ გამაჩუმებ, ნუ გამაჩუმებ,
მინდა ყველაფერს ფარდა ავხადო,
მინდა დასრულდეს, მინდა დასრულდეს,
დღეები ასე უმისამართო...
ჰოდა, მცირე ხანს უნდა მაცალო,
სანამ ვნებათა ხომალდს ავაგებ,
მერე კი მინდა გზა მიმასწავლო,
დარიალიდან დარიალამდე...
ვიცი, წამოხვალ, ვიცი, მენდობი,
და დარჩენილ გზებს ერთად გავივლით,
ყველა სურვილებს შენ გაგენდობი,
რომ ბრჭყვიალებდე, როგორც ყვავილი...
რომ შორეული ცის ვარსკვლავები
ფერხთით გიფენდნენ მბრწყინავ ხალიჩას,
რომ მაგიჟებდნენ შენი თვალები,
უჭკვიანესი ორი ლალის ქვა...
ოქროსფაფარა კვიცებს გავხედნი,
რომ გზა მერნებმა გაგვილამაზონ,
რომ კარს გვიღებდნენ ბაღჩა–ბაღები,
სანავარდო და საიალაღო...

გასწით, გასწით, შორს, სადაც...

დილა ფრთხილად თენდება,
მესმის ყვავთა გნიასი,
მთვარის დისკი ფეთქდება,
მზის აკვატორიაში...
ჩემო თეთრო მერნებო,
როგორ დიდხანს გეძებდით,
გზებზე უიმედებო,
მხვდებოდნენ იმედები...
როგორ მსურდა სითეთრე,
თქვენი არ შემებღალა,
დროები კი მითრევდნენ,
რომ ტკივილით მებღავლა...
თქვენთან ერთად ვტოვებდი
სულში ბედის ნაპრალებს,
თქვენ კი მაჯადოვებდით,
მინათებდით ვარსკვლავებს...
გასწით, გასწით, შორს, სადაც,
ღრუბლებს ცეცხლი ედება,
სადაც მარადიული
ქრის მომავლის ქარები,
აქ თუ ვერ დაინახეს
ჩემი შემოქმედება,
იქ, თქვენც იცით, მერნებო,
რომ ყველას ვეყვარები!!!

ახალ თაობის იმ ნაწილს, რომელიც უარყოფს ქართულს და ქართულ ლექსში
უცხოური სახელებით პამპლაუკობს

ზოგჯერ ვერც ვიგებ ვინა მმფარველობს,

რომ ამ მონჭყრეულ დღეებს გავუძლო,
ვინ იყო, ნეტა, მტლად რომ დამედო,
ვინც ჩემთვის დათმო თავის საუფლო...
ვინ ჩამინერგა ღვთის სიყვარული,
ან ტკივილების უხმოდ მოთმენა,
რომ ჩემი მიწა უნიკალური
გადმოსულიყო ჩემში ლოცვებად.
ვინა მღეროდა ჩემთვის შავლეგოს,
ომში მერანებს ვინ მიაფრენდა,
რომ ჩემთვის რწმენის კოშკი აეგო,
მტერთა კოლონებს ვინ მიამსხვრევდა...
ჩემში რომ ყივის, ვისი სისხლია,
რომელ გმირების, რომელ წინაპრის,
სამშობლო დედად რატომ მიცვნია,
დღემდე რად მჯერა მისი სიმართლის...
ამირანი ვარ კლდეს მიჯაჭვული,
რამდენიც უნდა მკორტნონ სვავებმა,
დრო მოვა, გასჭრის ჩემი ფრანგული,
და დადუმდება მტრის მრისხანება!!!

სიყვარული

რა გინდა, გთავაზობ, უბრალოდ, სიყვარულს,
ვერ ვხვდები, უცნაურს რას ხედავ ამაში?
ჩავკიდებთ ხელი–ხელს, დავიწყებთ სიარულს,
კინოში, თეატრში, ქუჩებში, ქალაქში...
ნუ კრთები, მე ვიცი, თუ როდის გაკოცო,
და ჩემსკენ ჩუმჩუმად თვალებს ნუ აპარებ,
მე ჩემი გითხარ და შენ თუკი არ მოგწონს,
მითხარი, მაშინ, და ნუღარ გამაწვალებ...
რას დუმხარ, ვერ ვხვდები, რამდენ ხანს გელოდო,
ან შენი დუმილი მივიღო თანხმობად?
თუ ეს სიყვარული თაროზე შემოვდო,
და სხვები მოვძებნო, აქვე, შენს მახლობლად...
რა მითხარ? სიყვარულს დუმილი უხდება?
და რომ სიყვარული ყოველთვის უტყვია?
მაგრამ ამ ლოდინში გული რომ წუხდება,
ნახე, რაც გაგიცან, თხუთმეტი წუთია...

მოგძებნო?

მოგძებნი, რომ მქონდეს რაიმე იმედი,
მოგძებნი, თუ ვინმე წამსვე არ გაგვთვალავს,
ვინა ვართ ჩვენ მათთვის, უმწეო ჩვილები,
ქუჩის დამშეული ორი მაწანწალა...
ნუ გიკვირს, ნუ გიკვირს, მათი განაჩენი,
ვერ ხედავ, რა უყვართ? ომი და ხანძრები...
მაგრამ თუ ჩვენ მაინც ჩვილებად დავრჩებით,
მათ ნაცვლად დაგვლოცავს ქართული ტაძრები...
და მაინც ვერ ვხვდები, როგორ გირჩევია,
მოგძებნო, თუ ჩემთვის წავიდე ჩემ გზაზე...
სამყარო უსაზღვროდ, უსაზღვროდ ვრცელია,
და შენი პოვნა კი ძნელია ყველაზე...

შტორმი

შორს, გარღვეული ცის კაბადონზე,
ვარდისფერ ღრუბლებს მირეკავს ქარი,
სად მოყავისფრო ლერწმის საწოლზე,
მოსასვენებლად წევს მთვარე მკრთალი...
საღამოს როცა თეთრი აფრები,
გემების ანძებს ეფაფრებიან,
ხოლო ღრიალით და გააფთრებით
ტალღები ისევ ყალყზე დგებიან...
ჩამოვარდნილი ვარსკვლავის თხოვნით,
ღრუბელი ქარებს აუჯანყდება,
და გაჩენილი უეცრად შტორმი,
ზღვებზე ხომალდებს თავს დაატყდება...
მიათამაშებს როგორც ნაფოტებს,
გემებს, ზეცამდე მძვინვარებს შტორმი,
თითქოს სურს ყველას დაამახსოვრდეს,
სანაპიროებს შიშს როგორ მოჰგვრის...
ზეცაში დაძრწის ელვა ტკაცანით,
და გრიალებენ ცაზე ღრუბლები,
ზღვა კი წყლის ლურჯი ლევიათანი,
ცას უტევს თავის სველი მუშტებით...
ის არც ჩადგება, ის არც მოკვდება,
აქ მუდამ ასე იქროლებს შტორმი...
და ტალღაც ტალღას ისევ მოჰყვება,
როგორც ურჩხულის ტუჩებზე დორბლი...

იცი, ქალბატონო სიყვარულო!

იცი, ქალბატონო სიყვარულო,
მართლაც, მოველოდი შენს სტუმრობას,
მინდა ჩემი გული ინახულო,
გული, ერთ დროს მე რომ მეკუთვნოდა...
სუსტი ვარ, ვინც მხვდება, ყველა მიყვარს,
როგორ დავუკეტო გულის კარი?
შევლენ და, მერე, მე ვინ მკითხავს,
თან მიაქვთ, რაც კი რამ გულში არი...
თანაც მაბრალებენ უგულობას,
რატომ და, მარტო ერთს რომ არ ვეტრფი,
არ მესმის, რას ნიშნავს ერთის ტრფობა,
არა სჯობს, თუკი ბევრს ენატრები?
ან ეს რა წესია, ყველაფერზე,
დადგე და ცრემლები აღვარღვარო...
როგორ გავიქვავო თვალი ერთზე,
სავსეა ქალებით ეს სამყარო...
რა ბრძანე, რას მიზამ, ჯადოს ამხსნი?
რომ არ შემიყვარდეს ერთის მეტი?
იცი, გულს ერთიც ამომაცლის,
ბევრი მირჩევია, გეფიცები...

პლაგიატი

ჩემი ლექსების წაკითხვის მერე,
ყველას ჩემსავით სურს რომ ამღერდეს,
არადა, თავის სათქმელსა წერდნენ,
თავის სიმღერებს ახმოვანებდნენ...

არ მესმის, სხვათა გაკვალულ გზებზე,
რა საჭიროა, მეც რომ ვიარო,
ისინი მუდამ მეტს მკიან ჩემზე,
და მაინც სურთ მე ჩამეზიარონ...
არა, არც ვცდები და არცა ვცოდავ,
არც არავისთან არ მსურს კამათი...
ეს სტრიქონებიც არ გახლავთ ბოდვა,
მათ კონკრეტული აქვთ მისამართი...

გთხოვ, მაპატიო...

მუდამ, რატომღაც, სადაც არ ელი,
იქ გამოსხლტება ეს სიყვარული,
გინდა დაარქვა თავის სახელი,
რამე, ლამაზი, სუფთა, ქართული...
გრძნობ, თუ თვალები როგორ გიმზერენ,
რა თანაგრძნობით, რა მოკრძალებით...
თვალები თვალებს გამოიჭერენ,
და ჩერდებიან თითქოს წამები...
იქნებ, ვაჭარბებ, არ არის ასე,
იქნებ, უბრალოდ, მე მეჩვენება?
თვალები არის ცრემლებით სავსე,
თუმც, ცრემლიც იცის ბედნიერებამ...
ვიცი, გინდოდა ჩემთან დარჩენა,
მე ხომ ვერც შენთან ვერ ვპირფერობდი...
გამოგიწოდე ფრთხილად მარჯვენა,
შენ კი, ვინ იცის, კოცნას ელოდი...
გთხოვ, მაპატიო, თუ ვერ გავბედე,
თუ სილამაზემ დამცა თავზარი,
თუ შენი თავი გზას მივანებე,
მე კი წავედი და გაგასწარი!!!

შენთან მინდა

შენთან მინდა, რასაც ნიშნავს,
ჩემთვის, აბა, შენ რა იცი...
მთვარემ თავი გადაიწვა,
ჩაქრა, თავის ვარსკვლავისთვის...
შენ არც იცი, რომ ჩემი ხარ,
თუნდაც სულაც აღარ შევხვდეთ,
ქედანივით მოფრენილხარ,
ჩემი გულის პარალელზე...
ვიცი, ვიცი, გაფრინდები,
არ დაეძებ ჩემს ნაკვალევს,
გადასერავს ზეცას გედი,
გავაყოლებ სევდით თვალებს...
შენც გედივით ფრინველი ხარ,
თბილ ქვეყნებში გადამფრენი...
მაინც ყველას მირჩევიხარ,
რომც არ მოხდეს არაფერი...
მაგრამ გული ისე მწყდება,
როგორც მძივი წყდება გიშრის...
ასე თურმე გედი კვდება,
ცაში, სატრფოს მოლოდინში...

ბედის ხე

ველოდები ჩემს ბედის ხეს,
ყლორტებს როდის გამოიტანს,
ვერ ვეღირსე, ვერ ვეღირსე,
დამენახა რას მოისხამს...
როგორ მსურდა გაეხარა,
დავმტკბარიყავ მისი ცქერით,
ტანი ისე აეყარა,
შესწვდომოდა ზეცას წვერით...
მე არ ვიცი, მაგრამ, იქნებ,
ხე დიდი ხნის გაზრდილია,
მისი ყლორტიც მომავლისკენ,
მზის სხივივით გაწვდილია...
ვინ გაზომოს, ვინ ასწონოს,
გატყორცნილი სიტყვის ძალა,
მე ჩემი ხე მაინც მომწონს,
მგონი, თავიც შემაყვარა!

გემებს მიმოაქვთ ზღვებზე ჭორები

უკან მომდევენ, უკან მომდევენ,
დღეები, როგორც ჭერის ვირთხები,
ვერსად, ადგილი ვერ გამოვძებნე,
ყველა კარებში მომყვა თითები...
რად უკიდია, რად უკიდია,
ზღვებს ცეცხლი, როგორც ტყეებს კოცონი,
ჩემი ცხოვრება ბეწვის ხიდია,
შენი ზამთარში ხეზე ფოთოლი...
ვინ იცის ხიდან როდის მოსწყდები,
სად გაგიტაცებს ზამთრის ქარები,
ისე მკაცრია ეს გამოცდები,
ვით სისხლიანი თეზერვალები...
გემებს მიმოაქვთ ზღვებზე ჭორები,
მღვრიე ტალღები კლდეს ეხეთქება,
წყლიდან ტორნადო დგება ზმორებით,
და ელვის ფრთებით ზეცას ეხება...
ვინ იცის, მოვყვეთ ამ ქარიშხლებში,
და წყლიდან ვეღარც გამოვაღწიოთ,
ან სულაც მოვკვდეთ რამე მიზეზით
და სამუდამოდ ზღვებმა გვარწიონ...

ხომ დაბრუნდები

სიყვარულს სახელს გადავარქმევდი,
მოვუგონებდი, ალბათ, სხვა სახელს,
ვერ დავალაგე ერთად მარცვლები,
ჰოდა, უბრალოდ, შენს სახელს ვარქმევ...
რა სულელი ვარ, ვერ დავიჯერე,
რომ ნაპერწკლები გენთო თვალებში,
რომ შენს გულმკერდზე იები სთვლემენ,
როგორც ლერწმები ლელიანებში...
რომ შენი კანიც ისევე სუნთქავს,
როგორც ცისკრისას ხოდაბუნები...
სულ ერთი სიტყვა მითხარი, თუნდაც,

ხომ დაბრუნდები, ხომ დაბრუნდები?

როცა შენსკენ ქარი ქროდა

როცა შენსკენ ქარი ქროდა,
ჩემსკენ იყო ქარიშხალი...
ქარს მიჰქონდა, ქარს მიჰქონდა,
ყველაფერი რაც მითხარი...
ბევრი კენჭი ყრია ზღვასთან,
ზღვაში ალბათ უფრო მეტი...
მე მოვედი შენს კარავთან,
სად იყავი, სად წახვედი...
რად გამისხლტი, როგორც თევზი,
თითებსა და თითებსშუა...
ქარი გაქრა ლაქაშებში,
ღამემ ტუჩი აიბზუა...
აქეთ ბაღში ვარდი მოჩანს,
იქით ბაღში გვირილები...
ვინმემ ხომ არ დაგიკოცნა,
მკერდზე თოთო ჩითილები...

რა კარგი ხარ

რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ,
სახე ქარის, ტანი ზღვისა,
ალბათ ღრუბლებს დაჰკარგვიხარ,
ამოვარდნილ ქარიშხლისას...
ხან პირველი მზის სხივი ხარ,
ხან გაშლილი ღამით ვარდი,
მჯერა შენი ღიმილისა,
შენი მკერდის სივერაგის...
ალბათ რამდენს, ალბათ რამდენს,
აურიე თავგზა ნახვით,
მეც ხომ შენთან შეხვედრამდე,
ვკეცე ბევრი იალაღი...
გავიღვიძებ, შენს ჩრდილს დავდევ,
დავიძინებ, გხედავ სიზმრად...
მითხარ, მითხარ, გამიმართლებს,
თუ ბრჭყალს გამკრავ შევარდნისას...

ფიქრი

საათებს, წუთებს, ყოფის მეგზურებს,
ხან თან დავათრევ, ხან სადღაც ვგზავნი...
ხან ჩირგვში ვნახავ მათ თავშერგულებს,
ხან სახურავზე, ხან ზოოპარკში...
ისინი კარგად სძლებენ უჩემოდ,
გასძლებენ თუკი არც ვეყოლები,
მე კი თავს მათგან როგორ ვუშველო,
მგონი, ყველაც ვართ დროის მონები...
თუმც უკვდავებას ჩემულობს ბევრი,
დროს შეუძლია მათი ჩაჭერაც...
ჩვენ ყველანი ვართ ცოცხალი მკვდრები,
მკვდრებს ჰკითხეთ, თუკი ჩემი არ გჯერათ...
რეალურიდან ირეალურში

მე ძლიერ ხშირად გადამივლია ...
ვინც თანამიგრძნობს ამ სინანულში,
ყველა დიდიხნის გარდაცვლილია...

მომეცი ხელი!

მომეცი ხელი, არ დავუჯეროთ,
არავის, რაც უნდ ცოფები ჰყარონ...
ვიცი, შენც გინდა რომ თავს ვუშველოთ,
შემთხვევით სხვა რომ არ შევიყვაროთ...
მომეცი ხელი, თუნდაც ჭორებმა,
ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიაროს...
თან ჩაგვიტანოს დროის მორევმა,
მაგრამ წყლულებიც მან დაგვიამოს...
მომეცი ხელი, ბრძოლის გარეშე
მაინც არა ღირს, ომის მოგება,
და თუ, შემთხვევით, სადმე დავეცე,
შენ ეს ღალატი ნუ გეგონება...
მომეცი ხელი, მინდა მოვასწრო,
ვიგემო თაფლი შენი მკერდისა,
მერე, ძვირფასო, რომც ჩამომახრჩონ,
წამყვება გრძნობა მღელვარებისა...
მომეცი ხელი, არ მინდა ვიგრძნო,
ამ წყეულ დღეთა ამაოება,
რომ შენთან ერთად გამოვაღვიძო,
რისხვა, რომელიც მკერდში გროვდება!!!

მშვიდი თვალები

ბევრჯერ მინახავს მშვიდი თვალები,
როცა მე თვითონ ვარ აღგზნებული...
ან გადაღლილი და ნაწამები,
თუ აფთარივით გაავებული...
რას მომიტანენ, რას მომიტანენ,
დღეები ასე რომ ველოდები,
მომდევნოები წინა დღეს კლავენ,
და ვგრძნობ, ნელნელა როგორ მშორდები...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
შევნიშნო ცრემლი შენს წამწამებზე,
მე შენს სიყვარულს დრო არ მაცლიდა,
და, ალბათ, ხვალაც არ დამანებებს...
შენ მშვიდად მიმზერ, მე კი ნაომარს,
ვგავარ მეომარს დაგვიანებულს...
თუმც შენს სახეზე ვერცერთ ნაოჭსაც
ვერ ვხედავ ჩემგან აღიარებულს...
ვერაფერს ვამბობ, დრო მკურნალია,
რა ვუპასუხო შენს ლამაზ თვალებს?
მე შენ მიყვარდი ისე ძალიან,
როგორც ვერავის ვერ შევიყვარებ!!!

ყაყაჩოს ნუ წყვეტ (ია–იას)

ყაყაჩოს ნუ წყვეტ, ყაყაჩოს ნუ წყვეტ,
გაუშვი ცოტა კიდევ იცოცხლოს,
მზეს შეეყინა ღიმილი ტუჩზე,

რომ გადახედა წითელ მინდორსო...
სადაც ნამიან დილას მოსული
ყაყაჩოების ცეცხლი ღუოდა...
სხვა ყვავილები სკდებოდნენ შურით,
ყაყაჩოს მწერი თუ დაბზუოდა...
ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია,
მზე ბუტბუტებდა განცვიფრებული,
ყაყაჩოების კარნავალია,
აფეთქებული, ათქვირებული...
ველებმა თითქოს თავი აიშვეს,
გადააწითლეს მთები, ქედები...
ყაყაჩოებმა გაიმაისეს,
დაჰფარფატებენ თავზე პეპლები...

ესა ვარ, რაც ვარ...

შენ, ალბათ, ამჩნევ, როგორ არ მიყვარს,
ტკბილი სიტყვებით თვალის ახვევა...
ესა ვარ, რაც ვარ, ნუღარ დამკითხავ,
ჭადარი ვარ და ქარი მარხევდა...
მეც გარდასული წლების ცვენაში,
ათას ზღაპარს და ამბავს მოვედე,
ხან მიმართლებდა ბედისწერაში,
ხან მტრის მაგიერ მკლავდა მოკეთე...
რატომ გამოჩნდი, რისთვის გამოჩნდი,
ვერ გამიგია, ვერ ამიხსნია,
აღვირს მოვქაჩავ მერნებს დაოთხილს,
ყველა ჩემს გულზე რადგან მიჰქრიან...
შენ არ გეგონოს რამეს ვტყუოდე,
თუმც ზეციური მიხმობს ზარები,
მინდა მწყუროდე, მინდა მწყუროდე,
შენ კი, შენ, ნუთუ, არ გეყვარები?

რა გგონია

რა გგონია, რა გგონია,
კი, ბევრი გვაქვს საერთო,
მე შენს შემდეგ არ მქონია,
რომანები საერთოდ...
ვცრუობ, ბედმა გამიღიმა,
ერთმანეთზე დაერთო...
თამუ, ეკა, ინა, ირმა,
მძივებივით აეწყო...
"მოდიოდა ერთზე ათი",
ანგელოზის ფრთიანი,
როგორ მიყვარს ეს სურათი,
ოდნავ ალერსიანი...
ისევ შენთან დავბრუნდები,
თუ ცხოვრებამ მაცალა,
მიყვარს შენი ხორბლის მკერდი,
შენი ძუძუს ხვანჩკარა...

ეჭვები

ზოგჯერ შემიპყრობს რაღაც ეჭვები,

ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი,
ვფიქრობ, ასე თავს რად ვიმეტებდი,
ვიღას სჭირდება დღეს ჩირაღდანი...
ვიღას სჭირდება ან ეს სინათლე,
რისთვის ვანთებდი, ვისთვის ვანთებდი,
ალბათ, ღმერთთანაც ვიღაც მიმასწრებს,
მე კი კვლავ არსად მოვიაზრები...
რა აზრი ჰქონდა, რაც თაფლი ვთესე,
თუკი მის ნაცვლად შხამი ამოდის,
მოდი, ძვირფასო, მომიალერსე,
მსურს ჩემი იყო ამ საღამომდის...
იქნებ ეჭვები შენ გამიფანტო,
ბავშვობიდან რომ შემომჩენია...
შენი ლამაზი თვალები მანდო,
თუკი ისინი, მართლაც, შენია...
ვერ გავრკვეულვარ, დღემდე, რა ხდება,
ირგვლივ დუმილი უკიდეგანო,
შენი ეჭვები, თუკი, ახდება,
მაშინ, გთხოვ, ჩემებს არ გაეკარო!!!
რადგან ისინი ისე მძიმეა,
ჩემს მეტი იმათ ვერავინ ზიდავს,
ამ ქვეყნად მართლაც, ნეტა, ვინმეა,
ნეტა, ვინმეა, ვინც მე ამიტანს?

მე გულწრფელობით ბევრ რამეს ვმალავ

ნუ, ნუ ენდობი ჩემს გულწრფელ სიტყვებს,
მე გულწრფელობით ბევრ რამეს ვმალავ,
მშვენივრად ვირგებ ათასგვარ ნიღბებს,
და ამით ბევრად უსაფრთხოდ დავალ...
და თუ ვამაყობ ამ გულწრფელობით,
მინდა იცოდე, რომ ის ყალბია...
მე ზოგჯერ თავი გამაქვს მელობით,
და ვლომობ კიდეც თუკი გამივა...
ასე რომ ნიღბებს სცვლიან ნიღბები,
შენ კი გიყვარდა ეს გულწრფელობა,
არ დაიჯერო თუ ვიღიმები,
და არც ეს ჩემი უდარდელობა...
თუ ვიღიმები, ეს ნიღაბია,
მკერდში სვავები კი გულს ფლეთავენ,
ღიმილი ჩემი ბაირაღია,
დამარცხებიდან გამარჯვებამდე!
და ვიღიმები, მეც ვიღიმები,
ეს ხომ ნიღბები იღიმებიან,
მკვდარი ვარ, მკვდარი, გამოგიტყდები,
რადგან ნიღბები არა კვდებიან!!!

სად ღრუბლები მოჩანს ქარვის

გამოუღეთ, გამოუღეთ,
მერნებს ყველა, ყველა კარი!
რაშთა რემა ღრუბლებს უტევს,
აწყვეტილი როგორც ქარი...
მიყვარს, მიყვარს მათი რბოლა,
მათთან ერთად ყოფნას ვარჩევ,

ქროლის ჟინმა ამიყოლა,
მალე ყველას გადავასწრებ...
იქით, იქით, სადაც არვის
ჯერ არასდროს უქროლია,
სად ღრუბლები მოჩანს ქარვის,
და ტიტანებს უბრძოლიათ...
შევეჯახოთ მეხს და ელვას,
მივამსხვრიოთ მათი ფარი...
ქარიშხლებით როცა ღელავს,
ზეცა ყალყზე შემომდგარი...
მიდით, მიდით, გავარღვიოთ,
სივრცის ყველა ბარიერი,
გრიგალები გადავრიოთ,
გადავხვიოთ ქარებს ხელი!
სადაც გვიცდის უკვდავება
და ღმერთების ტახტრევანი,
სადაც მუზა შხამით თვრება
და მიჰკვალავს ცას მერანი!!!

ბუნებაში უმიზეზოდ არა ხდება

ეს დღეები ამ ღამეებს გადაჰყვება,
მე კი, ალბათ, შენს სიყვარულს გადავყვები,
ბუნებაში უმიზეზოდ არა ხდება,
და ზეცაზეც კვლავ ანთია ვარსკვლავები...
კაცმა რომ თქვას, მეც ერთ–ერთი მათგანი ვარ,
ვინც ათ მცნებას იცავდა და ღალატობდა...
ყველა ცოდვა ჩემს გულმკერდზეც გადავიდა,
ყველა ჩემი მახრჩობელა ანაკონდა...
ღრუბელი ვარ და ზეცაზე მინდა დავრჩე,
შენს თეთრ მკლავებს რომ იქიდან დავაწვიმო,
ღამით მოვალ და გავქრები განთიადზე,
რომ აისი იასავით ავატირო...

ცივად მიმზერ

აქეთ მაყვლის ბარდებია,
იქით ხარობს კუნელი,
ყველაფერი ზღაპრებია,
ფრთოსან მერანს ნუ ელი...
ბედმა გვერდზე ჩამიქროლა,
სიცილით და ხარხარით,
სულში ცივი ქარი ქროდა,
გულში მენთო ხანძარი...
ცალი ხელით ვარდი ვკრიფე,
მეორეთი იელი,
ვერ ჩამითრევს, ვერ ჩამითრევს,
ეს მორევი ცბიერი...
ცაზე მტრედი გადაიფრენს,
ქორის ბრჭყალს ვერ ასცდება,
იცი, ისე ცივად მიმზერ,
თითებიც კი მაძრება...

რად გაგახსენდი

რად გაგახსენდი, რაც მიმატოვე,
მას მერე შენზე არც მიფიქრია...
როგორც ყვავილი გამოაქვთ რტოებს,
დამჭკნარს კი მშვიდად მიმოისვრიან...
რად გაგახსენდი, რად გაგახსენდი,
მდინარე ვარ და ვამსხვრევ ჯებირებს...
შენ ჩემს წყურვილებს როცა ავსებდი,
წახველ და სხვაგან გაიჯეჯილე...
ვეღარ უშველი შენ ჩემს სტიქიას,
ვერ დააოკებ შენ მის სიავეს,
საკმარისია, საკმარისია,
რაც მღელვარებით გაანიავე...
შენ შენი გზა გაქვს, მე კი არტახებს,
ვერ ვეგუები, არ შემიძლია,
მივალ, ტაფობებს მივაპარტახებ,
მივალ, მივრეცხავ, დღეებს სისხლიანს...
მინდა წარსულზე ფიქრებს გავუძლო,
გარს მახვევია სხვა იმედები,
მე ეს დღეებიც მსურს გადავფურცლო,
შენ კი რატომღაც ფეხში მედები...

ნუ მიბრაზდები

რამ დამავიწყა, რამ დამავიწყა,
შენი თვალები, ასე მწუხარე...
რით ვერ დაგიცხრა, რით ვერ დაგიცხრა,
შეეშვი ფიქრებს სულთამხუთავებს...
შენც კარგად ხედავ, დრო აირია,
მიერეკება ყველა თავისას...
არ დაბრუნდება ის იდილია
ჩვენ რომ ოდესღაც გაგვითავისა...
გულზე დავიბნევ ჩუმად შენს ცრემლებს,
მე მათ შევარქვი დარდების წყარო,
მე შენ კი არა, შენს თვალებს ვენდე,
და მიჭირს, მიჭირს, გადავიყვარო...
ალისფერ ფონზე კვდება დაისი,
სად გადამალე ჩემი ვარდები?
მე მუდამ ვიყავ გამონაკლისი,
ნუ მიბრაზდები, ნუ მიბრაზდები!

გაპატიებ

გაპატიებ, გაპატიებ გულგრილობას,
რადგან, ვიცი, თამაშია შენი მხრიდან...
დავარღვევდი, დავარღვევდი ძველ პირობას,
მაგრამ, ვშიშობ, რომ დისკომფორტს შეგიქმნიდა...
ვფიქრობ, იქნებ, სწორედ ასე იწყებოდა,
ყველა დიდი და ნამდვილი სიყვარული...
მე კი, ალბათ, მუდამ ღმერთი მიწყრებოდა,
რომ ვერაფრით ვერ მოვიგე შენი გული...
ვიცი, ვიცი, რომ უძირო უფსკრული ვარ,
შენი გრძნობა მას ვერაფრით ამოავსებს...
თუმც ხელს გიქნევ ჩემი თეთრი კუნძულიდან,
კარგად ვიცი, აქ ვერასდროს ვერ მოაღწევ...
მე უშენოდ ყველა წამი მენანება,

უსაზღვროა, ვიცი, ჩემი სინანული...
ასე ქრება, ასე ქრება, ალბათ, ვნება,
კენჭებივით ზღვის სიღრმეში მიკარგული...

სჯობს მართლაც გვიან

დაგვიანებულ სიყვარულებს ჩემი მოკითხვა,
არც პირველი ვარ და არც ბოლო მე არ ვიქნები...
ნატვრებს ნატვრისხე თუკი ბოლოს მაინც მოისხამს,
ძველი ბუდიდან ერთხელ შენც ხომ ამოფრინდები...
დრო დაგიამებს ყველა ტკივილს რაც დაგიგროვდა,
ჭრელი ჯაფარა შენზე ჭორებს მტრედებს წაუღებს...
ბედის ვარსკვლავი ერთხელ მაინც ამოგიცნობდა,
შენ კი რატომღაც არ ისურვე და ვერც გაუგე...
სჯობს, მართლაც, გვიან, გვიან მართლაც, ვიდრე არცერთხელ,
მკლავებს გაშლი და ტრფობის ზღვაში გადაეშვები...
ბოლო შანსია, ფიქრად არც ღირს, არსად გაექცე,
კარს მარტოობა გიგაკუნებს წლების ეშვებით...
დროა გაცვალო ყველა დარდი ერთ სიხარულზე,
დაგვიანებულ სიყვარულებს ჩემი მოკითხვა...
მოდი, ძვირფასო, პირველ კოცნას თუკი გაუძლებ,
მაშინ, ჯანდაბას ჩემი თავი, შენს მადლს მოვისხამ!!!

შემომიერთდით!!!

შევაგროვებდი ამ სოფელზე განრისხებულებს,
გავუძღვებოდი ცოფიანი ძაღლების ხროვას...
ჩამოვყვებოდი ზვავებს მთიდან გაგიჟებულებს,
გადამერჩინა იქნებ მიწა ცოდვას და ლპობას...
ელინთა აზრით, თუკი გაჩნდი, ეს სასჯელია,
და მეც ცხრაპირი ტყავი სხვებთან ერთად ვიცვალე...
ახლა უღმერთოდ დარჩენილებს არსად გველიან,
რადგან არ ვიცით, სად, როგორ და რით მოვიწამლეთ...
ჰოდა, მეც ვიბრძვი, ვიბრძვი სულის გადასარჩენად,
ყველა ცოდვანი ერთი დარტყმით მინდა წავლეკო,
თუ მომეცარა მოქნეული მტრისთვის მარჯვენა,
შემომიერთდით საბრძოლველად, შლეგიანებო!!!

ვეძებ უმანკო თვალებს

უჟმური დროა, მართლაც,
ვეძებ უმანკო თვალებს,
და ვხედავ, ვხედავ ნათლად,
ყველგან გადაღლილ ქალებს...
მე კი მინდოდა მათთვის,
ელიტარულად წერა,
მწვანე გვირგვინი დაფნის,
მოუსყიდველი მზერა...
თვალს შემავლებენ უცნობს,
შემაფასებენ წამით,
ჩემში დემონი ბუდობს,
თუ მოყრანტალე ყვავი...
მართლაც, ვინა ვარ, ნეტა,
რომელ დროების მაცნე?
თუმც წვეთწვეთობით წვეთავს,

სისხლი, საფერფლეს ავსებს...
შენ კითხულობდი, ალბათ,
ქალს ანთებული მზერით,
თვალებს, რომელიც ნაბავს,
შენს შეხებაზე ვნებით...
ყველა ოცნებას ერთად,
გადაეფარა ფარდა,
აღარც გულმკერდის ფეთქვა,
აღარც სამშობლოს განცდა...

ვით ჟამთა სიავისას

უკვე ოცი წელია გვიტევს შხამით მაცილი,
ან რით ვეღარ დამთავრდა ერის შუბზე აგება...
გვიტევს გაშმაგებული ცეცხლითა და მახვილით,
იბრძვის ქართული გენის ძირში ამოსაკვეთად...
მე კი ზეცას გაკრული ისტორიას გავყურებ,
ჩემი ხალხი მარადჟამს მოყვარე მტერს ებრძოდა,
თუმცა თავის მისიას ის ყოველთვის ასრულებს,
და ამ ბოლო ბრძოლაშიც, ვფიქრობ, ძალა ეყოფა...
მაგრამ მაინც მგონია, ვით ჟამთა სიავისას,
ყველგან აღმართულია ისევ სახრჩობელები...
ვხედავ ერის დაცემას, სისხლს მოკვეთილ მკლავისას,
როგორ სვლეპენ ნასუფრალს გიენათა ენები...
არა, არა, არ მინდა, ისტორიის მსვლელობა,
შეაჩეროს დღევანდელ ჟამთა უკეთურობამ...
ჩუმად როგორ ვუმზირო, ჩემი ერის მკვლელობას,
როგორ გინდა გაუძლო, კაცმა, ამ უგულობას!!!

ძველ ციხე–კოშკს გადარებ

რამდენ რამეს მალავენ,
შენი თვალთა გუგები...
მოდი, გამათამამე,
ნეტა, რას მებუტები...
რა მოხდება, ცოტახანს,
თავს ჩაგიდებ კალთაში...
შენს ბაგეებს მოვნახავ,
როგორც მკლავებს გადაშლი...
შენი თეთრი პერანგის
ვეფერები ნაქარგებს,
ჩემი გული შენს გულში
ყვავილივით გადავრგე...
ვაქრე, ვეღარ ჩავაქრე,
ტანი ალმოდებული,
მაინც არ მითანაგრძნე,
მგონი, მაინც მემდური...
ძველ ციხე–კოშკს გადარებ,
მრჩები აუღებელი...
ერთხელ შემომაფარე,
გახსენ მკერდის კედელი!!!

თვალს ნუ მარიდებ

ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,

რა მოაქვთ ქარებს სიცივის გარდა?
თვალს ნუ მარიდებ, თვალს ნუ მარიდებ,
მე შენთან ყოფნა მუდამ მიყვარდა...
შენ კარგად იცი, რად მიკრძალავდნენ,
შენთან შეხვედრას დრო და წამები,
ცოცხლად მკრძალავენ, ცოცხლად მკრძალავენ,
ჩემიანებიც, შენიანებიც...
არ დაიჯერებ, მაგრამ ასეა,
შენს მეტი მე სხვა არ მყვარებია,
და თუკი გული გასკდომაზეა,
ჩემსავით იქნებ სხვებიც კვდებიან...
იასამანის თეთრი ყლორტი ხარ
და რომ მეგონა მკლავზე მეწვინე,
თურმე ყვავ–ყორნებს დაუკორტნიხარ,
თურმე შენშიაც კი შემეცილნენ...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ შენი თავი სხვებმა გამტაცონ,
გთხოვ, გამიყვანო ამ სიზმარიდან,
არა მსურს მომკლან, მირტყამდნენ, მძარცვონ...
მართლაც, ვინ იცის, ხვალე რა ხდება,
დროს რას გაუგებ, ვისი მტერია...
ან, იქნებ, შენც სულ სხვა გენატრება,
ვინც, მართლაც, ჩემი ფერხთა მტვერია...

უკვდავების წყალზე წავალ

აიკეცა ღამემ ფრთები,
სადღაც მთებში ჩაიკარგა,
გაქრნენ ციდან ვარსკვლავები,
ყველა, ყველა, ერთის გარდა...
ეს ხომ ჩემი ვარსკვლავია,
ვისაც მუდამ ვეყვარები,
სად არიან, სად არიან,
ნეტა, სხვები შენდარები...
ქამელეონს რა გამოლევს,
ფერს რომ იცვლის ათასგვარად,
რა გამოლევს, მითხარ, მონებს,
თავის აზრებს ვინცა მალავს...
მაინც ძებნით არ ვიღლები,
ამ მიწაზე რადგან ხარობს,
ბღუჯა–ბღუჯად ყვავილები,
ნაკადული და კლდის წყარო...
უკვდავების წყალზე წავალ,
გადავღებავ ზეცას სისხლით...
სიყვარულის მწარე წამალს,
ერთ კოცნაში არ გამიცვლი?

ბედნიერება, ოღონდ, ქალთა...

როგორ გგონია, როგორ გგონია,
ბედნიერება რა არის ქალთა?
როცა გარშემო კაცებს ომი აქვთ,
ქალი კი რჩება საკუთარ ჯავრთან...
ბედნიერება მხოლოდ კაცების,
ალბათ, კაცების მონაგონია;

მას ბრჭყალები აქვს ნაღდად მტაცებლის,
ჩვენ კი ლამაზი ვინმე გვგონია...
ბედნიერება, ალბათ, ლომია,
ან ვეფხვი კლდეზე დაკიდებული;
არ არის მასში სხვა ჰარმონია,
ამაღლებული ან დიდებული....
ბედნიერება ეს ქვემძრომია,
ქვეწარმავალი, გომბეშო, გველი...
ან, ალბათ, მოჰგავს მახინჯ გოლიათს,
შენ კი მათ ნაცვლად ანგელოზს ელი...
მასე რომ იყოს, მასე რომ იყოს,
მაშინ ის აქეთ უნდა დაგვდევდეს...
ის კი ჩვენს ნახვას სულაც არ ფიქრობს,
ის ფიქრობს მხოლოდ თავის ქალებზე...
ამბობენ, თუ გსურს ბედნიერება,
არ უნდა გაჩნდე, ასე, უბრალოდ...
მაშ, რა გამოდის, ქვეყნიერება,
იქნება, მაგრამ, კაცთა, უქალო...

შხამი

ყველგან დაგხვდება, ყველგან, ყოველთვის,
ის ვინც გროშებზე გაყიდის ქრისტეს;
ის მომენტს უცდის და როგორც გველი,
შემოხვეული ხერხემალს გიმსხვრევს...
ის უეჭველად უნდა გამოჩნდეს,
მუდამ გაცდუნებს მისი ნიღაბი,
რომ გამოუვალ ჩიხში აღმოჩნდე,
რომ გამოსცალო შხამი ძირამდის...
ხარ ორ წყალს შუა, ხარ ორ წყალს შუა,
და ორივეში გელის დახრჩობა...
რომელში შეხვალ არა აქვს ჭკუა,
როგორც ვნებისას ქალთან წაწლობას...
არადა, ნეტა, რატომ მეგონა,
გამიმართლა და ედემს მივაგენ,
გველი თუ გყავდა ძუძუს მეგობრად,
რატომ მაშინვე არ განმიმარტე!
ახლა კი როცა ასე შევტოპე,
და ჩემი სული ხელზე დაგიდე,
ნუ გადამაქცევ, მართლაც, მეკობრედ,
გთხოვ შენი ძუკნა თვალს გამარიდე...

ყველა იმედი შეასკდა კედლებს...

ასე მგონია, გადამიკეტეს
აორტა გულს რომ სისხლით კვებავდა...
ყველა იმედი შეასკდა კედლებს,
ყველა სისხლისფრად გადაფერადდა...
და რაც ყველაზე უფრო მწარეა,
საღამო იყო იდეალური,
როცა ზეცაზე სავსე მთვარეა
და ვარსკვლავები კი მხიარული...
კარი გავუღე, კარი გავუღე,
კარი გავუღე სევდის ქარავანს...
ცაზე ღრუბელი ჰკოცნიდა ღრუბელს,

და სიხარულის ცრემლით ნამავდა...
გადამიყოლეს, გადამიყოლეს,
გადამიყოლეს შენზე ფიქრებმა...
ვერ ვუმკლავდები ამ სისხლის მორევს,
ვერაფრით, რადგან, ფეხი მისხლტება...

მე ჩემი ოცნების მერნები მიმაფრენს

გთხოვ, გული გამიხსნა, რომ აღარ დაღამდეს,
მე შენგან მჭირდება სულ გრამი ნუგეში,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ აქამდე,
მოაღწევ ჩემამდე, თუნდ ბოლო წუთებში?
რას ნიშნავს, რას ნიშნავს, რომ ყველა გიყვარდეს,
თან მე ხომ არაფრით არავინ არა მგავს,
მე ჩემი ოცნების მერნები მიმაფრენს,
სანამ ვგრძნობ, ვარსებობ და ჟინი გადამწვავს...
არ ვიცი, არ ვიცი, სად გადის შენი გზა...
რომელი განედით და გრძედით ვიარო,
თუ შევცდი, ძვირფასო, და ბედმაც შემრისხა,
შენ სხვების ნათქვამი არ გაიზიარო...
მე არ ვარ მკითხავი და ვერ ვჭვრეტ მომავალს,
მზე ჩადის, მზე ჩადის და უკვე ღამდება...
არ ვიცი, არ ვიცი, თუ რამე მოვასწარ,
ან შენი თვალები რატომ მენატრება...

ნება მომეცი

შენს გამოჩენას ისე მოველი,
როგორც თავის მსხვერპლს ველზე ველური...
როგორც ვეშაპებს ბარჯის მტყორცნელი,
წვიმას ტყეები ალმოდებული...
რა ამოვიცნო მე შენს მზერაში,
უსაფუძვლოა შენი ბრალდება,
სულიც, ვით ფული მიმოქცევაში,
ცვდება, ირყვნება და ხურდავდება...
ნება მომეცი, ნება მომეცი,
ყველა ოცნება შენში გავცვალო...
სულ ერთხელ მოვხვდე შენს სამოთხეში,
და მერე თუნდაც გაქრეს სამყარო...
და როგორც სურდეთ, ისე მიმზერდნენ,
ულამაზესი შენი თვალები...
მე გთხოვ, გამოდი, გამოიმზევე,
ვერ ვხვდები, რატომ არ მეკარები...

მე შენი გულისთვის შევიცვლი თარიღებს

არ მინდა, რომ შენში ვხედავდე სინათლეს,
არ მინდა, არ მინდა, არ მინდა, არ მინდა...
მე შენმა მზერებმა კედელზე მიმაკრეს,
ჩემს ცოდვებს, რომელზეც ეშმაკი ჯღაბნიდა...
შენ კი ვით ფანტელი, სითეთრის სიმბოლო,
მოფრინავ, მოფრინავ, მოფრინავ ზეციდან...
ითოვოს, ითოვოს, ითოვოს, ითოვოს,
მთელი დღე და ღამეც ითოვოს, მეც მინდა...
ვიღაცა მოვა და კედლიდან ჩამომხსნის,

და მერე უაზროდ ჩამხედავს თვალებში...
რა მომდის, რა მომდის, არ ვიცი, რა მომდის,
არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი, რას მერჩი...
წამოხვალ? მთვარეზე ორ საგზურს ავიღებ,
ჩამოვსხდეთ ქიმზე და ვიამბოთ ჭორები,
მე შენი გულისთვის შევიცვლი თარიღებს,
და თუ გსურს, დღეიდან ვიქნებით ტოლები...
და თუკი ეს მიწა ნამდვილად მრგვალია,
მთვარიდან ვუმზიროთ თუ როგორ მიგორავს...
დილას მზემ ბოღმისგან იმდენი დალია,
ქარს ხელით ეჭირა და ცისკენ მიჰქონდა...

თანუნა თაას

სად, რომელ ზღვაში დაცურავ,
სად გიპოვია ხომალდი,
ალბათ, მთვარე გაქვს სასთუმლად,
ჩვენს მხარეს ჩამოქროლამდი...
მგონი ნატვრის ხედ ვიქეცი,
ავსებული ვარ ძონძებით,
სადა ხარ, რომელ ციხეში,
მითხარი, ყველგან მოგძებნი...
რომელ ხიდებზე გადიხარ,
რომელ მზეს ეპოტინები...
თუთა ხარ, ნაყოფს დაისხამ,
რომ ჩავატანო თითები...
ქვეყნად რამდენი რამ ხდება,
ჩვენ კი ვერაფერს ვგებულობთ,
შენი ნატვრებიც ახდება,
ჩემო ყველაზე ერთგულო...

მე ველოდები ისევ იმ ქარებს

როცა ჩაივლის, როცა ჩაივლის,
ეს ქარიშხლებიც ასე მძაფრები...
ცა, გავსებული დენთის აირით.,
მიწა შხამით და მავთულხლართებით....
იმდენი რამე დაგროვდა გულში,
ერთად გაგლიჯა ყველა კედელი...
და ამოსვრილმა სისხლსა და ჭუჭყში,
კვლავ წამოდგომა როგორ შევძელი...
ვერავინ მეტყვის, ვერავინ მეტყვის,
ჩვენი დღეები საით გარბიან,
მათ სიხარული არ მოაქვთ ჩვენთვის,
და არც სახელი, ალბათ, არ ჰქვიათ...
რამდენი რამე, რამდენი რამე,
უნდა გადავდოთ, უნდა ჩავყლაპოთ,
იცი, სულს, მგონი, სისხლითა რწყავენ,
რომ ეს დღეები ვერ გადავლახოთ...
ჩამოაფარეს მზეს რკინის ფარდა
და ვეღარ აღწევს შუქი ჩვენამდე...
არადა, გახსოვს, როგორ გვიყვარდა,
როგორ გვიყვარდა, სულის შეძვრამდე...
მე ველოდები ისევ იმ ქარებს,
ერთ დროს რომ ქროდნენ, ლაღად, მსუბუქად...

ჰო, ველი მასაც, ვინც შემიყვარებს,
თუ ტვინი ვინმეს გადაუბრუნდა...

ნუ დამაბრალებ

ნუ გამცვლი სხვაში, ნუ გამცვლი სხვაში,
ისეც უაზრო ხდება ცხოვრება...
ისეც ყველაფერს ჰქვია მირაჟი,
ყველაფერს, რაც კი რამე მოხდება...
ნუ, ნუ ასრულებ, ნურცერთ ბრძანებას,
არა აქვს აზრი არავითარი,
დრო გავა, მერე დაგენანება,
ყველა სურვილი და ნაფიქრალი...
ახლა კი, ახლა, მხოლოდ ბღალავენ,
ღირსებას, შენ რომ დაატარებდი,
ყველა გაზაფხულს დაგიმალავენ,
თუ დაყრი ფარ–ხმალს, თუკი დანებდი...
ნუ დამაბრალებ, ნუ დამაბრალებ,
რომ უბრძოლველად დავთმე ყოველი...
მე სიყვარული შენში გავცვალე,
გავხდი ერთგული და მახლობელი...

განა რა მინდა

განა რა მინდა, განა რა მინდა,
მიუსაფრობის არ მქონდეს განცდა...
რომ ყოველივე აღსდგეს ხვალიდან,
და იმედებიც გამოჩნდეს ნათლად...
შენ ქმნი საუნჯეს, შენ ქმნი საუნჯეს,
რასაც ათასი ღამე სჭირდება,
და ინარჩუნებ იმ სითათუთეს,
რაც მოახერხეს თლილმა თითებმა...
შენთვის არც დღეა და არც ღამეა,
შენ საჩუქრებით ვერ გაცდუნებენ,
თუმც, შენს საუნჯეს ვინც მოვალეა
სწორედ ისინი ანადგურებენ!!!
რაა ცხოვრება თუ სილამაზეს,
შემოუჭირეს რკინის ხუნდები,
ძვირფასო, თუმცა, ბევრჯერ დამსაჯეს,
ვკვდები და მაინც უკან ვბრუნდები!!!

რადგან ამყარა ხანმა აბჯარი

მე ვერ ჩავები ამ დიდ ბრძოლაში,
რადგან ამყარა ხანმა აბჯარი...
თუმცა შემომრჩა, თითქოს, ხსოვნაში,
ის რაც შევძელი და მოვასწარი...
ჩემი ძვირფასი ფიქრის ყულაბა,
სავსეა, უკვე უნდა გავტეხო,
სიგიჟემ თავი გამოულაყა
და მეც, ვინ იცის, რა დამატეხოს...
როცა მართლაც ხარ ზღვართან მისული,
და თითქოს თავზე გადგას ჯალათი...
ამომაგლიჯეს მკერდიდან სული,
და მიკლავს იმედს დრო მუხანათი...

სანამ ისწავლი

თქვენ ქალბატონო, მგონი, გიყვარდით,
თუმცა, რის გამო, ეს ვერ ავხსენი,
თუ სიყვარულმა იცის ინფარქტი,
დამემართა და შენ გამახსენდი...
მართლა, ბევრი კი არა მიკლია,
გნახავ, გაჩნდება გულზე ნაპრალი,
უარესებიც გამომიცდია,
შენ მე სიყვარულს როგორ მასწავლი...
ან რა გიშველით ამდენ ლამაზებს,
როცა დაკარგა ეშხმა ფაზანდა,
თუ მართლაც გინდა, შემოგთავაზებ,
სამიოდ კოცნას, ისე, ავანსად...
ვერ დავიჯერებ, ვერ დავიჯერებ,
რომ თურმე კოცნის გემო არ იცი,
აი, რეცეპტი გამოგიწერე,
სანამ ისწავლი, მანამ დაგიცდი...

ვინ იცის

გთხოვ, ასე მკაცრად ნუ შემაფასებ,
გული შუაზე მაქვს გახლეჩილი,
მე მონად ვყავარ შენს სილამაზეს,
რა ვარ მე მასთან, უბრალო ჩრჩილი...
ჩრჩილი, რომელმაც საკუთარ მკერდში,
თავისი გული ამოიჭამა,
და ამ უაზრო როლებში შეჭრილს,
ცამ შენი თავი გამომიგზავნა...
რა ნათელია, რა ნათელია,
შენი თვალები ასე მდიდარი,
თუმც, მიკვირს ასე რატომ ფრთხებიან,
შენი ტუჩები გაუცინარი...
ძვირფასო, ველი მე შენს მოკითხვებს,
მე დაცლილი ვარ, როგორც მასრები;
და ვიცი, ბედიც სულ სხვას მომიგდებს,
რომ მის დაცინვებს მე ვერ ავცდები...
ჰო, აღარაფრის არა მრცხვენია,
მე შენი ხელის ვარ მათხოვარი,
იცი, ცხოვრება ისე ჭრელია,
ვინ იცის, დარჩე გასათხოვარი...

მე ამირანი უნდა დავიხსნა

ისე, მართლაცდა, გასაკვირია?
ჩემი მეგონოს მთელი სამყარო...
მე ქარიშხლები მკერდზე მივლიან,
ცეცხლი ვარ, ხშირად კიდეც ვხანძარობ!!
წინ გავირეკავ ჯანღებს და ნისლებს,
მწვერვალებისკენ მინდა დავიძრათ,
მართლაც, ვერავინ ვერ გადამისწრებს,
მე ამირანი უნდა დავიხსნა...
ჩემსკენ, ორბებო, ჩემსკენ სვავებო,
გადავაშავოთ ცა ნაღვლისფერი,

ვის უნდა ზეცა უვარსკვლავებო,
ან პატარძლები ასე შიშველი...
მართლაც, ვისია, მითხარ, ეს მიწა,
ქალები ასე უღვთოდ ლამაზი,
აქ დაბადება თუკი მეღირსა,
იუდას ნაკოცნ ვერცხლზე რად გავცვლი...
წამოდი, ერთად მოვიქარიშხლოთ,
უფსკრულები და კლდეთა ტინები...
ცოდვის სამყარო ფეხქვეშ გავიგოთ,
ვლეწოთ ჯალათთა ხელბორკილები!!!

სიცოცხლე ყველგან

რას ელი ჩემგან, რას ელი ჩემგან,
სამყარო სუნთქავს ყველა ფერებით...
სიცოცხლე ყველგან, სიცოცხლე ყველგან,
ცაზე გედების გადაფრენები...
მუდამ ეძებდნენ, მუდამ ღელავდნენ,
გაბრწყინებული შენი თვალები...
სიტკბოთი სავსე იყო ყელამდე,
ვით ზღვები მზეზე ნაკამკამები...
როგორც ხვდებიან რიჟრაჟს ყიჟინით,
გაშლილ ყვავილთა ჭრელი ფურცლები,
ვით მოლივლივე დილის მზის სხივი,
ვით ია ნამით ნასათუთები...
მოდიხარ, მწყურვალ ველებს აცოცხლებ,
თავთავის ყანებს მოაღიმილებ...
მუდამ ასეთი მინდა მახსოვდე,
მუდამ ასეთი იყავ, ჭირიმე!!!

აღარ გაწუხებ

აღარ გაწუხებ აღარც სიზმრებში,
ცხადში ხომ შენი ნახვაც ავკრძალე,
ძველი წყლულივით გამიმიზეზდი
ფეხქვეშ კი მიწა გამომაცალე...
არა მწყენია, არა მწყენია,
ვერსად რომ ადგილს ვერა ვპოულობ,
ან კაცმა რომ თქვას რა დამრჩენია,
აქ მე უსულოდ და უსხეულოდ...
ჯვარი დამწერე, ჯვარი დამწერე,
მინდა ზეცისკენ ფრენა გავბედო,
გთხოვ, შენი ფრთებიც შემომაშველე,
შენი წყლულები თუ გადამედო...
მივდივარ, ვახრჩობ, გზა–გზა იმედებს,
მითანაგრძნობენ სევდის ქარები,
ნუ გამიმეტებ, ნუ გამიმეტებ,
თუ სასიკვდილო ომში ჩავები...
მინდა გავუძლო, მინდა გავუძლო,
მშვიდად რომ მძარცვავს ამაოება,
თუმცა, ძვირფასო, შენთან ვსაუბრობ,
ამღვრეულია ჩემი გონება...
დაველოდები, დაველოდები,
თუ დამლოცავენ შენი თვალები,
და ამ ომებში თუკი მოვკვდები,

შენ მიმაცილე, გთხოვ, სამარემდის...

გაუშვი

გაუშვი, თესონ იების ნაცვლად,
ვისაც სურთ, ყველამ სარეველები...
ჩვენ კი, ვისაც დღეს არ გაგვიმართლა,
და გაფრენილან ჩვენი მერნები...
ხელს ნუ ჩავიქნევთ, ხელს ნუ ჩავიქნევთ,
მზე ყოველ დილას ამოდის ცაზე,
ნუ დამავიწყებ, ნუ დამავიწყებ,
შენი ვნებებით დანთებულ ხანძრებს...
გაუშვი, მართლაც, სხვებმა იტირონ,
იმ ღამეების ნოსტალგიაზე,
და წეროებმაც გადაიფრინონ,
მთვარის ცრემლებით გავსებულ ცაზე...
შენ ხომ გიყვარდი, შენ ხომ გიყვარდი,
შენ ხომ ათასგზის მიმეორებდი...
როცა მზესავით ასფრად ბრწყინავდი,
და მეც ვეფხვივით მქონდა ზოლები...
ჰოდა, ძვირფასო, სხვებმა იკითხონ,
რა ელით, ტკბობა თუ გრიგალები...
შენ კი ერთსა გთხოვ, არ დამივიწყო,
არც მაშინ, როცა სხვას ეყვარები...

რას დავაბრალო

ვიცი, ვერ ხვდები ვინა ხარ ჩემთვის,
ენაში სიტყვა ვერ გამოვძებნე,
ერთს კი ვიტყოდი, რომ მე ვარ სხვერპლი,
და ნამდვილ ხაფანგს რომ წამოვედე...
დავიჯერებდი, ვინმეს რომ ეთქვა,
ამ სიყვარულზე რაიმე გაკვრით,
მინდოდა მხოლოდ სული მომეთქვა,
მე კი ვნებათა მორევში ჩავხტი...
ახლა ვფიქრობ და, მართლაც, არ ვიცი,
რას დავაბრალო, ვის დავაბრალო,
რატომ მიყვარხარ, სილამაზისთვის?
ლამაზებს მიაქვთ ლამის სამყარო...
არ მინატრია, არ მინატრია,
არ მინატრია მე ჯერ ამდენი,
სხეულზე შენი კვალი მატყვია,
მაბიჯებ, მე კი არც გედარდები...
ვიცი, რომ ჩვენ დროს სულ სხვა რამ ჰქვია,
რომ ყოველივე წარსულს ჩაბარდა...
რომ კოცნა–პრომნას ბაღები მიაქვს,
რომ სიყვარული მაგრად გაბანძდა.
ნუ იყურები, ნუ იყურები,
ნუ იყურები, მე გთხოვ, სხვა მხარეს...
მე ხომ ჩემს გზაზე წავალ, თუ მეტყვი,
და აღარავის არ შევიყვარებ...

მინდა მინატრო

ვერ გადავერთე, ვერ გადავერთე,

დღეს ვერაფერზე ვერ გადავერთე,
არ ვიცი, იქნებ, მართლაც, გაღმერთებ,
ან სულ ცოტათი გადავამეტე...
თუმც, ბედი უნდა, ალბათ, ყველაფერს,
გადამიწია საღამომ ფარდა,
ცა იყო სევდით სავსე ყელამდე,
და აცრემლებულ სალამურს ჰგავდა...
მითხარი, ნეტა, რა საჭიროა,
რა საჭიროა, ჩემი გამოცდა...
ჩემი ფიქრები უნაპიროა,
სწვდება ცის კიდეს და მიდის შორსაც...
მე ხომ ღრუბლებთან ერთად მივცურავ,
და არ არსებობს ჩემთვის საზღვრები...
ხან სეტყვას ვებრძვი, ხან გამიზნულად,
ელვის ან მეხის ვხდები ტანდემი!!!
ნეტავი, ასე რად იცინიან,
ვის დასცინიან შენი ტუჩები,
თუ გსურს გასწავლი ისეთ ჟინიან
კოცნას, რომ იმწამს გამიყუჩდები!!!!
მაგრამ ჯერ მინდა გადავიკარგო,
ჯერ დუელი მაქვს მე შენს ქარებთან,
მინდა მინატრო, მინდა მინატრო,
და ხვევნით მომკლან შენმა მკლავებმა...

რატომ მგონია

არავინ არ თქვას, არავინ არ თქვას,
რომ საქართველოს გული გაცივდა,
რომ სიყვარული სულ შემოაცვდა,
რომ ვეფხვის ბეწვიც სულმთლად გასცვივდა...
რომ შეულეწეს მკერდი პრომეთეს,
და კავკასიონს ძარცვავს ქარები,
რომ აღარ დარჩა ერთი მოკეთეც,
რომ დამღებივით ღრღნიან ბზარები...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
ჟამმა რაც უნდა ავი მიაგოს,
მას უარესი წლებიც ჰქონია,
მაგრამ გაუძლო ყველა იაგოს!
მოყვარე მტერი სულ იმუქრება,
რომ საბოლოოდ ჩაგვცეს მახვილი...
და ავიწყდება, რომ შურისგება,
არავინ იცის ჩემი ხალხივით!!!

სულ არ მინდა

სულ არ მინდა, სულ არა მსურს,
რომ ჩემს ლექსებს ქარს ვატანდე,
ქარს ვატანდე ჩემს სიყვარულს,
და სურვილებს გულში ვკლავდე...
მე, პირიქით, მაგრად მინდა,
ვარსკლავს ჰგავდე მოელვარეს,
და მაგ შენი ვარსკვლავიდან,
აგზავნიდე ჩემთან ალერსს...
ბევრსა ვფიქრობ, რაა ნიჭი,
ალბათ, გათვლა სიყვარულზე,

მე უშენოდ ისე მიჭირს,
მოდი, ტკბილო, მისასთუმლე!

ამირანია? გავძახი კლდეებს... (გალაკტიონი)

ასე მგონია რომ ცოტა დრო მაქვს,
რაღაც უცნაურ სულისკვეთებით,
ჩემსკენ დაძრულა მკვლელების ხროვა,
არბალეტებით და ხელკეტებით...
რომ მეთაურობს ამ მკვლელთა ბანდას,
ვიღაც დოქტორი შავი მაგიის,
და მოაგელვებს თავის ესკადრას,
ლუციფერივით, თითქოს, დაცინვით...
ივსება მიწა მკვდართა ცხედრებით,
ასავსავებენ სისხლიან ტუჩებს...
ნაცრისფერ კვამლით ხრჩოლავენ გზები,
და ეშმაკები ჩხრეკავენ ქუჩებს...
შორეულ ბანზე ვიღაც გადმოდგა,
ჩემიანია? გავძახე სივრცეს,
შენი მკვლელია, სივრცეს აღმოხდა,
გამოხუნებულ პერანგზე გიცნეს...
მარტო ვარ, ჩემს წინ შეჩერდა ხროვა,
ცხენის ჭიხვინმა გაჰკვეთა არე,
თუ სიკვდილია თავისით მოვა,
მოვა და ცივად დარეკავს ზარებს...
ზეცაში ხმები მართლაც გაისმა,
ყური მივუგდე სულ სხვა ხმებია,
ეს ღამე მოკლა თურმე აისმა,
მე კი მკვლელები დამსიზმრებია.

ყველაფერი შედეგია

ვგრძნობ თანდათან როგორ ვკარგავ,
ვკარგავ სურვილს, ვკარგავ სახეს...
დილიდანვე რატომ ამყვა,
შენზე ფიქრი, ეჭვით სავსე...
რომ სხვადასხვა მხარეს ვდგავართ,
ბარიკადი რასაც ჰქვია...
რომ მწვერვალზე სანამ ავალთ,
მანამ მოგვკლავს, ალბათ, ტყვია...
არა, არა, იქნებ, სულ სხვა,
იქნებ სულ სხვა რამეს ვდარდობ,
ძაფს გაწყვეტილს ჩემს წარსულთან,
აზრს, ვერავის რომ ვერ ვანდობ!!!
დაუცლიათ, დაუცლიათ,
ჩვენი ბროლის სასმისები,
სიყვარულში გაუცვლიათ
ტიტები და ნარცისები...
მე კი ფიქრსაც არვინ მაცლის,
სულ ფეხებში მედებიან,
ალბათ, მართლაც, ცხოვრებაში
ყველაფერი შედეგია...
მიკრძალავენ, მიკრძალავენ,
შენს მხარეზე გამოხედვას...
შენი კოცნით მოვიწამლე,

ხომ არ იცი რა მოჰყვება?

ნუ მელოდები

ნუ მელოდები, ნუ მელოდები,
ნუ მელოდები საქართველოში...
ნურც ანგელოზი ნუ გეგონები,
შენ რომ მოელი თეთრად შემოსილს...
ისიც არ ვიცი, მეპატიება?
შენთან შეხვედრა სულ უნებური,
დღეები დღეებს ისე მიება,
თითქოს ეშმაკებს ჰქონდეთ ფერხული...
ან როგორ ხდება, შენ ხომ ვერ მეტყვი,
თალხი რად ჭარბობს დღის სინათლეში?
რად მიაკარგა მზემ თავის ეტლი,
სად, ვის მივაგნო ამ ცივ ღამეში...
მითხარი, მკაცრად, ნუ გენანები,
დღეს სიძულვილი არავის უკვირს,
მეც მან ჩამავლო თავის ბრჭყალები,
და მოსანათლად მიმათრევს ჭუჭყში...
როგორ არა ვთქვა, როგორ არა ვთქვა,
რომ მე ჩირაღდნებს ვანთებდი თქვენთვის...
რომ არ მიმიღო მე ამ ქალაქმა,
რომ მეც გამცვალა იუდას ვერცხლში...

აქ მინდა მყავდე

ნეტა, სად არის, ნეტა, სად არის,
ვინც ახლა მინდა რომ ჩემთან იყოს...
თუნდაც პატარა თოჯინასავით,
გადაწვენისას დედას რომ ითხოვს...
ყველა დღე რაღაც სიმშვიდეს მტაცებს,
და მღელვარებას მმატებს წვეთობით...
აქ მინდა მყავდე, აქ მინდა მყავდე,
თორემ მოვკვდები უიმედობით...
ბევრი ვეცადე, ბევრი ვეცადე,
ვერ ავიცილე დანაშაული,
გაზაფხულივით გამომეცხადე,
ვით განაჩენი და სასწაული...
ვერ დაგპირდები, ვერ დაგპირდები,
ვერ დაგპირდები წითელ ხალიჩას,
გადამწვარია ჩემი მინდვრები,
და შენი სახეც მზემ ამახლიჩა...
ნეტა, სადა ხარ, ნეტა, სადა ხარ,
ზღვებზე ხომალდებს არყევს შტორმები...
მთვარემ ეს ბოლო ღამეც დამარხა,
ნაპირს ვტოვებ და გემშვიდობები...

გადავაგოროთ, მოდით, ომის დრო...

მე, ალბათ, ბევრის მჭირდება ხელი,
ბევრისგან მინდა მომეცეს ძალა,
მინდა ვიხილო ქვეყანა მთელი,
ქვეყანა მთელი და ოქროს ხანა...
მითხარი, თუკი ტვინი ჩემია,

როგორ მპარავენ, ნეტა, ოცნებებს,
სადღაც ჯურღმულში რატომ სტენიან,
ჩემს ამ საოცარ გასხივოსნებებს...
რაც იყოს, იყოს, გულიდან ვიგლეჯ,
ყველა ბალღამს და უიმედობას,
ყველა მტერს დღესვე შემოვირიგებ,
ყველას მივიღებ ძმად და მეგობრად...
ხანას თუ ვერა, ხანას თუ ვერა,
ოქროს წუთებს ხომ მაინც მოვიწყობთ,
ძმობის ხელს გიწვდით, ყველას, სულ ყველას,
გადავაგოროთ, მოდით, ომის დრო...

"აქ შემსვლელებმა იმედები დატოვეთ გარეთ!" დანტე ალიგიერი – წარწერა ჯოჯოხეთის კარიბჭეზე.

ნუ განმასხვავებ ნურავისაგან,
მე გთხოვ, ნურაფრით ნუ განმასხვავებ,
სულში იუდა თუ ჩამისახლდა,
ნუ მომკლავ და ნუ გადამასახლებ...
ისიც მეყოფა, ისიც მეყოფა,
წვეთი წყალივით რომ სხვებსა ვგავარ,
მეც ორეული გადამეღობა
და ზეცის ნაცვლად დაბლა ჩავყავარ...
ნუ მესარჩლები, ნუ მესარჩლები,
გამოსარჩლების მე რა ღირსი ვარ,
ჩამწვარა ყველა ჩემი სანთლები,
და ჯოჯოხეთის ჭერზე ვკიდივარ...
მე კი არა და, დასახსნელია,
ჩემამდე, ალბათ, ყველა, უკლებლივ;
წვანან, თავის რიგს წლობით ელიან,
წლობით და გადის საუკუნენი...
ნუ მომაკითხავ, რადგან იმედებს,
აქ შემსვლელები გარეთ ტოვებენ;
შენ, სამოთხეში არ მიგიღებენ,
რაც გავჩნდი, ამას მიმეორებენ...

თუ გიყვარდე

იმ ცასა და ამ ცას შორის,
ორი წუთის მანძილია,
შენც მიყვარდი, სხვათაშორის,
მერე, რა, რომ ჩავლილია...
თუ გიყვარდე, მაგ სუფრიდან,
ერთი კოცნა გადმომიღე...
მინდა, მინდა, მართლა, მინდა,
შენ რომ ჩემთან გადმოხვიდე...
მკლავი მკლავმა ჩაიხვიოს,
გაანათოს გული გულმა,
და თვალები აგვიხვიოს,
რა თქმა უნდა, სიყვარულმა...

ცა ახელს თვალებს

რატომ მივდივართ სხვადასხვა მხარეს,
ალბათ, რადგანაც გზები იყოფა;
ცა ახელს თვალებს, ცა ახელს თვალებს,

მზემ ვარსკვლავეთი შემომიღობა...
ამ მოწკრიალე მნათობთა შორის,
დაფარფატებენ ღამის პეპლები,
და მახსოვს, მახსოვს შენი ამბორი,
ცხელი ტუჩების ოდნავ შეხებით...
ვისი ბრალია, ვისი ბრალია,
გზები სხვადასხვა მხარეს მიდიან...
ამბორი? ალბათ, ნაპერწკალია,
მე და შენ ცეცხლად რომ გაგვიღვივდა...

მოსპეს ირმები

ბანალურია, მეც სხვებივით დავიწყო წერა,
შენ საქართველოვ, გახლეჩილო, და ამგვარები...
მართლაც, დასრულდა ყველაფერი, მოახრჩეს რწმენა,
მოსპეს ირმები და გადარჩნენ მხოლოდ დათვები...
ვიცი, ნათქვამზე ბევრი ვინმე შემედავება,
რომ ჯერ წინაა, სისხლიანი ჟამი ომების,
ხელის ჩაქნევა, რომ არაფრით არ მეკადრება,
რომ ჯერაც გვყვანან ვაჟკაცები, ლომთა–ლომები...
მაგრამ ეს ლომი თუკი რკინის გალიაშია,
მინახავს, როგორ აშინებენ ხელის აქნევით,
კაცმა ქვეყანა სასაკლაოდ გადააქცია,
და თავს შველიან ქართველები მხოლოდ გაქცევით...

რა გადაგვარჩენს? (მაკა მეტრეველს)

რა გადაგვარჩენს? ბევრი რამე, არ შეგაშინოს,
ამ ბოროტ დღეთა უგემურმა უამინდობამ...
ასე ყოფილა, თურმე, როცა ყვავი არწივობს,
და არწივები მათში ძნელად ამოიცნობა...
რა გადაგვარჩენს? სილამაზე შენში რომ ელავს,
როგორც გედების გადაფრენა მოწმენდილ ცაზე,
ნუ წუხ, ძვირფასო, შეგიძლია ახარო ყველას,
რომ ლხინში თასი ღვინითაა ყელამდე სავსე!
რომ ხერხემალში გადატეხვა ჩვენი ძნელია,
რომ ყველა მტერმა წაიტეხა ჩვენთან კისერი,
რომ სიყვარულზე ჩვენში ჯერაც გულით მღერიან,
რომ მეფეები სხვებსაცა ჰყავთ ჩვენზე შიშველი...
ჰოდა, დამიჯექ სუფრის თავში, მინდა დაგლოცო,
რომ ამ თასივით დაგეცალოს მტერი ვერაგი...
ხელი ვერავინ ჩვენს მიწა–წყალს ვერ შეახოცოს,
რომ ყველგან დახვდეს მას ირაკლის ჯაჭვის პერანგი!!!

რად მომანატრე თავი (ირმა აგიბას)

რად მომანატრე თავი,
სხვებთან აჰყევი ჭორებს,
მხოლოდ მოკითხვას ვგზავნი,
გადახვეწილო შორეთს...
რით ვერ გამოჩნდა ვინმე,
გადასდებოდა ცეცხლი,
შენ რომ გონებას გიბნევს,
ჩაფიქრებულს და შეცვლილს...
ყველას ჩვენ–ჩვენი გზა გვაქვს,

არ ვიხედებით გვერდზე,
მე თავი ჩემით გამაქვს,
და მეფიქრება შენზე...

რეკავს ზარები

უცნაურ ხმაზე რეკავს ზარები,
ვის მოუხმობენ, რას მაუწყებენ;
რომელ დროებებს ნაზიარებნი,
ვის უგზავნიან ღმერთის უწყებებს...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ ამ ზარების გაბზარულ ხმაზე,
ოდესღაც ათას დევს თუ გოლიათს,
უხმობდნენ ომის სისხლიან გზაზე...
ომი ომია, მაგრამ ვინ იცის,
ქორწილის დროსაც რეკდნენ ზარები,
და გადიოდა ბედის ბილიკი,
კლდეზე, რომელსაც ჰქონდა ბზარები...
ჩვენ ყველას, ყველას ერთი ბედი გვაქვს,
კავლასიონზე მიჯაჭვულების,
რით ვერ გვეღირსა, რით ვერ გვეღირსა,
ამაყად ძგერდნენ ჩვენი გულები!!!

ნეტა არ გეთქვა

ნეტა, არ გეთქვა, ნეტა, არ გეთქვა,
ვისი ცოლი ხარ, ვისი ერთგული...
მეგონა ტვინში სისხლი ჩამექცა,
ბოლო დღეებში დაგუბებული.
რას ვაშავებდი, ლექსებს გიწერდი,
ვითომ მიყვარდი, ვითომ ვდნებოდი...
ბარტყივით ბაგეს რატომ მიღებდი,
სიყვარულს რაღას მეფიცებოდი...
კი, ვიცი, შენთვის რომ ადვილია,
გადაერთვები ათას რამეზე...
ცას გაჰკივიან, ცას გაჰკივიან,
კვირიონები ტრფობის ჰანგებზე...
წავედი, იმათ შევუერთდები...
მაინც მიყვარდა ცაში ნავარდი...
როგორ ვერ ხვდები, როგორ ვერ ხვდები,
რა საოცარი გრძნობა წამართვი...

ჩვენ კი ვინა ვართ

ვის შერჩა გული ამ ქვეყანაში,
ალბათ, ერთი–ორს, იქნებ, არც იმათ...
ვინც ქარი სთესა თავის ყანაში,
იმკის ქარიშხალს, სეტყვას და გრიგალს...
ჩვენ კი, ვინა ვართ, აღარც ეს ვიცით,
ვუმზერთ სულელურ, ცოდვილ სახეებს,
ამოთხვრილები ყელამდე სისხლში,
ჩვენ, აბა, როგორ შეგვაფასებენ!!!
ბედმა გაგვყარა
ბედმა გაგვყარა, ბედმა გაგვყარა,
მაგრამ ვერაფრით რომ ვერ გეშვები?

შენსკენ მოვიწევ ისე აშკარად,
როგორც აფრიკულ სპილოს ეშვები...
რა არის ჯიში, რა არის სისხლი,
სად არ იპოვის თავის ახლობელს...
გადამივიწყე, მე არ დაგიშლი,
თუ საქართველო დაგიმახსოვრებს...
ვწვები, წარსულის საბანს ვიხურავ,
ღია დავტოვე ისევ სარკმლები,
ყველამ კარები გამომიხურა,
ნუთუ, აღარც შენ ჩამისახლდები...
არ ვემზადები მე სამომავლოდ,
გამოცვლილი მაქვს მაგის კბილები...
ჩემს გამოფატრულ აწმყოს ვქომაგობ,
თუმც, ვიცი, მაგრად ვესიკვდილები...
ისევ და ისევ, ისევ და ისევ,
საკუთარ ტყავზე მინდა ვიწვნიო...
მიწის ტკივილი გავითავისე,
მაშ, სხვამ აკვანი რად დამირწიოს...
არ მინდა ვენდო, არ მინდა ვენდო,
ტოლერანტობას ვინც დამკიჟინებს,
სხვისგან იმდენი რამ გადამედო,
თავი ვერაფრით ვერ დავიძვრინე...
მართლაც, ვინ აღარ შემომიყარეს,
ვერ ვცნობ ნაცნობებს, ვერ ვცნობ ახლობლებს,
ცოტაც და ალბათ ისე ვიბღავლებ,
ზეცაში ღმერთსაც კი შეაშფოთებს...

ალბათ

შენ არ გინახავს, შუა ზამთარში,
სულში ყველაზე მეტად რომ ყინავს,
გაგეღვიძება თავშესაფარში,
დიახ, რადგანაც აღარ გაქვს ბინა...
გაგეღვიძება და სარკმელს იქით,
ნახავ პეიჟასს უულამაზესსს,
მინდვრებს მოხატულს უთეთრეს ფიფქით,
ქალწულებივით დაბარდნილ ნაძვებს...
წამსვე გაგივლის ყველა ტკივილი,
თითქოს მსუბუქი ხდება ჰაერი,
თავს გრძნობ ზეცაში აფრენილივით,
ხარ ბედნიერი და საყვარელი...

ყველგან შენი ციხის კედლებია

რაღაც იმპულსური შთაგონებით,
იცი, შენზე მქონდა გარეკილი...
ზღვაში ჩამავალ მზეს მაგონებდი,
ჩემი კონცხი იყავ დამეწყრილი...
დღემდე მაინც შენსკენ მეწევიან,
ყველა ხვეულები ფანტაზიის,
ყველგან შენი ციხის კედლებია,
თუმცა, ვისჯებოდი არაფრისთვის...
ისევ უცნაურად ანათებენ,
ჩემსკენ მოდრეიფე მედუზები,
ვიცი, ყველა შენ რომ გამართლებენ,

გახდნენ ახლა შენი ერთგულები...
ყველგან ეშმაკების ტაძრებია,
თითქოს, საიქიო არ ჰყოფნიდეთ,
მე კი სიყვარული დამკლებია,
ჰოდა, შენთან მინდა გადმოვიდე...

რა გაეწყობა

შენ, ალბათ, ჩემში დასაყრდენს ეძებ,
მე შენში ვეძებ რატომღაც ჩემ თავს...
და როცა, თითქოს, გავფანტავ ეჭვებს,
ახალი ეჭვი მოვა და შემჭამს...
შემოიხედე, შემოიხედე,
ჩემს სულში დღემდე დაძრწის ქარები,
მე ვაგროვებდი შენთვის იმედებს,
სადაც მთებია და ნაკრძალები...
მე ვაგროვებდი შენთვის სურვილებს,
და ღამღამობით სანთლებს ვანთებდი,
და მინდა, მინდა, რომ გავუფრთხილდე,
სიყვარულს ზურგით რომ მოვათრევდი...
ახლა კი რადგან ბედის ზარები,
სიკეთის ნაცვლად იმუქრებიან,
და იმედებიც ნაწანწალები,
ცრემლებს ღვრიან და იფუფქებიან...
შენ მაპატიე, ყველა შეცდომა,
გზად უნებურად რასაც ვუშვებდი,
რა გაეწყობა, რა გაეწყობა,
ახლა, რომც ვცადო, არ მოტყუვდები!!!

რა ვუპასუხო

მგონი ცხრაასჯერ ავიდგი ფეხი,
და სიარული კი ვერ ვისწავლე,
ჩემს ფეხისგულებს ყინვით დახეთქილს,
ვერ ვუპატრონე, ვერ შევიცვალე...
სამდურავს შენ რომ თვალებით ამბობ,
რა ვუპასუხო, რით გავაჩუმო,
მე ხომ ტკივილი გულს მიკლავს ამ დროს,
სიმწრით კი ლამის ზღვა გადავცურო...
სამეფო დარბაზს ოქროს ჭაღები,
აჩირაღდნებენ, აკაშკაშებენ,
ვერცხლისფერ ორკესტრს რიტმში აჰყვები,
და ვარსკვლავები თვალს მოგტაცებენ...
რამდენი რამე ვერ ამიხსნია,
ამ დილით ისევ ფოცხვერს მოჰგავდი,
ძვირფასო, იცი, ტუჩზე სისხლი გაქვს,
თუ ნებას მომცემ აგილოკავდი...
არ მჯერა თითქოს თვალსა ხუჭავდე,
ნაკლზე, რომელიც ნაკლი არც კია...
შენი ეჭვები მე დამღუპავენ,
შენი უარი შუბლზე მატყვია...

შროშანს ჰგავხარ

შროშანს ჰგავხარ, შროშანს ჰგავხარ,

ნაკადულში სველი თმებით...
მკერდში ალი ჩამისახლდა,
სულსა სწიწკნის გამწარებით...
გელოდები, გელოდები,
რომ ამოხვალ მალე წყლიდან,
რომ მშიერი შენი მგლები,
ცეცხლსა ჰყრიან თვალებიდან...
რამდენ რამეს მპატიობდი,
რამდენ ტკივილს, რამდენ ცოდვას,
შენს სხეულზე დავდიოდი,
შენ კი სიტყვაც არ წამოგცდა...

მაინც ცოდვები მოგვიღებს ბოლოს

ნუ შეეცდები სულს წინ აღუდგე,
ნუ შეალეწავ ფრთებს უმიზეზოდ,
ნუ, ნუ დაუშლი სულს სიჭაბუკეს,
გაუშვი, როცა სურდეს იფეთქოს...
იცი, ვერაფრით ამომიხსნია,
ვინ დაუწესა სულს კანონები,
მართლაც, რამდენჯერ გამომიხსნია,
დამძიმებული სული ცოდვებით...
ისე, ყველა გზა ცოდვისკენ მიდის,
მაინც ცოდვები მოგვიღებს ბოლოს...
სხეულში ყველას ეშმაკი გვიზის
და ცდილობს სული დაიახლოვოს...
და მეც მგონია, მართლა, მგონია,
რომ სული არის უკიდეგანო,
რომ ის ვინც არღვევს ამ ჰარმონიას,
ცდილობს, როგორმე, სული შეცვალოს...
განა მე მინდა, განა მე კი მსურს,
ჩათრეული ვარ ცოდვის მორევში,
გინდა, ძვირფასო, გაჩუქებ ჩემს სულს...
ოღონდ დამტოვე, ოღონდ მომეშვი...

ბედნიერება

ასე მგონია, ვცხოვრობ სხვა დროში,
აქ კი, უბრალოდ, გადმომისროლეს,
ვერ გავერკვიე, ვის, რატომ ვკოცნი,
რატომ ვასრულებ დღემდე სხვის როლებს...
ვის სად ვხვდებოდი, ვის სად დავდევდი,
ვისთან რამდენი ყანწი დავცალე...
ვისთან ვწვებოდი, ვისთან ვათევდი,
ან ვინც მიყვარდა, ვისში გავცვალე...
მართლაც, რა არის ბედნიერება,
ვიცით კი სადაც უნდა ვეძებოთ?
როგორც ყორანი ვერ გათეთრდება,
დღემდე დავეძებ მას უშედეგოდ...
ვერ მოიხელთებ, ვერც გააჩერებ,
ძვირფასო, ყუთში დროს ვერ ჩაკეტავ...
ბედნიერების მხოლოდ ნამცეცებს
გვიყრის დრო, ალბათ, და ჩვენც მას ვკენკავთ...

როგორც ირემი

როგორც ირემი, ვარ შემართული,
დრომ ისევ ისე ცას შემატოვა,
ავაზასავით კლდის ქიმს გართხმული,
გამზადებული გადასახტომად...
სად მწვერვალები მარადიული,
გაბრწყინებულან თოვლის აფრებით,
და ჩანჩქერები თავგანწირული,
კლდეებს ესხმიან სხვა გააფთრებით...
აქ მთები იღებს ძლიერ აკორდებს,
და ყველა ღმერთი თანასწორია,
გადმოხეთქილი წყლები აცოცხლებს,
ველური ხმების ამ სიმფონიას...
შენ ხომ ვერ მეტყვი, მიწას რა შვენის,
მიწას ოდესღაც ლომთა დატორილს,
როცა მწვერვალებს ცაში გაფრენილს,
გამოაცოცხლებს ირმის ნახტომი...

ყველას არ ენდო

არის დღეები, როცა ზეციურს,
ელი სიტკბოს და გასხივოსნებას,
უსმენ მოცარტის მუსიკას ღვთიურს,
ჰანგი სხივებით რომ იმოსება...
და რეალიდან ირეალურში,
ისე გადახვალ ვერც კი გაიგებ,
დრო ბოლოს ყველას ნიღაბს ჩამოხსნის,
და ჯილდოებსაც ჩამოარიგებს...
მას ვისაც ეკლის გვირგვინი ერგო,
სხვა გვირგვინებზე არ უფიქრია,
ყველას არ ენდო, ყველას არ ენდო,
პირზე გკოცნიან და ძირს გითხრიან...
და ყოველივე თუ ნათელია,
არაფერია აქ საკამათო,
სანთლები ქრისტეს გზას გასცქერიან,
თუმც ომი გველის უშეღავათო...

მიყვარხარ

მიყვარხარ, მინდა სხვებსაც უყვარდე,
მეცილებოდნენ შენს სიყვარულში,
მე კი ამ გრძნობას რომ გავუმკლამდე,
გავრბოდე სადღაც გადაკარგულში...
გაგიჟებული, გახელებული,
ვიგებდე ომებს უთანასწოროს,
შენც ცოფშეყრილი შეყვარებული,
ჩემზე ფიქრობდე მხოლოდდამხოლოდ...
იდგე ხატის წინ სანთლებით ხელში
და ბუტბუტებდე ლოცვებს უმანკოდ,
ვმეორდებოდე მე შენს სიტყვებში,
მთვლიდე ვაჟკაცად, მთვლიდე უნაკლოდ...
მე კი მეფეთა შთამომავალი,
ქაჯთა ციხეებს ვამტვრევ–ვამსხვრევდე,
და მოვფრინავდე შენსკენ ფრთამალი
მერნებით ყოველ განთიადებზე...

მიყვარხარ, მინდა ყველამ იცოდეს,
მინდა ჩემსავით სხვებსაც უყვარდე,
მე ხელისგულზე გიდებ სიცოცხლეს,
და ვშლეგიანობ შენს პასუხამდე!!!

გახსენი გული გადაკეტილი

გახსენი შუბლი, გახსენი სახე,
გახსენი გული გადაკეტილი...
მოვა ცხოვრება ისევ სისხლსავსე,
ლამაზი, მშვიდი, სუფთა, კეთილი...
არ დაიჯერო, არ დაიჯერო,
რომ ყველაფერი ბოლოს წყალს მიაქვს...
მინდა გიშველო, მინდა გიშველო,
შენსკენ მოვყვები, ყველა განთიადს...
რაა სიკვდილი, ერთი ნაბიჯი,
ალბათ, არცა ღირს სალაპარაკოდ,
სიყვარულისთვის, სილამაზისთვის,
გნახავ და სადმე გავინავარდოთ!!!

რას მეტყვი ახალს

ყველაფერს, ალბათ, თავისი დრო აქვს,
დღეს ხსოვნას მარხავს სევდის ნამქერი...
რას მეტყვი ახალს, რას მეტყვი ახალს,
თუ აღარ ხდება აქ არაფერი...
ჰო, არასწორად შეჩერდა წამი,
ისევ რექვიემს რეკს აკორდები...
როგორც ლოყაში ცხელი ლაწანი,
მოკლულ მტრედივით მომაგონდები...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
დრომ შენც გამოგკრას მიმინოს ბრჭყალი,
და შენი, მშვიდი, თეთრი სახიდან,
გაქრეს სინაზის ყოველი კვალი...
მას ვერა ჯავშნით ვერ შეებმები,
ყველას ამარცხებს ეს მანიაკი...
და კატაფალკის შავი ცხენებით,
მოემართება ჩვენსკენ წყვდიადი...

კარის პოეტებს

ის რაც დღეს ხდება, რაც სულს აშფოთებს,
თითქოს სხეულზე ტოვებს ნაჭდევებს,
მერჩია სულაც სული არ მქონდეს,
რადგან სულშიაც შემოაღწევენ...
როდემდე გასტანს, როდემდე გასტანს,
ეს უგუნური ვაკხანალია,
თითქოს გამაკრეს ბეჭებით ტატამს,
სული ტირის და მტერს უხარია...
ვიცი, შენ ერთი მაინც გამიგებ,
რად შევეხიზნე ამ ცივ უდაბნოს,
ძვირფასო, სული ამომარიდეს,
ბულბული ვარ და მკვლელებს ვუგალობ...
იქნებ როგორმე, იქნებ როგორმე,
გველივით ქერქი გამოვიცვალო...

ყველა ცოდვანი ჩემს წინ მოგროვდნენ,
რომ განაჩენი გამომიტანონ!!!

არმაგედონი

როგორ ჩავაქრო, როგორ ჩავაქრო,
როგორ ჩავაქრო სულში ხანძარი,
ასე მგონია მტერმა დამასწრო,
გულში დამჭრა და ვერ გავასწარი...
ბევრმა არ იცის, ბევრმა არ იცის,
რას ნიშნავს სულის არმაგედონი,
როცა ცეცხლშია ირგვლივ დაისი,
შენში კი უკვე მოკლეს მებრძოლი...
როდესაც შენი ნერვის ძაფები,
ყველა უკლებლივ მტრების ხელშია,
საკუთარ თავს რომ ვერ ენახვები,
როცა შენც ცეცხლში ყოფნა გერჩია...
ასე ნელ–ნელა იწვება სული,
და ხარობს მტერი ტყვიის ჯერებით,
გადამწვარია აწმყოც, წარსულიც,
მეც ვკვდები შენი გადამტერებით...

მართლაც რა მინდა

ეტყობა ისე გადაგეჩვიე,
თვითონ არ ვიცი, მართლაც, რა მინდა...
ის დრო წავიდა, სხვებს რომ მერჩიე,
ის დრო წავიდა და გადავიდა...
ასე მგონია, ზიზილ–პიპილებს,
ნამდვილ გრძნობებზე მეტი ფასი აქვს,
ან რას მიხვდები თუ რას გიპირებს,
ბედი, რომელიც ასე თარსია...
რას ვატყობ, იცი, ხალხს სიკეკლუცეს,
რომ ყველა რაღაც როლსა თამაშობს...
შენ არ შეგშურდეს, შენ არ შეგშურდეს,
ვინც, ან რაც უნდა შემომთავაზოს...
რადგანაც, ალბათ, ყველა დაეძებს,
ყველა დაეძებს ერთი–მეორეს...
ღიმილს ვერ ვამჩნევ მე შენს ბაგეზე,
ნუთუ, უჩემოდ იხდი დღეობებს...

მაღლა ცაში მთვარე ცურავს

მაღლა ცაში მთვარე ცურავს,
დაბლა ზღვაში გემები,
ჩემს ეზოში გადმოსულან
შენი ქრიზანთემები...
შეპარვია შენს წერილებს
შემოდგომის სიყვითლე,
მე კაბაზე შეგეკითხე,
შენ კი სხვა გაიფიქრე...
დამწიფებულ ყურძნის მარცვლებს
დროზე უნდა დაწურვა,
ჩემი ერთი კოცნა გმართებს,
ზედ ეგ მკერდიც სასთუმლად...

გარღვეულა ვარდის ბაღთან
ღობე მე რომ დავწანი,
შენ რომ სტუმრად გოგო გყავდა,
რატომ არ გამაცანი...

ნუ, ნუ დამცინებ!

შენს ბავშვურ, ნაწყენ, გაბრუნჩულ ტუჩებს,
ატყვია ჩემი კოცნების კვალი,
რად გამებუტე, რად გამებუტე,
რაც გულში მედო მე ის გითხარი...
ვერ შევიცვლები, რაც უნდა ბევრი,
მლანძღო, მთათხო და თითი მიქნიო,
ვარ შენი ფიქრის ლამაზი ფერფლი
და თავზე მინდა გადმოგეფრქვიო...
ვიღაცა იტყვის, რომ სიყვარული აღარ არსებობს,
რომ ძველ დროს გაჰყვა,
მე კი მჭირდება ის საარსებოდ,
როგორც ზღვებს ყველა ახალი ტალღა...
ვერც ვიტყვი, ნეტა, მაქვს კი უფლება,
მიყვარდე, როგორც სატრფო რომეოს,
მითხარ, ვინ მომცემს ამ ფუფუნებას,
ასე მგონია ბოლო მომეღო...
ნუ, ნუ დამცინებ, თუკი შენს გამო,
ყველა ცოდვაში დამედო ბრალი,
რომ თითქოს ქვევრი ჩამომეცალოს,
ვარ არეული, ლოთი და მთვრალი...

მართლაც...

სადა მთავრდება, სადა მთავრდება,
ნეტა, სადაა სამყაროს ბოლო,
სწორედ იქ მინდა გადასახლება,
აქაურობა რომ მივატოვო...
სწორედ იქ სადღაც დასალიერში,
მართლაც, ვერავინ რომ ვერ მომწვდება,
სადაც სილურჯე გადადის თეთრში,
და ცრის წვეთები რბილ აკორდებად...
სადაც ჩემს სატრფოს გამოვიგონებ,
და გავაცოცხლებ ჩემი ნეკნიდან,
მას მივუძღვნიდი ჩემს ცხელ სტრიქონებს,
და ისიც ჩემგან რაინდს შექმნიდა...
იქ რეალურ და ირეალურში,
გამოვუხმობდი გარდაცვლილ ტიტანთ...
ჰო, გადავცვლიდი იდეალურში
ამ ბილწ სიცოცხლეს, რასაც დღეს ვიტანთ...
მართლაც, როდემდე ქაჯთა ჭენება,
აღვირახსნილი მხედრების დოღი...
ვიღაც თავსა სთვლის აღმაშენებლად
და სისხლიანი დროშებით მოდის...

ვერ ამოვავსე

მე მუდამ ვუსმენ შენს გულისცემას,
მონოტონურად ჟღერენ დარტყმები...

იცი, მიყვარდა შენს სულში ცქერაც,
ვიყავ მსაჯული შეუბრალები...
დღეს, თითქოს, ტაძრის ღია კარიდან,
ანგელოზების მესმის გალობა,
და ვფიქრობ ჩემთვის, რა გამოვიდა,
თუკი ყველაფრის მჭირს უკმარობა...
ვერ ამოვავსე, ვერ ამოვავსე,
ეს საწყაული აღუვსებელი...
მწყრალად ვიყავი მუდამ მორალზე,
უსასტიკესი მყავდა მხლებელი...
და თუ მოველი მე გათენებას...
რომ გადავშალო ხსოვნის ფურცლები,
დაკარგა შენმა მკერდმა მშვენება,
მეც მივდივარ და სხვას ვეუფლები...

ნუ გაუწყრები

მოდის დროება საოცრად მკაცრი,
შენ კი, როგორც ჩანს, გული გაგიტყდა...
მთვარე ვარსკვლავებს აცმევს და ვარცხნის,
მოსაღამოვდა, მზე გადავიდა...
ნუ გაუწყრები, თუ არ უყვარხარ,
მას, ვისაც შენი სული აჩუქე,
რა იცი, იქნებ არ გაუმართლა,
ბევრი მტრები ჰყავთ ნამდვილ ჭაბუკებს...
ნუ დაღონდები, ნუ დაღონდები,
დღეს, მგონი, სიკვდილს მეტი ფასი აქვს,
რადგან მომრავლდნენ ყველგან მონსტრები,
და მგლებსაც კრავის ქურქი აცვიათ...
რით განუგეშო, თვითონ ნუგეში,
მჭირდება, როგორც ბავშვებს დედები...
სიცოცხლეს ვყავარ მეც მარწუხებში,
და მის ღორღიან გზებს ვეხეთქები...
ბევრი ვეცადე, ვერ მოვამტვრიე,
ღამეს თავისი შავი ეშვები,
დავუმეგობრდი ისევ არწივებს
და მათთან ერთად ციდან ვეშვები...
შენ ხშირად იცვლი, ვიცი, ტაქტიკას,
რომ ეს დღეები გაიხალისო,
იცოდე, მე დღეს არავინ მიყვარს,
მე აღარ მინდა კიდევ გავრისკო...
თუ გსურს, შეგხვდები, რაც იყოს, იყოს,
ჰოდა, უბრალოდ, მოგეფერები...
თუკი, მექნება რამე გაგიყოფ,
არ დამანახო, ოღონდ, ცრემლები...

მართლაც ტკბილია

მიყვარხარ, არა მხოლოდ იმიტომ,
რომ ლამაზი ხარ და ღიმილს აფრქვევ,
არც ეს სიტყვები შენ არ მიიღო,
თითქოს ვმალავდე მათ უკან სათქმელს...
ვარდისფერ ტუჩებს აქვს თავის გემო,
ლილისფერ ტუჩებს სულ სხვა გემო აქვს,
მე ის ფუჟერი მსურს გავიხსენო,

ძილის წინ შენ რომ ცივად შემოგაქვს...
მართლაც, ტკბილია ალუბლის წვენი,
თლილი თითები თუკი გიწვდიან,
თან თუ ქალური კდემით იწვები,
თუმცა, უარიც არ შეგიძლია...
არ დამიჯერო, არ დამიჯერო,
მეუბნებიან შენი თვალები,
სადა მაქვს თავი, რომ გეპირფერო,
აი, ვიპოვე შენი ხალები...

ვის, ვის დავეყრდნო...

როგორ ვუშველო, მე დღეს რაცა მჭირს,
როგორ ვესროლო მტერს ხელთათმანი...
ის არ დამაცლის, ის არ დამაცლის,
შემომსევია კალიასავით...
რად დააქროლებს აღვირახსნილი,
ჩემს მიწა–წყალზე თავის ჯალათებს?
ჩემი ბუნება ასე გახსნილი,
მის სისასტიკეს ვერ ითამადებს...
თითქოს რომაულ დროში დავბრუნდით
და მალემსრბოლი დაქრის მუქარით...
ისმის ქვითინი, გრძელი, გაბმული,
კუბოს აჭედებს ჭირისუფალი...
ამდენი ცრემლი, ნეტა, სად ჩადის,
რომელ ზღვაში და ოკეანეში...
მორყეულია ფუძე ტაძარის,
ვის, ვის დავეყრდნო ამ სიავეში?

ვერ შევიცვალე

შენთან დავბრუნდი, შენთან დავბრუნდი,
შენს წინ ვდგავარ და ხელ–ფეხს ვაწვალებ...
ღამეა, ციდან ვარსკვლავთა გუნდი,
ასე მგონია ჩვენ გვითვალთვალებს...
მაშინებს შენი გამჭოლი მზერა,
ვიცი, საცაა უნდა ატირდე...
მთვარემ პირჯვარი გადაიწერა,
შენ რომ ბრალდების თქმა დააპირე.
მე კარგად ვიცი, რისი ღირსიც ვარ,
როცა ყვავივით სადღაც ვეჩრები...
ვერ შევიცვალე ერთი მისხლითაც,
თუმც ბობოქრობდნენ ჩემში ეჭვები...
არავინ დარჩა გზა რომ მასწავლოს,
და მეც მერევა ხშირად ბილიკი,
იცი, არ მინდა ცილი დამწამო,
რასაც შენ ამბობ, იყო პირიქით...
შენ ვერ შენიშნე, შენ ვერ შენიშნე,
მთვარეს შერცხვა და ზღვაში ჩავიდა...
მე დავიხარე შენი მკერდისკენ,
შენ კი წამოგცდა, არა, არ გინდა!

სევდა

სევდა, რომელიც მხრავს

ყველგან ძაღლივით მდევს,
რა, რა იქნება ხვალ?
მეც ვეკითხები ბედს...
ვეღარსად მოკრავ თვალს
ცად მოთამაშე მტრედს,
ჩაგიხერგავენ გზას,
დაგახვედრებენ მტრებს...
ნეტა, რამდენი ღირს,
ეს დრო, რომელიც კლავს...
ცხელი ქარები ქრის,
ჟამიანობის ჟამს...
წავალ, გავყვები მგლებს,
მათ ვამჯობინებ ხალხს,
დროს, შხამიანს და ჭრელს,
უფსკრულს, ზვავსა და ხრამს...

იმ არწივებმა გადაიფრინეს

მე მომეჩვენა რომ ჩემზე ფიქრობ,
როგორც ნაყოფზე ფიქრობს ყვავილი,
ბევრ დროს ნუ მითმობ,
ბევრ დროს ნუ მითმობ,
მე წერას ვყავარ დღეს ატანილი.
და ამიტომაც ვერ დაგპირდები,
რომ აგაცილებ ყველა ტკივილებს...
მოკვდა ის ძველი თავგანწირვები,
იმ არწივებმა გადაიფრინეს...
გაუფასურდა, გაუფასურდა,
ის, რაც ოდესღაც იყო ძვირფასი...
მგონი, გრძნობებით თრობაც დასრულდა,
და სიყვარულიც გახდა მირაჟი...
დრო ფული ღირსო, დრო ფული ღირსო,
ჩამჩიჩინებენ კარგა ხანია...
ისე, მეც მინდა ჯიბე გავივსო,
მაგრამ, შენც ხედავ, არა მცალია...
არ დაიჯერებ, მაგრამ მგონია,
რომ სახლიდანაც გამომაგდებენ,
მოსწავლესავით მთხლეშენ ორიანს,
და ტუსაღივით ბრალსაც დამდებენ...
მართლაც, ნეტა, ვის, რაში ვჭირდები,
უსიყვარულოდ კოცნაც არ მინდა...
რა ყვავილები, რის ყვავილები,
რა რომანტიკა, რის რომანტიკა...

ჩემი მინდვრები ისევ მინდვრობენ

ცაზე ღრუბელი ღრუბელს მიჰყვება,
მიწას ალბობენ მსხვილი წვეთები,
ეგ ლურჯი კაბა ისე გიხდება,
როგორც მზეს თავის აფეთქებები...
რად ირხევიან, რად ირხევიან,
გაყოლებაზე ჩემს წინ ფიჭვები...
ან ირმებივით რატომ ფრთხებიან,
შენს კანზე ჩემი ცხელი თითები...
ვერ ვხვდები, რატომ ვეღარ ვკითხულობ,

შენი თვალების იქით ვერაფერს...
ან იმედები რომ ავისრულო,
შენ, ალბათ, სწორედ, თვალებს შემაჩვევ...
ჩემი მინდვრები ისევ მინდვრობენ,
სადაც ზაფხულის დაძრწის ალები...
არ დაგინდობენ, არ დაგინდობენ,
არ დაგინდობენ, ჩემი თვალები...

დაო მარიამ

ვერ ვგრძნობ დღეობებს, ვერ ვგრძნობ დღეობებს,
არც ძველებურად არ მიხარია...
ავანთებ სანთელს და ვიმეორებ,
მე შენ გიხილე, დაო მარიამ...
მე შენ გიხილე უამრავ ხატზე,
გაბრწყინებული შარავანდედით...
მთებში ჩამავალ მთვარეს გამსგავსე,
გადაღლილი და ნაფერმკრთალები...
მე შენ გიხილე, თითქოს, დარდისგან,
ხელით მოაჯირს ჩამოყრდნობილი...
თეთრად შეღებილ ტაძრის აივანს
გადაჰყურებდა შენი პროფილი...
მე ისევ ველი შენგან წყალობებს,
და თუ ვარსებობთ, შენით ვარსებობთ...
თითქოს ზეციურს ვუსმენ გალობებს,
გთხოვ, გაგვიბრწყინო ქართვლის სამეფო!!!

მეც მიყვარდი ძალიან

ჩემთან ჯერაც თოვლი ბარდნის,
შენთან ისევ დარია...
კარგად მახსოვს რომ გიყვარდი,
მეც მიყვარდი ძალიან...
მეც მიყვარდი, როგორც უყვართ,
ღმერთებს ანგელოზები...
შენს სახელზე გაიფურჩქნა
ბაღში ატმის ყლორტები...
ჩამოსული ციდან მთვარე,
დაგეძებდა ამაოდ...
შეყვარებულს გავეყარე,
მითხრა, დარდუბალაო...
შენ ამ სიტყვას არ მეტყოდი,
სხვა ღვინით ხარ დამტკბარი...
ჩემს კოცნაზე ისე თრთოდი,
ვით დანის ქვეშ ბატკანი...
შენდა ჭირად გავჩენილვარ,
ვერ მიპოვე შემცვლელი...
რა სისწრაფით გაფრენილან,
უკან ჩვენი მერცხლები...

ვიცი საფლავში არ ჩამომყვები

ისე მომბეზრდა სულყველაფერი,
მინდა, რომ წლები სწრაფად ჩამთავრდეს...
ცხოვრება, როგორც ცივი კარცერი,

ყველა სიკეთეს შემომაფლანგებს...
ხომ არ ვტყუვდები, ხომ არ ვტყუვდები,
რომ ვეძებ შენში უმანკოებას...
ყველა ჩვენგანში დგება წუთები
როდესაც ერწყმი უსაზღვროებას...
ძვირფასო, მითხარ, რა მომიტანა,
იმ გატაცებამ შენ რომ მაჩუქე...
ვერ გამოვდექი მე შენს ტრისტანად,
გაფრენილიყო ის სიჭაბუკე...
ცვდება სიტყვები, ცვდება გრძნობები...
ზოგნი მიდიან, ზოგნი მოდიან...
ვიცი, საფლავში არ ჩამომყვები,
თუმც, ტრაგედია წასვლა როდია...
ბევრად მძიმეა დღეს აქ დარჩენა,
ჭკნება ლარნაკში თეთრი ტიტები...
შენს ბროლის მკერდზე დამრჩა მარჯვენა,
წავიღებ როცა დაგავიწყდები...

მრისხანება

რად გვიკრძალავენ, რად გვიკრძალავენ,
რატომ გვართმევენ თავისუფლებას!!!
სხეულს ორას წელს ნაგრიგალავებს,
დაღი დაასვეს ისევ ხუნდებმა!!!
თითქოს მთებიდან მოსწყდნენ ზვავები,
რომლებსაც მიწა ვერ უმკლავდება...
და როგორც ცხედრებს ფლედნენ სვავები,
მკვდრეთით აღმდგარა დღეს მრისხანება!!!
რატომ ჰგონიათ, რატომ ჰგონიათ,
რომ ქარიშხლებიც მაგათ ხელშია,
რომ მათ ხელშია მონოპოლია,
და თუ დასჭირდათ ტყვიებს გვესვრიან!!!
ჩვენს მტერს არა აქვს, ხალხო, ნაცია,
ის ურჯულოა, როგორც ყოველთვის,
მას სისხლიანი ჯვალო აცვია,
ახალ ტრიუმფსაც სისხლით მოელის!!!
და თუ აქამდე მალავდა ამ სისხლს,
დღეს ყველამ ვიცით, რომ შიშველია...
აღსდგება ხალხი, აღსდგება ხალხი,
და მიანგრევენ მის იმპერიას!!!

ხასიათი

მე მეგონა მე გიყვარდი,
შენ კი თურმე სხვა გიყვარს,
ჩემთან, ისე, დროს იყვანდი,
სხვათაშორის, ხანდისხან...
ვერ გავიგე, ნუთუ მართლაც,
შეიცვალნენ ქალები...
შენ ღალატი დაგემართა,
მომწვდა შენი ბრჭყალები...
ეს ხომ რბილი ნოტებია,
მე კი ველი აკორდებს,
ეგ თვალები მონსტრებია,
მე რომ ასე დამკორტნეს!

ვიცი, ვიცი, შენც გამწირე,
უკვე შენი მსხვერპლიც ვარ...
საფლავამდე მიმაცილე,
ვითომ შეგხვეწებივარ...
არ დამინდო, არ დამინდო,
მე რა დასანდობი ვარ...
მგონი, წვიმამ გადაიღო,
დამელოდე, მოვდივარ!!!

არ დამიჯერო

არ დამიჯერო, არ დამიჯერო,
რომ გითხრა, თითქოს, ხარ ერთადერთი,
რომ შემიძლია გადავიმტერო,
შენს გამო მთელი ოკეანეთი...
რომ ატმის რტო ხარ აყვავებული,
და სურნელებას ბაღივით აფრქვევ,
როგორც დედოფლის თმები შემკული
ბრილიანტების გვირგვინით თავზე...
რომ შემოგცქერი, როგორც ღვთაებას,
და რომ შენს იქით არის წყვდიადი...
რომ როცა გნახე ენა დამება,
და შეხვედრამდეც უკვე მიყვარდი...
რომ შენს ეზო–კარს ისე ავიკლებ,
როგორც რაინდი კაფავს მტრის რიგებს,
რომ მთელ სამყაროს ფეხქვეშ გაგიგებ,
და შენთან ერთად მოვიჯირითებ...
ნუ დამიჯერებ, ნუ დამიჯერებ,
რომ სილამაზე მგვრის აღტაცებას,
ბოლოს ხომ მაინც ქალნი ირჩევენ,
რადგან თქვენ ჩვენი აღარა გჯერათ...

შეგიყვარებდი (მაია მაიკოს)

შეგიყვარებდი, რომ ვიცოდე, სხვისი არა ხარ,
ეს რომ ვიცოდე, უეჭველად შეგიყვარებდი...
თორემ ჩემს ბაღში სიყვარულის ყლორტი გადახმა,
და მის ყვავილებს გაფურჩქნიდნენ შენი მკლავები...
თუმცა, ვინ იცის, ვის ნებას და სურვილს არწყულებ,
და რომელ ნავით მინანავებ ზღვაში ვნებების...
რა ვქნა, ეგ შენი სილამაზე ისე მაძრწუნებს,
ასე მგონია, რომ ხელებში ამიფეთქდები...
სხვა რა უნდა ვთქვა, ამოვწურე ჩემი სათქმელი,
და ახლა, ალბათ, ჩემო კარგო, ჯერი შენზეა...
მიმოიხედე, თუ გყავს ვინმე ამოსარჩევი...
დანარჩენი კი, ალბათ, უკვე, შენს თვალებზეა...

ეგ სიხარული

ეგ სიხარული შენ რომ ასხივებ,
იცი, ჩემთვისაც გადამდებია,
მეწამულ ზღვაში აღმოგაჩინე,
ძველი გემები სადაც ხვდებიან...
გემის კიჩოზე სხედან სვავები
და მეზღვაურებს თვალს ადევნებენ...

ღამენათევი და ნაწამები,
ცაზე ვარსკვლავნი თვალებს ახელენ...
ვიგონებ პირველ შთაბეჭდილებას,
შენ დაპირებებს უხვად აფრქვევდი...
ვამჩნევ ამაში ქალის თვისებას,
გაიფეტიშოს მდარე საგნები...
ვინ ვიყავ შენთვის, ვიღაც მეარღნე,
რომსა და პარიზს ნაწანწალები...
ხელი საკინძის ღილებს შევახე
და შემომაკვდნენ შენი თვალები...

დაგეძებდი

მინდორ–მინდორ დაგეძებდი,
დაგეძებდი ღელე–ღელე...
საკოცნელად შენი მკერდი,
ვერა და ვერ მოვიხელე...
კლდის ნაპრალის ყვავილს ჰგავხარ,
ნუკრივით, რომ უფრთხის ნიავს...
და რად გიკვირს თუ მიყვარხარ,
თუკი შენი ძუძუ მშია...
დავეწევი დამფრთხალ მერანს,
გაგიჟებულს, გაუხედნავს...
რას მიყურებ, ეს ხომ მე ვარ,
შენ, უბრალოდ, ვერა მხედავ...

რისი გულისთვის

ვიცი, რომ ელი ჩემს გამოჩენას,
რას გეტყვი ისეთს, რით გაგახარებ...
დროის დინებამ წაიღო ყველა,
მე ერთი შევრჩი ამ უღვთო მხარეს...
იცი, რამდენჯერ, მართლაც, რამდენჯერ,
შემოვლილი მაქვს, როგორც პილიგრიმს...
როგორ ებრძოდნენ, როგორ ანგრევდნენ,
უღვთოდ, უსისხლოდ, რისი გულისთვის...
ან შენ რა გინდა უცხო მხარეში,
როცა ჩემს თვალწინ კლავენ სამშობლოს,
გულში უყრიან დანებს ალესილს,
რომელი ერთი დავიმახსოვრო...
რომელი ერთი დავიმახსოვრო,
მთები, ველები, ზღვები, ტაძრები,
თუ ვიღაც ცდილობს სხვებს უსახსოვროს,
რაც დაგვიტოვა ღმერთმა ანდერძით...
გაყიდულია, გაყიდულია,
თითქოს ტყვიები ხვდება საფეთქელს,
ჩემ ხალხს რა აღარ გამოუვლია,
ღვონო წაართვეს, ნთხლე ჩააცეცხლეს...
საით მივდივართ, საით მივდივართ,
ვინ, ვინ ამოხსნის ამ ამოცანას?
თურმე მთლიანად გაუყიდივარ
და ყელზე მაჭერს ეშმაკი დანას!!!

რაღა დარჩა

რა ომში ვარ ჩაბმული,
რა უპოვარ ბრძოლაში...
თითქოს პატივაყრილი,
ჩავვარდნილვარ კომაში...
რაღა დარჩა, დამთავრდა,
იქით მხოლოდ ხრამია...
მათხოვრები ტაძართან
შიშშილს მოუყვანია...
ყრუა, ბრმაა, ის ვისაც,
მათი უნდა ესმოდეს,
რაღაც გროშებისთვისაც,
გვიჯობს, ტყვიებს გვესროდეს...

გულზე დამაწყე

გულზე დამაწყე, ეგ ვარდები გულზე დამაწყე,
არ გაგეცინოს, დღეს ცოცხლებში ბევრი მკვდარია...
ვცხოვრობ, დავდივარ ძველებურად ამ ქვეყანაზე,
მაგრამ, შენც ხედავ, არაფერი არ მიხარია...
როგორ მინდოდა, ჩემთვის მიწა შემომეღობა,
მეხნა, მეთესა, მზის ამოსვლას შევგეგებოდი...
მე ხომ, ძვირფასო, ერთი თხილის გულიც მეყოფა,
თუ გეყვარები,თუ გამიტან, თუკი მენდობი...
შენ კი მთავაზობ მეგობრობის ნაცვლად სიყვარულს,
მე კი ვამჩნევ, რომ გრძნობებისთვის აღარ მცალია,
მივალ, მივათრევ, თითქოს, მხრებით, აწმყოში წარსულს,
და ვგრძნობ, მკვდარი ვარ, მკვდარი, ალბათ, დიდი ხანია...

ჩემი ბრალია

ვინ რითი სუნთქავს, ვინ რითი სუნთქავს,
ვერას გაიგებ და ვერც ამოხსნი...
ნუ, ნუ მიიტან, ძვირფასო, გულთან,
შენს სადღეგრძელოს თუ ვერ გამოვცლი...
თუ უნებლიედ ვერ წავიკითხე,
რას მიამბობდნენ შენი თვალები...
თუ ალმოდებულ, ვულკანურ სივრცეს,
დაემატება მზისგან გვალვები...
რას იზამ, თუკი გადამწვარია,
ცხელი დღეებით, სული, სხეული...
ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია,
მხრავდნენ ეჭვები შემოსეული...
რომ ბოროტებით ჩემსკენ მავალი,
ვერ შევაჩერე მკერდით ეტლები...
რომ სევდა იყო ჩემი წამალი,
როცა მიტევდნენ ეს უმეცრები...
რომ დამცინავი მათი დუმილი,
ყველა ტყვიაზე უარესია...
რომ გადაივლის ჭექა–ქუხილი,
რომ დამთავრდება ეს რეპრესია...
რომ გეტყვი ბოლოს, თუნდაც ვკვდებოდე,
ყველაფერს რაც კი რამე შემშლია...
რომ მინდა, მინდა მენატრებოდე,
ბედნიერება მხოლოდ შენშია...

ვეღარ შეგხვდები

ვუსმენ სიჩუმეს, ვუსმენ სიჩუმეს,
თითქოს სიჩუმის ნისლში ვეხვევი...
ყველა იმედი გადამიწურე...
ამ ორი სიტყვით: ვეღარ შეგხვდები...
ვერ დავიჯერე, ვერ დავიჯერე,
როგორ მეგონა, თითქოს, მომესმა...
ლამის ვენები გადავისერე,
და სურვილებიც ზღვამ ამომრეცხა...
რას ჩურჩულებენ, რას ჩურჩულებენ,
რას ჩურჩულებენ ტბაში გედები...
უერთმანეთოდ, ნეტა, თუ ძლებენ...
ვეღარ შეგხვდები, ვეღარ შეგხვდები...

მითხარი, მოგისმენ...

რა ხდება, ძვირფასო, ამდენი დუმილი,
შენგან რომ სხეულზე ზღვასავით მეღვრება...
როგორც ჩანს, ვხვდები, რომ არა გაქვს სურვილი,
რომ შედგეს, როგორმე, კვლავ ჩვენი შეხვედრა...
რა ხდება, მითხარი, რატომ ხარ ნაწყენი,
თუ ჩემთვის, უბრალოდ, აღარა გცალია,
ვერ ვუძლებ, ვერ ვუძლებ, დროს, ასე გაწელილს,
სიყვარულს, რომელსაც ოდნავი ბზარი აქვს...
ან რატომ გგონია, რომ ჩაგისაფრდები,
და კლდიდან მოვწყდები, ვით შავი ავაზა...
მითხარი, მითხარი, თუ არ მეთანხმები,
მითხარი, მოგისმენ, ჰო, რამ გაგაბრაზა...
დღეები მიდიან და ყელში მაწვება,
უაზრო დროების ცრუ დაპირებები...
თუ დღესაც არ მოხვალ, მე გული დამწყდება,
ან სულაც დასკდება ამ გულის კედლები...

სახუმარო

მე პოეზია ასე მგონია,
იქცა, უბრალოდ, ქალთა ჭორებად...
დღეს ქეთი შემხვდა, გუშინ სოფია,
თურმე ორივეს სურთ გათხოვება...
შენ რას აპირებ, არა თხოვდები?
როდემდე უნდა იყო უკაცოდ?
ვისა სჭირდება ეგ მათხოვრები,
რატომ დავუწვე, რაზე, უფასოდ?
ამ წუთას სამი საყვარელი მყავს,
ერთი მდიდარი, ორიც ირემი...
არა, ქმარს, მართლაც, ვეღარ ავიტან,
რომ მცემოს ხომ მთლად გადავირევი...
ასე სჯობს, მერე ვინმეს მოვძებნი,
სიგარეტის ფულს მე რომ არ მომთხოვს...
იცი, მომრავლდნენ მაგრად ლოთები,
მთვრალ კაცს, მითხარი, როგორ ვაკოცო?
და ვიღას ახსოვს აქ რომანტიკა,
სიბრძნესაც უკვე ყავლი გასვლია...
მე კი ვერ ვიცვლი მაინც ტაქტიკას,

ის კი არ ვიცი, ნეტა, აზრი აქვს?

ნუ დამივიწყებ

ნუ დამივიწყებ, ნუ გამიმეტებ,
შენ კარგად, იცი, როგორ მიყვარდი...
როგორც ქედანი გაშლილ მინდვრებზე,
ჩემსკენ კამარით რომ მოფრინავდი...
მიყვარდი, რადგან იყავ ქალური,
შენ ხმას ვუსმენდი, როგორც გალობას,
შენი საყურე შემორკალური,
მე მაშორებდა ამ რეალობას...
ახლაც მიყვარხარ რადგან გულგრილად
იმ წუთებს დღესაც კი ვერ ვიგონებ,
თუმც ვფიქრობ ხშირად, წყალს წაუღიხარ,
იქნებ მე თვითონ გამოგიგონე...
იქნებ, არც იყავ ისე ლამაზი,
მე რომ მეგონა, მე რომ ვფიქრობდი...
თუმცა, არც ამას არა აქვს აზრი,
რადგან მიყვარდი, რადგან მინდოდი...
იქნებ ბუნებით გაუმაძღარი,
ვარ და ვერა გთმობ დღემდე, სხვებისთვის...
არც მაგ ტუჩების ტკბილი მაჭარი
არ მემეტება დადუღებისთვის...

აი

არავინ არ თქვას, არავინ არ თქვას,
რომ ჩვენ არ გვიყვარს დღეს ერთმანეთი,
მე ქართველებზე ვიძახი ამას,
ჩემი რწმენით და ჩემი გაგებით...
და უფრო მეტიც, ჩვენ ამ სიყვარულს.
ვერ ამოგვშანთავს, ვიცი, ვერავინ,
ტრაფარეტული, რომ ვიყო არ მსურს,
სიყვარულია ჩვენი მერანი...
ის დაგვაქროლებს მე და შენ ერთად,
მაშ, ქართველობა რას გაუყვია...
და თუ ოდესმე წარვსდგები ღმერთთან...
ვეტყვი, ყველა დღე ჩვენთან უქმია...

არ გათეთრდება

როცა ამღვრეულ ხასიათზე ვარ,
და ფრინველივით ფანჯრებს ვასკდები...
ცხოვრება მორევს რომ ემსგავსება,
შენც სწორედ მაშინ ნუ მეახლები...
სად შემიძლია, სად შემიძლია,
ეს ყველაფერი რომ გადავხარშო...
ასე მგონია ვენებს მიხსნიან,
და მაშიშვლებენ მერე სახალხოდ...
და ვამბობ, ალბათ, ჩემი ბედია,
ანდა, დავუშვი სადღაც შეცდომა...
შენ კი თამაშობ ისევ ფრთებიან,
მსხვერპლად გაღებულ წმინდა პერსონაჟს...
განა არ მინდა, განა არ მინდა...

რომ ამ ყველაფერს მშვიდად გავუძლო...
სკალპი ამხადეს თითქოს თავიდან,
მე კი ვდგავარ და შენთან ვსაუბრობ...
ის კი გრძელდება, მაინც გრძელდება,
ამაზრზენია მათი მორალი...
არ გათეთრდება, არ გათეთრდება,
არ გათეთრდება, ალბათ, ყორანი...

ზოგს რა ბედი აქვს

შენ დღეს გიხილე მგონი პირველად,
თუ ადრეც მოხვდი ჩემს არეალში?
თითქოს სურვილი ხელში მიკვდება,
და მტკივა, როგორც ნემსი ვენაში...
ზოგს რა ბედი აქვს, ზოგს რა ბედი აქვს,
საქანელაზე ზის და ქანაობს...
მტრედს მოლაღური შეჰყვარებია,
ყორანს მიმართეს, მაგრამ არაო...
აქ მომგვარეთო უბრძანებია,
ჰოდა, მოლაღურს წასვლია ფერი...
ყორანს ბედი აქვს, ყორანს ბედი აქვს,
მტრედს კი არ შეხვდა აღარაფერი...
ასე მგონია მეც ის მტრედი ვარ,
მოლაღურებს კი წეწენ ყორნები...
თუმც, უდროო დროს შემყვარებიხარ,
ნუ გაოცდები, თუკი მოგძებნი!!!

პარნასი

ვის უნდა შენი ლექსი და პროზა,
თუ ბარიერთან მუზები დგანან...
დღეს მოდაშია იუდას კოცნა
და მკვლელის ხელში გახსნილი დანა...
დღეს მოდაშია სკამისთვის ბრძოლა,
მარაზმატული, მანიაკური...
ამას არ ჰყოფნის ერთი გასროლა,
თუკი ბრძანებას გასცემს დარტყმული...
ვაჟკაცებს კლავენ, ვაჟკაცებს კლავენ,
კეისრის ტოგა აცვია მონას...
ვის გაუგია ასეთი რამე,
მთავარსარდალი მიწაზე ხოხავს...
მე სიკვდილს ვეძებ, მე სიკვდილს ვეძებ,
თქვენ, ძვირფასებო, ხომ არ გამცემდით?
მე ვიცი, ჩემი სიკვდილის შემდეგ,
ძეგლს დამიდგამენ მატრაბაზები...
ჰო, ვიცი, ვიცი, რა დროშიც ვცხოვრობ,
რომ ჩემი მუზაც ძველი ბოზია...
მინდა თავიდან რომ მოვიშორო,
ვიპოვო, ის, ვინც ანგელოზია...
მაგრამ, როგორ, სად? როცა პარნასიც,
გადაქცეულა ლამის ბორდელად...
ახლა ამ მთაზე ვინ აღარ დაძრწის,
აშლილ ვნებათა დასაოკებლად...
ბოი და ჯოი ათასი ჯურის,
გეი, გეიშა, ტრანსსექსუალი...

ისმის წკარუნი ელადურ ჭურჭლის,
ვაჟკაცს „ამშვენებს“ თავზე ვუალი...
არ გაგიკვირდეს, არ გაგიკვირდეს,
ლექსი ამ მთიდან განდევნილია...
რა ელის პოეტს, ჯვარცმა ვით ქრისტეს,
აქ არ არსებობს სხვა იდილია...
ჰოდა, გავცილდეთ ამ ცოდვილ ადგილს,
ამათ დავუთმოთ ეს ასპარეზი...
თუ დამიჯერებ, გროშადაც არ ღირს,
უპოეზიო მათი ტრაპეზი...

შემოდგომაა

შემოდგომაა, ჩემ სახლთან ახლოს,
გადაიფრენენ გადამფრენები...
მე დღემდე მახსოვს, მე დღემდე მახსოვს,
ცაზე გაკრული ის ფრინველები...
შემოდგომაა, ყვითლდება ეზო,
ქარი კი უვლის და ხეებს ძარცვავს...
მხოლოდ მას დარჩა საასპარეზო,
ისიც მიდამოს ფოთლებით მარხავს...
ყელზე ეხვევა, ყელზე ეხვევა,
ღობეს ეკლების ცივი თითები...
და მაგონდება ყველა შემთხვევა,
იმათ, რომლებსაც ვერ ვივიწყებდი...
შრიალებს ქარი, მის მისტერიას,
ჯერაც არ უჩანს, არ უჩანს ბოლო...
ხმელი ტოტები კი იმტვრევიან,
ვით შემოდგომის სევდის სიმბოლო...

რადგან დავეძებდი სილამაზეს

უკვე ყველაფერი ნათქვამი მაქვს,
შენ კი მაინც მისვამ კითხვის ნიშნებს,
მართლაც, ამიხსენი, რასა ნიშნავს,
თუნდაც გამოხედვით მიმანიშნე...
რადგან დავეძებდი სილამაზეს,
შენთან შევჩერდი და ვეღარ გაგცდი...
თითქოს ქვის კედელზე მიმანარცხე,
თითქოს დამიკარგე ყველა შანსი...
რადგან არ მინდა რომ გავმეორდე,
ალბათ, სამუდამოდ დავდუმდები...
ადრე მეგობრები მფარველობდნენ,
ახლა მღალატობენ გამუდმებით...
იქნებ, შენ მირჩიო, რა ვაკეთო,
ასე ცხოვრებას რომ ჩამოვრჩები...
ხრამი გავიარე საცალფეხო,
სადაც წყალი მოქუხს გაცოფებით...
ისე საზიზღარი ამინდია,
ზეცა თავის გლოვას ვეღარ მორჩა,
გრძნობა სკამის ფეხზე დამიბია,
თუმცა სწორედ ფეხზე შემაცოცდა...
მაინც ვთვალე, ვთვალე ვერ დავთვალე,
რაც კი დამიშვია შეცდომები...
შენ კი, რა ტყუილად გენაცვალე,

მივხვდი, სულაც რომ არ გეცოდები...

ნუ ელოდები

ნუ ელოდები, ნუ ელოდები,
ნუ ელოდები ჩემგან სახსოვარს...
მე შენ გშორდები, მე შენ გშორდები,
აღარ მახსოვხარ, აღარ მახსოვხარ...
ერთ დროს კი, ერთ დროს ნამდვილად მწვავდი,
მეც მიღიმოდა მაშინ ფორტუნა...
ვერც ვიძინებდი განთიადამდი,
სანამ სურვილმა არ გამომწურა...
იქნებ შენ მითხრა, თუ რატომ ხდება,
ერთად რად ქრება ყველა სანთელი...
ხოლო ჩემს ტვინში ვით ამოფრქვევა,
რად დგება ფიქრთა კორიანტელი...
რამე აზრი აქვს იმის გარკვევას,
მართლაც, გიყვარდი თუ თამაშობდი?
ნუ დაგაეჭვებს ჩემი გაქცევა,
მე უკვდავებას მივუახლოვდი...
რადგან თან დამაქვს თოკი სახრჩობლის,
ველი სკამს როდის გამომაცლიან...
მომიახლოვდი, მომიახლოვდი,
დამშვიდობებას, ალბათ, მაცლიან...
მე უკან დამდევს დრო კატაფალკით,
ეს მელოდიაც სამგლოვიარო,
დარიშხანივით ყელში გადამდის,
წადი და აღარ გამომიარო!!!

ყველაფერი დაემსგავსა მასკარადს

ყველაფერი დაემსგავსა მასკარადს,
რა ხანია შავი თეთრად საღდება...
კაცი ქალს ჰგავს, ქალი ქალს აღარა ჰგავს...
რომც გინდოდეს, როგორ შეგიყვარდება...
შეიცვლება მალე ლექსიკონები,
და ღირსება ფურცლებიდან გაქრება...
მეფეებად დასხდებიან მონები,
მეჩეთები გასაღდება ტაძრებად...
ჯამბაზები ჯამბაზობენ სცენაზე,
მე ცრემლი მდის და აღარ მეცინება...
მარწმუნებენ ხალხის აღმაფრენაზე,
რომ ახალი კვატროჩენტო იწყება...
დღეს სიმართლე იყიდება გროშებად,
ხოლო ტყუილს ლამის ოქროს ფასი აქვს...
ვერ წაუხვალ შოლტის წვერი მოგწვდება,
დასეტყვილ ვაზს ცხრაჯერ მეტი ასხია...
შავი ნიღბით, შავგულიან ულაყზე,
უკეთურთა დასი ამხედრებულა,
ხომ ვიცინი ასეთ აბდაუბდაზე,
მაინც გული ერთიანად შეძრულა...
რა ვიფიქრო, რა ვიფიქრო არ ვიცი...
საოცარი ჯამბაზობის მომსწრე ვართ...
ბრძოლა მიდის, ბრძოლა მიდის სკამისთვის,
და შუაში იჭყლიტება ოცნება...

თერგი რომ ვიყო

ახლა, შორს, მთებში, კლდეების გულში,
გაცოფებული თერგი ხმაურობს...
ნერვებს რა უშლის, ნერვებს რა უშლის,
მობღავის, როგორც სელჩუკთა ურდო...
გინახავს თერგი, დაჰკვირვებიხარ?
მდგარხარ ლოდებზე აღტაცებული,
როცა შენც თვითონ, თითქოს, ქვებისგან,
და ლოდებისგან ხარ აგებული...
მოდის, მოჰკივის მთებს აშოლტილებს,
თითქოს დასცინის მყინვარის დუმილს,
ასე გგონია, რომ ხელს მოჰკიდებს,
და შეალეწავს სიბნელეს ყუმისს...
თერგი რომ ვიყო, თერგი რომ ვიყო,
თავს დავიძვრენდი არტახებიდან,
გადავთელავდი ველსა და მინდორს,
ამოვიღებდი ბოღმას მკერდიდან!
და მოხეთქილი, როგორც მტრის ჯარი,
გამოვირეკავ ჩემს წინ მეომრებს...
მოვდივარ, ყველამ ჩაკეტოს კარი,
მოვბღავი კლდეებს, ქედებს ხეობებს...

რა იქნებოდა

რა იქნებოდა, მართლაც გავცლოდი,
ახლა ამ ქაოსს დღეს რომ ჩვენშია...
მართლაც ყველაფერს ისე დავთმობდი,
როგორც მტაცებელს, მკვდარს და კეთრიანს...
შორს სადმე ზღვაში, ოკეანეში,
სადმე კუნძულზე რომ ჩამომაგდო,
ან ზღვის მკლავებში, ან მზის მკლავებში,
ამ ნეტარებით რომ გამომათრო...
რომ ავცდენოდი ამ შეჯახებას,
ახლა ჩემს მიწას რომ უმზადებენ,
ვინც მოახერხებს ახლა გასწრებას,
მეც გავყვებოდი თუ წამათრევდნენ...
შორს, სიჩუმეში, სადაც არავინ
საიდანა ვარ არ შემახსენებს,
სად სიძულვილი დაუფარავი,
არ შემომაჭდობს თავის საცეცებს...
როგორ მინდოდა ცოტაც დამცლოდა,
სანამ სულს ჟინი შემორჩენია,
მერე თუნდ ასი ერთად გამყროდა,
შხამის ისარი, მტერს რომ სჩვევია...

როგორ გელოდი

როგორ გელოდი, როგორ გელოდი,
როგორც გვალვაში წვიმას ელიან.
შენ სახელს ჩუმად ვიმეორებდი,
სანამ გული არ გადამელია...
განა რა არის ტკბობის წუთები,
ვნებების ერთი აბრიალება,

ცეცხლს მიკიდებენ შენი ტუჩები,
ელვა თვალებში რომ იგრაგნება...
შემომასხივე, შემომასხივე,
თეთრი სხივები, მზეს რომ ჰპარავდი,
ამ სასწაულის ვარ მონაწილე,
მე რომ მჩუქნი და სხვებს უმალავდი...

ეს რა ამოვიჩემე

სულ ახლახანს დაიწყო, ჯერ წინ მთელი ღამეა,
თავის მელოდიებით, თავის რექვიემებით...
ცაზე მთვარე რატომღაც ისე მოვარვარეა,
რომ მიწაზე ამიწვა, ლამის, ფეხის ტერფები...
ფიქრებით კი თანდათან, ალბათ, სად არ მოვხვდები,
რადგან, როგორც ამბობენ, დედამიწა მრგვალია...
შემოდიან ჩემს სახლში მკვდრები, როგორც ცოცხლები,
ვინც ოდესღაც დამტოვა, ყველანი აქ არიან...
მეკი თვითონ არ ვიცი, ეს რა ამოვიჩემე,
თითქოს მე მივუსაჯე ყველას გადასახლება...
იცი, ღამეს ვერ ვუძლებ, რადგან მიყვარს სიჭრელე,
მიყვარს ძველის მარხვა და მუდმივი განახლება...
გარბის, გარბის წუთები: შნიტკე, ბახი, მოცარტი,
ამ უძირო სივრცეში, თითქოს ჰაერს არხევენ...
მახსოვს თეთრი სანთლებით ხატის წინ რომ მლოცავდი,
ნუთუ, შენი სიზმრებიც აღარ გამიკარებენ?

ჩემი ლექსები

არ ეყოფოდა ჩემი ლექსები,
ერთი, ათ პოეტს, ნეტავი, ერთად?
ყველას მიაგეს მისაგებლები,
მხოლოდ მე ერთი შემოვრჩი კენტად...
მხოლოდ მე ერთი გამრიყეს ასე,
ბლის კურკასავით გადაგდებული...
და ვმღერი ჩემთვის, რად მინდა დამსწრე,
მე შობის დღესვე გავაღე გული...
ვეპატიჟები ყველას, ვისაც სურს,
განთიადიდან განთიადამდე,
ვერავინ ნახავს ჩემს ცეცხლს მინავლულს,
მე სიყვარული ზღვებმა გადამდეს...
მე ერთგულება მთებმა გადამდეს,
მე მზის სხივი ვარ გამოტყორცნილი,
და თუნდ მახვილიც ჩამცენ ვადამდე,
შევრჩები ზეცას ავგაროზივით...
მე ვხვდები, რატომ დამტოვეს ცალად,
თუმც, გაყინული ვალხვე გულები...
ჩემი ლექსებიც მარად და მარად,
იფრენენ, როგორც ბედაურები...

ძახილი

გაყინულია, გაყინულია,
ტვინი ამდენი ფიქრის წვალებით,
ტემპერატურა ნულის ტოლია,
დილა დაიწყო გამყინვარებით...

არავინ მახსოვს, არავინ მინდა,
წყალს წაუღია მთელი სამყარო,
მკვლელების ბანდა ყოველი მხრიდან,
მებრძვის, პატივი უნდა ამყარონ!
გულს ნუ გააღებ, გულს ნუ გააღებ,
გულის წამალი ისე ძვირია,
ჯობს რემბოს მსგავსად შეიარაღდე,
უბრალოდ ვეღარ გადაგივლიან!
ვერას გააწყობ, დღეს გულგრილობა,
არის ბევრისთვის ტყვია–წამალი...
თუ თავს მესხმიან ბრბონი ინდოთა,
როგორ ვიპოვო გამოსავალი...
გადააშავა, გადააშავა,
აფრიკულ ჯიშმა ჩემი ქალაქი...
ასე არ წავა, ასე არ წავა,
მომეცით ფარი და მუზარადი...
მომეცით ხმალი, ომში ნაწრთობი,
მე იმ გველეშაპს უნდა შევება,
ვისაც აქამდე სულ არ ვახსოვდი,
დღეს კი ქლესობს და მეპირფერება...
ვეღარ შემაცდენს, ვეღარ შემაცდენს,
რომ პირი ისევ ამომიკეროს...
ის ეშმაკია ყველა მელაზე,
ის მომენტს ეძებს, რათა მიყელოს!
ვიცი, მახვილი ვინც კი აღმართა,
გაიგმირება იმავ მახვილით,
მე სისხლი მმართებს ჩემ წინაპართა,
და მომიწოდებს მათი ძახილი!!!

არ ვიმჩნევ

როგორ მომწონდი, როგორ მომწონდი,
თუმცა, არ მითქვამს შენთვის არცერთხელ...
ერთსაც გეტყოდი, შენით მოვცოცხლდი,
შენით გადავრჩი და ვიარსებე...
არ მითქვამს, ახლაც არ გეუბნები,
შენს სიამაყეს ლაქას ვერ მოვცხებ...
შემოვიფარგლე ლექსის ჩუქებით...
თუმცა მერჩია, რომ ჩამეკოცნე...
არ ვიმჩნევ და შენც ვერ მიმიხვდები,
თუმცა არა ხარ მიუხვედრელი,
ჩემი თვალები გიმზერს კითხვებით,
როდის შემხვდები, როდის შემხვდები...
ქარმა ღრუბელი თასში ჩაწურა,
და ზეცას მკერდი დარჩა შიშველი...
შენ იმზირები ისე მაცდურად,
ნეტა, რას ელი, ანდა ვის ელი...

რად შემიყვარე

რად შემიყვარე, რად შემიყვარე,
როგორ აგიხდენ მე შენ ოცნებას...
ჭკვიანი ვიყავ და შევიშალე,
ვინ იცის, ვისთან რა წამომცდება....
მართლაც, ვინ იცის, ვისი სახელი,

ამოტივტივდეს ჩემი ხსოვნიდან...
შენა ხარ ჩემი ბოლო კარცერი,
ბოლო ციხე და ბოლო კორიდა...
მე მივეჩვიე, ჰო, მივეჩვიე,
რასაც მაფრქვევენ ყველაფერ იმას...
ნეტა, შემეძლოს, ჩემ ბედს შევცვლიდე,
სადღაც მთვარეზე დავიდებ ბინას...
გვერდით დავიდგამ ერთ ჭიქა ღვინოს,
და დავიბრუნებ ყველა იმედებს...
მე ჩემსას ვცდილობ, მე ჩემსას ვცდილობ,
ნუ მომკლავ, რამე თუ გაგიბედე...

რად დამცინიან

რას ეძებ ქალში, რას ეძებ ქალში,
სინაზეს, კდემას, თუ მის ხასიათს?
რაღაც არტისტიზმს ვხედავ კდემაში,
ხოლო სხეულში კი ნოსტალგიას...
გამომეცხადე, გამომეცხადე,
ცხადში, სიზმარში, ეს სულ ერთია...
რადგან უშენოდ, მართლაც, ვერა ვძლებ,
აბა, როგორი გასაძლებია...
ეს სევდა ზოგჯერ ისე ტკბილია,
როცა გიგონებ და ბედს ვნებდები...
რად დამცინიან, რად დამცინიან,
თვალში რომ გიკრთის ეგ ნაპერწკლები...

ფრთები

მე საოცარი მერანი მყავდა,
მერანი თეთრი, ფაფარაშლილი...
ის შვილი იყო მეხთა და ქართა,
მიყვარდა მისით მთებში შლიგინი...
მიყვარდა ქროლა, მწვანე ველებზე,
ფეხდაუდგმელი გზების გაკვალვა,
და დავფრინავდი ჩემს პლანეტებზე,
ხან უქაროდ და ხანაც ქარდაქარ...
ცადაწვდილები ხელს მხვევდნენ მთანი,
ციდან მცვიოდა მარგალიტები,
და მოკლდებოდა ზეცამდე გზანი,
გზანი გავლილი თავდავიწყებით...
მართლაც, რა არის ჩვენი ცხოვრება,
მერნებისა და ქროლვის გარეშე...
მე ფრთები მომცეს თეთრმა ორბებმა,
და შენ იმ ფრთებით მოგიალერსე...

ფრთები

მომეცი ფრთები, მომეცი ფრთები,
ჩემს სიმარტოვეს ფრთები სჭირდება...
როგორც წამომდგარს სამყაროს მკვდრეთით...
როგორც ხელოვანს თავის ღირსება...
გადამიშალე, გადამიშალე,
თვალუწვდენელი ჰორიზონტები...
მე როგორც გავჩნდი ფრენა ვისწავლე,

და თუ მოვკვდები, ცაში მოვკვდები...
იქ სადაც მთანი ზეცას ერწყმიან,
და დუმილია მარადიული...
სად უკვდავებაც გადამდებია,
და საზღვარია იმქვეყნიური...
მომეცი ფრთები, მომეცი ფრთები,
უნდა დაგტოვო, უნდა დაგტოვო,
აქ გაიყრება დღეს ჩვენი გზები
და დაბრუნება აღარა მთხოვო!!!

კვლავ ჩნდებიან

იცი, შენ რომ ჩემი იყო,
თეთრ მოსასხამს გაჩუქებდი...
მთვარე მზისგან კოცნას ითხოვს,
დაჟინებით, დამუქრებით...
შენ კი ისე მენაზები,
როგორც მზის სხივს ღამის ია...
დახოცილან შევარდნები,
ნუთუ, შენ არ გაგიგია?
დახოცილან არწივები,
მეფედ მოაქვთ თავი ყვავებს...
სად გიპოვო, სად იქნები,
კოცნას არ გთხოვ, დამიყვავე...
მანუგეშე, მანუგეშე,
თუნდაც ყალბი დაპირებით,
რომ შორს მთებში, კლდის ქიმებზე,
კვლავ ჩნდებიან არწივები...

ვერ გავუგე ჩემს ხასიათს

არ გეგონოს ტყუილს ვამბობ.
რაც რამ მქონდა გამიცია...
ხან ვმარტობ, ხან ვთებერვალობ,
სხვა თვეები არ მიცდია...
ვერ გავუგე ჩემს ხასიათს,
ვერას ვგუობ შუალედურს,
სულ რაღაცის ძებნაში ვარ,
და ვასკდები მუდამ ჩემს გულს...
ამბავს მერე ვუფიქრდები,
როცა უკვე მომხდარია,
ვერა ვხვდები, ვერა ვხვდები,
ყველაფერი დრომ არია...
მინდა, მინდა რომ ზღვის ტალღებს,
ჩემი განძი გამოვტაცო...
ზღვას ვუყვარდე, ქარს ვუყვარდე,
დავფრინავდე შენთან ახლოს...
ბედი მაძლევს, ბედი მართმევს,
არ ინაღვლო, არ ინაღვლო...
დავატარებ ჩემს სიმართლეს,
რომ ოდესმე გამიმართლოს...
მარწმუნებენ, მარწმუნებენ,
რომ ამ მიწას არვინ მტაცებს...
რომ დავდივარ მე ჩემს ძვლებზე,
ვით ირემი იალაღზე...

არა მკითხო, არა მკითხო,
ვინა ვარ და რისთვის ვიბრძვი...
ან იქნებ შენ დამავიწყო,
ეს დღეები დასავიწყი...

ვინ გაწყენინა (ქ.ბ.–ს)

ვინ გაწყენინა ვიცოდე,
რა დარდები გკლავს, ნეტა...
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
მხოლოდ თითების კვნეტა?
გადამალული თაფლი ხარ,
თავის დაღწევას ცდილობ...
შენ, იცი, როგორ მაკლიხარ?
როგორც პურმარილს ღვინო...
მოდი, დამატკბე, დამათვრე,
თორემ მერევა ფეხი...
ასე მგონია ნავახშმევს
გამომაცალეს მერხი...
ელვას ნუ დაემალები,
ცეცხლს მოგიკიდებს, დაგწვავს...
წვიმას ნუ ედაქალები,
გამოგიგზავნის თავსხმას...
თავს იქით ნუ ატრიალებ,
გამოიხედე აქეთ...
განა ამ ვერცხლის ფიალებს,
სხვათა გულისთვის ვავსებ...

მე სინათლის მხედარი ვარ

შავ ტაიჭზე, შავ ღამეში,
ავმხედრდები რაინდივით...
თავს რად მესხმი, თავს რად მესხმი,
შენთან ბრძოლა მე არ მიღირს...
მე სინათლის მხედარი ვარ,
მსურს გავფანტო ეს უკუნი,
ვეღარ ვუძლებ, ვეღარ ვიტან,
ბრძოლის სურვილს, ბრძოლის წყურვილს...
მარტო ერთს გთხოვ გამაცილო,
სანთლით ხელში, როგორც ძველად,
რომ ღალატი ამაცილო,
არ დავეცე მე პირველად...
და მეც ვფიცავ, რომ ბრძოლისას,
არ გადავდგამ უკან ნაბიჯს,
თუნდაც ყველაც რომ მოისრას,
ხმალის პირველ მოქნევამდის...
რაღა დავრჩით, რაღა დავრჩით,
მტერი მაინც მტრობას ლამობს,
თუ დავიჭერ და გადავრჩი,
შენვე მინდა მიმკურნალო...

ზღვას უნდა ჰგავდე

ნეტა, რად უნდოდა, რომ შემთითხნა,
ღმერთმა რად ჩამიდგა, მართლაც, სული?

ახლა ისეთი ვარ, როგორ გითხრა,
როგორც შემოდგომა გაძარცვული...
ათას ქარებით და გრიგალებით,
ცა ვარ ვარსკვლავთცვენით დაფლეთილი,
როგორც უხატებო მინარეთი,
როგორც ქვაფენილი აცვენილი...
ახლა, როცა უკან ვიხედები,
მე რომ გზები ვკვალე უმკაცრესი,
მტრისგან დალეწილი ციხეები,
მთათა მწვერვალები უმაღლესი...
ბევრჯერ, მართლაც ბევრჯერ მყვარებია,
ბევრიც მიყვინთია ნირვანაში...
მაინც ყველაფერი წამებია,
და წაგებულია ეს თამაში...
ჰოდა, ვერაფერი გამიგია,
რატომ უნდა გავქრე, რომ მოვკვდები...
იქნებ სიკვდილია ამნისტია,
ეს კი ციხე არის ბოროტების...

დამაიმედე

ვფიქრობ, დროა, რომ შენს სილამაზეს,
წერტილი ახლა მაინც დაესვას,
იქნებ მოვიდე როგორმე აზრზე,
რომ არ გავგიჟდე მთლად უარესად...
იცი, რა არის გულის დაწყვეტა,
გულის დაწყვეტა უკიდეგანო?
მე ხომ ყოველთვის ვიღაც მასწრებდა,
და მეც ვქრებოდი მუდამ უკვალოდ....
რად მეორდები, რად მეორდები,
ვით მზის ამოსვლა ულამაზესი,
როგორც აპრილში ნუშის ჭორფლები,
როგორც სხივების შუქი ღამეში...
დამაიმედე, დამაიმედე,
დამაიმედე კვლავ იმედებით,
რომ ამისრულებ იმ დაპირებებს,
მე რომ მსურდა და შენში ვეძებდი...

ვის რად უნდა დიდება

ყველაფერი მათია, ყველაფერი მათია,
შენთვის მხოლოდ ქრისტეა და გათხრილი საფლავი,
მე ვერ გეტყვი, ნუ მკითხავ, რად მიპყრობს აპათია,
სიძულვილი თუ მოდის, მათგან დაუფარავი...
შენ ნუ გაგიკვირდება, არის რაღაც საერთო,
არის რაღაც საერთო, ჩემს ბედსა და მათს შორის,
რა ადვილად დავთმობდი, ამ უბადრუკ სამეფოს,
სადაც მუდამ სხვისია ნიკეს ტკბილი ამბორი...
ვის რად უნდა დიდება კუპრში ამოვლებული,
გარბის შიშველ–ტიტველი ცაში მარადისობა...
ცრემლს ღვრის, ალბათ, ღირსება, სიძვის ეტლში შებმული,
მე კი დღემდე მაწუხებს ლექსის უკმარისობა...

აღარ დამთავრდა

გთხოვ, დამამშვიდო, გთხოვ დამამშვიდო,
მე ახლა მხოლოდ სიმშვიდეს ვეძებ...
გადის დღეები სულ უამინდოდ,
თითქოს, სიკვდილი მოსავალს ჰკრეფდეს...
მომსწრე ვართ დროთა ცვალებადობის,
ასე გრიგალი გრიგალს ეხლება...
ძველი მიდის და ახალი მოდის,
მაგრამ არცეთი ჩვენ არ გვეხება...
აღარ მოგვბეზრდა, აღარ მოგვბეზრდა,
ამ უსასრულო წრეზე ტრიალი...
ღამე ძაძებით რად იმოსება,
რად ტყდება ტოტი ნაყოფიანი...
ჰო, უნაყოფო ნერგი რატომ სძლებს,
ასჯერ მეტს, მართლაც, მსხმოიარეზე...
რატომ გვიტარებს ღმერთი გამოცდებს,
თუ ხელს გვაფარებს იქვე თვალებზე.
აღარ დამთავრდა, აღარ დამთავრდა,
ეს უადგილო პრიმიტივები...
თეთრ ანგელოზებს სძინავთ აკვანთან,
ხოლო აკვანში ტირის იმედი...

ქცევები გვამხელს

შენ შთაგონების წყარო ხარ ჩემი,
შენით ვიხორცებ გახსნილ იარებს,
ჯერ შენ და მერე სხვა დანარჩენი,
დროშა ხარ მე რომ დავაფრიალებ!
მითხარ, რა არის სამშობლოს სახე,
ჩემი და შენი, თუ უცხო ტომთა?
ქცევები გვამხელს, ქცევები გვამხელს,
ცვალებადობა ჟამთა და დროთა...
აქ უამრავი ბილიკი გადის,
ვერ ავირჩიე ჩემი ვერაფრით,
იყო დრო გაშლილ აფრასა ჰგავდი,
თუმც სისხლიანი გეცვა პერანგი...
იგერიებდი მტრებს ათას ფანდით,
იყავ სიკვდილშიც მრავალჯერადი...
ვეღარ გათენდა შენი აღდგომა,
გაქვს ოცნებათა გამოფენები...
ჭამა–განცხრომა, ჭამა–განცხრომა,
და დაკოჟრილი ბებრის ხელები...

ტყუილად მიცდით

ვიცი მელოდით და მეც მოვედი,
თუმცა, აქ ისევ ქარიშხალია,
და სილამაზეს ვით ბეჰემოტი,
ნთქავს უცნაური ვაკხანალია...
მოუხდებოდა ამ მომენტს, ალბათ,
თუნდ, დელაკრუას ძველი ნახატი,
მაგრამ ვინ გახდის ქართველ ქალს კაბას?
ისევ დრო, ალბათ, ღარიბ–ღატაკი...
სულაც არ მინდა, სულაც არ მინდა,
ამ სასტიკ აწმყოს ტყვია ვესროლო...
რაღაც გალობა მესმის ტაძრიდან,

თუ ეს ეშმაკი ასრულებს სოლოს?
მე სულ სხვა მსურდა, მსურდა მეხილეთ,
აალებული ცისკრის ალებად...
თქვენ კი, როგორც ჩანს, იქარტეხილეთ,
თქვენ გიმასპინძლათ სხვა მხურვალებამ...
ვეღარ დავიწყებ, ვეღარ დავიწყებ,
მე დროის ათვლას, ახალი რიცხვით...
ჰოდა, ვეცდები გადამავიწყდეთ,
ტყუილად მიცდით, ტყუილად მიცდით...

მე გული მიგრძნობს

მე გული მიგრძნობს, მე გული მიგრძნობს,
რომ ისევ დავრჩი თამაშგარეშე...
როგორ დაგითმო, როგორ დაგითმო,
მომიბრახუნა ყინვამ კარებზე...
რატომ ვერ ხვდები, რატომ ვერ ხვდები,
როგორ მომაკლდა შენი ალერსი,
რომ როგორც ტალღა ჯეგირს ვეხლები,
და ვიკარგები ოკეანეში...
რომ ვეძებ, ვეძებ, შენს თვალებს ვეძებ,
იქნებ როგორმე იმედს მივაგნო,
იმედს, რომელიც ყველაფრის შემდეგ,
შენს ოცნებებში დღემდე ბინადრობს...
მართლაც, რას ნიშნავს ჩიტთა გალობა,
ან ვარსკვლავების ციმციმი ცაზე...
მოსაღამოვდა, მოსაღამოვდა,
ჭირხლმა იმატა სარკმლის მინაზე...
მაინც მგონია არის საერთო,
ამ სევდასა და ზეიმებს შორის,
ან სხვანაირად როგორ გავერთო,
რომ არ გავრცელდეს კვლავ ჩვენზე ჭორი...

შენ არ ინაღვლო (1 ოქტომბერი 2012)

ვის კოცნის ღამე ვარსკვლავიანი,
ვის კარს შეაღებს ქარი სიფრთხილით...
ეს ყველაფერი თამაში არი,
თუ ყანას აჰყვა ცეკვით გზის პირი...
რაა სიმშვიდე ქარიშხალის წინ,
რაა ტაძარში ლოცვა ქალწულის,
თითქოს მოსულა სხვა სიხალისით,
ისევ აპრილი და გაზაფხული...
შენ არ ინაღვლო, შენ არ ინაღვლო,
მე დავატარებ ნაღველს შენს ნაცვლად,
და მზემ ცისკარი რომ გაგინათოს,
შენი გულისთვის მე მზემდეც ავალ...
და თუკი, მართლაც, ჯერ იყო სიტყვა,
და მერე გაჩნდა ეს ყველაფერი...
იცი, ცა მიწას რად გაემიჯნა?
მიწა შავია, ცა კი ნათელი...

ხატი ვარ ღმერთის

ნუ, ნუ მიყურებ ასე მძვინვარე,

განრისხებული ვეფხვის თვალებით...
თუ შემეშალოს, შენ მიწინამძღვრე
და გამოგყვები მეც მდუმარებით...
და გთხოვ ოცნებებს შენ ნუ ააგებ,
ამ ფარატინა სუფთა ფურცლებზე,
მე ხომ რაც მქონდა უკვე წავაგე,
და უარს ვამბობ შენს საჩუქრებზე...
მე შემიძლია შეგიწვა კიდეც,
პოეტის გული, ვით ოქროს თევზი...
მე ხომ სამყარო გადავიკიდე,
მე ვერ გავუძელ ამ სასტიკ რეჟიმს...
და ნუ იკითხავ, ვინა ვარ, რა ვარ,
ხატი ვარ ღმერთის, სახება მისი...
როგორც შენც, ყველას, მრავალს და მრავალს,
ძარღვებში მიდუღს ღმერთების სისხლი...
და მეც ვცოფდები, როცა ღირსებას,
ამ მიწასავით ფეხქვეშ მაცლიან,
ვეფხვობა არის შენი თვისება,
ჩემთვის კი ბრძოლა დაუნათლიათ...
აზრი არა აქვს რომელ მხარეს ხარ,
თუ ყველა იბრძვის ღმერთის სახელით,
ჯანდაბას ყველა, მე მხოლოდ შენთან,
მინდა რომ ვიყო დღეს პირნათელი!!!

თქვენ?

ამ დროების ქარნი ქრიან,
ქარნი ქრიან გაავებით...
მოწყდებიან, ჩაივლიან,
კუდიანი ვარსკვლავები...
ხისა არის ჩემი სკამი,
სხვანაირი სკამი არც მსურს,
ყველანი ხართ ჩემიანი,
და მეც ველი ტკბილ დასასრულს...

რა ძნელია

რა ძნელია, რა ძნელია,
რომ არ ვიცი, ვისთანა ხარ...
ეგ თვალები სხვას ელიან,
მე შავ დღისთვის თუ მინახავ...
ნუ აჰყვები, ნუ აჰყვები,
ამ უაზრო ალიაქოთს,
დატკბი, რითაც დღემდე ტკბები,
ეს ცივი მზე თუკი გათბობს...
მე კი ისევ შენთან ახლოს,
შენს ჯებირებს ვეხეთქები...
"ალხო–მალხო ჩიტმა გნახოს",
მე ვიქნები მისი ფრთები...
თუ დაგჭირდა, შეგიფარებ,
ისე, როგორც ზღაპრებშია...
ვერ ვეღირსე შენს თეთრ მკლავებს,
ნუთუ, მართლაც სხვა გერჩია...

ისევ ჩამესმის

ვიცი, რომ მოხვალ და მაინც მეტყვი,
რომ რწმენა ვერცხლზე არ გაგიცვლია...
რომ გეზიზღება ეს სიზმარეთი,
და აქ ვერაფერს ხედავ იღბლიანს...
რატომ მგონია, თითქოს, დამთავრდა,
ის მელოდია, ჩვენ რომ ვუსმენდით,
რით ვეღარ დადგა, რით ვეღარ დადგა,
ჩემი და შენი თრობის წუთები...
გზებზე ნაღმტყორცნებს მიაგორებენ,
დარში, ავდარში, ქარში, წვიმაში...
და მაგონებენ, ჰო, მაგონებენ,
რომ ყოველივე არის მირაჟი...
ნუ მიაფურთხებ, ნუ მიაფურთხებ,
მე რომ სისხლიან კვალზე მივლია,
ძვირფასო, მოდი, მომესათუთე,
მე მისამართი არ შემიცვლია...
ისევ ჩამესმის, ისევ ჩამესმის,
შენი ჩურჩული განთიადისას,
როგორც სულს, ომის გზებზე დამეწყრილს,
აკრთობს ჭრიალი ღია კარისა...

რა დარჩა (მ–ს)

რა დარჩა ჩვენი შეხვედრის შემდეგ,
ვერ ვაკოწიწებ ხსოვნის ნაფლეთებს...
რად ამიმხედრე, რად ამიმხედრე,
ფიქრები, მუდამ წინ რომ გვასწრებენ...
სულ მალე, ალბათ, აღარაფერი,
აღარაფერი აღარ დამრჩება,
მხოლოდ ცა მინდა იყოს ნათელი,
ისეთი, როგორც ის გატაცება...

არ დამელოდო

ნუ დაუჯერებ ნიანგის ცრემლებს,
ამ ცრემლებს სულ სხვა სახელი ჰქვია...
რამდენი ვინმე გადავიმტერე,
რად, რისთვის, რატომ, ვერ გამიგია...
არ მავიწყდება, არ მავიწყდება,
ტკივილი, რასაც სხვას ვაყენებდი...
თუ ყველაფერი არის ღვთის ნება,
აბა, ღმერთებთან მე რას შევძლებდი...
რას ყრანტალებენ, რას ყრანტალებენ,
ჩემს აივანზე დილით ყორნები...
მგონია სარკმელს შემოამტვრევენ
და დამკორტნიან ეს მათხოვრები...
მგონია, თითქოს, ყველას სანაცვლოდ,
მე ამირჩიეს მართლაც ზვარაკად...
არ მიღალატო, არ მიღალატო,
მე ხომ, ძვირფასო, ისეც ავად ვარ...
არა ღირს იყო გამორჩეული,
დაფნის გვირგვინმა დაკარგა ფასი...
ვით ნაწამები ქრისტეს სხეული,

თეთრი პერანგით ავდივარ ცაში...
არ დამელოდო, არ დამელოდო,
ხელი გამიშვი, ხელი გამიშვი...
მინდა ღრუბლები დავიმეგობრო
და მოვემზადო ქარიშხალისთვის...

რა დრო გასულა

რაზე ფიქრობენ, რაზე ფიქრობენ,
რაზე ფიქრობენ შენი თვალები...
ჰოო, რა იყო, ვის გულს იპყრობენ,
შენი ოცნების ნატერფალები...
ან შენს აზრებში რაა სადაო,
რომელ მწვერვალებს ეპოტინები,
არ მითხრა სულ სხვა შემიყვარდაო,
რომ ორივე ხართ კმაყოფილები...
სადა ხარ, რომელ ზღვებში დაცურავ,
ვისთვის გაშალე შენი მკლავები,
რა დრო გასულა, რა დრო გასულა,
მიცქერ და აღარ გეპიტნავები...

რაღა შემომრჩა

არ ვაჭმევინებ, არ ვაჭმევინებ,
გულს ამ ჭორებს და მიეთ–მოეთებს,
რომ თითქოს ხევდე შენ ჩემს წერილებს,
მე კი მეგონა გონზე მოეგე...
არ მსტუმრებია, არ მსტუმრებია,
ჯერ შემოდგომის ცივი ქარები...
თუმცა, შორიდან მემუქრებიან,
და მეც გაქცეულ წლებს ვეფარები...
ნუ მიმატოვებ, ნუ მიმატოვებ,
ამ უსახური ბედის ამარა...
ისეც მიტევდა სულ სიმარტოვე
და ბევრი სიტკბოც მიასამარა...
რაღა შემომრჩა, სული უმანკო?
ნაღდად არც ვიცი, მქონდა ოდესმე?
შენს ცას ღრუბლები მსურს გავუფანტო,
მაგრამ იქამდე მზეს წამოვედე...
გიგრძვნია, სული როგორ ცხელდება,
როგორ გიზგიზებს ნაკვერჩხალივით,
აენთება და ჩაიფერფლება,
და გაკვეთს სხეულს კლდის ნაპრალივით...
ნუ დამამუნჯებ, ნუ დამამუნჯებ,
ან რაში გაწყობს ჩემი წამება,
რად გამიყიდე მთელი საუნჯე,
ასე უღვთოდ და დაუნანებლად...
არადა, იცი როგორ ვუარე,
ვით სამამულე რქის ყლორტს ვაზისას,
რომ აღარც ველი რამეს უარესს,
სანამ სიკვდილის ტალღა გამსრისავს...
დღეს ჩემი სული ძაფზე ჰკიდია,
სული უენო და მონანავე...
წლები მიდიან, წლები მიდიან,
და ამ უძირო ცას მიჰკვალავენ!!!

მე შენ მიყვარდი

მე შენ მიყვარდი, მიყვარდი, როგორც,
უყვართ პირველად, ან საბოლოოდ,
მე შენ მიყვარდი ისე გულწრფელად,
რომ დღესაც ისევ ვზივარ და გგლოვობ...
არ დაიჯერებ, მაგრამ ასეა,
ჩემს ირონიას არ აქვს საზღვრები...
მითხარ, სული–სულს რად ემსგავსება,
როგორც გვერდიგვერდ მდგარი სანთლები...
მე შენ მიყვარდი და შენით ტკბობა,
იყო განცდათა მთელი კასკადი...
მაგრამ, რა ვუთხარ ჩემს უიღბლობას,
ვგრძნობდი, თანდათან როგორ გკარგავდი...
ნუ, ნუ დამცინებ, სულაც არა ვარ,
ახლა რატომღაც შენს ხასიათზე,
მეც მომკლა,ალბათ, დრომ, ამ მტარვალმა,
ვმარხავ სიყვარულს ამ განთიადზე...
ჯვარი დამისვი, ჯვარი დამისვი,
ძვირფასო, მე ხომ აღარ ვარსებობ...
რას არ გავცემდი, თუნდაც წამისთვის,
სამარიდან რომ ამომახედო...

მე კი რატომღაც გებრძვი

ისევ დაუშვა წვიმამ,
ცა ჩამოქცევას ლამობს...
შენ თვალზე ცრემლი ბრწყინავს...
ალბათ, რაიმეს ჯავრობ...
იქნებ, ამ ფერმკრთალ დღეებს,
სიხარული რომ მიაქვს...
სულში დალექილ შრეებს,
ზღვიდან ტალღების ღრიალს...
უნდა მესმინა შენთვის,
მაგ სილამაზის გამო?
მე კი რატომღაც გებრძვი,
შენს დამარცხებას ვლამობ...

დამთავრდა

დამთავრდა, ყოფნა–არყოფნაზე აღარა ვდაობთ
დამთავრდა, გახსენ სულის საზღვრები...
თითქოს მინდორზე მტრედის გუნდი აიშალაო
და გზის პირებზე გაიშალნენ იასამნები...
დამთავრდა, ტბიდან აიკეცა ფრთხილად ნისლები,
მზემაც სხივები წამოკრიფა და ჩუმად გაქრა...
დამთავრდა, და მეც წარსულისგან ისე ვიცლები...
როგორც ეშვება ავანსცენის მხატვრული ფარდა.
დამთავრდა, ყველა კითხვას მინდა გავცე პასუხი,
რას ფიქრობს, როცა ტახტზე ადის ტრიუმფატორი?
ყველას დასუსხავს ვინც კი არის აქ დასასუსხი,
თუ ყოველივეს გადასწონის ქრთამის სასწორი...

შენ არ ინაღვლო

ვერა, ვერ გაგცვლი ვერავისში, გთხოვ, დამიჯერო,
სულ რომ დაინგრეს ეს სამყარო ღმერთის ნაგები,
და თუ ცხოვრება შიგადაშიგ არ ვარდისფერობს,
ალბათ, იმიტომ, რომ გავიგოთ გემო წაგების...
შენ არ ინაღვლო, იალქნიან ხომალდს ავაგებ,
და თუკი ვინმემ დააპირა ჩვენი შეპყრობა...
აუცილებლად მივატოვებ ამათ თამაშებს,
და იმ ხომალდით აღელვებულ ზღვაში შევტოპავ...
შენ კარგად უწყი, რომ არა მაქვს ნიჭი ფერობის,
რომ გულწრფელობა ჩემი სულის იარაღია...
რომ არასოდეს კარგს არაფერს მე არ ველოდი,
რომ ჩემი ქოხიც ზეციური მთვარის თაღია.
შენ არ ინაღვლო, წინ ლამაზი დღეები დარჩა,
და ბედიც, ალბათ, ვარდის ფურცლებს ფეხქვეს გაგვიგებს...
რას იზამ, ხდება, მოედება ზოგჯერ სარანჩა,
და ულამაზეს მიდამოებს გადააშიშვლებს...

ისევ ინათა

მე ისევ მიყვარს, როგორც მიყვარდა,
აბჯარაყრილი სამშობლო ჩემი...
ასე მგონია ისევ ინათა,
ისევ იმ ძველი სისხლით და რწმენით!!!
რომ რეკავს, რეკავს ისევ ზარები,
ჟამით დაბზარულ სამრეკლოების,
და, თუმც, შორსაა დრო ნეტარების,
მაინც უკეთეს დღეებს მოველი...
და თუნდაც ახლაც არ გამიმართლოს,
ხმალს არ გავაგდებ მაინც ხელიდან,
რადგან ჩემს სულში ველური სახლობს,
რომელიც ყველა დროში მშველიდა...
გამოაფინეთ, გამოაფინეთ,
გთხოვთ, საქართველოს ძველი დროშები!
მინდა გავფრინდეთ, მინდა გავფრინდეთ,
ცისკენ, ვით, თეთრი ანგელოზები!!!

ორმოცდაათი (ოლგას)

შენ გინდა მითხრა, რომ მარტო დარჩი,
რომ საუკუნე გაინახევრე...
რა არის, მართლაც, ორმოცდაათი,
ან რა იწყება ამ წლების მერე...
ქვეყანა სადაც მე და შენ ვცხოვრობთ,
აუარებელ შეკითხვას ბადებს...
ვერაფერს იზამ, ეს არის ბოლო,
ფრთხილად, არავინ არ შეგიყვარდეს...
დაკეტილია, დაკეტილია,
შენთვის ბარები და რესტორნები;
ორმოცდაათი ზამთრის პირია,
სხეულის ნაცვლად იგრძნობ გონებით...
ეს ახლა, ახლა, წინათ კი, წინათ,
როცა ფანჯრებში ისმოდა ხმები,
ჭერებზე ჭაღებს ოქროსფრად მბრწყინავს,
ენაცვლებოდნენ სულის სანთლები...

ნეტა, იმ ქალთა რად გაქრა კასტა,
თუ უღალატეს, მართლაც, კაცებმა?
ან ყველა ერთად სად გაიტაცა,
სად გადაკარგა ამ ბნელმა წლებმა...
მე შენი მესმის, მე შენი მესმის,
დღეიდან გრძნობებს აღვირს ამოსდებ...
თუმცა, გულს მაინც ვერაფრით შეცვლი,
ჰოდა, შენს ნაცვლად გული წამომყვეს!!!

მე უშენოდ მომეწყინა

რა გსურს მითხრა მაგ თვალებით,
რა გავუგო უთქმელ სიტყვებს...
გული მიცემს გამალებით,
როგორც შენზე ფიქრს დავიწყებ...
და მგონია, თითქოს, ფსკერზეც,
ფსკერზეც ვიყავ მაგ თვალების,
მე რომლებმაც გამიმეტეს,
დაღლილი და ნამთვრალევი...
შენ სასმისი იყავ ჩემთვის,
მე რომ ტკბილად გამოვცალე...
შენ რომ გხედავ თავბრუ მესხმის...
ვეღარ ვუძლებ მე შენს თვალებს...
რას ელიან, რას ელიან,
დახატული წამწამები...
ყველაფერი ნათელია,
მე ხომ საზღვარს გადავედი...
მთვარეს სძინავს, მთვარეს სძინავს,
გაყუჩებულს ღამის ცაზე...
მე უშენოდ მომეწყინა,
მე თავს ვიკლავ გარიჟრაჟზე...

ბედნიერებას შენთვის ვინახავ

შენ ჩემთანა ხარ, შენ ჩემთანა ხარ,
და ვერ მივხვდარვარ რას მივაწერო...
გიყურებ, როგორც საოცარ ნახატს,
რომელიც მინდა ყველას ვაჩვენო...
თან ვხვდები, როგორ მომნატრებიხარ,
შენსკენ მეწევა ხსოვნის ძაფები...
სიყვარულის ცოფს სხვა ვინ შემყრიდა,
ასეთი ჟინით ან გამძაფრებით...
ენთოს, სულ ენთოს, შენი თვალები,
გზებს მათით ვაგნებ ამ უფსკრულებში...
მთის ყვავილი ხარ შეუდარები,
უქალწულესი კი ქალწულებში...
ბედნიერებას შენთვის ვინახავ,
რის საიდუმლოც ზეცამ გამანდო...
ერთად ჩავაქრობ ყველა ჩირაღდანს,
რომ ეს სამყარო შენ გაანათო...

დაე, იქროლონ!

ფრთები შეაჭრეს, ფრთები შეაჭრეს,
და ქარიშხლები იქცნენ ქარებად...

კლდიდან აფრენილ ქორს და შევარდენს
ზეცის თაღისკენ მიეჩქარებათ...
რა დაადუმებს ქარების ღმუილს,
წამოუშლიათ ცაზე ღრუბლები...
ემორჩილება მათ ნება–სურვილს,
ყველა ველები დასარწყულები...
ვერ გაექცევა, ვერ გაექცევა,
ქარებს ვერცერთი ჯანღი და ნისლი,
და ქრიან ტყეთა დასაფეთებლად,
თვითონ უდაბნოც რაა ქარისთვის...
და მიაქვთ, მიაქვთ კორიანტელი,
უდაბნოს მტვერის და ცხელი ქვიშის...
და უვლის, უვლის გზებს ჟრუანტელი,
ამბოხებული ქარების შიშით...
დაე, იქროლონ, დაე, იქროლონ,
ამოვარდნილმა მთებში ქარებმა,
მე კი ნაღველი რომ მოვიშორო,
შენ გაჩუქებდი ჩემს მრისხანებას!!!

ნინო (ნიანუ) სუხიშვილს

შენ გვირგვინი მოგიხდება სადედოფლო,
მოოჭვილი ძოწისფერი ლალით...
ვინ გაგიწევს პაექრობას სამეტოქოდ,
მგონი მთვარე შენს გამოა მკრთალი...
ეს სიტყვებიც ფუტკრებივით ირევიან,
თითქოს შემხვდა დედოფალთა გუნდი...
გაბრწყინდება, გაბრწყინდება ივერია,
მგონი, მართლაც, სულ ტყუილად ვწუხდი...
ანდა, ჩვენში რა გამოლევს საგვირგვინო,
რა გამოლევს სადედეფლო ქალებს,
დღეს შენ მინდა, შენ მინდა რომ გაიბრწყინო,
რადგან სხვები, სხვები მოვლენ ხვალე!!!

სანთლის ალი ხარ
ნინო ყიფიანს (დაბადებულს 10 ოქტომბერს)

კიდევ არიან, კიდევ არიან,
ვინც ძველებურად მოგვწონს ან გვიყვარს...
მათი ღიმილი კვლავ წამალია,
შემოხედვა კი გაღება ცისა...
კიდევ არიან, კიდევ არიან,
გამორჩეულნი სხვა ერთგულებით,
ერთს კი ვიტყოდი, კარგა ხანია,
შემოგვრჩნენ მხოლოდ ერთეულები...
ნინო, იცოდე, რომ შენც მათში ხარ,
გადასხმული გაქვს უფლის ემბაზი...
სანთლის ალი ხარ, სანთლის ალი ხარ,
ერთის კი არა, ვფიქრობ, ყველასი...

მიყვარხარ

შენგან სიყვარულს მე არ მოვითხოვ,
როგორც ითხოვენ ამას ქალები...
ვერ გამოიცნობ, ვერ გამოიცნობ,

რად გაგირბივარ ან გეკრძალები...
და თუ ვერ გითხარ, რაც ასე მახრჩობს,
რასაც ვერც ამბობს ხშირად სიტყვები...
როგორ ჩავაქრო, როგორ ჩავაქრო,
ხანძრები, შენ რომ მე მიკიდებდი...
მიყვარხარ, გეტყვი, მაგრამ ამ სიტყვას,
ვფიქრობ, იმდენი რამე აკლია...
ვერ გამომითქვამს, ვერ გამომითქვამს,
რადგან სათქმელი გზად დამფანტვია...
შენ ვერ გაიგებ, შენ ვერ გაიგებ,
როგორც არ უნდა ბევრი ეცადო...
თუ აფროდიტა, როგორ მარიგებს,
გინდა, საკუთარ ცეცხლზე შეგწვავთო...
და სანამ, ალბათ, გონს მოეგები,
ვინ იდგა შენს წინ აალებული...
ციდან წამოვა ჩემი ფერფლები,
ამ სიყვარულით გაავებული...

დღემ ღამე თავზე გადამახია

შემომათენდა უდილოდ დილა,
დღემ ღამე თავზე გადამახია...
შემოდგომაა, ჟინჟლავს და გრილა,
ქუჩაში ისევ სიხალვათეა...
მიყუჟებულან ჭერთან მტრედები,
ჩამოუყრიათ ყურები ყვავებს...
ყველგან საითაც გაიხედები,
მხოლოდ სისველე და სისადავე...
დილის ქალაქის დამცხრალა რიტმიც,
შენელებულად მიდის კადრები...
რომ აღარ ჩანხარ, აღარც ეს მიკვირს,
ვხვდები, რომ აღარც შენ გენატრები...

ალბათ, გიპოვი...

მე ისე მინდა, მე ისე მინდა,
მომავალ დღეთა მქონდეს იმედი...
დღეს ზეცა მართლაც გადაიწმინდა,
და შენც, ძვირფასო, კვლავ იღიმები!
ასეა, როცა, ალბათ, მთავრდება,
წარმოდგენა და ფარდა იხსნება...
სცენა ნათდება, სცენა ნათდება,
როგორც მზის ცაზე ამობრწყინება...
მაგრამ რამდენხანს გრძელდება განა,
ემოცია და აპლოდისმენტი...
მსახიობები დაღლილებს ჰგვანან,
სცენაზე დგანან, როგორც შიშვლები...
ეს აღტკინება წამიერია,
ქუჩა კი ცხოვრობს თავის ცხოვრებით...
აქ თამაშდება სხვა მისტერია
თან სულ სხვა, სულ სხვა მსახიობებით...
ბედნიერებას აქ მუდამ წლობით,
ხან სიკვდილამდეც ელოდებიან...
როგორ მათრობდი, როგორ მათრობდი...
ალბათ, გიპოვი, კვლავ, იმედია!!!

ნუ გაიკვირვებ

ნუ მომაწებებ, ნუ მომაწებებ,
ნუ მომაწებებ მე სხვა იარლიყს...
როგორ მოვიმკი იმას რაც ვთესე,
გულით რომ მსურდეს ხმას ვერ მივაწვდი...
ვისაც ეხება, ვისაც ეხება,
რომ გზა გაუხსნას მართლაც ტალანტებს...
ნუ გაიკვირვებ ჩემს გამეხებას,
მე გავლილი გზა მალაპარაკებს...
ჯვარს ეწეოდა, ჯვარი მიჰქონდა,
ჯვარი მიჰქონდა ზურგით იესოს...
ამღვრეულიყო ცა, ქარი ქროდა...
შენ კი სიკეთე გინდა რომ სთესო...
არა, არ არის ბრბო შენი ღირსი,
ბრბოს მუდამ მგელის ქურქი აცვია...
ვერც შენ იქნები გამონაკლისი,
ჩვენი დრო ძველზე ბევრად მკაცრია!!!

ისევ ძარცვავენ

ისევ დავკარგე, ისევ დავკარგე,
თოკი, რომელსაც ციდან მიწვდიან...
სხეული დამრჩა, სული გავფლანგე,
სულის გაფლანგვის დიდი ნიჭი მაქვს...
რამდენს ვცდილობ, რომ არ შევიცვალო,
რანაირიც ვარ, დავრჩე ისეთად...
როგორ ვისწავლო, როგორ ვისწავლო,
გავხდე ისეთი, დრო რომ მიკვეთავს...
გადაიარეს, გადაიარეს,
ცაზე ათასმა ცივმა ქარებმა,
ისევ ძარცვავენ სულს მსხმოიარეს,
და მიტოვებენ ცოდვებს ვალებად...
ძვირფასო, ხედავ, კვლავ ორნი დავრჩით,
სხვები წავიდნენ და მიგვატოვეს...
ჩემი სიტყვები აქ აღარა ჭრის,
მე გავიზარდე მზის სიახლოვეს...
და სილამაზეს, შენს, თვალისმომჭრელს,
ძეგლად ავუგე თეთრი კედელი...
რა მოხდა, თუკი, მეც მკლავი მომჭრეს,
ხომ მაინც შევძელ შეუძლებელი!!!

მედროშე

მე დროშის ტარი მიჭირავს ხელში,
ჩაბღუჯული მაქვს, როგორც საუნჯე...
ესაა ჩემი ნამდვილი ფესვი,
ჩემი სიბერეც და სიჭაბუკეც...
და უსიკვდილოდ მას ვერ დავუთმობ,
ვერც ერთ ჯალათს და ვერცერთ დიქტატორს,
ის ყველა კითხვას ჩემსას პასუხობს,
და ფარავს, ფარავს, თვით, ზეცის ტატნობს...
მე, მართლაც, განა, ვინა ვარ მისთვის,
დროშა მიჭირავს და მტერს მივკივი...

დავბადებულვარ გამარჯვებისთვის,
არავინ არ თქვას ჩემი სიკვდილი!!!

სად არის ჩემი ლამაზი სატრფო

გავცქერი თბილისს და თვალებს ვატკბობ,
გამქრალა სუსხი და აპათია...
სად არის ჩემი ლამაზი სატრფო,
რომელიც ასე მესიმპატია...
უზადო იყო, როგორც სონეტი,
ვით წყაროს მკერდზე თეთრი შროშანი;
ვთვრებოდი მისი სიახლოვეთი,
მიპყრობდა მისი ხმა საოცარი...
მოგისმენია ტყეში მუსიკა,
როცა ლივლივებს ირგვლივ ნოტები,
და იდუმალი ღამის მწუხრიდან,
ზეცას სტუმრობენ ანგელოზები...
სად არის, რომელ ქალაქს ამშვენებს,
ანდა, თავს რომელ ტაძარს აფარებს...
ასე ნიავი თოვლის ფანტელებს,
აბზრიალებს და მიაფარფატებს...

ბედნიერება? ბედნიერებაა, არ დაიბადო. ელინების ფილოსოფიიდან.

თუნდ ერთი წამით თუ მოხვალ ქვეყნად,
მაინც სიცოცხლედ ჩაგითვლის ღმერთი...
გამორჩეული ხარ ათასებთან,
მილიარდებშიც ხარ ერთადერთი...
თუ გაჩნდი, მართლაც, თუ დაიბადე,
სიკვდილი არის პირობითობა...
ნუ დათვლი წამებს, ნუ დათვლი წამებს,
ბედმა შენ ხელი გამოგიწოდა...
რომ ამ მიწისთვის შეგევლო თვალი,
გენახა ზეცა ვარსკვლავიანი;
რა არის წამი, რა არის წამი,
წამი ხან მთელი სამყარო არი...
და, კაცმა რომ თქვას, ბედნიერება,
ბედნიერებაც ამ წამებშია,
როგორც გაჩენა ჩვენ არ გვეხება,
თვითონ სიკვდილიც ღმერთის ხელშია...

არ ვმჯდარვარ, მაგრამ ჯერაც ციხის სუნს ვგრძნობ...

ვეძებ და ვეღარ ვპოულობ ადგილს,
თან თითქოს ფეხქვეშ მიწას მაცლიან...
სამყაროს ბზარი ჩემს გულზეც გადის,
შენ რაც არაფრად არ მიგაჩნია...
არადა, ვხედავ, როგორ აიჭრა,
ან როგორ ხვდება ხალხი კუმირებს..
ბევრი ჩაიჭრა, ბევრი ჩაიჭრა,
იუდასავით, რაც მეც გულს მირევს...
იყო საზღვრები, იყო საზღვრები,
რომლებიც ახლა გადაშლილია...
ბილწსიტყვაობენ დღეს მონაზვნები,
და თუ დასჭირდათ სექსზეც მიდიან...

თუმცა ტაძრებში ისმის გალობა,
ლომებს დასდევენ ისევ ტურები...
და კიდევ ერთი უცნაურობა,
სკოლებს მართავენ მანდატურები...
რა იქნა ჩვენი თავისუფლება,
მითხარი, მაშინ, რისთვის ვიბრძოდით...
ერი დღემდე ბრბოს მიეკუთვნება,
გავწამდი ამდენ უამინდობით...
ორი ხელი მაქვს და ათი თითი,
მაგრამ, ათი დღეც არ მიცოცხლია...
მათ ვისაც ერთგულ მეგობრად ვთვლიდი,
თურმე, იუდას პირზე ჰკოცნიან...
შენ ვერ მიიღებ ჩემგან საჩუქრებს,
მე არაფერი არ გამაჩნია,
მე ბადრაგებმა დამისაკუთრეს
და ტანზეც ციხის ჩოხა მაცვია...

ვერ გამიგია

ვერ გამიგია, თუ ჩემ გვერდით ხარ,
და არსად ერთ წამს მარტოს არ მტოვებ...
რატომ ვერ მითხარ, რატომ ვერ მითხარ,
ამ სასტიკ დღეებს რად შემატოვე?
ყველა მეორე სიყვარულს მიხსნის,
შენ კი დამუნჯდი, როგორც ჯალათი...
რამ გაგიყინა ძარღვებში სისხლი,
ვინ დაგახურა ეგ მუზარადი?
რატომ ჩამოდის, შენ, რა გგონია,
რატომ ჩამოდის ქრისტე მიწაზე?
რომ დაამყაროს აქ ჰარმონია,
ოცდამეერთეს ამ გარიჟრაჟზე?
ან ძებნა უნდა, ვითომ, ცოდვილებს?
მართლაც, ვინაა აქ უცოდველი?
ამ გრაფას ყველა აკმაყოფილებს,
ყველა დენდი და ყველა მოდელი...
შენ არ მოდიხარ, არც კარს არ მიღებ,
მითხარ, რა დასკვნა გამოვიტანო?
ღმერთო, წმინდანს და ცოდვილს მარიდე,
მე საშუალო მინდა ვიწამო!!!

სისხლი–სისხლის წილ

ნუთუ იმისთვის გავჩნდი ამქვეყნად,
რომ მარადიულ ბრძოლაში ვიყო...
ვისა სჩვევია სისხლის აღება,
მაგრამ ამბობენ, რომ სისხლი ითხოვს...
ჰოდა, არც მე ვარ გამონაკლისი,
და დავდევ ჩემ ბედს მეც მოსაკლავად...
ბედმა არ იცის, ბედმა არ იცის,
რომ უკან დავდევ საითაც წავა...
მაგრამ, ვერაფრით ვერ მოვიხელთე,
როგორც ჩანს, ჩემზე ბევრად სწრაფია,
ის გარბის, მე კი მივათრევ ფეხებს,
ესაა ჩემი ბიოგრაფია!
სად დაიკარგა, ვერც ეს გავიგე,

ისევ დამცინის კვლავ ჩემი ბედი,
საითაც წავალ, ფეხს იქ დამიდებს,
მოვკლავ კი, ვითომ? არ მაქვს იმედი!

შენ რომ გეძინა

შენ რომ გეძინა და საყვარელ სიზმრებს ხედავდი,
მე წვიმიან ცას გავყურებდი შემოდგომისას...
სამრეკლოები გათენების ზარებს რეკავდნენ,
და დავიწყების ნისლში ხვევდნენ ღამეს კოცნისას...
დღეები გადის და რა გვრჩება მათ საზღაურად,
ხელისუფალი არად აგდებს როცა კანონებს,
მგონია სულმა ჯოჯოხეთში იმოგზაურა,
რომ არაფერი, არაფერი არ უხაროდეს...
ჩამწკრივებულა შფოთიანი ფიქრების რიგი,
შენ ტკბილად გძინავს, შენ სიზმრებში გაზაფხულს ხედავ,
ქარებს მიმოაქვთ სურნელება ყვავილთა მინდვრის
და ათრთოლებულ ბალახებში ჭრიჭინებს სევდა...
გაუღვიძიათ ჩაძინებულ ალუბლის ბაღებს,
და უმზერ როგორ იშლებიან თეთრად კვირტები...
ცისკრისას ზეცა მოციმციმე ვარსკვლავებს ბადებს...
ნამიან ველზე გაბნეულა მარგალიტები...

ეჭვი

ასე მგონია, რომ ვერასდროს ვეღარ შევხვდებით,
რომ ჩემს სურვილებს ქარიშხლებმა გადაუარა,
რომ აღარც შენი სიყვარულის არ ვარ შემძლები,
და გამახაროს იქნებ კიდეც შენმა უარმა...
რომ ეს ჩვენი დროც, ასე მწარედ თავბრუდამხვევი,
შთანთქავს ჩვენს ნერვებს და ზღვასავით კლდეებს გვახეთქებს,
რომ სიყვარულიც არის მხოლოდ სულის ნამსხვრევი,
რომ მასაც ტანზე პერანგივით შემოგვახევენ...
რომ ვიცი, ვიცი, ყველაფერი ჩემი ბრალია,
რომ ჩანჩქერი ვარ დარჩენილი მთების გარეშე,
რომ მკერდი ჩემი ათას ეჭვებს დაუბზარია,
რომ ნამი ჩემი მოუწამლავთ ვიღაც გარეწრებს...
მე კი არ მინდა ყველაფერი ისე გაყალბდეს,
რომ სინანულმა გამაწითლოს ზეცის წინაშე,
ეჭვი მაქვს, ალბათ, შენც დამტოვე, შენც გადამაგდე,
და ახლა გინდა ღამესავით გაუჩინარდე!

სად ქარები ექარიშხლა

კვლავ ზეცისკენ, ლაჟვარდებში
ქართან ერთად ვეშურები...
მწვერვალიდან გადავეშვი,
მალე ვარსკვლავთ ვესტუმრები...
სადაც ელვა კრთება წითლად,
ფერხული აქვთ სეტყვის ღრუბლებს,
სად ქარები ექარიშხლა,
მთვარეს მზესთან მოსაუბრეს...
რა ხანია, რა ხანია,
ლაჟვარდებში ფრენას ვნატრობ,
ქარი თითქოს დამფრთხალია,

ხელით ვწვდები ზეცის ტატნობს...
ელვა–ელვას ეთანხმება
და ზღვას ესხმის თავზე მეხი,
ზვირთი ზვირთზე ეჯახება,
ნაპირს გულმკერდგადაღეღილს...
რაც მინდოდა ავისრულე
ცაში, ღრუბლის ფრთებზე ვწევარ...
მთვარე მზესთან გავისტუმრე
და ორივე ახლა მე ვარ!!!

ვისთან გინდა

ნეტა, ვისთან, მართლაც ვისთან,
ვისთან გინდა ახლა იყო?
ვის გაუღებ დარბაზის კარს,
ნებას მომცემ, შეგეკითხო?
მე კი შენი მზერა მიყვარს,
როცა თვალში თვალს გამიყრი...
როცა ზიხარ ჩუმად დიდხანს,
როგორც ყლორტზე მწვანე ფითრი...
მინდა, მინდა განუგეშო,
გადავწიო თეთრი ფარდა,
ჩემს გრძნობებზე გაგამეფო,
რომ არ მექცე მხოლოდ ნატვრად...
მინდა, მინდა მეთამაშო,
აიწონა–დაიწონა,
ყოველ დილას მზეს ავასწრო,
გისახსოვრო სხივთა კონა!

მე კარგად მახსოვს

მე მესმის შენი, მე მესმის შენი,
რომ სიჩქარეში შეცდომებს უშვებ;
რომ თაფლიანი ალუბლის წვენი,
ჯერაც ატყვია შენს მარწყვის ტუჩებს...
მე მიყვარს, მიყვარს, შენი ნაძვნარი,
დამძიმებული ტოტების სევდა;
ღამის კოცონი, დილით ჩამქრალი,
ალი, რომელიც ჩვენსკენ იწევდა...
მე კარგად მახსოვს ის ნიუანსიც,
თითი, შემთხვევით დანით გაჭრილი...
ნისლში მცურავი გუმბათი ტაძრის,
და სისხლი მლაშე მარილდაყრილი...
ან რა სისწრაფით ვიცვლიდით როლებს,
ვეღარ გაგვეგო, ვინ ვის ასწრებდა,
რომელი რომელს, რომელი რომელს,
ალუბლიან ტუჩს სად დაამჩნევდა...

შენ არ იცი

მინდა, მინდა, რომ ვიწამო,
მართლაც შენი ყველა სიტყვა,
იმას რასაც ჩემთან ამბობ,
შენ გგონია დამავიწყდა?
აკი სადღაც მივდივარო,

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით...
ისეც აღარ მიყვარხარო,
ამატკიე თავი ფიქრით...
რაც მე მტკივა, შენ არ გტკივა...
ვიცი ბედსაც არ ემდური...
შენ ბავშვივით გძინავს ტკბილად,
გაქრა ჩემი საყვედური...
შენ არ გითქვამს თუ რჩებოდი,
გაწყდა, გაწყდა ხსოვნის ძაფი...
შენ არ იცი, რომ ვკვდებოდი,
არც ის იცი, რომ გადავრჩი...

რაზედ სდუმან

ნეტა, რატომ, რაზედ სდუმან,
დათოვლილი მწვერვალები...
მიყურებენ როგორც სტუმარს,
ანდა, იქნებ ვებრალები...
რომ მათ ცივ და უტეხ შუბლზე,
სიამაყე აწერიათ...
ქარაფებსა და უფსკრულზე
გადის მათი არტერია...
აქ არწივი არწივს ეძებს,
თოვლს ატყვია ვეფხვის კვალი...
ალბათ მკერდი ჩაილეწეს,
ყინულებში ჩანს ნაპრალი...
ირეკლავენ, ისხლეტავენ,
მწვერვალები სხივებს მზისას...
წავალ, სადაც ქარნი წავლენ,
მჯერა ჩემი იმედისა...
მეც სუფთა ვარ, ვით ეს ზეცა,
და სპეტაკი ვით ეს თოვლი...
ავალ, ავალ, მალე მზესთან,
და ვერასდროს ვერ მიპოვნი...

შენ რომ გნახე (ნინო მ–ს)

ქვევით ცივი ზამთარია,
ზემოთ ცა და ვარსკვლავები...
წვიმამ ქარი გადარია,
დაუსველა წამწამები...
შენ რომ გნახე, შენ რომ გნახე,
აფეთქებდა ნუში კვირტებს...
თითქოს რაღაც განმიახლე,
რაღაც ეჭვებს განმარიდე...
ჩემთვის ბედის ტამტამი ხარ,
და მგონია კვალზე მომდევ,
ალბათ, სისხლსაც გადამისხამ,
რომ გადავრჩე და არ მოვკდე...
თუმცა, ვიცი, რომ არ მისმენ,
და რომ ჩემი არა გჯერა...
მე კი მაინც ამოგიცნე,
შენ ხარ ჩემი ბედისწერა!

ტანგო

ვცეკვავთ, ვცეკვავთ, ვცეკვავთ ტანგოს,
ბარძაყები იწვიან...
აღარაფერს არა ვნატრობ,
ცეკვამ გამოიწვია...
თან შევყურებ ჭერზე ჭაღებს,
მიკვირს რომ არ ფეთქდება...
შენი ხელი მხარზე მადევს,
შენი ფეხი მკერდზე მაქვს...
დაბზრიალდი, დაბზრიალდი,
არ გამეშვა ხელიდან...
მართლაც, შენ რომ არა მყავდე,
ნეტა, ვინ მიშველიდა...
ჩამეხვიე, ჩამეხვიე,
როგორ მინდა დამახრჩო...
სიხარულით ცას ვეწიე,
არაფერი არ მახსოვს...
მგონი, ვგორავთ იატაკზე,
მგონი, სადღაც ვვარდებით...
შენი ბაგე თაფლით სავსე,
შენი ვნების ბაღები...
ნელა, ნელა სისხლი დაცხრა,
აქ მთავრდება მუსიკა?
ბოლო ნოტმა მკერდი გაჭრა...
მოვკვდი მე ამ წუთიდან...
ერთს კი გეტყვი, თუ კი მკითხავ,
მთელ ქვეყანას მერჩივნე...
შენ რომ არცა ყოფილიყავ
უნდა აღმომეჩინე...

შენ, შენს ვალს იხდი...

არა, მგონია, არა მგონია,
რომ ყველა წაწყმდეს ვინც გაჩენილა...
მახსოვს დავითი კლავდა გოლიათს,
რომელიც თურმე გადარჩენილა.
ახლა შენ ებრძვი, ახლა შენ ცდილობ,
აღარა გყოფნის, ალბათ, ნერვები,
და რომ არ გინდა დააფხერეწინო,
ურჩხულის მოკვლას ღმერთს ევედრები!
ალბათ, ბრძოლაა შენი ცხოვრება,
და შენც, უბრალოდ, მტერს არ ნებდები...
აბა, ურჩხული როგორ მოკვდება,
ამოთხვრილი აქვს სისხლში ხელები...
შენ, შენს ვალს იხდი, შენს პატარა ვალს,
ებრძოლე, სისხლმა არ შეგაშინოს...
ყველა ურჩხული, მართლაც, ჯანდაბას,
ვიცი, მამული გსურს შეგარჩინონ!!!

არა იმიტომ

ოდესმე ყველა საიდუმლოს ეხდება ფარდა,
ამას მიყვება უძველესი ერთი სონეტი...
არწივთა გუნდი მოლაპლაპე მწვერვალებს ასცდა,
მთიდან ეშვება ზიგზაგებით კაბრიოლეტი...

ჩემი ცხოვრება ხშირად ჰგავდა, ალბათ, დაცემას
და ჩემი სულიც ჯოჯოხეთის ალში იწვოდა...
რამდენი ვინმე იმსახურებს დღეს ანათემას,
მოვა დრო, ყველა ამათგანი ამოიცნობა...
ბერჯერ სცდებიან, კარგად იცი, ჟამთააღმწერნი,
თვით რომის პაპი, რომის პაპი გვყავდა მეკობრე...
არ მინდა შევცდე, და თუკი დღეს მეამაყები,
არა იმიტომ, რომ, უბრალოდ, დაგიმეგობრდე...
მინდა გავიყო, შენი ჭირიც, ლხინიც გავიყო,
მუდამ ვიბრძოდი, მეც ღირსების გადასარჩენად,
რომ ჩვენი სული, სული მაინც არ მომკვდარიყო,
თუკი სხეული ცოდვის ბუდედ მოიაზრება...
მინდა გახსოვდეს, ერთი იყო ქვეყნად მესია,
და არ არსებობს ეს სახელი სხვამაც გაიყოს...
შხამიან ისარს ხშირად სწორედ იმას ესვრიან,
ვისაცა სურდა შენს მაგიერ რომ მომკვდარიყო...

მე რომ სისხლი გავიღე

ვინ უნდა მიზღოს, ვინ უნდა მიზღოს,
გასული წლების ეს დანაკლისი?
სული მსხვერპლს ითხოვს, სული მსხვეპლს ითხოვს,
რით ვერ დამთავრდა ეს პარაკლისი...
გახუნებიათ ფერები ფოთლებს,
ცისკენ იწვდიან გამხმარ ღეროებს...
ცა, რეალობის ეს უტყვი მოწმე,
სვამს შესანდობარ სადღეგრძელოებს...
წვიმით და სეტყვით, წვიმით და სეტყვით,
აქ ერთობიან შავი ღრუბლები,
და ნაცრიფერი ქარიშხლის ეტლით
დაქრიან ღამის ბედაურები...
ან რას მომიტანს იმის სანაცვლოდ,
ეს წლები, მე რომ სისხლი გავიღე...
ან წრფელი გულით ვინ მითანაგრძნობს,
ან, ნეტა, სიკვდილს ვინ ამარიდებს...
ან გულზე ხავსი რატომ მედება,
ან რად უთხრიან სიცილს სამარეს...
ან ვარსკვლავები თუკი ფეთქდება,
რად შერჩა ფერი ცას მოკამკამე...
ეშვება ღამე და მე ვბრუნდები,
ჩემს ძველ სიზმრებში ძე შეცდომილი...
სად მელოდება იაგუნდებით
ულამაზესი შენი პროფილი...

თუ გიპოვი

რომ მცოდნოდა, რომ მცოდნოდა,
ჩემთან ყოფნას თუ ნატრობდი...
ეს სურვილი მეცა მქონდა,
დამიჯერე, მეც მახსოვდი...
არ გამექცე, არ დამტოვო,
ნუ ენდობი შენ ჩემს თვალებს...
მეეჭვება სხვაგან ჰპოვო,
ვინც მთელ დღეს არ ჩაგამწარებს...
გადიყარე, გადიყარე,

ვით მოქუფრულ ცამ ღრუბელი...
თუ გიპოვი, შემიფარე,
და დამადგი, თუნდ, უღელი...
მივაცილებ წუთებს. წამებს,
მართლაც, რა მაქვს სამრისხანო?
ფიქრებს გავყრი უმეცარებს,
რომ ნატვრები გაგიცვალო...
ანდა, იქნებ ვმეორდები,
ეს სიტყვებიც ნათქვამი მაქვს...
რა ტყუილად მეომები,
მინდა ომი? რად არ მკითხავ?!

მიდიმოდიან

ეს შემოდგომაც გამოვიგლოვე,
ისე, როგორც სხვა შემოდგომები...
ალბათ, სულ მალე ისევ ითოვებს,
მე კი, მაინც შენ დამეთოვები...
მიდიმოდიან, მიდიმოდიან,
წლები, ახალი ნაცნობებივით...
მითხარი, იქნებ, ესეც თოვლია,
ზედ რომ მეყრება შენი თმებივით...
მითხარი, იქნებ დროს ისე ავცდი,
რომ აღარცა ღირს სალაპარაკოდ...
ისევ განვიცდი ათასჯერ განცდილს,
ვთამაშობ, თუნდაც ასჯერ წავაგო...
რა მომიტანეს, რა მომიტანეს,
ამ შემოდგომის ცივმა ქარებმა...
ძვირფასო, ბრძოლა მე ვერ ვისწავლე,
ვერ ვხვდები სული რად იბზარება...
ალბათ გაივლის, ალბათ გაივლის,
და ისევ მოვა გაზაფხულები...
ვიპოვი ბუდეს მეც მერცხლივით,
სადაც შენ კოცნით მასაჩუქრებდი...

მე ხომ ქარი ვარ

ძვირფასო, გული არ დამიკეტო,
როცა მთვრალი ვარ, გზას ვეღარ ვაგნებ...
ამიხირდება და უმიზეზოდ,
ჩემი ქარიზმა სადმე მიმაგდებს...
როცა მთვრალი ვარ, როცა მთვრალი ვარ,
უფრო მიყვარხარ, უფრო ვგიჟდები...
თოვლი ვარ, მოვწყდი მე მწვერვალიდან,
სულ მალე ზვავად გადავიქცევი...
ავიყოლიებ ყველა ხეობებს,
ქარებს, რომლებიც გზად შემხვდებიან...
ღრუბლებს, რომლებიც მონაცვლეობენ,
და რიგ–რიგობით მთებსაც ესხმიან...
არ დაიჯერო, არ დაიჯერო,
ჩემი სიკვდილი, მე უკვდავი ვარ...
თუნდაც ვენები გადამისერო,
ვერ მომკლავ, რადგან, მე ხომ ქარი ვარ...
მე ხომ ზვავი ვარ მთებს მოწყვეტილი,
მოვალ, მოვფრინავ, ვერ გავჩერდები...

წამოფრენილი კლდე ვარ ორბივით,
და ისევ კლდეებს შევუერთდები!!!

შენთან მინდოდა

ქალაქს გადაჰკრავს ნეონის შუქი,
ისევ ძილისკენ მიდის ქალაქი...
და კვდება ჩემში წინადღის მუხტი,
გაკვირვებული შენი ბარათით...
ქართული შრიფტი გამოაქვს ეკრანს,
და სახე შენი ასე ზღაპრული...
თითქოს თვალებში მიყურებ ერთხანს,
და რაღაც აზრი მოგდის მზაკვრული...
და გამიელვებს მეც იმ წამს ფიქრი,
ამ ქალს ვუყვარდი თუ არ ვუყვარდი?
კაბა დაგსვრია ყაყაჩოს სისხლით,
ვიღაც კვალს ავლებს ყანას გუთანით...
და ალესილმა გულდაგულ დანამ,
თითქოს, ჩემს მკერდზეც გადაიარა...
ყველა ქალები ერთმანეთს ჰგვანან,
ალბათ, რაღაცით, სულ მთლად კი არა...
მე კი არაფრით, მე კი არაფრით,
არა მაქვს ამით შეღავათები...
შენთან მინდოდა, წუხდა ბარათი,
მე კი იმ ღამეს სხვასთან ვათევდი...

რაღაცა გვაქვს საერთო (ხ.ტ.–ს)

რატომ უნდა მომწონდე?
რატომ უნდა მიყვარდე?
მაშინ შემწვი კოცონზე,
სასამართლოს მიმართე!
ეს ხუმრობით, ისე კი,
რაღაცა გვაქვს საერთო,
გულის მარგალიტები,
სულის საგრიგალეთო...
ვიცი, ვიცი, გიწვევენ,
ბაღის ლურჯი იები,
მე კი ვეძებ მიზეზებს,
შენ რომ ჩემში იწვევდი...
ან ამდენხანს სად ვიყავ,
ანდა, ვისზე ვფიქრობდი...
ბედმა წლები წამღლიტა,
თითქოს, თითო–თითოთი...
ახლა ვზივარ სახლში და
ჩემს ოცნებებს ვაწვალებ...
სხვა, ვთვლი, ალბათ დახრიდა,
ჩემს წინ თავის წამწამებს...

ყველას! ვინც ერთ ადგილს ტკეპნის!

ალბათ არასდროს არ არის გვიან,
რადიკალურად შეცვალო აზრი...
ზღვის წინ რამდენი კეძჭები ყრია,
მაგრამ არცერთი მეორის ასლი...

როგორც ეს მიწა, როგორც ეს მიწა,
სხვა ვარსკვლავებიც ასე ტრიალებს?
იქნებ პირიქით? მე კი სულ ვრისკავ,
ყველგან ჩემს დროშებს მივაფრიალებ!
თუნდაც წაიღონ, რაც მაქვს, რაც მალხენს,
თუ ასე უყვართ ტალახის სროლა...
არ ვუყურებდი მე არცერთ არხებს,
ახლა კი ორმა გადამიყოლა...
თუმცა, რას ვამბობ, მგონი აღარცერთს,
აღარ ვუყურებ, არც ღირს ყურება...
მაშ, გაუმარჯოს, თასი აავსეთ!
ამ მიწის ახალ გადაბრუნებას!!!

შენი რაში ვარ

შენ აქ რა გინდა, ნუთუ, შენც ჩემზე,
ფიქრობ და არ გაქვს შენც მოსვენება?
სულ ვოცნებობდი შენს გაშლილ თმებზე,
შენ ხარ მერანზე, თუ მეჩვენება?
მიჰქრიხარ, უკან არ იხედები,
უსასრულოა შენი ჭენება...
მხოლოდ გაშლილი იასამნები,
და ალუბლები შეგეფერება...
მიჰქრიხარ, თმებით ზეცასა სწვდები,
მერანს არ უჭირს შენი ტარება...
ვის გაექეცი, ვის ემალები,
ან შენთან ყოფნა ვის ენატრება...
ხომ არ მატყუებს ეგ სილამაზე,
ვინ შექმნა სახე ასე ღვთიური...
თუ ყველა ქალი შენ ჩაანაცვლე,
მე კი გამხადე ლამის ტყიური...
შენ გააღვიძე ჩემში ველური,
თუ შენმა თმებმა ქარში გაშლილმა...
და თუნდაც იყოს ეს მტკივნეული,
გამაწან შოლტი, შენი რაში ვარ...
მიდი, მომხვიე, ყელზე ხელები,
ამ უფსკრულს მინდა გადავაფრინდეთ...
მე მხოლოდ მაშინ მოგეფერები,
თუკი ავასწრებთ ცაში არწივებს...

ყველა მიიღებს თავისას

წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ყველა მიიღებს თავისას,
საასპარეზოდ გამოვლენ,
მოთამაშენი ხვალისა..
რას მეტყვი, რით გამახარებ,
დღეებო ქუდბედიანო?
აქეთ ეშმაკი ხარხარებს,
იქით წმინდანი ხმიანობს...
ჯამბაზის თოკზე ვკიდივარ,
ქარი ქრის და თოკს ატოკებს;
ყაყაჩოს მაწვდის მინდვრიდან,
სატრფო რომელზეც მაბოდებს...
ვართმევ და ფეხი მერევა,

ქვემოთ ღვარცოფნი ბღავიან...
მე გაზაფხულის მეკვლე ვარ.
ჯამბაზის თოკზე გავდივარ...
მაგრამ თუ ფეხი დამისხლტა,
მშვიდობით გაზაფხულებო,
ბევრჯერ ხელმწიფის ტახტიდან
უმზეოდ დამარხულებო!!!

სულ, სულ ოდნავ ვაჭარბებ... (ხ.ტ.–ს)

რასაც გეტყვი, კი არ მინდა დაიჯერო,
იმიტომ რომ, რა მოჰყვება არ ვიცი...
ყველა ქალზე, ყველა ქალზე ნატვრისფერო,
არ ხოცავდნენ შენი სილამაზისთვის?
იქნებ ოდნავ, სულ, სულ ოდნავ ვაჭარბებ,
იქნებ თვალი სხვანაირად გხედავს,
მე კი ნაღდად ისე შემაჭანჭყარე,
ცხადად მესმის ჩემი გულის ფეთქვა...
ეს დღეები სხვანაირად მიდიან,
თითქმის ყველას ჯანდაბაში ვაგზავნი,
შენ რა გიჭირს, მე წამებსაც მითვლიან,
არენაზე გამოსული ჯამბაზნი...
რასაც ვამბობ, რასაც ვამბობ, იცოდე,
ყველა სიტყვას მაწვდის გულის აორტა,
როგორ მინდა, როგორ მინდა იწვოდე,
ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის, განა რა მოხდა...
მე დღეიდან ყველაფერს თავს ვანებებ,
შენ იქნები მხოლოდ ჩემი რჩეული...
მაგრამ თუკი სხვებიც შეგიყვარებენ,
მეც არა ვარ რისხვას გადაჩვეული!!!

სურვილი

რაა ცუდი ამაში,
მე რომ შენთან მინდოდეს,
სადმე ჭვავის ყანაში,
თავთავების მინდორზე.
სულაც, ბალახ–ბულახში,
გავწვეთ და მზეს ვუმზიროთ...
როგორც ლამაზ სურათში,
ცას ლოცავენ უძიროს...
შენ ეგ კულულიანი,
თმები შუბლზე გეფინოს...
ყვავილები რძიანი,
ერთად აღმოგვეჩინოს...
ყურს ვუგდებდეთ საოცარ,
ხმებს ფრინველთა სულების,
ცივ, ანკარა წყაროსთან
მუჭით დამარწყულებდი...
ხედავ, რას არ ინატრებს,
კაცი შენი მნახველი,
მაგრამ, გინდა სიმართლე?
მათრობ, როგორც სასმელი...

გთხოვ მაპატიო

ჩემი ბრალია, ჩემს თავზე ვიღებ,
ჩემი ღალატი თუ კი გაწუხებს,
ვერ გავერიდე, ვერ გავერიდე,
შენს კითხვებს, მაგრამ, ვერც გიპასუხე...
და ამ ოთხივ მხრივ ჩაკეტილ სივრცეს,
ვაწყდები, როგორც ლურჯი ფრინველი...
გთხოვ, ნუ დამიჭერ, გთხოვ, ნუ დამიჭერ,
ეს დროა, ასე, შიშველ–ტიტველი...
მე ვერ უარვყოფ, ჰო, ვერ უარვყოფ,
რაა მორალი ეჭვის გარეშე...
და, გთხოვ, იმ ფრინველს ჩემში ნუ აფრთხობ,
მე მას, უბრალოდ, მივუალერსე...
შენ კი დამეძებ, როგორც აფთარი,
როგორც კლდის ვეფხვი გამეხებული,
და ბოროტება შენში რაც არის,
თითქოს, წინ მედოს, ვით ხელის გული...
ნუ შემაშინებ, ნუ შემაშინებ,
აქ, ისეც, შიშის ქრიან ქარები...
კი, ვიცი, ვიცი, გული გატკინე,
გთხოვ, მაპატიო, გემუდარები!!!

რაში ქარით შევკაზმე

ღამე ქრება, დილა მოდის,
მზემ დაიდგა უღელი...
უშენობას, არ გამოდის,
ვუძელ, ვერ გავუძელი...
ტანთ ღრუბლები გადავიცვი,
რაში ქარით შევკაზმე,
ახლა უკვე ცაში მივქრი,
გზიდან ჩამომეცალე...
გადამისხამს სისხლს გრიგალი,
ელვა მიწრთობს რაპირას...
მთელი ზეცა ჩემი არი,
როცა ცაში დავფრინავ...
გინდა, ციურ ჭექა–ქუხილს,
ძღვენად გამოგიგზავნი,
თუ ჩვენს შორის არის შუღლი,
ბრძოლას მათით ისწავლი!!!

მანანა ელიაშვილს, ჩემ ღვიძლ დას!!!

შენ არ გეწყინოს ჩემგან, მანანა,
მე რომ, საერთოდ, დავდგე ყირაზე...
ჩემი ცხოვრება სევდამ დანამა,
და შენც გამოჩნდი ჩემს გარიჟრაჟზე...
ალბათ, ასეა, ალბათ, ასეა,
ღმერთი მიგზავნის მე ანგელოზებს,
ჩემი ცხოვრება შხამით სავსეა,
მაგრამ, შენ, ალბათ, ჩემთვის ილოცე...
მადლობელი ვარ, შენ კი გამიგებ,
ქვეყნად ვერავინ რომ ვერ გამიგოს;
და, ალბათ, შხამსაც შენ ამარიდებ,
უძვირფასესო, ჩემო დაიკო!!!

ასე მგონია

ასე მგონია, რაღაც დავკარგე,
რომ აღარაფერს არა აქვს აზრი...
არაფრად არ ღირს რაც ვაქანდაკე,
რასაც კი ვთხზავდი არაფრად არ ღირს...
რომ მთელ სამყაროს ფეხზე ვკიდივარ,
რომ ამაოა მცდელობა ჩემი...
რომ ქარი ვიყავ და ქარიშხლიდან
მე გადარჩენა ვეღარ შევძელი...
ოცდაათ ვერცხლზე გაყიდეს ქრისტე,
მე კი ერთ ვერცხლზე თუ გადამცვლიან,
ნუთუ, ეს ჯვარიც ტყუილად ვზიდე,
ნუთუ, სიკვდილსაც არ დამაცლიან...
არადა, როგორ გინდა აჰყარო,
საკუთარ რწმენას ღირსება ძალით...
როდესაც ბედი გდედინაცვალობს,
და ყველაც, თითქოს, შენზეა მწყრალი...

ისე არა წვიმს

ვზივართ, ხელს ვუწევთ ერთიმეორეს,
და სულ მამარცხებს მე ჩემი ბედი...
რა არ ვიღონე, ბევრი ვეომე,
გადამიწურა მაინც იმედი...
ვის გავუცვლიდი? ყველას, ვისაც შურს,
ჩემი ნიჭის და ჩემი მცდელობის...
ისე არა წვიმს, მართლაც, როგორც ქუხს,
არა მაქვს ნიჭი მე პირფერობის...
ასე, მუდმივად, ორ წყალს შუა და
ბეწვის ხიდზე ვარ გამოკიდული...
მე სიამაყე ჩემი მღუპავდა,
მოგება იყო გამორიცხული...
თუმცა, ამგვარი ხშირად წაგება,
გამარჯვებაზე ბევრად ტკბილია...
ჩემი წარსული მეამაყება,
რაც კი რამ იყო, რაც განცდილია...
ალბათ ასეა, თვითონ მზეც ჩადის,
რომ მერე უფრო გამოიბრწყინოს...
გემშვიდობები, კვლავ შეხვედრამდის,
მოკლედ, უჩემოდ არ მოიწყინო...

მომესურვილე

მომესურვილე, როგორც არასდროს,
თითქოს გადამცეს ინკვიზიციას...
რა საიდუმლო გინდა გამანდო,
რა დაგრჩა, რაც ჯერ არ გაგინდია...
რაზედ ჟღრიალებს ეს კლავიშები,
ვიწვები, მგონი, და ნავთს მასხამენ...
დროა ცოდვათა არ დავიწყების,
ყავლი გასვლიათ ნამდვილ მასხარებს...
თუმცა, არ ვიცი, ეს დრო ვისია,
საიდან ქრიან ცხელი ქარები...

იქნებ სიკეთის დასაწყისია,
იქნებ მთლად ფსკერზე მივექანები...
შენ ვერა გხედავ, შენ ვერა გხედავ,
ალბათ გაცვია ნისლის ფარაჯა...
სადღაც უფსკრულთან გიმტყუნა ბედმა,
და ვინც გიყვარდა მან გიღალატა...

არ ჩადგა ქარი

არ ჩადგა ქარი, არ ჩადგა ქარი,
ღმუის, თარეშობს გაავებული...
ლამის წაშალოს წარსულის კვალი,
ისეა თავის როლში შესული...
ჩამოუარა ბებერ ციხეებს,
ახალ ტაძრებსაც შეავლო თვალი,
ფოთლები ფოთლებს ისე მისდევენ,
როგორც წამები დღეის და ხვალის...
შორს, ქედზე, სადაც ღრუბლები ჩანან,
გადაიქცევა ქარი ქარიშხლად...
ციხის ნანგრევზე გველები წვანან,
ციხეს იცავენ ავი თვალისგან...
მართლაც, ვინ იცის, ამ ციხეს, ალბათ,
უტრიალებდნენ ირგვლივ ჯარები...
ქარი არ ჩადგა, ქარი არ ჩადგა,
გაავებულნი ქრიან ქარები...

შენ გამიღიმე

შენ გამიღიმე, თორემ მე ღიმილს,
გადავეჩვიე დიდი ხანია,
შენ გამიღიმე, ღიმილით მინდვრის,
კოპლებიანო ჭიამაია!
აქ არ დამტოვო და სადაც გინდა,
იქ წამიყვანე მე ჩემი ბედით...
გავწიოთ სადაც ბევრი გაფრინდა,
გთხოვ შემაშველო ეგ შენი ფრთები...
რა მსუბუქია, რა მსუბუქია,
სული რომელიც აქამდე შემრჩა...
ჩემი თვალები დილის შუქია,
და ჩემი გულიც ანათებს თეთრად...
აქ მობრიალე კოცონთა შორის,
ვიცი, ცოცხალი ვერ გადავრჩები...
შენ წამიყვანე თუნდ იყოს შორი,
როგორც მიგყავდა სხვა ათასები...
შენ წამიყვანე, შენ წამიყვანე,
სადაც მთებია ან ტრამალია...
თუნდ ჩემზე სხვების ჯავრიც იყარე,
აქ ნუ დამტოვებ, ჭიამაია!

მგელი და კრავი

მგელი და კრავი, კრავი და მგელი,
როგორც ამბობენ, ვერ სძოვენ ერთად...
რადგან მგელია კრავის მჭამელი,
ალბათ, ერთხელაც შემოეჭმება...

არ მიყვარს, როცა ღმერთების ცოდვებს,
დგანან და ჩუმად მე მაბრალებენ...
რომ ას ქალს ვუწერ თურმე ამ ბოდვებს,
და სათითაოდ სურთ რომ დამნებდნენ...
მე უარს ვამბობ, მე უარს ვამბობ,
მე ეს განზრახვა არცა მქონია...
ვაითუ, ვინმე შემომეჭამოს,
ხომ ატყდა ერთი კაკაფონია...
ამბობენ, თურმე კაცებს დაეძებს,
ყველა მეორე და უფრო მეტიც...
არქმევენ ჩმორებს, ბრიყვებს, გარეწრებს,
სხვა სახელებიც აქვთ უკეთესი...
ილაპარაკონ, ილაპარაკონ,
რადგან პირზე ხელს ვერ ააფარებ...
მგელო და კრავო, მგელო და კრავო,
ვერ ამიხსნია რას მითვალთვალებთ...
ისე, ყველაფერს თავისი დრო აქვს,
ხან მგელი ვარ და ხანაც კრავი ვარ...
კარი გამიღე, ბალახი მომაქვს,
ნახე რა ტურფა სანახავი ვარ...

რად მაგონდება

აქ ვითარება ახლა სულ სხვაა,
არ მოდის წვიმა გაუთავებლად,
და ზეცაც ისე, ისე სუფთაა,
როგორც ცისკრისას მზის ელვარება...
რად მაგონდება, რად მაგონდება,
რად მაგონდება შენი თვალები...
როგორც სიგიჟე და გაოგნება,
როგორც წყურვილზე რძის ფიალები...
გაქრა ეჭვები და სივრცე მარწევს,
როგორც მზის გულზე ზღვაში ნავები...
რატომ გიგონებ დღეს მეათასედ,
რად მენატრება შენი მკლავები...
მე დაგიფიცე რაც რამ გამაჩნდა,
რაც მქონდა ქვეყნად დასაფიცარი;
ეს ლექსებია თუ რამ გადამრჩა,
და კიდევ ერთი, შენზე სიზმარი...

ყველაზე მეტად

ყველაზე მეტად მწყურია ახლა,
ჯერ ღვინო, მერე შენი ტუჩები,
რადგან ფიქრებმა კვლავ ამიჯანყა
ნდომანი ძილში დანაყუჩები.
გასწითლებიათ ცაცხვებს ფოთლები,
შემოდგომაა და მინდვრებს აწვიმს...
მე კარგად ვიცი, სმას ვერ მოვრჩები,
თუ არ დავცალე ეს ბოლო ყანწი...
ქალაქს არ სძინავს, ქალაქს არ სძინავს,
გაბრუებულა, ის ღამის ნისლით...
ჩასაფრებია დარდი ვამპირად,
და ვეღარ გაძღა ქალაქის სისხლით...
ახლაღა მივხვდი, ახლაღა მივხვდი,

რომ შენი კაბაც სისხლისფერია,
აქ ვიღაც დაძრწის ჯალათის ნიღბით,
და მეძავები ფრანტებს ელიან...
როგორ მიყვარდა მე ქარვისფერი,
და ამღვრეეული ფერი ბადაგის,
თანდათან ზევით წავიდა ხელი,
ეს რქაწითელი ყელში გადადის...
მე კარგად ვიცი ღვინიან ტუჩებს,
რომ თაკილობენ ხშირად ქალები...
ამიტომ, მოდი, არ შეგაწუხებ,
მოდი, უბრალოდ, გაგეპარები...

შემოდგომაა

შემოდგომაა, შემოდგომაა,
და ჩემი სული ბუნებას ერწყმის,
ესეც ერთგვარი გადაცდომაა,
ან ცდა, უბრალოდ, რაიმეს შეცვლის...
სხვა იყო ძველი შემოდგომები,
სხვა სიტკბო ჰქონდა და სხვა ფერები...
გადასხვაფერდა რაღაც ომებით,
დევნით, მუქარით და დაჭერებით...
და, ღმერთმა უწყის, მართლაც, როგორი
ცივი იქნება ეს შემოდგომა...
თავისუფლებას შეცვლის კონტროლი,
თუ რომელიმე ტკბილი გოგონა...
ჯერ ხმაურია, ისევ რატომღაც,
დრო ინერციას უწევს შეფობას...
და არაფერი თუ კი არ მოხდა,
მე ჩემი ერთი ლუკმაც მეყოფა...
რად მიბრაზდება, რად მიბრაზდება,
შენი თვალები, ალმაცერები...
ჩემი ბრალია? დრო თუ ყალბდება,
და მეც მჩვევია გადაცდენები...

მე ის ერთი, სისხლისფერი ვარდი ვარ...

როიალზე სისხლისფერი ვარდი გდია,
ცოტა ჩაცხრა მოფუტფუტე დარბაზი...
ეს პირველი რა ძლიერი აკორდია,
ტყვია მომხვდა, მაგრამ, მგონი, გადავრჩი...
ქალის მკერდი ეხეთქება როიალს,
თითქოს უნდა, თითქოს უნდა აფრინდეს...
ოკეანეს თავის აკვატორია,
ქარიშხლებმა ლამის შემოაფლითეს...
დარბაზს ვნებით დაუხუჭავს თვალები,
და ტალღები ახლა ჩემსკენ მოგორავს...
მე ისე შორს, მე ისე შორს წავედი,
ვერ მომწვდება მედუზა და გორგონა...
ეს რა ხდება, მგონი დაბლა დავეშვი,
ოკეანე კატასავით ნებივრობს...
ეს ცხელი მზე შემომცქერის თვალებში,
მე კი თითქოს ზღვებზე გადამეფრინოს...
ვერ მოასწრებ, ვერ მოასწრებ ჩაძირვას,
აკორდები ჭაღზე ეკიდებიან...

მე ის ერთი სისხლისფერი ვარდი ვარ,
როიალის გულ–მკერდზე რომ კვდებიან!!!

მეც მცირედი ნაწილი ვარ

მოფრინავენ, მოფრინავენ,
ჩემსკენ გუნდი არწივების...
მართლაც, თუ კი გამიმართლებს,
მეც მათსავით ავფრინდები...
გავექცევი ბრალს და ცოდვებს,
და ღმერთებთან თავს ვიმართლებ...
ნეტა, მართლაც, ფრთები მქონდეს
და ზეცაში დავფრინავდე...
ვიცი, ვიცი, რომ ამ მიწის,
მეც მცირედი ნაწილი ვარ,
მაგრამ ისე გადავიწვი,
რომ არც ვიცი, სად მივფრინავ!
ქვევით ვტოვებ მკვლელთა ჯარებს,
კაენობას ვინც არ იშლის...
თავი ზეცას შევაფარე,
აღარ მინდა ნახვა სისხლის...
დავივიწყებ, დავივიწყებ,
რაც მკლავდა და რაც გადამხდა...
მე სისხლისგან დავიწრიტე
და სულ მალე ღმერთსა ვნახავ!!!

რა საუნჯე ხარ

სად არ გეძებე, სად არ გეძებე,
შევაწრიალე მთელი სამყარო,
ყველას ვუამბე, ყველას, ჩვენს ბედზე,
მართლაც, ვუამბე, როგორ არ გვწყალობს...
ნეტა, სიყვარულს ჰქონდეს რეცეპტი,
აბით გულიდან ამოგიღებდი,
მე ხომ უშენოდ ერთ წუთს ვერ ვძლებდი,
ალბათ, ნამდვილად მქონდა, მიზეზი...
მინდა ავუხსნა, ვინც არ გიცნობენ,
რა საუნჯე ხარ, რა ნატრისთვალი...
შემოდგომაზე როგორც მწიფობენ,
ზვრებში ვაზები ნაქარიშხალი...
მართლაც, უზადო ქარვის მძივი ხარ,
დაისი მშვიდი, წყნარი, კეთილი...
ხან კი თოვლიან მთაგრეხილიდან
ჩანქერი კლდეზე გადმოფრენილი..

სამშობლო (ათი წლის თაკოს)

სამშობლო მინდა მიყვარდეს,
ქვეყანა მქონდეს მთლიანი,
რომ მის დიდებულ მიწაზე,
ჰყვაოდეს დეკა–ღვიანი...
ჩვენ ხომ მუდამჟამს ერთნი ვართ,
ერთი ენა გვაქვს ქართული,
მე ყველა კუთხე მერჩივნა,
რომ იყოს წელგამართული...

ქართლი, კახეთი, გურია,
სამეგრელო და სვანეთი,
ამ გულში ჩაკირულია,
ასიათასი რამეთი...
სიმღერით, ცეკვით, ლექსებით,
ვარსკვლავებით და მთვარეთი,
გადაჭდობილი ფესვებით,
მილიარდ დღით და ღამეთი...

ხომ არსად წახვალ

როგორ გელოდი, ბედნიერებით,
თითქოს განათდა ზეცის კამარა...
თითქოს აფრინდნენ ერთად მტრედები,
ცაში ღრუბლების გადასაფარად...
ვტოვებ ყველაფერს, ვტოვებ ყველაფერს,
რაც რამ მიყვარდა და ძვირფასია...
მხოლოდ მე და შენ, მხოლოდ მე და შენ,
სულ ერთი ქოხი და კავკასია...
დავსხდეთ და დილის სუსხზე ვუმზიროთ,
მზე რა განცხრომით ამობრძანდება...
როგორ ბრწყინდება ზეცა უძირო,
როგორ იოკებს კლდე მრისხანებას...
შენ მომეფერო, მეც მოგეფერო,
იქვე ნაკადულს ეღიმებოდეს...
არწივი სვავდეს ჩვენს სადღეგრძელოს,
და ვნების ალი მთებს ედებოდეს...
მე გამახარა შენმა დანახვამ,
ეს აღსარებაც მეპატიება...
მითხარი, მითხარ, ხომ აღარ წახვალ,
ხომ გაანელებ, ჩემს აღტკინებას?

ვინ იცის...

სიცოცხლე მშვენიერია,
ვინ იცის, მართლაც ასეა?
ქვეყანა ბედნიერია,
აუზი წყალით სავსეა...
მაშ, აღარა გვყავს გიჟები,
ისეც ვართ თავისუფალი...
ვის უნდა ჩიჟი–ბიჟები,
ბარი, სახინკლე, დუქანი?
ვის უნდა ქალი ნისიად,
ჩასაკოცნ, ჩასაპრომნები?
კაცების განაგისია,
ამ დროს მომრავლდნენ ბოზები...
არადა, ამას ველოდით?
მთლად აირია რამსები...
ამ ჩვენი საქართველოთი
საბოზეთს რად ვემსგავსებით...
ეს ჩვენი ტელევიზია,
რაზე გაჰკივის ნეტავი?
მიიღებს რისიც ღირსია
ყველა ტუჩების მკვნეტავი?
ვინ იცის, მართლაც, ვინ იცის,

ახლა რომ ვხარობთ ოცნებით...
გაგიჟდეს მთელი თბილისი,
ყველაც დარბოდეს ცოცხებით!!!

ჩემი გაცეცხლება

როცა არ იცი, როგორ ვიარე,
როგორ ვიცხოვრე, ან რა ვაკეთე...
მკერდში ვულკანი როგორ გრიალებს,
უსამართლობა როგორ მაცეცხლებს...
საიდან იღებს თერგი სათავეს,
და როგორ ებრძვის კლდეებს პიტალოს,
რა განვიცადე და რა დავთესე,
ვინა ვარ, მართლაც, რატომ ვტიტანობ...
არ შემიძლია, არ შემიძლია,
არ ვანუგეშო ჩემს წინ მტირალი...
მაშინ, გმირები რისთვის იბრძვიან,
რა არის მათი ნაღდი მიზანი...
მე რომ შემცვალო, თუნდაც სულ ოდნავ,
ეს მკერდი უნდა ამომაგლიჯო...
მომკალი, მაგრამ მეორედ მოვალ,
რომ მოვკლა, ვინც კი ფეხი დამიდო!

შენ მიხვალ თოვლში

შენ მიხვალ თოვლში და მეც მოგყვები,
თითქოს ჩვენს ახლოს ქარი ერთობა,
ვერ გამიგია რას მემორცხვები,
როცა მუხლებზე კაბა გეკრობა...
მომხედავ, მოგდევ, მაინც არ იცდი,
თითქოს მიწასაც კი არ ეხები...
ჩემს ჩამორჩენას შენ არ განიცდი,
თითქოს, უბრალოდ, შევხვდით შემთხვევით...
გზის პირას მსხდარი გუნდი ჩიტების,
ჩვენს დანახვაზე წამოიშლება...
მიდიხარ, ქუჩის ნაპირს მიჰყვები,
და მე მგონია ქუჩა შიშვლდება...
თოვლს მუდამ ახლავს რაღაც ბავშვური,
და შორეული დროის შეგრძნება...
შენ კი თვალები ისევ მაცდური
და ახლობელი შუქით გევსება...
მიდიხარ, მიხვალ, მიახრაშუნებ,
უმანკო ფიფქთა ათასეულებს,
თითქოს ფლამენგოს ცეკვას ასრულებ,
წუთებს გაურბი კვალარეულებს...

მანანაა (აი, ლექსითაც გილოცავ)

შენ, ალბათ, თბილისს სიზმრებშიც ხედავ,
ჩვენ კი აქ ყელში ამოგვივიდა...
მე შევამჩნიე შენს სულში სევდა,
კარგი, რა, მანჩო, რა მოგივიდა...
მერე, რა, თუკი ძალიან შორს ხარ,
მანდაც არიან ჩვენიანები,
ჰო, სამწუხაროდ, არიან ოხრად,

როგორც კაცები, ასე ქალები...
ასე, რომ თქვენი საქართველო გაქვთ,
კი, ვხვდები, ცოტას, ალბათ, ვაჩმახებ...
მაგრამ, შენ, იცი, სინათლე მოჩანს,
სინათლე მოჩანს, თითქოს, ამ ცაზეც!!!

განა რა მსურდა

ეს რაღაც წყენა დილამდე ამყვა,
ორი შეცდომა დავუშვი გუშინ,
და წვიმის თქეშით მოსული ტალღა,
თავის გზას იკვლევს ჩემს დაღლილ სულში...
სადაც სულ ქრიან ეჭვის ქარები,
ხშირად ქარიშხლებს რომ ეჯახება,
ჩემი ლექსების ბრილიანტები
აქ გამოვფინე ხელშესახებად...
ნუ ამიწეწავთ, ნუ ამიწეწავთ,
მათ საკუთარი ტკივილიც ჰყოფნით,
აქ ხშირად დანის წვერი იჭრება,
და ყვავ–ყორნების ბრჭყალებიც კორტნის!
განა, რა მსურდა, ან რას ვცდილობდი,
თავს გაწონებდით? არა მგონია,
მე ჩემი ენით ვხელგაშლილობდი,
და გაზიარეთ ამ ჰარმონიას...
ან ახლაც, განა, რა მრჯის, რა მინდა?
თქვენი გულისკენ ვეძებ ბილიკებს,
ასე ნიავი თავის ბაღიდან
შებინდებისას სტუმრობს ტირიფებს...
ან ჩემი სულიც, ვითომ, ჩემია?
ის თქვენია და თქვენს სიტყვებს ამბობს...
და დამიჯერეთ, ზედ ამჩნევია,
თქვენ რომ უტკბილესს უგზავნით ამბორს!!!

მომეცი ძალა

შენთვის ზეციდან რეკავს ზარები,
და ამიტომაც ზეცას გასცქერი...
ერთ წამს მომაპყარ შენი თვალები,
ასე სათუთი სანახავები...
ვერ გამიგია, ვერ გამიგია,
სხვისი რადაა ეს ველი ვრცელი...
ეს ნაკადული ჩემი სისხლია,
თუ მსხვეპლს დაეძებს მინდორში გველი...
მაინც რას ეძებ, ნეტა, ზეცაში,
მითხარ, ძვირფასო, თვალს ნუ მარიდებ...
რად გაჩნდა ბზარი ამ ჩემს ბგერაში,
ან ჩემს სხეულზე ვერა გავიგე...
მართლაც, მითხარი, იქნებ ქარიშხლებს,
ან ელვას და მეხს ვეთამაშებით...
თანდათან ვკარგავთ ძვირფას თარიღებს,
თანდათან, სულმთლად მარტო დავრჩებით...
აღარც ლაშქრული სიმღერა მესმის,
აღარც ხმაური ცხენთა ფლოქვების...
მხოლოდ წკრიალი იუდას ვერცხლის,
და სისხლის სუნი ეშაფოტების...

მომეცი ძალა, რომ ფეხზე დავდგე,
რომ სული ჩემი ვეფხსავით ვაწრთო...
უიმედობას რომ გავუმკლავდე,
მოკლედ, მკვდრეთით რომ წამოვიმართო!!!

ახლა რომც მომკლან

რა სიხარულით მოვედი შენთან
და დაკეტილი დამხვდა კარები...
ხომ უნდა გეთქვა, ხომ უნდა გეთქვა,
თუნდ ორი სიტყვით დაიბარებდი...
ახლა მე მარტომ აქ რა ვაკეთო,
მართლაც, რომელი ბრძენი მე მნახე...
ჩემი ფიქრები მინდა დავკეცო
და მოვისროლო ჩვენს შეხვედრამდე...
ან გადავბარგდე უნდა წარსულში,
სადაც ფერები ასე უხვია...
ნუ მეჯიბრები, გთხოვ, სიყვარულში,
მე ვინც მომწონდნენ ქარს გაუყრია...
ხსოვნის ფურცლები შემომაყვითლდა,
წლებმა დღეები ტანზე აისხეს...
და დათესილი ფეტვის მარცვლიდან,
არ ამოვიდა ჩემი ნატვრისხე...
სად დაიკარგა, სად გდია ჯაჭვი,
ჩვენ რომ ვიყავით გადაბმულები...
არც ჯადო არ ჭრის, არც ჯადო არ ჭრის,
არც ჯადოქრობა არ ჭრის სრულებით...
ახლა რომც მომკლან არ მეწყინება,
არც მუქარები აღარ მოქმედებს...
როგორც ჩანს, ისევ ღმერთი მიწყრება,
რომ მაინც დავდევ ამ ჩემს ოცნებებს...

ვწერო, არ ვწერო...

ვერაფერს ვასწრებ, ვერაფერს ვასწრებ,
მუდამ განვიცდი დროის დეფიციტს...
დროს ფეხი უდევს გაზის პედალზე
და სპიდომეტრიც გარბის მერმისში...
მე რომც მინდოდეს, რას შევაჩერებ,
დრო ღმერთსაც კი არ ემორჩილება,
მე ამ საკითხზე არ ვიღებ რჩევებს,
ისე, თუ მეტყვით, არ მეწყინება...
ჰო, მაგრამ, აბა, რა უნდა მითხრათ,
იცის კი ვინმემ დრო საით მიდის?
მე, მაგალითად, ვერ ვუძლებ დიქტატს,
დრო გამუდმებით წამებს რომ მითვლის...
სიკვდილისაკენ, სიკვდილისაკენ,
ის მიმიძღვება სისხლიან დროშით,
უკვდავებამდე ვერც შენ მიაღწევ,
თან დამცინის და თან შუბლზე მკოცნის...
ჩემსკენ ვეწევი, ჩემსკენ ვეწევი,
და მინდა, მინდა, რომ შევაჩერო,
მისხლტება, მე კი ქვებზე ვეცემი...
ან კი აქვს აზრი? ვწერო, არ ვწერო...

ლამაზ ქალებზე

კი, ხდება, ზოგჯერ, სიყვარულს ვკარგავთ,
დაუფიქრებლად, ეჭვის გარეშე...
როგორც, ვთქვათ, ნაპოვნ ფულებსა ვფლანგავთ...
ან ნაკბენს ვტოვებთ ქალის ბაგეზე...
მე არაერთი მახსოვს სურათი,
ანგელოზებს რომ ჰგვანან ქალები...
ზურგს უკან კაცთა აგენტურათი,
ტკბობის გამო რომ აწევთ ვალები...
მე ვხუმრობ, მაგრამ ლამაზ ქალებზე,
თუნდ, შურის გამო, რას არ იტყვიან,
როგორც ბუნება ნაგრიგალევზე,
მათ სულზე ისე გადაივლიან...
თუ სილამაზე ჯილდოა ღმერთის,
მათ ბედი ხშირად რატომ არ სწყალობთ?
მგონი, ასეა და მეტსაც გეტყვით,
მათ უსინდისოთ ებრძვით სამყარო!!!

არის წუთები

არის წუთები, არის წუთები,
როცა გეძახი, როცა მინდიხარ...
სადა ხარ, რამდენს გესაუბრები,
მე შენ არასდროს გამიყიდიხარ...
თუმც, ბევრი რამე არსებობს ქვეყნად,
რომ დააკავო ტვინის უჯრედი...
სველ მავთულებზე ყვავები სხედან,
ჩამოუყრიათ, თითქოს, ყურები...
მე კი ვერ ვხვდები სად დამეკარგა,
ქალი რომელიც ასე მიყვარდა...
ქალი, რომელიც ჩემს სულს კვებავდა,
თან ვუყვარდი და თან ვერ მიტანდა...
გამუდმებული ბრძოლა მაქვს თავთან,
სულ ვფიქრობ, ნუთუ, ვერ მოვახერხებ...
ის ვინც მიყვარდა, ის ვინც მიყვარდა,
არ შემხვედრია აპრილის შემდეგ...
მერე ზაფხულიც ისე გავიდა,
აგვისტო ხელში შემომაცივდა,
და გადაიცვა წელმაც თავიდან,
ის კვართი ქრისტე ხალხს რომ ნათლიდა...
და მეშინია, სულ მეშინია,
რომ უნდა გაქრეს ჩვენი ზღაპარიც,
მგონი, ღრუბლები წვიმებს ჰყიდიან,
რით ვერ ჩამიქრეს მკერდში ხანძარი...
ახლა ფიჭვების თავზე მიცურავს,
მთვარე და მიაქვს ღამის სურნელი,
რაც იყო, ალბათ, ღმერთმა ისურვა,
შენ კი ჩემთვის ხარ კვლავ სასურველი...

გახსოვდეს ქალი

დღეს სულ სხვა თვალით შევხედე ქალებს,
და მივხვდი, რამდენ რამეს ვკარგავდი...
ნუ ამოიყრით ქალებზე ჯავრებს,

ქალებს შეხედეთ, სულ, სულ სხვა თვალით!
ანუ, როგორც გველს, ვთქვათ, ღმერთმა მხოლოდ,
რა მისცა? ხორცი, კანი და ფერი...
ისიც შხამს ხმარობს, ალბათ, სულ ბოლოს,
როცა არ რჩება აღარაფერი...
ქალიც გევლივით სუსტია, ნაზი...
ამიტომ ნესტრავს ხანდისხან კაცებს...
ისიც გველივით არის წარმტაცი,
სწირედ ამიტომ ჩვენს თვალს იტაცებს...
და მას, რომ, მართლაც, შხამი არ ჰქონდეს,
ხომ გაპუტავდნენ ცოცხლად კაცები...
გახსოვდეს ქალი, ქალი გახსოვდეს,
გიყვარდეს ვნებით და გატაცებით!!!

ნუ მიმტვრევთ კარებს

ნეტა, სად გადის ჩემი საზღვარი,
რომელსაც სიკვდილ–სიცოცხლე ჰქვია...
ვარ ანგელოზი და ჯადოქარი,
ვარ ათიანში ნასროლი ტყვია...
ნუ მიმტვრევთ კარებს, ნუ მიმტვრევთ კარებს,
რადგან ეს კარი მე შევხსენ ზეცას...
და ვიდრე ცაში მზე იელვარებს,
მეც უნდა რკინის ჯავშანი მეცვას!
ჯადოქარი ვარ და გავექეცი,
ყველას ვინც ასე არა მწყალობდა,
და ვერც მომაგნებს უკვე ვერცერთი,
ის ვისაც ჩემთან არ უხაროდა...
რადგან გავიღე მე ყველაფერი,
თუ რამ მიყვარდა, თუ რამ გამაჩნდა...
მწვერვალებიდან ველებს გავცქერი,
როგორც ნასუფრალს მთვრალი თამადა...
ვფიქრობ, რა დამრჩა, ნეტა, ამ ქვეყნად,
ვარ აისბერგი გემს შელეწილი,
ხან მე ვამსხვრევდი, ხან ის მამსხვრევდა,
ვარ მოქანდაკე მკლავმოკვეთილი...
ნუ შეეხებით, ნუ შეეხებით,
რაც ყინულებში და ცეცხლში ვკვეთე...
და მაპატიეთ თუ ვერ შევხვდებით,
მორჩა, მანდ ფეხი ამოვიკვეთე!!!

შენ ხომ არაფერს მეტყოდი ახალს...

ახლა ეზოში გაზაფხულს სძინავს,
ალბათ სიზმარში ყვავილებს უვლის...
ბალახზე ცვივა მაისის წვიმა,
და ნაკადული ბუტბუტებს ხნულში...
მე კი ჯერ კიდევ, კიდევ რამდენ ხანს,
გამოდარებას უნდა ველოდო,
ასე მგონია ცხენი წამექცა,
და ვერ ვპოულობ ჩემს სამეგობროს...
ზამთარი დაქრის ყინულის ეტლით,
ჩემს სულში, როგორც ელვა ზეცაზე...
ძვირფასო, შენ ხომ არაფერს მეტყვი,
მოქუფრულ დღეთა მწუხარებაზე...

ალბათ, შორს, სადღაც გვირაბი გაჰყავთ,
ალბათ, ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე...
შენ ხომ არაფერს მეტყოდი ახალს...
მითხარი რამე, ჰო, თუნდაც, ჩემზე...

რაზე ჩურჩულებდნენ

მინდა გაიღიმო, ნუ ხარ დაღვრემილი,
სევდაზე ასმაგად ღიმილი გიხდება...
რაზე ჩურჩულებდნენ წლები გაფრენილი,
რაზე ჩურჩულებდნენ დღეს ვინღა მიხვდება...|
თვალები დააწყდათ ღამეებს ლოდინით,
დატანჯა სხივები ვარსკვლავთა ფერებამ...
ნახევარმთვარეა შენი დედობილი,
და სევდის გარეშე არა გეშველება...
ზღვის პირას ქარებმა გაშალეს აფრები,
გემების ძებნაში ერთმანეთს ასწრებენ...
მე შეგიყვარებდი, მე შეგიყვარებდი,
ეგ შენი ეჭვები თუკი არ გამწეწენ.
მე სურვილს ვერევი, მე თავი მოვთოკე.
ზღვებს ჩუმად დაეცნენ ქარიშხლის ღრუბლები,
შორს სადღაც მწვერვალზე ღმერთები ლოთობენ,
ამურებს დაღლისგან ასტკივდათ მუხლები...
შენ, ვიცი, ტალღების ხმაურით სწუხდები,
ქარებმა იძალეს და შტორმი დაიწყო...
ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ვეღარ დაბრუნდები,
შენ ზღვაში ატეხილ ქარიშხლებს არ იცნობ!
ჩადგება ქარები და თეთრი ნისლები,
შტორმების შესახებ მთებს ამბავს წაუღებს...
თუ გარეთ გამოხვალ, შენ თვითონ მიხვდები,
ზღვამ და ცამ ერთმანეთს რა კარგად გაუგეს...

ნუ წახვალ

შენ ჩემთან იყავ, არსად წახვიდე,
მსურს გამუდმებით შენს სხეულს ვგრძნობდე...
რომ სასიცოცხლო წვეთებს მაწვდიდე,
როგორც ფესვები კვებავენ ფოთლებს...
და თუ ვერ გითხრა სათქმელი ისე,
როგორც მიყვარხარ, როგორც მჭირდები...
ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ,
ნუ მომცილდები, ნუ მომცილდები...
ასე ზეციდან ეშვება ღამე,
და წყვიადში ხვევს ფერადოვნებას,
თეთრი ტყემლები ძაძებს იცვამენ,
თუკი ვარსკვლავი ზეცას მოსწყდება...
ვიცი, ძნელია ყოფნა ჩემს გვერდით,
მე გთხოვ, ნუ წახვალ, ჩემთან იყავი,
რით დაგარწმუნო, რომ ჩემს ცხელ მკერდში,
დღეს მთელი ლოჟა გამოგიყავი...

რამ გამახსენა, ნეტა...

ვინ იცის, იქნებ ვცდები,
როცა არაფერს ვნანობ...

და სულ ტყუილად ვწყრები,
ერთი შეცდომის გამო...
ქარი აჰყვება ქარებს,
ცეცხლი ცეცხლისკენ იწევს...
ზვავი ჩაჰყვება ზვავებს,
სვავი გასცქერის სივრცეს...
რამ გამახსენა, ნეტა,
მწიფე ალუბლის გემო,
თოვლი რად ბრწყინავს თეთრად,
ბუნება რატომ ჭრელობს...
ასე გაივლის ხანა,
ზეცა ვარსკვლავებს აშლის...
ყველა ერთმანეთს ჰგვანან,
წლები ბრძოლის და მარცხის...

გარეკილი მაქვს

გარეკილი მაქვს ომის ეტლი სამცხეწშებმული,
მტვრიან შარაგზებს სიკვდილივით მივაგრიალებ...
ვარ ამომსკდარი ვულკანივით გამეხებული,
სამწვერა ეჟვანს ხმლებთან ერთად მივაჟღრიალებ...
შენი თვალები მომყვებიან, ვით გაფრთხილება,
გაცილებისას რომ მომაპყარ, როგორც შუბები...
ზედმეტი იყო უსაფუძვლო შენი მხილება,
რადგან ომისას მხოლოდ ღმერთებს ვესაუბრები...
ასე მგონია შევანგრიე ყველა კარიბჭე,
რომელიც დღემდე ჯოჯოხეთის სივრცეს კეტავდა...
ვერცერთი ლოცვა ალბათ სიკვდილს ვერ ამარიდებს,
თუ ეს მახვილი მტრის გულს ორად ვერ გაკვეთავდა...
მე ამ ომებში მიმიძღვიან შენი თვალები,
და მე არ მინდა, რომ შენს თვალწინ მკვდარი დავეცე,
და, რომ იცოდე, მხოლოდ მაშინ გავიხარებდი,
რომ დაგენახე, როგორ ვიბრძვი ამ ასპარეზზე!!!

ვერ დაგპირდები

ვერ დაგპირდები, ვერ დაგპირდები,
რომ ამოვავსებ მე შენს ჭრილობას...
თუ შენი თეთრი მარგალიტები,
გადაიყოლა უამინდობამ...
მე კი არ მიხსნის, მართლაც, დანა პირს,
არა ვარ ბერი, ხატთან მლოცველი...
რომ ვერ გისრულებ ვერცერთ დანაპირს,
რომ ჟანგი ჟანგავს ნატვრებს მოცელილს...
არ მიცხოვრია, როგორც ბეღურას,
არა ვყოფილვარ არც თავგასული...
ბევრჯერ უვადოდ გავრისხებულვარ,
რომ აღარ ჰქონდა შურს დასასრული...
რომ ჩემი სულის ძველ ღიობებში,
შეუსვენებლად ქრიან ქარები...
რომ მეც მომავლის მღვრიე მორევში,
ძირს, ფსკერისაკენ მივექანები...
ვერ ავხსენ ზეცას რკინის ჯავშანი,
მე ვარსკვლავების ქიმზე ვეკიდე...
და მოვკდი, ვით კლდის ჩამონაშალი,

რადგან უაზროდ გადამეკიდე...

როგორც ცხოვრება

როგორც ცხოვრება, ჩემი ლექსებიც,
ხშირად ჩემსავით არის უხეში...
როგორც ნაკბენი ან ნანემსრები,
როგორც ვნებანი ქალის უბეში...
ახლა ისეთი რთული ჟამია,
ცაც კი არ არის, მგონი, უზადო,
მართლაც ყველაფერს თავის შხამი აქვს,
შენც უმანკობას შენსას ნუ მანდობ...
ნუ მიანიჭებ, ნუ მიანიჭებ,
ამ ჩემს ნააზრევს მაგიურ ძალას...
მე ხომ ჩემს სიტყვებს ფეხით ვაბიჯებ,
თითქოს მასმევდნენ მოწამლულ წამალს...
მე კარგად ვიცი ჩემი საზღვრები,
მათ დადგენაზე ბევრი ვიწვალე,
ერთად დამასკდა ყველა ძარღვები,
როცა ლექსებში გარდავიცვალე...
და თუ ყველაფერს ვუთხარ უარი,
ალბათ, თავს ზემოთ ძალა არ მეყო...
როგორ გიხდება ეგ პენუარი,
ბრეტელიანი და უმკლავებო...

იმ ქედებზე სეტყვა მოდის

ალბათ, ცოტა ადრე გავჩნდი,
შენ კი, ალბათ, ცოტა გვიან,
რად ჩავები ამ თამაშში,
ვერაფერი გამიგია...
რას მიხვდები ადან ბემდე,
თუ რა დიდი მანძილია...
ეხეთქება სული კედლებს,
სადაც კი შენ გაგივლია...
იქნებ, მართლაც, სულ სხვა გიყვარს,
მე კი ეჭვებს ვეომები...
შორს წამიყვანს, შორს წამიყვანს,
ფიქრი შენი პეპლის ფრთებით...
მე აქ მთებში ბუნაგს ვეძებ,
ვეფხვი ვარ და კლდეზე ვსახლობ...
როგორ მინდა წვიმის შემდეგ
შენი ტანი დავინახო.
სველი კაბა მოტმასნილი,
შენს მკვრივ ნაკვთებს გამოყოფდეს...
როგორც ტალღა მოვარდნილი,
ჩემს სიტყვებზე აბობოქრდე...
არ დამინდო, არ დამინდო,
არ დანებდე ჩემს ცხელ მტევნებს...
არც ალერსმა გაგაბრიყვოს,
არ დამნებდე, არ დამნებდე...
იმ ქედებზე სეტყვა მოდის,
აქ ქარები იწყებს ბზრიალს...
მე მეგონა ვთამაშობდი,
შენ კი მახე დაგიგია...

როცა მაისი იდგა შენს კართან

ვინ იცის, მართლაც, ვინ იცის, მართლაც.
რა ცეცხლი სწვავდა შენს ფერად ტუჩებს,
როცა მაისი იდგა შენს კართან,
მზე კი ბაღჩაში ბწკენდა ალუჩებს...
ხომ ნაცნობია შენთვის მოტივი,
ქარი რომ მღერის სოლო არიას...
ისეთი ჟინით ვარ შეპყრობილი,
ჩემს სურვილს ზეცა გაუბზარია...
მე მოვალ ისე, როგორც შენ მეტყვი,
ღრუბელად, წვიმად, სეტყვად, ქარიშხლად,
როგორც ზღაპრებში ოქროს კარეტით,
და ერთად შევხვდეთ დილით გარიჟრაჟს...
მხრებზე იების თავშალს მოგასხამ,
და დავსხდეთ სადმე მარწყვის მდელოზე...
მინდა ვუცქირო, როგორ მონათლავს,
მთვარე ზეცაში შენს ანგელოზებს...

სიყვარულს გიხსნი

სიყვარულს გიხსნი, სიყვარულს გიხსნი,
შენ როგორც გინდა ისე გაიგე...
მიყვარხარ, როგორც მგელს უყვარს სისხლი,
და დოლარები ნარკობარიგებს...
ერთს გეტყვი, გრძნობებს არ ვწოვ თითიდან,
და გაზაფხული როცა აიშვებს,
მე მოვალ შენთან ჩემი სიზმრიდან,
რომ მოგიტანო სხვა სიხალისე...
მე მოვალ, ჩუმად, როგორც ომიდან
იპარებიან დეზერტირები...
თეთრად დაწინწკლულ შვლის ნუკრს მოგიყვან,
რომ ავასრულო დანაპირები...
ნუ იმზირები, ნუ იმზირები,
ჩემსკენ, ვერ ვიტან მაგ ირონიას.
აი, შენ, ჩემგან მთვარის სხივები,
ხედავ, რა ტკბილი ბედი გქონია.

შენ ოცნებობდი

შენ ოცნებობდი, შენ ოცნებობდი,
ალბათ, სიყვარულს ღმერთებს სძალავდი...
ვინ იცის, რამდენ რამეს ებრძოდი,
ვინ იცის რამდენ რამეს მალავდი...
შენ ოცნებობდი და ოცნებებმა,
ჯერ გაუკვალავ გზებზე გაგიგდეს,
გაიგრიალეს ლურჯა ცხენებმა,
გასცდნენ ქალაქის რკინის კარიბჭეს...
ალბათ, მტრედივით თუ ხარ უმანკო,
მზე შენს პერანგზე ხატავს გვირილებს...
თუმცა რაც უნდა იყო უნაკლო,
ბოლომდე ცოდვებს ვერ აირიდებ...
ვისზე ოცნებობ, ან ვის უღიმი,
ვისი ალერსი მოგნატრებია,

ხარ ანგელოზი ან ქერუბიმი,
ალბათ, ზეცაში ღმერთს რომ ხვდებიან...

გორგასალი ვარ

გორგასალი ვარ, ჩემი ისარი,
არ ასცდენია არცერთხელ მიზანს...
რომელ ბუდეში დევს ნატრისთვალი,
რომ გეთქვათ, მასაც ვესროდი ისარს...
დღეს ამ ქალაქში ბევრი ქალია,
ალბათ, რომლებიც წაიხოხბებენ...
და მიხარია, მეც მიხარია,
დღეს ნადირობა მანდილოსნებზე...
ვიცი, სამყარო სწრაფად იცვლება,
თუმც ჩემში ყივის წინაპრის სისხლი,
გორგასალობა თუ მომიხდება,
ამ საუკუნეს იმ ძველში გიცვლი...
ცხენს მოვაგელვებ, ჩამომეცალეთ,
უნდა ნატრისთვალს ვტყორცნო ისარი,
სადღაც ჯერ ისევ მახვილს ლესავენ,
ელვარებს ყელნი ხოხობისანი...

არ გადაიღებს

შენ დაიღალე ღრუბლებზე ფიქრით,
შენს სულში წვიმამ დაიდო ბინა...
მართლაც, რა იცი, იქნებ პირიქით,
დღეს ღრუბლებს შენზე მეტადა სცივათ...
წვიმს გამუდმებით, ზეცა თავს იკლავს,
არ გადაიღებს, არ გადაიღებს,
და შენც ფიქრები სულ მისხალ–მისხალ,
მძიმე მსხვერპლივით ცისთვის გაიღე.
აწვიმს ეზოებს, აწვიმს მოედანს,
აწვიმს სახლებს და აწვიმს აივნებს...
აწვიმს ზღვებს იქით უსაზღვროებას,
არ გადაიღებს, არ გადაიღებს...
ცა ჩამოიქცა, ცა ჩამოიქცა,
არ დარჩა ერთი წვეთიც ღრუბლებში...
შენ თავს იკავებ ისევ კოცნისგან,
შენ ისევ ღრუბლებს ესაუბრები...

არ შემიყვარო

არ შემიყვარო, არ შემიყვარო,
ვეღარ გავუძლებ მე შენგან ღალატს,
ხომ შეიძლება, რომ შევიშალო,
ნუუ, ნუ მასმევ ამ ვნების წამალს...
გეცოდინება რაა ტკივილი,
როცა ის ხდება აუტანელი...
და ვიყეფები მეც არწივივით,
თუკი ყოველგვარ ზღვარს გადაველი...
არ შემიყვარო, ჩემი თხოვნაა,
ჩუმად ვჩურჩულებ და ვიმეორებ,
რა დროს კოცნაა, რა დროს კოცნაა,
მგონი, არც ვიცნობთ ერთიმეორეს...

ნუ მასმევ ნექტარს შენი ბაგების,
ასე უგონოდ რომ ვეწაფები,
ზღვის ტალღებივით მკერდზე მასკდები,
მკლავენ შიშველი შენი განცდები...
ასე მგონია ღონე წამერთვა,
ნაღდად მორევის ფსკერზე ვეშვები,
უნდა გავუძლო ამ ერთ ღამესაც,
ამ ერთ ღამესაც და შეგეშვები...

გაქვთ არგუმენტი?

ჩემი ცხოვრება ორად გაიყო,
აქეთ წყალია, იქით ხმელეთი...
ხმელეთს დავიპყრობ, ხმელეთს დავიპყრობ,
რომ დავამარცხო ეს სიბნელეთი...
მე ბეწვის ხიდზე ისე გავივლი,
არცერთ ფეხის თითს არ დავისველებ,
რადგან გველივით მე ქერქს არ ვიცვლი,
ვერ შევიცვლები ვერც ამის მერე...
მართლაც, დაერქვას უნდა ყველაფერს,
სამარადჟამოდ თავის სახელი...
რომ საიქიოს კარს თუ შევაღებ,
იმათაც ვუთხრა რაც მაქვს სათქმელი...
თორემ აქ ერთმა ეშმაკმა უწყის,
მდიდრადა სთვლიან მხოლოდ ფულიანს...
მე კი სიმდიდრეს ვერ გავცვლი ფულში,
მდიდრად ვთვლი ვისაც დიდი სული აქვს...
მდიდრად ვთვლი იმას, ვინც მეტი იცის,
ვინც ფულებს სული არ ანაცვალა,
ვისაც ბუნებამ უბოძა ნიჭი,
და თუნდაც იყოს ტაკიმასხარა...
თუ მაგალითი გინდათ, აქა ვარ,
გინახავთ ვინმე ჩემზე მდიდარი?
მეც ხომ ვიღვრები, როგორც ხვანჩკარა,
გაქვთ არგუმენტი? – არავითარი!!!

სიცოცხლე

სიცოცხლე მდინარესა ჰგავს,
ჩნდება და მიედინება...
თან ძალებს იკრებს გზადაგზა,
განშტოებებით ივსება...
ქვეყნად ყველაფერს შეხვდები,
ბადაგს, შხამსა და სამსალას,
ხან ათას ცეცხლში ეხვევი,
ხან მოგიჭერენ ავშარას...
მაგრამ შენც მდინარესავით,
მაინც ახერხებ განწმენდას;
ხან ტკბები სამოთხესავით,
ხან დნები თაფლის სანთლებად...
ხან კლდე დაგვხვდება გრანიტის.
ხან ნაპირები ედემის,
ხან უგულობას განიცდი,
ხან სწორედ გულზე ფეთქდები...
ტკბილი და მწარე დღეები,

სულ ერთმანეთში ირევა...
მეც წავალ, ზღვას შევერევი,
გადავიქცევი ზვირთებად...

დამაიმედე (ტ–ს)

შენ მიმზერ ისე სუფთა თვალებით,
თან თითქოს მშვიდი, და თან მღელვარე;
ნება რომ მქონდეს შეგიყვარებდი,
ან იქნებ, მართლაც, შენ შეგეყვარე...
დღეს იმდენ რამეს ეხდება ფარდა,
და იმდენ რამეს აეხსნა ტაბუ;
ვერ შეაჩერებ თოვლის ქარავანს,
მწვერვალებიდან ზვავებად დაძრულს...
ვერ შეაჩერებ, ვერ შეაჩერებ,
სისხლს, თუკი გასკდა გულის აორტა...
მე შენთან მოვალ მცირე ხნის მერე
და მოგიყვები ჩემში რა მოხდა...
როგორ ვეძებდი შენთვის ნატრისთვალს,
მზეში, სეტყვაში, ქარში, ტყე–ღრეში,
როგორ გაფრინდა, როგორ გაფრინდა,
წლები, აუზროდ ამ იმედებში...
ვეფხვის ბოკვრები დედას ეძებენ,
ძუ ვეფხვი შენი ტყუპისცალია...
დამაიმედე, დამაიმედე,
თორემ ღმერთს ჩემთვის არა სცალია...

სულ ფული, ფული...

იცი, შენ ჩემში ნუ დაეჭვდები,
ხომ ხედავ, ყველა ერთად მიტევენ,
და ბრძოლა მიდის ისეთ წესებით,
მგონი ტაფაზეც შემაწითლებენ...
ვინ ვის დაასწრებს, ვინ ვის დაასწრებს,
შეჭმას, შესანსლას სულ ლუკმა–ლუკმად...
ვინ სად გაასწრებს, ვინ სად გაასწრებს,
ვის დაიფიცებს და რომელ უფალს...
რა დრო მოვიდა, რა გარეწრული,
ლამის რჯულს იცვლის ყველა მეორე...
სულ ფული, ფული, ფული, სულ ფული,
მწვანე გზა მხოლოდ ქამელეონებს...
ეს გზა ტაძრამდე არასდროს მივა,
ეს გზა პირდაპირ ეშმაკთან მიდის...
თან როგორ ყინავს, თან როგორ ყინავს,
მწვერვალებიდან ეშვება ბინდი...

ნუ დარდობ (თამუნა თაას)

ნუ დარდობ ამდენს, დღეს უნებლიედ
იცი, ბევრს მოსდის, მართლაც შეცდომა...
და ბედიც მერე მკაცრ გაკვეთილებს
გვიტარებს, რადგან აღარ გვენდობა...
ზამთრამდე დარჩა არც ისე შორი,
დროები უკვე დღეებს ითვლიან,
სიცივე, როგორც მწყურვალი ქორი,

ენით ილოკავს ლაშებს სისხლიანს...
მე აღარა ვარ, მე გავქრი, ალბათ,
შეხედე ქარი ხეებს აშიშვლებს;
მალე დრო წაშლის დარჩენილ კვალსაც,
და მკვდარ ნოემბერს ფეხს დააბიჯებს...

თუკი მეტყვი

თითქოს ერთი ოცდაათი
ლულა მქონდეს მოშვერილი...
მე კი ვიყო მურა დათვი
და ვბღაოდე მოზვერივით.
რატომ, რატომ, რატომ, რატომ,
ვის მივანდეთ ჩვენი თავი,
გზად პანტერამ გადამასწრო,
თვალი მკიდა თან სიავით...
მე არავის მტერი არ ვარ,
არც შვილდისარს არ ვატარებ,
ბედს მივანდე ჩემი აფრა,
და ზღვის ტალღებს თავს ვაფარებ...
ნეტა, შენი კატა ვიყო,
მიმიკრავდი შიშველ მკერდზე,
თუკი მეტყვი თავს დავიხრჩობ,
კოცნა–კოცნით შენს ბაგეზე...

პოეტი

ვიცი, ჩემი პოეზია,
პოეზიის საზღვრებს სცდება,
როგორც ომში მოკლულ მერანს
სხვა მერანი ენაცვლება...
მე შემეძლო შემეცვალა
ეს სამყარო ასე ხარბი,
მქონდა ძალა, მქონდა ძალა,
ალბათ, თავსაც გავწირავდი...
მაგრამ ვხედავ, უნიჭოთა,
ლაშქრებს სულ სხვა ლაშქრები სცვლის,
მიდის ბრძოლა დასაპყრობად
ვაკანტური ტახტებისთვის...
მე კი ერთი ტახტი ვიცი,
ტახტი ყველა ტახტზე მყარი,
თავის მეფეს ის არ იცვლის,
ლამაზია ვით მყინვარი...
მწვერვალს მაღლა ატყორცნილი,
გადმოსცქერის პარნასის მთას,
ტახტი ღვთისგან დალოცვილი,
პოეზიის ტაძარისა...
ტახტზე ნაღდი პოეტი ზის,
პოეტთაგან გარიყული...
არ დაგიდევთ დაფნის გვირგვინს,
ღმერთთა წრეში ჩარიცხული...
არად აგდებს მოყაყანე,
პოეტების მთაზე წრიალს...
ვინ დაითრევს სახელს ხვალე,
ვის რომელი თასი მიაქვს...

რადგან, მართლაც, კარგად იცის,
დრო რომ გავა, სულ, სულ მალე...
დაატყდება პარნასს რისხვით,
მისი სული მოელვარე...
სიცოცხლეში ის არ ჩანდა,
ვერ ამჩნევდნენ მის სიმაღლეს,
ის სიკვდილში გაჩირაღდნდა
და მარადჟამს იჩირაღდნებს...

რომელი სატრფო

შენ მეკითხები, მე კი არ გისმენ,
მე გადაშლილი დამრჩა რვეული,
სადაც მე ლექსის წერა დავიწყე,
და თემაც მქონდა ამორჩეული...
როგორ მიყვარდი, თუ რაღაც მსგავსი,
გეფიცებოდი მთელი გრძნობებით...
შენ წაიშინე ხელები თავში,
რადგან ვცრუობდი და შენც ხვდებოდი...
არადა, მართლაც, რა ადვილია,
როცა არ გიყვარს ქალს რომ ეფიცო...
რომ გულში თუკი რამ ადგილია,
შენია, ვცოცხლობ მხოლოდ შენთვისო...
დაწერ და ფაფუ, რომელი ქალი,
რომელი სატრფო ბროლის ქოშებით?
სულ ერთი არი, სულ ერთი არი,
თუნდაც დაგახრჩოს ლექსში კოცნებით...
თუმცა, შენ ერთი, მართლაც, სულ სხვა ხარ,
შენს სურნელებას ხარბად ვისუნთქავ...
შენ მე კი არა ჩემს სულს უყვარხარ,
სულს, შენს გამო რომ ჰხია ინსულტმა...

უარყოფა

ვისაც არა სურს რომ შეგამჩნიოს,
პედესტალზეც კი ვერ დაგინახავს,
მუზამ დაფნაშიც მთლად რომ გაგხვიოს,
ათასი მეფეც გყავდეს წინაპრად...
რომც ტახტრევანით ანგელოზები
სულ ქუჩა–ქუჩა დაგატარებდნენ,
ბოღმით სკდებოდნენ ყველა მგოსნები,
ხოლო ქალები ღმერთს გადარებდნენ...
ვერ დაგინახავს, ვერ დაგინახავს,
თვალებს დახუჭავს, ყურებს დაიხშობს,
აუცილებლად გაგითხრის სამარხს,
რომ ყოველ წუთში ზედ დაგაბიჯოს...
ალბათ, რამდენი ვინმე წავიდა,
ვით ღვთისგლახაკი გადამთიელი,
ვინც ხელოვნების წმინდა ბაღიდან,
დაფნის მაგიერ ჰკრიფა იელი...

მე მზის სხივი ვარ

ვიცი, არსებობს ბედნიერება,
როდისმე მისი დროც უნდა დადგეს...

სად იკვეთება, სად იკვეთება,
ჩემი სხეული და შენი ბაგე...
შორს, ჰორიზონტი ისე ანათებს,
თითქოს ათასი მზე ამოსულა..
შენი სიწმინდე და სიქათქათე,
მსურს გავაშავო ბარბაროსულად...
გადაკიდული ცაზე ღრუბლები,
მე მკარნახობენ როგორ მოვიქცე,
დამწიფებულან ის ალუბლები,
შენს მკერდზე კოცნით რომ ამოვიცნე...
მე მზის სხივი ვარ და შენს ნაჩუქარ,
აყვავილებულ ველებს ვეწვევი...
და ღამემ მიწა თუ ჩაამუქა,
გასაბრწყინებლად ზეცას შევწვდები...
ან იქნებ გინდა ვიყო მხედარი,
ვინც ვერ გაუძლო მდედრთა ცთუნებას...
და დაოთხილი ჩვენი მერანი,
მიაჭენებდეს დაუსრულებლად...
ქალი ხარ, თან გდევს ყველა ღირსება,
კდემა, სინაზე და სათნოება...
რად მეცილება, რად მეცილება,
შენს სულს გახსნილი უსაზღვროება...

ხომ არ გიკვირს

გაიკვირვებ, მაგრამ მინდა,
შენს ნაჩუქარ კოცნას ვთესდე,
და თუ მართლაც ამოვიდა,
მოისხას და შენთქვის ვკრეფდე...
მერე ბაღებს გავამრავლებ,
შენი კოცნით დახუნძლულებს,
სიყარულით გადამთვრალებს
ამ კოცნებით ვასულფგმულებ...
საღამოა ლურჯმა ფერმა,
ჰორიზონტი გადაფერა...
რაც თვალებმა მითხრა შენმა,
სურვილებმა გადათქერა...
რად მიყვარხარ, რად მიყვარხარ,
ღამის იას ვეკითხები,
მთვარე იწყებს ცაში ხარხარს,
უკვირს ჩემი შეკითხვები...
რატომ უყვარს მინდვრებს წვიმა?
რატომ უყვარს ბალახს ნამი?
მზეს ზღვის ფსკერზე მიეძინა,
გაჩუმებულ ტალღასავით...
ხომ არ გიკვირს, რომ დაგეძებ,
ჩამოვარდნილს თითქოს ციდან;
იმ უცნაურ კოცნის შემდეგ,
რა ვქნა, შენთან ყოფნა მინდა...

კოცნა

ვეღარ მოვედი შენთან,
გზად ამრეოდა კვალი...
როგორც სხვის გულში შეჭრა,

როგორც თვალებში კვამლი...
მკერდზე გეფინა თმები,
და აწვალებდი ნიკაპს,
რაღაც საოცარ სევდით
გამიმეორე კითხვა...
მე კი წინასწარ მქონდა,
გამზადებული შენთვის,
უნატიფესი კოცნა,
ქარვის, ძოწის და ვერცხლის...
ხელში ჩაგიდე ჩუმად,
მახსოვს უჭერდი თითებს,
უკან წაიღე უმალ
და გადამალე იქვე...
მერე ცა იყო მოწმე,
და ვარსკვლავებიც ბევრი,
ჩემს ალმოდებულ კოცნებს
როგორ აქრობდა ცრემლი...

ვიცი, მიყვარდი...

იცი, მიყვარდი, ჩემთვის, მალულად,
შენ არაფერი ეს არ იცოდი,
მიყვარდი ისე ნიაღვარულად,
როგორც ნატკენი ძარღვი სიცოცხლის...
მიყვარდი რაღაც უცნაურ ჟინით,
ომი რომ უხმობს მტრისკენ მეომრებს...
ყურში მესმოდა ბრძოლის ყიჟინი,
როგორც ზარბაზნის ხმები მეკობრეს...
კი, მიფიქრია ძალიან ხშირად,
ეს სიყვარული რა არის ჩემთვის...
მე შენთვის მინდა, მე შენთვის მინდა,
თუ კი რაიმეს მაჩუქებს ღმერთი...
მაგრამ, ვინ იცის, რომელ ქარიშხლებს,
გადაეყრება ჩვენი სულები...
ან დასამარხად რატომ წაიღეს,
წლებმა პირველი სიყვარულები...

გულს ნუ გამიხსნი

შენ ჩემთან დარჩი, ხელი მომკიდე,
სევდას ნუ გარევ მაგ შენს ტკბილ ხმაში,
და რაც არ უნდა მაგრად მოგწყინდე,
შენი ხსოვნიდან ნურასდროს წამშლი...
მე კარგად ვიცი, რომ დებილი ვარ,
რომ შენ არ უნდა შემყვარებოდი,
მე შემაცდინა შენმა გვირილამ,
რომლის ფურცლებზეც ვმარჩიელობდი...
რად ამოვიდა, რად ამოვიდა,
შენი ჰოობა თუ არ გიყვარდი...
ჩემი ცხოვრება იქცა კორიდად
მე ხარის რქებზე ამოვყირავდი...
მაშ შემდეგ, თითქოს, დევნას განვიცდი,
ჩემი ალიბი ეს ცხვრის ტყავია,
გულს ნუ გამიხსნი, გულს ნუ გამიხსნი,
თვითონ არ ვიცი, რა მიხარია...

ბედნიერების განცდა

შენ მიყვებოდი, მგონი,
რომ მარტოობის ტყვე ხარ,
რომ ღამესთან გაქვს ომი,
რომ ვეღარ უძლებ, ვეღარ...
თითქოს გითრთოდა მხრები,
და გემჩნეოდა დაღლა,
წლები, ბოროტი წლები,
ბედნიერების ნაცვლად...
იცი, არც ვიცი, რა ვთქვა,
ან რას ელოდი ჩემგან,
ბედნიერების განცდა,
რა იშვიათად დგება...
მაგრამ იმათში ვინც მე,
ხშირად მხვდებიან სადმე,
შენში ის ქალი ვიცნე,
ვინც დამიკარგავს ადრე...
მტკენს, საოცრად მტკენს, მართლაც,
უკვე რომ არის გვიან,
ბედნიერების განცდა,
ტალღებს ზღვის ფსკერზე მიაქვთ...
არ მარიდებდი თვალებს,
სულში მიმზერდი თითქოს,
მოდი, ამ ერთსაც დავლევ,
შენგან ნებართვას ვითხოვ...

მადლობელი ვარ (ნინი მშვილდაძეს)

მადლობელი ვარ ამ დანამულ ვარდისფერ ვარდის,
ვხვდები, რომ, ალბათ, სიყვარულიც თან მოაყოლეთ...
და თუკი დილა მზის სხივებით ჩვენს ბაღებს ბარდნის,
მე თქვენი ვარდით მუდამ ვიგრძნობ თქვენს სიახლოვეს...
იქნებ ლამაზი გახდეს მართლაც წუთისოფელი,
თუ ყველა ბაღში დაირგვება, თუნდ, თითო ვარდი...
და აპრილები ზამთრის სუსხის უარმყოფელი,
ააფერადებს ჩვენს სულს, როგორც, ნოტი მოცარტის...
მეც ხშირად ვფიქრობ, სილამაზე საიდან მოდის,
სად იბადება მისი ძალა ცხოველმყოფელი...
საოცარია, ზოგჯერ ერთი ღიმილიც გვყოფნის,
და მეც, ძვირფასო, ამ ვარდისთვის ვარ მადლობელი...

არ დამიშალო

არ დამიშალო, არ დამიშალო,
მინდა მზესავით ამობრწყინება,
ან ვიქნებოდი მთის ცივი წყარო,
ყვავილებში რომ მოედინება...
ანდა, გაშლილი დილის ყვავილი,
შევისრუტავდი ნამს და ცვრის მარცვლებს,
გამაღვიძებდა ირმის ბღავილი,
განთიადისას თუ გამიმართლებს...
არ დამიშალო, არ დამიშალო,
ვოცნებობ, რამეს ხომ არ ვაშავებ,

და ოცნებებით რომც შევიშალო,
ერთს გთხოვ, სიგიჟეს ნუ დამაბრალებ!
ალბათ ცამ მშობა, ჰო, ასე გავჩნდი,
ხან ვგოსანობ და ხან კი ვმისანობ,
და მინდა, მინდა, დილის რიჟრაჟში,
ამომავალ მზედ გარდავიცვალო!!!

მორჩა, დამთავრდა...

დამთავრდა, უნდა გემთხვიო შუბლზე
და წავალ მერე მოუსავლეთში...
არ მინდა მუდამ რომ შენზე ვწუხდე
ამ განუსაზღვრელ სიმწუხარეში...
წავალ იქ, სადაც არავინ ფიქრობს,
არც წარსულზე და არც მომავალზე...
მინდა რაც იყო გადავივიწყო,
ის რაც ნაღველით და სევდით მავსებს...
მე შენს ფლირტს უკვე ვეღარ ავყვები,
შენ არ იფიქრო რომ მეშინია...
ხშირად ომის დროს იწვის ტაძრები,
და მონაზვნები ცაში მიდიან...
მორჩა, დამთავრდა, ნუღარა მკითხავ,
მოყინულ გზაზე როგორ დავეცი...
ვერ გიპასუხებ, გადამავიწყდა,
თუ რამ მახსოვდა ამ გრიგალებში...
მივდივარ, ვფიქრობ, ალბათ, არც ღირდა,
ის რაც გვინდოდა, რომ ვერ გავკვალეთ...
თუკი არავინ გვიმზერს მაღლიდან,
და მხოლოდ მტერი თუ გვითვალთვალებს...
თუკი ავყევი შენს სილამაზეს,
და მოპარული ხილით ვტკბებოდი,
თუ სხეულს ყიდის ამ ჩვენს ბაზარზე,
ყველა მეორე ვისაც ვხვდებოდი...
მივდივარ, მტრები ტყვიებს მიშენენ,
მაგრამ ტყვიებიც ვიცი ყალბია...
მე სამოთხეში არ შემიშვებენ,
ან, მითხარ, მე იქ რა დამკარგვია...

ღამეა

ღამეა, აშალეს ქარებმა ღრუბლები,
და როგორც მერნები მთებისკენ გარბიან...
იქ სადაც ერთმანეთს კლდეები შუბლებით
უმზერენ და პირში სიმართლეს ახლიან...
აცივდა და ბაღში შემკრთალი ხეები,
აწ უკვე გარდასულ ზამთრებზე ჰყვებიან...
ყვავები დადიან ეზოში ხველებით,
ყვავები ეს ჩემი ერთგული მტრებია...
ღამე კი, ეს ღამეც, ვით ძველი მტარვალი,
შემოდის ბინაში და სიტყვებს მკარნახობს,
ეს ჩემი ცხოვრება არის და არც არის,
და ჩემი სიტყვებიც თევზივით კალმახობს...
და წეწენ, კვლავ წეწენ ცად ღრუბლებს ქარები,
ღამეა და სულში სიცივე იჭრება,
მუზებმა დამტოვეს, ღვინოს ვეძალები,

ღვინოს ვეძალები და ღამე მიწყრება...

რა ახლოს იყო ბედნიერება

უშენოდ მზემაც დაკარგა ფასი,
დილა ნისლით და წვიმით იწყება...
სულყველაფერი ყოფილა ფარსი,
სიტყვა, იმედი, ბრძოლა, ღირსება...
ასე მგონია ლიბრი მედება
და დამიკიდეს თვალწინ ფარდები...
შორს, ჰორიზონტზე ცისკარი კვდება,
საშინელია, დამეთანხმები...
რა ახლოს იყო ბედნიერება,
რაღაც, სულ რაღაც, ხელის გაწვდაზე,
ვერ გადაცურეს ზღვები გედებმა,
გადაეყარნენ აისბერგს გზაზე...
მგონი, გითხარი, ჩვენს შეხვედრამდე,
მზეს დაუფანტავს სადღაც სხივები...
გთხოვ, მაპატიო, თუ გული მანდე,
მე კი დავკარგე და ვიგინები...

წამო, წავიდეთ!!!

ბედნიერების ვარსკვლავები მინდა ავანთო,
და უშურველად მთელ სამყაროს გადავაფრქვიო...
წამო, ძვირფასო, ჩემთან ერთად ყოფნას გთავაზობ,
წამო, პარნასის დასაპყრობად ერთად გავწიოთ...
შენ არ იფიქრო, რომ ამ ქვეყნად რამე მთავრდება,
როცა ქალაქის შესასვლელი კარი იმსხვრევა...
დღეს აღარ ხდება ერთა დიდი გადასახლება,
არც ჯოჯოხეთი გველოდება იქნებ იმ ქვეყნად...
ჩვენ უკვე, ალბათ, საკმარისი ხარკი გავიღეთ,
და მწამს ზეცისგან მიეზღვევა ყველას თავისი...
წამო, ძვირფასო, ფეხდაუდგმელ მთებზე ავიდეთ,
და ბროლის კოშკი ავიშენოთ ერთად ხვალისთვის...
ძირს მათხოვრობა, მე მდიდარი ქვეყნის მომხრე ვარ,
მე შენში ვხედავ ანგელოზებს ჩვენ რომ გვიშველის,
ღმერთმა ტყუილად გამოგვყარა ჩვენ სამოთხიდან,
და მსურს ვიპოვოთ აქ სამოთხე ისევ ღვთის ნებით...
წამო, წავიდეთ, დედამიწა სანამ ტრიალებს,
სანამ ზვავები ეშვებიან მწვერვალებიდან,
დეკა და ღვია ჩახვევია სადაც ლიანებს,
და წყვდიადს აქრობს ლურჯი სხივი ვარსკვლავებისა...
წამო, ვუსმინოთ გაყუჩებულ ოკენეებს,
გვითხრან გეგმები მომავალი ქარიშხლებისა,
წამო, გპირდები, გაპოვნინებ იმ სამოთხეებს,
ჩვენ რომ ვეძებდით, მაგრამ პოვნა რომ არ გვეღირსა!
წამო, ვუსმინოთ სიმფონიას ველურ ბუნების,
ვნახოთ ვეფხვების ნადირობა იალაღებზე...
წამო, წავიდეთ და ოდესმე თუ დავბრუნდებით,
მინდა ღიმილი დავინახო შენს მკრთალ ბაგეზე...

ბოლო წუთები

მე მივდიოდი სინათლე ენთო

და სახლთან ახლოს ტიროდა ქარი,
მიუყვებოდა ვიღაცა ფერდობს,
და სევდიანად რეკავდა ზარი...
ნეტა, არ გეთქვა, ნეტა, არ გეთქვა,
რომ უბედობამ დაგრია ხელი,
რომ ცალი მხარი სულმთლად წაგერთვა,
და აღარ გართობს აღარაფერი...
მე კი არც ვიცი სად მივდიოდი,
ვინ მეძახოდა ღამის სიღრმიდან,
და ჭრილობაზე, როგორც იოდი,
მწვავდა ეს ღამეც დასაწყისიდან.
მე ფიქრებს კარი ვერ ჩავუკეტე,
თუმც, ალბათ, ამას აზრი არა აქვს,
ადგა და ღამემ ხსოვნის ფურცლებზე,
ყველა ტკივილი ამოაქარგა...
მე კი ძილ–ღვიძილს ვეღარ ვუძლებდი,
მეც ქარი ვიყავ და ვეღარ ვქროდი...
დილამ მომპარა ბოლო წუთები,
როცა ვარსკვლავებს ხელით ვაქრობდი...

რად მეორდება

რა შუაშია ბედის დარტყმები,
ან ქარიანი დეკემბრის სუსხი...
ტოტასხეპილი ქუჩის ჭადრები,
და ჩემ სარკმელში ფერადი შუქი...
ყოველ საღამოს ფეიერვერკი
ქალაქში, ალბათ, ვიღაცას უყვარს...
პედესტალიდან ვარდება კერპი,
და ფანატების სულები სწუხან...
ახლა სხვა დროა, მოკლე კაბაში,
ზოგჯერ შორტებშიც ნახავ დედოფალს...
ხვალ პარადია, აქ ახლოს მარში
ისმის და გრძელი დარბაზიც როკავს...
რას დაემსგავსა, რას დაემსგავსა,
სახლი რომელიც ასე მიყვარდა...
ნახატზე ქრისტე ბატკანს მწყემსავდა,
ხოლო პრინცესა თითებს იჭამდა....
იყო დრო როცა გრძელი კაბები
და მაქმანები იყო მოდაში,
მეფეებს ჰყავდათ ლეოპარდები
და იცვლებოდა მონა–მონაში...
რად მეორდება დღემდე იგივე,
ალმოდებული იწვის სანთელი,
და დაბადების ყველა სიმძიმე,
კვლავ ინათლება ქრისტეს სახელით...
და მეც მგონია ტყუილად ვეძებ,
მას ვინც სიხარულს მსხვერპლად მომიტანს...
სიკვდილის შემდეგ გავიგებ შედეგს,
რაც სიცოცხლისას ვერ გამოვიდა...

ჩემი ჭიშკარი შენთვის ღიაა

შენ აღარ სტუმრობ ჩემს ბაღებს ვარდთა,
თუმცა ღიაა შენთვის ჭიშკარი...

შენ ჩემი ერთი კოცნა გემართა,
სხვა არაფერი, არავითარი...
სხვა არაფერი, სხვა არაფერი,
რა მოხდა, დიახ, ქვეყანას მოვდე,
რატომ? უბრალოდ, ისე დავთვერი,
მგონი, ვაჯობე, ვიტყოდი, ლოთებს...
შენ არ იფიქრო, თავს გამეტებდე,
არა ვარ ასე ამბიციური...
მაგრამ, რადგანაც ერთხელ გავბედე,
ვიქეც ჰერაკლედ, ვარ მითიური...
არ მიმიღია შენგან პასუხი,
მართალი გითხრა, პასუხს არც ველი...
როგორც არწივის ბრჭყალის მარწუხი,
მუჭში ვაგროვებ ვარდებს გათელილს...
სიცოცხლე მხოლოდ პრელუდიაა,
იქით კი... იქით, ეშმაკმა უწყის,
ჩემი ჭიშკარი შენთვის ღიაა,
და გათვლილიც მაქვს ყოველი წუთი!!!

ვერნისაჟზე

რას ვიფიქრებდი, თუ სადღაც მთებში,
სად გამუდმებით დაძრწის ქარები,
სადაც აფრენილ არწივის ფრთებში,
იგრძნობა ძალა კლდეთა ქანების...
სადაც ყინულით გადასიპულან,
გადაჯაჭვული მხრებით ხრამები,
მთები, სულ მთები და მთების უკან,
კვლავ მწვერვალები და მყინვარები...
რას ვიფიქრებდი, თუ აქ ვნახავდი,
მას, ვინც ძილშიც კი მენატრებოდა,
ვისაც ვეძებდი ასე აქამდის,
ამ ყინვა–თოვლში თუ შემხვდებოდა...
საოცარია, მართლაც, ცხოვრება,
გარშემო სევდა, სხვა არაფერი,
ციცაბო კლდიდან ზვავი მოწყდება
და გზებს ჩახერგავს თოვლის ნამქერი...

იქნებ არცა ხარ ბედნიერი

იქნებ არცა ხარ ბედნიერი, და შენც თამაშობ,
იქნებ ღიმილი შენი ბრძოლის იარაღია...
როგორ ახერხებ, საიდუმლოდ მინდა გამანდო,
მე ხომ სიცილი ბედმა თავზე გადამახია...
ნუ გამიღიმებ, მე სიმართლე მინდა ვიცოდე,
ალბათ, როგორსაც მოელიან ბრძოლის ველიდან,
და, შენც ძვირფასო, როგორც უნდა მარგალიტობდე,
ამ წყეულ დროში ვერც ღიმილი ვერ გიშველიდა...
თუმცა, ვინ იცის, იქნებ ბედი გიგებს ხალიჩებს,
ანდა, ზეცისთვის თავიდანვე იყავ რჩეული,
იქნებ სიცოცხლე ახლობლებმა გაგიხალისეს,
და სხვებისთვისაც ბედნიერად ხარ მიჩნეული...
შენ არ გეწყინოს, იცი, ჩემი მიამიტობა,
კი არ ვწუწუნებ, მე ხომ ბედი მდევდა მათრახით,
არც შენი წყენა, რომ იცოდე, სულ არ მინდოდა,

რა გამაღიმებს თუ ცხოვრება სულ ტყვიას მახლის...

იმ პირველ ყვავილს

იმ პირველ ყვავილს, შენ რომ გაჩუქეს,
ალბათ, აპრილის ყვავილი ჰქვია...
როგორც ენძელა ამოაშუქებს,
ან გაიშლება შენს თვალწინ ია...
პირველი ცეკვა, პირველი კოცნა,
ან დაივიწყებ პირველ პაემანს?
პირველ სიყვარულს ზვავივით მომსკდარს,
სულში ამ გრძნობის გაუკვდავებას...
ალბათ, რამდენი, ალბათ, რამდენი,
დღეა ამ ქვეყნად ასე ლამაზი...
დღეები კრთომის და აღმაფრენის,
როგორც გაფრენა ცაში გავაზის...
არსებობს უფრო დიდი საუნჯე,
ვიდრე ტრფობის და ხვევნის წლებია?
არაო, წეღან მზეს ვესაუბრე,
ის წლები ღმერთის საჩუქრებია...

ჩემთან მოფრინდი

სიურპრიზები? რამდენიც გინდა!
თუმცა, მეტია უარყოფითი...
შენ ალმასები გცვივა ბაგიდან,
ჩემთან მოფრინდი, ჩემთან მოფრინდი!
ჩემთან მოფრინდი, ჩემს ქოხს ეწვიე,
როგორც მერცხლები გაზაფხულობით...
განახებ კლდეებს, გადალეწილებს,
მთებს გავახარებთ ჩვენი სტუმრობით...
განახებ ხრამებს, ხევებს, ჩანჩქერებს,
მწვერვალებიდან დაკიდებულებს;
ნისლებს ჩამომსხდარს მთების კალთებზე
და მდინარეებს ადიდებულებს...
გულში რომ ბოღმა ჩაუხვევიათ,
სიპი ლოდების, კლდეთა ქანების...
მათ დაბადებით მუდამ სჩვევიათ,
სხვა ძალით ვარდნა, სხვა გაქანებით...
განახებ მინდვრებს, ველებს, ლელიანს,
აყვავილებულს ქედებს ედემად...
მკერდზე ალმური რომ მოსდებიათ
და მზად არიან ასაფეთქებლად...
გინდა, ორივე ვიქცეთ ფრინველად,
რომ სიხარული ცრემლად წამოგვსკდეს...
როგორც პირველად, სულ, სულ პირველად,
დედა თავის ჩვილს ძუძუს აწოვებს...

წვიმს

წვიმს, შემოდგომის გაცრეცილ ფოთლებს,
ალამაზებენ სევდის ფერები,
ხეებს შეფენილს ქედებს და კორდებს,
მთვრალებს ზაფხულის ბედნიერებით...
მალე ცისკრისას რთვილი დასუსხავს,

გაძარცვავს ქარი და გააშიშვლებს...
ბუნება ველურ რექვიემს უკრავს,
ბუნება თითქოს დაკრძალვას იწყებს...
მთის ბილიკები და ფერდობები,
წითელ–ყვითელში გამოწყობილან;
და მობუზული ჩიტბატონები,
ვეღარა გრძნობენ თავს კმაყოფილად...
ჯერ გუბეები გაიყინება,
მერე ჩამოყრის ფიფქებს ღრუბლები,
მერე ტყეები დედიშობილა,
შეიმოსება თოვლის ქურქებით.
ჯერ კი, ჯერ ფერებს, ვით საოცრებას,
აკვირდებიან ხარბად მხატვრები...
სანამ ბუნება სულმთლად მოკვდება,
და გათეთრდება ჩანახატები...

ორი მე

მეც ორი მე მყავს, ერთიმეორეს
არ სცნობენ როგორც მოსისხლე მტრები...
ერთი ნატრულობს ხის ქოხი ჰქონდეს,
მეორეს უნდა სასახლეები...
პირველის აზრით, ერთი ცოლი სჯობს,
მეორე ითხოვს ცოლების ჰარემს...
მოკლედ, ის რასაც პირველი ითხოვს,
მეორე მივა და არევ–დარევს...
პირველი მიწას ებღაუჭება,
მეორე ეძებს ცაში ვარსკვლავებს...
რაზეც პირველი ბდღვნის და წუხდება,
მეორე დგას და ურცხვად ხარხარებს...
ერთი გლეხია, მეორე შაჰი,
ისე, ორივე ჩემში ეჭვს იწვევს...
ვინ გამოვდივარ? ალბათ, ჩახმახი...
რომელი მოვკლა, ამიხსნის ვინმე?

ზღვა რომ ადიდდეს?

ვერ გამექცევი, არსად გაგიშვებ,
ზღვის პირას ბევრი კენჭები ყრია...
ზღვა რომ ადიდდეს, ზღვა რომ ადიდდეს,
წაგიღებს, როგორ არ გეშინია...
ვიცი, ოცნებობ, ვიცი, გგონია,
რომ შენი პრინცი ზღვაში დაცურავს...
თეთრი ხომალდით მტრებს გაჰყოლია,
რა შორს წასულა, რა შორს წასულა...
რატომ არა ჩანს, რატომ არა ჩანს,
იქნებ შტორმებმა უწიეს გზაში...
ან მის ხომალდზე მოხდა თავდასხმა,
ხან ზარბაზნებით, ხან აბორდაჟით...
მე გირჩევ, გირჩევ, ზღვა მრისხანეა,
გამოერიდო იქნებ ნაპირებს,
ჰო, მითუმეტეს, თუკი ღამეა,
მართლაც, რა იცი, რას დააპირებს!
ნუ მიენდობი, ნუ მიენდობი,
გედი არა ხარ, ზღვაში შეცურო...

არ გახდე მსხვერპლი გაუგებრობის,
მართლაც, რა იცი, ვინ გიმეგზუროს!

როცა შენ გნახულობ

წახვალ და მოგდევენ თან ჩემი ფიქრები,
უშენოდ დარჩენა რა ძნელი ყოფილა...
მიყვარხარ, მიყვარხარ და გთხოვ ნუ მიწყრები,
შენი ვარ, შენი ვარ და შენსკენ მოვფრინავ...
არ იცი, არ იცი, შენ ჩემთვის ვინა ხარ?
ყვავილის ნამი ხარ და ლურჯი ცისკარი...
მივარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ...
დღეს მგონი დილიდან ათასჯერ გითხარი...
არა ვარ პეპელა, არც ფრთები არა მაქვს,
და მაინც ცაში ვარ, როცა შენ გნახულობ...
მივყვები, მივყვები, ფიქრების ქარავანს,
და ღრუბელს უზადოს, ცაზე რომ ქალწულობს...
ამ ველებს ათასი მზისფერი ყვავილი
სხეულზე მაისის ჭორფლივით აყრია...
არ მინდა, არ მინდა ქარის მოტანილი,
ქარის მოტანილი არც კოცნა არ მინდა...

ეს ათმარცვლიანი

აღარ დავეძებ, აღარ დავეძებ,
ვითომ სახლკარი სულ არ მქონია,
რომ ცხელი კოცნით შენს მკრთალ ბაგეზე
წავშალო ღამის მელანქოლია.
მარტოს ნუ მტოვებ, მარტოს ნუ მტოვებ,
ნუ მიბრაზდები, ნუ მიბრაზდები,
გადმოვსახლდები შენს სიახლოვეს,
შენს სიახლოვეს გადმოვსახლდები.
ან მზედ ვიქცევი, შენთვის ამოვალ,
და სადაც წახვალ გზებს გაგინათებ,
მე შენი ყველა სიტყვა მატკბობდა,
ბედნიერებაც შენგან ვისწავლე...
არ მავიწყდები, არ მავიწყდები,
დროს ზღაპარივით ჩაუქროლია,
გაგიხსენებენ ჩემი სიზმრები,
ღამე და თეთრი მელანქოლია.

სად გაქრა ნეტა

სად გაქრა, ნეტა, ვინც ჩემთან იყო,
რომელ ღრუბლებზე დაიდო ბინა...
ნუთუ, მეც უნდა გადავივიწყო,
როგორ მეწყინა, როგორ მეწყინა...
ლამაზი იყო, თვალების ნაცვლად,
თვალების ნაცვლად ენთო ალები...
როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარდა,
რა სიფაქიზით, რა მოკრძალებით...
ან, იქნებ, სწორედ, ამის ბრალია,
ჩემი გრძნობების ამგვარ მანერის...
რომ, როგორც ყველა, ისიც ქალია,
ქალებს კი უყვართ დამნაშავენი...

მაშ, რა დავარქვა ასეთ გაქრობას,
ალბათ, იყო და არა იყო რა?
ჭკუა სად მქონდა, ჭკუა სად მქონდა,
წავიდა, გულიც თან გაიყოლა...
ეს ცხოვრებაა, ალბათ, ასეთი,
ცივი, უგულო, მკვლელი, ტირანი...
მე კი სიკეთეს ისე გავცემდი,
მრჩებოდა ძვლები და ნაპირალი...
მართლაც, ნეტა, ვის რაში ვუნდივარ,
ის კი, აბრმავებს, ალბათ, ათასებს...
ჰოდა, თუნდ, ყველაც წყალს წაუღია,
ვინც კი თვალი მკრა და ვინც დამთარსეს...

ცოდვა

დაღამდა, ალბათ, დროა დავიწყო,
თქვენი ცოდვების გადმობრალება,
რაც კი რამ იყო, რაც კი რამ იყო,
სისხლი, დასმენა, ცილისწამება.
ჯერ ერთი, ალბათ, უნდა მომეკლა,
გველი რომელმაც აცდუნა ევა,
როცა გველურად ხეს შემოერტყა,
და ვაშლის ნაყოფს დაუწყო რხევა...
სწორედ ეს იყო პირველი ცოდვა,
ვაშლის ჩაკბეჩა, სხვა არაფერი...
მალე რაც მოხდა, ამიტომ მოხდა,
ევას და ადამს ერგოთ კარცერი...
მერე კი ცოდვა ცოდვას აება,
ათასი ომი, ძარცვა, მკვლელობა,
ცეცხლმა მოიცვა მთელი პლანეტა,
და ბევრს აქაც კი სურს პირველობა...
ის ერთი ცოდვა ყოფილა ძნელი,
სხვა დანარჩენი არაფერია...
ყველა ცოდვაში დევს ევას ხელი,
დამნაშავე კი მაინც გველია...

რაც მე გულში მაქვს

შორს, სადაც თეთრი ჰორიზონტია,
იკრიბებიან სეტყვის ღრუბლები...
მე კი ზედ მკერდზე მზე ამომწვია,
და თუნდაც მომკლა ვერ დავმუნჯდები...
და ვამბობ იმას, რაც მე გულში მაქვს,
მე არაფერი მაქვს დასამალი,
სიმართლე დამყვა დედის მუცლიდან,
როგორც ჭრილობა შემომავალი...
კი, ვიცი, რომ ვარ შენი დევნილი,
და რომ სულ ბეწვის ხიდზე მატარე...
ხან ავარდნილი და აღრენილი,
ხან კმაყოფილი და მოხარხარე...
იქ კი, შორს, სადაც ყინულოვანი,
და ატყორცნილი ცამდე მთებია,
ღრუბლებს ომი აქვთ გაუგონარი,
ღრუბლები ზეცას შეჯახებიან!
გაისმის გრგვინვა, ეს ელვა–მეხი,

თავზე ესხმიან ზღვებს და ქალაქებს...
ჩამოსდის უხმოდ ცრემლი მთაგრეხილს,
და ელვა ზეცის თაღს ავარაყებს...
ღამეა, მაგრამ, რა დროს ძილია,
აჯანყებულა მთელი სამყარო...
მალე ღმერთები შემომივლიან,
რომლებიც დარჩნენ დღეს უსახლკაროდ...

სურვილი

არ ვიცი, მართლაც, სულ რომ დედოფლად
მოგქონდეს თავი და ტახტზეც იჯდე...
რომც სილამაზის შექმნა ეპოქა,
მე მეყვარები, სწორედ, შენს ჯიბრზე...
შენ გეკუთვნოდა ეს ბოლო ღამეც,
რომელიც ისევ თეთრად ვათიე...
მართლაც, თვალები ამოვიღამე,
და თავს ეს ვნება ვერ ვაპატიე...
და თუკი ისევ ასე გაგრძელდა,
ჩემი მუნდირი ვერ იმუნდირებს...
ამ ჩემს სიყვარულს მუჭში დავტევ და
ერთად მოგაყრი ყველა სურვილებს...
ან მოვიგონებ დროის მანქანას,
ასი წლით უკან გადავსახლდები,
გადავიქცევი თუნდაც მასხარად
და სასახლის წინ ჩაგისაფრდები...
რომ ტახტრევანით როცა გამოხვალ,
უფლება მომცენ ხელზე გემთხვიო...
იცი, მოვკლავდი ყველა აბჯროსანს,
რომ ერთხელ მაინც გადაგეხვიო...

მოირღვა კედელი

არ ჩნდება, დაკეტა, რაც ჰქონდა ციხენი,
არ ჩნდება, ან დადის ის რკინის ვუალით...
რა ხდება, მითხარით, ან ამომიხსენით,
რას ნიშნავს ასეთი მარტივი უარი...
სამყარო ინგრევა და მღრღნიან ეჭვები,
რომ რაღაც შანსისთვის კვლავ ფორას მაძლევენ...
მოირღვა კედელი, მე წამით ვეცლები,
ლოდები ჩაქცევას უფსკრულში მასწრებენ...
ეს ცრემლი დაეცა შინდისფერ კაბაზე,
თუ სავსე ღრუბლების პირველი წვეთია?
არ დამვიწყებია შენი სილამაზე,
არც შენი თვალები არ დამვიწყებია...
ვერ ვიტან, ვერ ვუძლებ, ამ ბედის ცვალებას,
მადლობას ვეტყოდი, თუ ტყვიას მესვრიან...
მოვკვდები, ინანებს თქვენი ბრწყინვალება,
თუ, როგორც ამოთქვი, შენთვის სულერთია...

არ მოხვალ?

არ მოხვალ? ნუ მოხვალ, მეც ღამედ ვიქცევი,
და როცა პირველი ვარსკვლავი ამოვა,
შემოვალ შენს ძილში რძისფერი ნისლებით,

შემოვალ შხეფებით, ჩანჩქერთა, წყაროთა...
შემოვალ, შენს სიზმრებს სულ მივფანტ–მოვფანტავ,
ჰო, თუნდაც, აკივლდე და ჰყარო ქოშები;
შენს სულში ყველაზე ბნელ წერტილს მოვნახავ,
იქ, სადაც ჩნდებიან ქალური მონსტრები...
ვეცდები, რომ მათი ვნებანი მოვთოკო,
და, მერე, მათ და შენც ზეცაში აგიყვანთ...
მოვდივარ, იცოდე, მე აღარ ვორჭოფობ,
მოვქრთამავ ამ ღამეს თაფლით და შხამითაც...
მოვედი, ხომ გესმის მერნების ჭიხვინი,
ისინი ჭიშკართან ჩვენ გველოდებიან...
მოვედი, გძინავს და ხელს გახლებ სიფრთხილით,
ეს შენი გულ–მკერდი ამ ღამეს ჩემია...
მივქრივართ, მერანთა მივუშვი აღვირი,
რაშების ჭიხვინმა სიბნელე გაფლითა...
ვარსკვლავთა სხივებზე იელვებს მახვილი,
და მთვარე ღიმილით დაგვნათის მაღლიდან...
ჩემი ხარ და მოწმე ზეცაა მნათობთა,
ჩემი ხარ, ხელსა გხვევ და მკერდზე გიწებებ...
გათენდა, განათდა და, იცი, რა მოხდა?
რაა და ვერ ვიტან ამ ქალურ თვისებებს!!!

ცეკვა

ასრულდება, ასრულდება,
ალბათ, ერთხელ ოცნებები...
სანამ ცეკვა დასრულდება,
სიყვარულის მოწმე ხდები...
რა ახლოა, ვერ არიდებს,
ვერ არიდებს თვალი თვალებს,
და სინათლეც თვალს რომ ჭრიდეს,
ხელს ვერაფრით აიფარებ...
და იბმება წვრილი ძაფი,
თვალებს შორის ინტიმების,
ლამაზია ეს სურათი,
თანხმობანი ღიმილების...
ლამაზია, ლამაზია,
ნელი ტანგო, ჭაღის ფონზე,
და დარბაზიც იწყებს წრიალს,
ხან დილიდან საღამომდე...

არავინაც არ მინდა

არავინაც არ მინდა, უნდა გადავიხვეწო,
სანამ ჩემმა ეჭვებმა სულ მთლად არ გადამრია...
მინდა, მინდა ცხოვრება, რომ ისე ავიწეწო,
როგორც ბატიფეხური, ჩემი კალიგრაფია...
არ მოგისმენ, არ მინდა, რომ არ გადამარწმუნო,
კორიდაზე გავდივარ, მილოცავენ მკვლელები...
ნუ მკარნახობ, მე ვიცი, თუ როგორ დავასრულო,
ამ ხარს დაშნას გავუყრი, თუ მოვახრჩო ხელებით...
ცხელი ქვიშის ქარი ქრის, როგორც უდაბნოეთში,
არავინ შემიფარა, ყველამ კარი დაკეტა...
გამოსავალს ვეძებდი, მაგრამ ისე მოვეშვი,
თითქოს, ქორის ბრჭყალები მომწვდა, ხორცებს მაგლეჯავს...

ალბათ, მუდამ ასეა, როცა რაღაც მთავრდება,
და გგონია ზეციდან ჯოჯოხეთში ეშვები...
არასოდეს არავინ აღარ შეგიყვარდება,
გტორავს, გფატრავს ცხოვრება, თითქოს გაასკეცებით...
არაფერი აკლია, მართლაც, შენს გადარევას,
ღელავ, როგორც მდინარე, ნაპირს გადაცდენილი...
მოვარდება ტორნადო ან შტორმი და ჩაგრეცხავს,
და ყველაფერს, ყველაფერს, დაესმება წერტილი!!!

ეგებ არის, მართლაც, არის ხსნა...

წავალ–წამოვალ, კედლებს მივეხლ–მოვეხეთქები,
მე შორს მივდივარ, მინათებენ გზებს ვარსკვლავები...
მაგრამ, იმდენი გადავლახე დღემდე მეწყრები,
შენ რომ გენახა წმინდანობას დამაბრალებდი...
თუმცა, იმდენად ცოდვილი ვარ, როგორ აგიხსნა,
რომ ამის გამო, სიკვდილისაც კი მეშინია...
შენ ხომ ვერ მეტყვი, ეგებ არის, მართლაც, არის ხსნა,
გზა, რომლის გავლაც სხვებთან ერთად მეც შემიძლია...
მეც შემიძლია სიყვარულის ტაძრის აგება,
რომ სხვების გვერდით მეც დავანთო ერთი სანთელი,
და სანამ მისი მოციმციმე ალი ჩაქრება,
გადავარჩენდი ჩვენს სიყვარულს ჩემგან გათელილს...
ამ ქვეყანაზე ყველგან გადის თითო ბილიკი,
ერთსაც ვიტყოდი, ამორჩევა, ალბათ ჩვენზეა...
მე სინათლისკენ მივდიოდი, შენ კი პირიქით,
ამოირჩიე გზა, რომელიც გულის ნერვზეა...
მე არ მყოფნიდა ჩემი სივრცე, როგორც მაჭარი,
ვდუღდი და სისხლიც აწვებოდა ხსოვნის აორტას...
ჩემი სათქმელი შენ ამოთქვი, შენ დამასწარი,
და მორჩა კინო, მე ვტიროდი, შენ გიხაროდა...

მოსაღამოვდა

შემოდგომაა, ჩამომისახლდნენ
ბაღში ნოემბრის ცივი ნისლები,
სადღაც მთებიდან ჩამობინადრდნენ,
და შემიმოსეს ხენი შიშვლები...
ჩამოწვა სევდა, როგორც მუსიკა,
ბუნება იღებს ბოლო აკორდებს,
და მოვარდნილი ქარი ქუჩიდან
კომშზე მომტვრეულ ტოტებს ატოკებს...
აქ ნაკადულის ორივე მხარეს,
გაზაფხულობით ჰყვავის შროშანი,
ეს ქარი მალე ამ ნისლებს არევს,
დამრჩება ბაღჩა შეუმოსავი...
მოსაღამოვდა, შორს ცისკიდურზე,
ერთად გამოჩნდა ღრუბლების ფარა...
ვერცხლმა დაფარა ზეცის სილურჯე,
მზე გადავიდა, მთას მიეფარა...
მიყვარს საღამო, ულტრამარინით
ცა რომ ნაღვლისფრად შეფერადდება,
და მოწითალო ფერუმარილით
ბაღჩა იქცევა ღვთის ნაქარგებად....
მითხარი, ფეხი ამოიკვეთე,

თუ ამ დღეებში ისევ გიხილავ?
მოვალთქო გული გამომიკეთე,
სანამ დაზამთრდა და გაიყინა...

სიცარიელე

გიგრძვნია სულში სიცარიელე?
ხელს აფათურებ და არაფერი...
გინდოდა, მაგრამ ვერც გაიელვე,
მხოლოდ ჭრილობა აურაცხელი...
ეს წვიმიანი და ქარიანი
დღეებიც, თითქოს, აღარ გეშვება...
სულის წრიალი, სულის წრიალი,
და დამტვერილი შემოქმედება...
უსასოობის მძიმე წუთები,
ყოველი ლუკმა დანაყვედრები,
შემოფანტული გზა–გზა მუზები,
ცრემლები, სისხლი, ომი, ცხედრები...
ეს ღამეც თეთრად დამათენდება,
თვეებად იქცა ლამის წამები...
და ამ დროების შავი ემბლემა,
სარკმლის წინ, ხეზე, სხედან ყვავები...

ასოციაცია

სცივათ ალუბლის ხეებს
გაბეზრებულან წვიმით...
პირი შეუკრავთ მზეებს,
არ ჩანს ღრუბლებში სხივი...
შენ მაგულებდი მახსოვს,
ტყეში ირმების რემას...
როგორც ნატყვიარს გამჭოლს
მე განვიცდიდი წყენას...
ალბათ, ერთმანეთს ფარავს,
ის სახეები ძველი...
ბროლი, ძოწი და ქარვა,
ხელში გამთბარი ხელი...
როგორ მწყურია ახლა,
მწვანე თვალები შენი...
კლდეს ეფერება ტალღა,
ნაპირს მოადგა გემი...

ნუ წახვალ

ნუ წახვალ ჩემგან, ლამაზო ქალო,
ვილოცებ შენზე, რომ ჩემთან დარჩე...
ვოლოცებ შენზე, რომ შემიყვარო,
როგორც ეტრფიან ქალები კაცებს...
ნეტა, სად ეძებ ბედნიერებას,
რომელ ვარსკვლავზე აღმოაჩინე...
ხომ ვერ გვასწავლი მაგ წამალს ყველას,
ვის უმკურნალე, ვინ მოარჩინე...
იქნებ მიამბო შენი წარსული,
თუ მიდიოდა უსიყვარულოდ?
როგორი ჰქონდა წლებს დასასრული,

დაჭკნა იმედი თუ კვლავ ყვავილობს...
ბევრს არა ჰყოფნის ერთი ცხოვრება,
ბევრისთვის, ალბათ, ერთიც მეტია,
ზოგს არწივები ეთვისტომება,
ზოგნი ყვავსა და ყორანს ეტრფიან...
შენ კი, ვინ იცის, ვის ალამაზებ,
მას ავუხსნიდი ჩემს გაოცებას,
კდემა, სინაზე და სიწარმტაცე,
და მეტიც, სულის უმანკოება...

გაყიდული ვარ

ვერ გავექეცი შენს თვალებს ვერსად,
თითქოს მეძახდნენ, თითქოს მიხმობდნენ...
გაყიდული ვარ ოცდაათ ვერცხლად,
და ვამბობ სანამ ამომიცნობდე...
კი, დავატარებ უამრავ ცოდვას,
როგორც ეს ჩვენი ზღვა და ხმელეთი...
სხვა გზა არ დამრჩა და უნდა მოვკლა,
ეს სიყვარულიც, რომ ვიფერებდი..
ჰოო, როგორმე უნდა მოვახრჩო,
რადგანაც მეტის არ ვარ გამძლები...
შენ კი რატომღაც ისევ მორალს მთხოვ,
და არაფერში არ მეთანხმები...
მეც, ალბათ, ჩემმა ცოდვებმა მომკლეს,
რაც მომისაჯა შენმა თვალებმა...
წავალ, გავქრები, რა დათვლის ცოდვებს,
მოკლების ნაცვლად თუ ემატება...

სადმე ჩამფლავენ

ბევრი ვეცადე, რომ ამ წყვდიადში
ცოტა სინათლე შემომეტანა,
მაგრამ ვინ გაცლის, როგორც ფრთებს გაშლი,
შემოგესევა მთელი ქვეყანა...
იცი, რა ფასობს, ჩვენში იაფად?
რა ყრია მუქთად? უსაზღვრო ნიჭი...
რამდენმა ბრიყვმა გამაქიაქა,
რამდენი ტყვია უსვრიათ მიჯრით...
ან როგორ ახსნი ამ სიბნელეში,
ეს ბოროტება საიდან მოდის?
თუ სიცოცხლეში წერიხარ მკვდრებში,
ხვალ სამარიდან ვინღა ამოგთხრის...
მიასვენებენ მოცარტის კუბოს,
აწვიმს კარეტას, ქანაობს ქარში...
მიასვენებენ ვით ვინმე უცხოს,
და დარბაზები ინგრევა ტაშით...
მეც ჩემი ნიჭი რამდენხანს ვმალე,
რომ ის, როგორმე, გადამერჩინა...
მეც მოცარტივით სადმე ჩამფლავენ,
ან ვინა მკითხავს, მე რა მერჩივნა...

ქარი სარკმლებს ეხეთქება

ქარი სარკმლებს ეხეთქება,

რა ხანია, რა ხანია,
ჩემთვის ვფიქრობ, ეს რა ხდება,
ან ვინ მეტყვის რა ქარია...
ალვის ტოტებს ქარით დაღლილს,
ახლა წვიმა გადაუვლის...
და ჭრიალებს ძველი სახლი,
როგორც ბაღში ღამის მწუხრი...
ბჟუტავს, ბჟუტავს იმედები,
ვით ჩამწვარი ნაკვერჩხალი...
ადრე ღიმილს იმეტებდი,
დღეს ღიმილიც მწარე არი...
დარდი დარდებს ემატება,
ემატება სევდას სევდა...
ის ღიმილი მენატრება,
შენ რომ სახეს გინათებდა...
ჯერ კი ზამთრებს ველოდები,
დღეებს ცივს და ფერმიხდილებს...
შენს მაგიერ მე მოვკვდები,
ოღონდ ერთიც მეტიტინე...

მე ავადა ვარ

ზოგს რა ბედი აქვს, ქვაზეც რომ დასვა,
დაეხვევიან წამსვე ქალები...
საკმარისია სიტყვა რომ დავძრა,
წამოვა ქვეყნის სამდურავები...
მე ავადა ვარ, მე გული მტკივა,
ვიცდიდი, შენ კი დააგვიანე...
შენ გელოდება ის ერთი ტყვია,
რომელზეც დაწერს მემატიანე...
საკმარისია ფეხი დაგიცდეს
და შებრალებას ნუ ელოდები,
რაც უნდა ფრთხილად დგამდე ნაბიჯებს...
მაინც გესვრიან, მაინც მოკვდები...
და მე ვერ ვხვდები, სადაა შვება,
შენ მაპატიე, თუ კვლავ დავეცე...
დაგუბებული მაწვება სევდა...
მაგრამ, არ ვიცი, როგორ გავექცე...

ნუ გეწყინება

ნუ გეწყინება, თუ აღარ ველი,
შენგან საჩუქრებს და იდილიას...
მე მომწონს სარკე თუ არის მთელი,
ჩვენი კი უკვე გატეხილია...
შენ თავს დრო მაინც არ დამანებებს,
ვერც მოგატარე კაფე–ბარები...
შევასრულებდი შენს ცივ ბრძანებებს,
მაგრამ, თუ, ალბათ, არ მეყვარები...
კი, ვცოცხლობ, თუმცა, მართალი გითხრა,
ამ დაბადების ვერა გავიგე...
სიაში ღმერთმა ამომიკითხა,
და, ალბათ, ღმერთთან უნდა წავიდე!
შენ როგორ იცი, ალბათ, ყველანი,
ბოლოს ჩემსავით ცაში მიდიან...

უკვე ჭიხვინებს ჩემი მერანი,
უნდა წავიდე, მტრები მიცდიან...
ყველგან, ომებში თუ მშვიდობისას,
შენი ღალატი მე თან გამყვება...
მეც ბოროტების ტოგას მოვისხამ,
ამ გატაცების დასამარცხებლად...
შენ კარგად იცი, რომ დღეს ჩემსავით,
აღარა მსჯელობს არავინ არსად,
მე გვიან მოველ სიმართლესავით,
და თავს ვწირავდი სიკვდილის ფასად!
მეც მეშლებოდა, როგორც სხვა მოკვდავთ,
თუმც დედოფლებიც მეწვინა მკლავზე,
და მაბოდებდა მეც ჩემი მოდგმა,
და ვაღმერთებდი შენს სილამაზეს!
უნდა წავიდე, სანამ ამ ზეცას,
სწყალობენ მთვარე და ვარსკვლავები,
აქ კი, აქ, თუნდაც, იუდა მერქვას,
რა მოხდა, მე ხომ ცას გადავედი!!!

მეპატიება

მოხვედი, შენთვის ღიაა კარი,
მოხვედი, გრძნობებს აღარა ვმალავ...
ანდა, რა მქონდა მე დასამალი,
შენა ხარ ჩემი წვიმაც და გვალვაც...
მეპატიება თუ ისევ ფრთხილად,
შენს უმანკობას შემოვეფარე,
თითქოს ზეციდან თავთავი ცვივა,
და ბეღურები მარცვლებს კენკავენ...
ბაღებში ჯერაც დროგამოშვებით
თეთრად ჰყვავიან იასამნები,
მე მოგიტეხე მათი ყლორტები,
როცა უთქმელად ჩემგან წახვედი...
თუმცა, ვერცერთი იასამანი
შენს სილამაზეს ვერ გადაფარავს...
მე მოვალ შენთან ჩემი ამალით,
მე მოვალ, როცა ზამთარი წავა...
რომ მოგიტანო გაზაფხულების,
თრთოლვა, სინაზე და გულის ცემა...
როცა გზას იკვლევს ნაკადულები,
და მწვერვალებზე ყინული დნება...
რომ გაგრძნობინო, როგორ მომწყურდი,
ზამთრის ქარებმა რაც დაგვაშორეს...
რაღაც სურვილი ავადმყოფური,
მუდამ მეძახის შენს სიახლოვეს...

ისევ შენ ალბათ

თუ დამაბრმავებ, შენ დამაბრმავებ...
თუ თვალს ამიხელ, ისევ, შენ, ალბათ...
მეტს მე არაფერს არ დაგაბრალებ,
თუ მოვკვდი, ისევ შენ თუ დამმარხავ...
მე ჩემს ტკივილებს არ ვუფრთხილდები,
თუ ვინმეს სტკივა, მეც მსურს მტკიოდეს...

მე ხომ სიკვდილსაც გავუღიმებდი,
თუნდაც ყირაზე გადადიოდეს...
და თუ გვსურს, ყველგან, ყველა გვამჩნევდეს,
ეს, ალბათ, ჩვენი ეგოიზმია...
ბედს არ დანებდე, ბედს არ დანებდე!
ბედთან ბრძოლაა ჩვენი მისია!!!

ნუ გადამშლი

ალბათ, ჯობდა, არ გამეცან,
და არც გული გადამეხსნა,
რადგან ერთად დღეც და ღამეც
მოლოდინად გადამექცა...
კი ასეა, ჩემ სიტყვებში
ჭარბადაა სენტი–მენტი,
ალბათ, ჯობდა, სულ არ მეთქვა,
რომ მეგობარს ვხედავ შენში...
ალბათ, ჯობდა, სულ არ მეთქვა,
რომ ტყუილად გიწერ ლექსებს,
რომ მუზა ხარ ამ ღამეთა
და არასდროს გაგაღმერთებ!
სწრაფად მივხვდი როგორ შევცდი,
თუმცა, იყო უკვე გვიან,
შეგვიყვარდა ერთმანეთი,
მაგრამ მაინც მუზა გქვია...
ან მე, აბა, როგორ გითხრა,
მე, უბრალოდ, დროს მივათრევ,
და ლექსებში როგორც ითქვა,
სიყვარულში არ მიმართლებს...
ახლა ვხვდები რომ თამაში
ამ სიტყვასთან არა ღირდა,
რომ ეშმაკი მოგვდევს კვალში,
და დაგვცინის თავის მხრიდან...
სხვა რა გზაა, სიტყვას ვტეხავ,
მუზა სადღაც მუზად დარჩა...
რომ მე შენთან მენატრება
და ესაა ნაღდი განცდა...
გითხარ, ახლა როგორც გინდა,
ნუ ჩამითვლი კვლავ თამაშში...
ჩემი გრძნობა არის წმინდა,
ნუ გადამშლი, ნუ გადამშლი!!!

სული სულს

ყველა დამღლელი მძიმე დღის შემდეგ,
როცა სულს სტოვებ, სადაც მოხვდები...
ვეღარ ვისვენებ, ვეღარ ვისვენებ,
სანამ არ მოხვალ, არ გამოჩნდები...
სანამ შენს ჭკვიან თვალებს ჩავხედავ,
სანამ შენც მკითხავ რამეს თვალებით...
სული სულს მუდამ დაეხმარება,
სული არ კვდება გარდაცვალებით...
სიცოცხლეც, ალბათ, სულის ტვირთია,
და გააჩნია როგორ ატარებ...
მძიმეა ტვირთი თუ სულს ჰყიდიან,

და მსუბუქია თუ დაჰკანკალებ...
თუ უფრთხილდები, როგორც საუნჯეს,
და სიკვდილამდე სუფთად ინახავ,
მაშინ, ყველაფერს ადვილად უძლებ,
და ბედიც ცხვირ–პირს ვერ დაგინაყავს...
შენ არ იფიქრო, რომ, თითქოს, შეცდი,
თუ უნებლიე შეცდომებს ვუშვებ...
ირი საწყისი ბატონობს ჩემშიც,
და კარგად ვიცი, კარს რომელს ვუღებ...
ნუ დამიმალავ, ნუ დამიმალავ,
ამ შემოდგომის მითხარი რამე...
რომ ეს მწუხარე დღეები გავა,
რომ შენი სული კვლავ შემიფარებს...

სევდა

ნუ მიწყენ, თუ ამ ნაცრისფერ დილას
მეც ჩემს სევდაზე მინდა გიამბო...
როდესაც ზეცა აღარა ბზინავს
და ბედს მოქუფრულ ღრუბლებს მიანდობს...
რაღაც უცნაურ გუნებ–განწყობით,
აიჭრებიან მდინარეები,
როგორც ჩანს, მთებში წვიმები მოდის,
გვიახლოვდება ზამთრის დღეები...
და მიწაც, თითქოს, შეშფოთებული,
რაღაც მწუხარეს მოლოდინშია,
წვიმების გამო ზეცას ემდურის
და გამუდმებით რაღაც შიშშია...
და დილაც ისე უკმაყოფილოდ,
იღვიძებს, თითქოს არც ეღვიძება,
სარკმელი თვალის გახელას ცდილობს...
და მწუხარება ჩემს წინ შიშვლდება...
ის სულ ახლოა, სულ, სულ ახლოს,
"ზამთარი ჩვენი მღელვარებისა",
ის ცდილობს სევდა შემომისახლოს,
და მეც, ძვირფასო, ვკვდები სევდისგან...

შემოადნებათ ატმებს დღეები

რა ლამაზი ხარ, როგორც ატმების
ბაღში ხეებზე ფერი ყვავილთა...
ანგელოზი ხარ ჩემი ნატვრების,
ჩემი ოცნების ხარ პირამიდა...
როგორ ავსებენ, როგორ ავსებენ,
სულს, უღრმავესი შენი თვალები...
მე ბევრჯერ ვცადე და ვერ დავეხსენ,
რადგან დავბრმავდი ამ ბრწყინვალებით...
შემოადნებათ ატმებს დღეები,
და როცა მწიფე ნაყოფს მოისხამს,
ჩაცხრება ჩემი აღმაფრენები,
ასე დაღლილი შენი ნდომისგან...
და შენც გაქრები, როგორც სიზმარი,
ოდესღაც სადმე გზაში ნანახი,
როგორც რაიმე ფუჭი მიზანი,
გადასავიწყი და დასამარხი...

როცა ჰყვაოდნენ ბროწეულები...

ასე მგონია, დღემდე მეძახი,
მე კი რაც იყო, მინდა ვიკმარო...
ვერა, ვერ ვფარავ, შენამდე მანძილს,
რომ შეცდომები გადმოვიბრალო...
მე ხომ შემთხვევით გადაგეყარე,
როცა ჰყვაოდნენ ბროწეულები...
და დავეწაფე მაგ შენს ნექტარებს,
როგორც ფუტკრები მოსეულები...
როგორც თეთრ ყვავილს, როგორც გედის ფრთას,
ვუფრთხილდებოდი მე ყველა წამებს,
ვუფრთხილდებოდი შეხვედრებისას,
მაგ შენი სახის კანს, მოკამკამეს...
ახლა კი ვდგავარ დალეწილივით,
თითქოს კლდეებზე ჩამოვემსხვრიე...
წითელი შარფით მოქრის სიკვდილი,
და უკანასკნელს ვისმენ რექვიემს...

შენ არ აღელდე

სიცოცხლე, მართლაც, კოქტეილია,
ტკბილით და მწარით შეზავებული...
თქმა ადვილია, თქმა ადვილია,
უკან კი რა დგას, ქაოსი სრული...
სულ გაზაფხულის მოლოდინში ხარ,
და ამ ლოდინში გადის დღეები...
შენ ისევ ის ხარ, არ გამოცვლილხარ,
ვნახავთ ერთმანეთს, მოვეფერებით...
და ასე გადის ამ ტკბილ ტყუილში,
სულ ცოტა სიტკბო და ბევრი მწარე...
და, სულ ერთია, ნერვებს ნუ იშლი,
მართლაც, აქ სხვები ივლიან მალე...
სხვები ივლიან, სხვები დალევენ,
შენს ნაცვლად, ყოფის ყვითელ სამსალას...
შენ არ აღელდე, შენ არ აღელდე,
ვინც მოვა, ისიც სულ მალე წავა...

ცხოვრება

ცხოვრება ღია ბრძოლის ველია,
მეც შუა ომში გავჩნდი და ვიბრძვი...
არ მიკვირს, ეს ხომ ღმერთის ხელია,
და როცა მიჭირს, ის ამ ხელს მიწვდის...
ცხოვრება, მართლაც, გაწაფულია,
ბრძოლებში, როგორც მხედართმთავარი...
და თუკი ჩემი სისხლი სწყურია,
ალბათ, ომშია გამოსავალი...
და ვიბრძვი, ვიბრძვი დაბადებიდან,
როგორც შიშველი გლადიატორი,
და ვკვდები, როგორც ხშირად კვდებიან,
ერთად რაში და მისი პატრონი...
და ვიცი, როგორც გლადიატორებს
მეც არ მახსენებს, მერე, არავინ...

ბედის ცხენებმა ისე დამტორეს,
როგორც მოსისხლე მტრების კარავი...
ვდგავარ, მესროლეთ, კიდევ მესროლეთ!
არცერთი ტყვია არ ამაცდინოთ!
მე ცხოვრებაში ბევრჯერ შევცოდე,
და გადარჩენას აღარა ვცდილობ!!!

რა მაწერია, ვინ იცის, შუბლზე...

ვუმზერ, საოცრად ახლოდან ვუმზერ,
თანდათან გული როგორ ცივდება,
რა მაწერია, ვინ იცის, შუბლზე,
რომელ გრადუსზე გაიყინება...
ჯერ ისევ ბრწყინავს ჩემი აბჯარი,
ჩემს მახვილს დღესაც მახვილი ჰქვია,
და გაჩენილი სულში ხანძარი,
ცხელია, როგორც დახლილი ტყვია...
მართლაც, რა არის, ნეტა, ეს გრძნობა,
სულ დანის პირზე რომ დამატარებს,
ვგრძნობ, როგორ კვდება ჩემი განწყობა,
როცა ეშმაკი ჩემზე ხარხარებს...
დავიბადე და რას აღარ მთხოვდა,
საწუთრო თავის მყარი მორალით,
მე ვიზრდებოდი, ის კი მახრჩობდა,
რადგან აღმზრდელად ჰყავდა ყორანი...
და თუ, ძვირფასო, ბავშვობიდანვე
მე მოფერებას გადავეჩვიე,
მე, დღესაც, აბა, ვინ რას მკითხავდნენ,
ამ ცას შენ ერთი რატომ მერჩიე...
მე ცოცხალი ვარ, მე ცოცხალი ვარ,
ჩემს თვალწინ თვითონ სამყარო კვდება,
და ვხედავ მიწის ლურჯი ტანიდან,
როგორ ამოდის სული და ქრება!!!

ნატვრა

საოცარია, იცი, ნატვრებიც
კი არ შემომრჩა აღარაფერზე,
ცისკენ აწვდილი დგას მონასტრები,
გავფრინდებოდი, მართლაც, მთვარეზე...
დრო სასტიკია და მეც დამცინის,
რომ ვერაფერი ვერ მოვასწარი,
და მგონი უკვე არაფრად მიღირს,
ეს ჩემი ტვირთი უზარმაზარი...
რომც ვიწუწუნო, დროსთან წუწუნი,
როგორც სხვებს, ალბათ, არც მე გამივა,
დროა, დრო, თვითონ, ფლიდი, უგნური,
მე ორი ბოთლიც თავს გადამივა!!!

იქნებ გგონია

მეც ამ დღეებმა გადამიყოლეს,
ისინი ხდება თანდათან მკაცრი...
ისე, მაწუხებს შენი სიშორე,
ვით მოურჩენელ ჭრილობის ძაფი...

და ვცხოვრობ ასე, როგორც წიგნიდან,
ამოგლეჯილი შუა ნაწილი...
პოკერში ხელი არ წამივიდა,
მათხოვარივით დამრჩა გაწვდილი...
ან კაცმა რომ თქვას, რას მოველოდი,
რისთვის ვუნდივარ ამ ბედს, საჯიჯგნად?
როგორ მშველოდი, როგორ მშველოდი,
შენ კი წამშალე შენი დაფიდან...
თუმცა, ვინ იცის, ვისი ბრალია,
ან ამ დროებას რით ვუმკურნალო...
კვლავ გაცოცხლდება ხვალ ტირანია,
თუ მორჩა, გაქრა, ჩუმად, უკვალოდ...
იქნებ, გგონია, რომ თავს ვშველოდი,
როცა ურჩხული ურჩხულს ბადებდა...
ან ამ ომების ცქერით ვტკბებოდი,
თუ ტოტალურად არ მიმართლებდა...
რაა სიმშვიდე, თუკი გარშემო,
ჰო, თუკი ვინმეს თვალზე ცრემლი აქვს...
შენ არ იფიქრო, რომ მე ვარსებობ,
ეს მხოლოდ ყალბი მირაჟებია...

პასუხი

ზედაპირულად ვაზროვნებ, თურმე,
და ვცხოვრობ, ალბათ, ზედაპირულად...
იქნებ სხვის სულში ხელებსაც ვურევ,
ან ვექლესები მათ ორპირულად!
მართლაცდა, რას არ დაგაბრალებენ,
რადგანაც ენას ძვალი არა აქვს,
თითქოს ჭინკები სარკმელს აღებენ,
და გიტეხავენ დავიდარაბას!!!

ალბათ ჯობს

დაცხრა ვნებანი, როგორც ლავა ვულკანის ფსკერზე,
და ოკეანემ თითქოს შვებით ამოისუნთქა,
დაცხრა ვნებანი, თუმცა, გვიან გავიგებთ შედეგს,
რადგანაც ბედიც ასეთია ზღვრამდე მისულთა...
მსაყვედურობენ, თითქოს ველი ისევ მესიას,
რომელსაც სურს, რომ ერთი პური ასად მიქციოს...
დაბნეული ვარ, თუმცა, მოცდა უმჯობესია,
მართლაც, ალბათ, ჯობს, ერთი კარგად გამოვიძინო!

უმანკოება ეკიდა ტოტზე (ნინოს, მესხორაძეს)

მას ეპობოდა ღიმილით ბაგე,
როდესაც ჩემს წინ შველივით თრთოდა...
მეც ვნებდებოდი, ჩემი სიშმაგე,
მის თვალებს სადღაც ცაში მიჰქონდა...
მეუბნებოდა, რომ ის სუსტია,
და ეშინია, ვით ყველა ქალებს,
რომ სიყვარული არ შეუძლია,
რომ მოვკვდებიო თუ შეგიყვარებ...
ლამაზი იყო, როგორც ზღვის ტალღა
და ცისარტყელას ფერები ცაზე,

ასეთნი მხოლოდ ჩნდებიან ზღაპრად,
და ფიფქებივით დნებიან მკლავზე...
რა მკრეხელი ვარ, რა მკრეხელი ვარ,
ნეტა, იმქვეყნად ვინ სწონის ცოდვებს...
მე, ალბათ, ცოდვის საწნახელი ვარ,
მე აღარავინ არ შემიცოდებს...
თუმცა, ვინ იცის, შენ თუ არ მოწყვეტ,
ყვავილის ფოთლებს რა ბედი ელის...
უმანკოება ეკიდა ტოტზე
და მე შემთხვევით შევახე ხელი...

ნიჭი

სისულელეა, არ მიმართო
არავის ქვეყნად,
რომ აღიარონ შენი ნიჭი,
შენი ღირსება,
ეს შენ არასდროს სიცოცხლეში
არ გეღირსება,
რაც შენ გეკუთვნის ის ყოველთვის
სხვისი იქნება.
დიახ, ვგულისხმობ, თუ ნიჭი გაქვს,
თუ ტალანტი ხარ,
თუ გძარცვავს ყველა ვინც სახელს და
დიდებას ელტვის,
ის ვინც იპარავს მწიფე ნაყოფს
შენი ბაღიდან,
და არაფერი ემეტება
თავისი შენთვის!
სჯობს დაელოდო, მართლაც,
სიკვდილს, ის გაღიარებს,
ვერ გაექცევი, სიკვდილშია
მხოლოდ შენი ხსნა,
ალბათ, ოდესმე აღმოგაჩენს
მემატიანე,
დღეს კი, ვერაფრით თავს ვერ იხსნი
ინტრიგებისგან!

რა დამრჩა

რა დამრჩა, რაღაც ორიოდ წუთი,
სულ მალე, ალბათ, ისინიც გავა...
რად ვეჯახები ყოველთვის შუბლით,
ცხოვრებას, ჩემს წინ ტაატით მავალს...
მოვდივარ, გზა–გზა შენს ეჭვებს ვფანტავ,
ვავსებ ფიალას სისხლის წვეთებით...
და ვხვდები, თუ რა ძნელია გათვლა,
თუ გაკრული ხარ მიწას ბეჭებით...
იმ ვარსკვლავს, ჩვენ რომ ცაში ვეძებდით,
ვეღარ მიაგნებ, გამქრალა ციდან...
ზღვაში გასულან ყველა გემები,
ერთ დროს ნაპირთან ჩვენ რომ გვიცდიდა...
თურმე არსებობს ბედის ხომალდი,
ციური შუქით გაბრწყინებული...
სადაც სიცოცხლე ჩქეფს მეორადი,

სუფთა, ნათელი და დიდებული...
თუმცა, მე და შენ იქ ვერ მოვხვდებით,
და იმედები უნდა ჩავიკლათ...
მე დაგიმალე ცოტა კოცნები,
ჰოდა, გაგიყოფ, მოდი, არ გინდა?

თავი აიღე

შენ შემრჩი ბოლოს, შენ შემრჩი ერთი,
თუმცა არ ვნანობ, თუ ესა ასეა,
მდინარესავით შემომიერთდი,
ჩვენ, ერთად, კვლავ ბევრ ზღვას გადავსერავთ...
სიცოცხლე, მართლაც, საოცრებაა,
თუკი არ ტირი და გიხარია...
ეს ყოველივე ღმერთის ნებაა,
ხან ზღაპარია, ხან სიზმარია...
თავი აიღე, თავი აიღე,
შენს ნათელ თვალებს მინდა ჩავხედო...
ღმერთის მოცემულს ღმერთი წაიღებს,
შენ კი, დღეს, მხოლოდ ჩემთვის არსებობ...
ჰოდა, წამოდი, მინდვრებს გაჩვენებ,
სადაც ჭრელ–ჭრულა ბალახებია...
იქ, ჩვენისთანა წმინდა არსებებს,
ულამაზესი ჰანგით ხვდებიან...
წამოდი, სადაც ბროლის ჩანჩქერებს,
ალამაზებენ მთები თეთრები,
სადაც ცოდვილნი ვერ მიაღწევენ,
სადაც მე და შენ ღმერთებს შევხვდებით!!!

ვიცი, სიყვარული (ქ.ბ.–ს)

ვიცი, სიყვარული გინდა,
ალბათ, ელოდები კიდეც...
როგორც საჩუქარი ციდან,
თანაც ისეთი რომ ღირდეს...
დგება, იცი, მართლაც, დგება,
ზოგჯერ უმაღლესი წამი...
როცა ბოროტება კვდება,
როცა ვეღარა ჭრის შხამი...
მოვა გაზაფხული შენთან,
მოვა, გადაგიშლის მკლავებს...
რათა გაგიჟება ერქვას,
წამებს, სიყვარულს რომ ჰკლავენ!!!

როგორ გავუძლო

მე არ მიცდია ჯერ არაფერი,
მე ლექსის წერაც კი არ მიცდია...
უბრალოდ, მქონდა რაღაც სათქმელი,
ეს იყო რაც კი ამომითქვია...
ეს ასე ითქმის, ის ისე ითქმის,
რა არ მსმენია ამ მოკლე გზაზე...
ვიცოდი ფასი უამრავ სიტყვის,
და მეც ამ სიტყვებს ვურჩევდი ფრაზებს...
და, რა თქმა უნდა, ჩემი ნათქვამის,

არცერთი გრამი არა მჯეროდა...
ჰო, არა მწამდა ერთი მარცვალიც,
ვწერდი, რადგანაც მეწერებოდა...
საშინელია მუზას თუ კარგავ,
თუ თვითონ გკარგავს ამას ვერ მივხვდი...
არ შეედრება მას არა ჯვარცმა...
და წერ უსულოდ, მხოლოდ წერისთვის...
როგორ ვცდებოდი, როგორ ვცდებოდი...
როგორ გავუძლო ამ ანათემას...
მე ხომ მას ისე ვერიდებოდი,
ვით ბრძოლის ველზე ტყვიით წაქცევას...
რაა სიმდიდრე, თუნდ მილიარდიც,
თუ ღალატობენ პოეტს მუზები,
როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი,
ვერ ვხვდები, წახველ თუ მებუტები?

თუ დრომ დამწვა

თუ დრომ დამწვა და არ დადგა,
ჯერ არაფრით ჩემი ჯერი...
ნუ გექნება იმის განცდა,
რომ დამთავრდა ყველაფერი...
მერე რა, თუ მწვერვალიდან,
წამოვედი, როგორც ზვავი...
არც შენ იყავ შენი მხრიდან,
უცოდველი ჯიშის კრავი...
მერე, რა, თუ რაც გზად დამხვდა,
ანდა, ვინმემ დამახვედრა...
არაფერში მე არ მგავდა,
და ქარებმა გადახვეტა...
რა გგონია, რისთვის ვიბრძვი,
შენი ცხელი ლოყა მინდა?
ეგებ ეგეც და მიფრთხილდი,
შურს ვგრძნობ შენი თვალებიდან...
რას გაუძლებ, რას გაუძლებ,
ჩემო კარგო, შენ ჩემს ზვავებს...
ლაშქრითაც რომ გადაუდგე,
მოუძღოდე თუნდაც სვავებს...
ქარი ღრუბლებს გაჰყოლია,
ქარიც, მგონი, ჩემგან გარბის...
დაბადებით დამყოლია,
ბრძოლის ჟინი ვეფხვთა დამღის...
შენ კი, შენი სიმაღლიდან,
მიყურებ და, ალბათ, გიკვირს...
მე მოვდივარ სინათლიდან,
ზვავი ვარ და გადაგივლი!!!

მშოლტავდა ჟამი

სულ რაღაც ჟინით მშოლტავდა ჟამი,
დღემდე არაფრით რომ არ მეშვება...
წინაპართაგან ვის ჰქონდა ვალი,
ამხელა ცოდვა ვის ჰქონდა, ნეტა?!
თითქოს ჩამიტყდა ზღვაში ყინული...
და ფსკერზე გდია ჩემი ცხედარი...

ნაღალატევი და გაყიდული,
ტანდაფოთლილი მარჯნის ზეწარით...
აზრი არა აქვს, სად ხარ და ვინ ხარ,
როცა არავის არა სჭირდები...
შენი სახელიც გამოირიცხა,
სამარადისოდ ფსკერზე იქნები...
რით ვერ გაიგე ამ ტრაგი–ფარსის,
კომედიური ეპიზოდები...
ფრთები დააჭრეს ყველა იმ არწივს,
ამდენი ხანი რომ ელოდები!
ნუ გავიწყდება, ნუ გავიწყდება,
რომელ ეპოქის ხარ ნაშიერი,
რომ ზღვაზე ხიდი თუ ჩაგიტყდება,
ვერას გიშველის შენი იერი...

სევდაც და ღიმილიც

დღეს, ალბათ, სიხარულს ნაკლებად სწყალობენ,
და სევდა, რატომღაც, ღიმილზე მეტია...
არ დავდევ, არ დავდევ, მე რაღაც კანონებს,
სევდაც და ღიმილიც მე ბევრჯერ შემყრია...
კი, ზოგჯერ სევდაშიც, სევდაშიც სიტკბოა,
მაგრამ მე, ძვირფასო, სიხარულს ვარჩევდი...
შენ ჩემი ძველი და შუშხუნა ღვინო ხარ,
რომელსაც თანდათან და ფრთხილად მაჩვევდი...

ამ მაისებს იმ მაისებს

დრო გავა და როცა გემი
მოსცილდება მშვიდად ნაპირს,
ღამეები კვდება ჩვენი,
ხელმეორედ შეხვედრამდის...
თუმცა სული ვერ მშვიდდება,
სულს სადა აქვს ამის ძალა,
სული ისე იფიტება,
როგორც მზეზე ზღვის ნიჟარა...
და ხმაურობს კვლავ უშენოდ,
ჩემი სევდის სანაპირო,
როგორ მინდა თავს ვუშველო,
ამ ზღვის ნაპირს გავაცილო...
აქ არიან, აქ არიან,
ყველა ჩემი წინაპრები,
მიწა ბრტყელი, ცა მრგვალია,
ცაში ვარსკვლავს მივაჩერდი...
და მგონია შენცა ხედავ,
შენცა ხედავ დღეს ამ ვარსკვლავს...
ბედი ბედს თუ ენაცვლება,
ძველ თილისმას ალბათ კარგავ...
შენც ხომ ჩემი თილისმა ხარ,
ჩემთვის ზეცით მოვლენილი...
და დამაწვიმს ეჭვის თავსხმა,
შენი მხრიდან მოდენილი...
ამ მაისებს, იმ მაისებს,
ქარში თმები გაუშლია,
შენ ჩემს გულში იმაისებ,

სანამ ღვარცოფს წაუშლია...

რა ლამაზად ყვავილობ!

რა ლამაზად ყვავილობ,
ნეტა, რაა მიზეზი?
ჩემგან ცად აყვანილო,
წყაროვ სიფაქიზეთი...
შენს ოცნებებს ვსტუმრობდი,
სად ბევრი რამ ვიცანი...
და შევარქვი ხუმრობით,
ბაღნი სამოთხისანი...
ახლა შენც შეგიძლია,
ჩემ სანახებს ესტუმრო,
ჩემს ბრძოლის ველს სისხლიანს,
ცვარ–ნამივით ეპკურო...
თორემ სევდას მოუცავს,
ყველგან ხსოვნის ტაძრები,
მზეს ვარსკვლავი მოუკლავს
სიყვარულის ხანძრებით...
და მეც ვამჩნევ, ბოლო დროს,
რომ ვარსკვლავის ბედი მაქვს,
რომ ტყუილად ვბობოქრობ,
რომ ვერავინ შემნიშნავს...
მე კი მინდა ვნებანი
ისევ დავაფრთიანო...
შენი ამოკვნესანი
ჩუმად გავახმიანო...

ლამაზი იყო წუთისოფელი

ვერსად წაუხვალ ამ მძიმე ჭაობს,
გითრევს, გიზიდავს, თავის ფსკერისკენ...
ტყუილად დაობ, ტყუილად დაობ,
რომ თითქოს კიდევ აღმოხდების მზე...
რომ რაინდები თეთრ ტაიჭებზე,
ამხედრდებიან შენს დასაცავად...
რომ ყველა ტკივილს დაგავიწყებენ,
ამ უზნეობის გადასატანად...
შენი ხმა სადღაც ხორხთან ჩერდება,
არავის ესმის შენი ბგერები...
თითქოს წაგართვეს ბედნიერება,
ფუჭი აღმოჩნდა ტრფობის შედეგი...
ლამაზი იყო წუთისოფელი,
ლამაზი იყო ისე უღმერთოდ...
როგორც ირემი კლდეს მოწყვეტილი,
როგორც მზიანი ცა უღრუბლებო...
არაფერია, არაფერია,
არაფერია არც ცის გადაღმა...
ჩვენი სიცოცხლე ეს ფანტელია,
ანდა, უბრალოდ, ღმერთის ქარაგმა...

თავისუფლება

მძულს გალიები და მითუმეტეს,

თუ შიგ მხეცები ჰყავთ დამწყვდეული...
შენ, ხომ ვერ მეტყვი რამეს უკეთესს,
არა გაქვს, რამე, მზამზარეული?
მე, იცი, მგონი, ვეღარც ვიცინი,
და, მგონი, ვეღარც ცაში დავფრინავ...
ხან ძვლებს გაუდის ლიწინ–ლიწინი,
ხან ცარიელი ნერვის ძაფი ვარ...
იმასაც გეტყვი, ასე მგონია,
წინ კი არა და უკან ვბრუნდები...
იქ სადაც ყველა თანასწორია,
სადაც კანონებს ჰქმნიან ჯუნგლები...
იქ სადაც ყველა არის შიშველი
და არ სჭირდებათ შესამოსელი...
სადაც ლამაზი და მიმზიდველი,
არის სულ ყველა, ყველა სოფელი...
ხომ არ წამოხვალ, ჯერ წინ ღამეა,
ღამე კი ათას რამეს გვპირდება...
ღამე მუდმივად მგლოვიარეა,
ამიტომ იცის თავდავიწყება...
იცი, რა არის თავისუფლება?
რომ დაგწვავენ და ფერფლს მოფანტავენ...
როგორ უხდება, როგორ უხდება,
ეგ შენი შიში ამ წყეულ ღამეს...

მზერა

ნეტა, ვის უმზერ ასე უთქმელი,
და ამდენ რამის მთქმელი თვალებით,
დარჩები ჩემთვის შენ შეუცვლელი,
მაგ შენეული გამჭვირვალებით...
და მეყვარები, როგორც მიყვარდი,
როგორც პოეტებს უყვართ ქალები...
მდინარესავით სავსე პირამდი,
მორევის ჟინით და მღელვარებით...
მე სული ჩემი შენთან დავტოვე,
იქნებ არც იცი, იქნებ ვერც ხვდები...
და მის სანაცვლოდ მჭამს სიმარტოვე,
როგორც საკანის ცივი კედლები...
კი, ცვალებადი არის სამყარო,
დღეს ყოველივე სწრაფად იცვლება...
და შენზე წერაც რომ ამიკრძალო,
ალბათ, აღარც ეს გამიკვირდება...
ასე მგონია მამელუკი ვარ,
სულ სხვა ტომის და სულ სხვა ბუნების...
და ამომიღე შენი გულიდან,
ისე, რომ სიტყვას არ მეუბნები...
არა, ცინიზმი არ არის ლექსი,
თუმც, პოეზია იქცა ცინიზმად...
მე მომაკლდება შენი ალერსი,
რომ გავიარო დარჩენილი გზა...

მე ვთამაშობდი

აღარაფერი დამრჩა ბავშვობის,
ერთი უბრალო შანდალის გარდა...

ვცოცხლობდი? არა, მე ვთამაშობდი,
მე ხომ სიცოცხლე, მართლაც, მიყვარდა...
თითქოს ვიპოვე, რასაც ვეძებდი,
თითქოს დავიპყარ ჩემი მწვერვალი...
მივაგენ რასაც კი ვაღმერთებდი,
მეხმარებოდნენ, ნაღდად, ზეცანი...
ანგელოზები? ალბათ, არიან,
მეც ბევრი შემხვდა, სევდიან გზაზე...
დღეს კი ჩემს კართან ისევ ქარია,
და მიბრახუნებს თუ გავაბრაზე...
მართლაც, რა არის ერთი შანდალი,
მთელ ბავშვობაზე ღვთისგან გაცვლილი...
ვერ დავამარცხე ლევიათანი,
ბედმა მიმაგდო ძველი ყანწივით...
და ვისმენ ქარი როგორ ჩურჩულებს,
ცას ჩემზე ჭორებს როგორ უყვება...
ბავშვობა გაჰყვა იმ საუკუნეს,
ეს კი, მოვიდა და იმუქრება...
და როგორც გემმა ჩაუშვას ღუზა,
იწყება დროის ათვლა თავიდან,
იცი, დავმარხე მე ჩემი მუზა...
რადგან, ის წუხელ სხვასთან წავიდა...

შენ ახლა ჩემი სიშორით ტკბები

იცი, არ მიყვარს გამოცანები,
არ მიყვარს როცა რაღაც მთავრდება...
და თუ მიყვარდი, რას ვაშავებდი,
მე ხომ არ მიყვარს გადაყვარება...
შენ ახლა ჩემი სიშორით ტკბები,
მე ასე ვფიქრობ, ახლა, რატომღაც...
მე ბავშვობაში დამაჭრეს ფრთები,
შენ კი ის ფრთები, იქნებ, არც გქონდა...
ან რატომ ვიკლავთ სურვილებს, ნეტა,
ან სულ სხვის როლებს რატომ ვთამაშობთ...
მეც კარს ჩავკეტავ, მეც კარს ჩავკეტავ,
და ვეღარ მნახავ შენც ვეღარასდროს...
და მერე ვისაც გინდა უყვარდე,
გიკრიფოს ყველა ფერის ვარდები...
ჯანდაბას, თუკი მას გაუმართლებს,
როგორ გგონია, აგიჯანყდები?

ვერ შევიფერე

ჩემიც მეყოფა, ნუ დამიმატებ,
ნუ მომაჩეჩებ შენს ნაღველს ხელში...
ნუ მეტყვი, ვიცი, რომ არ გიმართლებს,
ან ვის უმართლებს ამ საგიჟეთში...
მე ეს დრო, იცი, ვერ მომერია,
და ვერც მე, ვერც მე ვერ მოვერიე...
ცხოვრება დღესაც ნაცრისფერია,
მაყურებინებს თავის სერიებს...
ასე მგონია, სადღაც მთებში ვარ,
და ამ მკაცრ დღეებს ეს მაძლებინებს...
რომ, თითქოს, ირმის ჯოგის მწყემსი ვარ,

მათ ვეძებ კლდეზე გადაჩეხილებს...
და ვუმზერ ქედებს როგორ ედება,
როგორ ედება, ცეცხლი, ხანძრები...
და იწვის ჩემი შემოქმედება,
როგორც მწვერვალზე მდგარი ტაძრები...
იქნებ ამიხსნა, რა სიგიჟეა,
ამ დროში, მართლაც, ლექსების წერა...
ეს იგივეა, ეს იგივეა,
გამოქვაბულში დავარდე ბერად...
მე კი, ვინ იცის, შენი ჩემს მიმართ,
სიმპატიები ვერ შევიფერე...
ახლა უფსკრულის ნაპრალთან ვზივარ,
და არწივები ეჭვით მიმზერენ...

სივრცე

რაღაც ისეთი სისავსე ვიგრძენ,
როგორც მზემ, როცა ყველაფერს ბუგავს...
მომწყვდეული მყავს კუთხეში სივრცე
და მთელი ძალით სიფათში ვურტყამ...
სისულელეა სივრცესთან ომი,
არადა, ყველა ამასა ცდილობს...
არ არის ჩემთან ის თანამდგომი,
ის მუდამ მიპყრობს, ის მუდამ მიპყრობს...
ის მუდამ ისე მიზღუდავს არეს,
რომ მე, უბრალოდ, ვერ შევძლო სუნთქვა...
მე ის არასდროს არ შემიყვარებს,
და მეც სათქმელი მუშტებით ვუთხარ!
ახლა წავიდეს, გაუნაწილოს,
ვისაც რამდენი სურდეს იმდენი...
მე დავიბადე და ჩემსას ვცდილობ,
ამ სივრცის გამო კი ვიჭყლიტები...

მოუკაკუნე

მოუკაკუნე, სულ ერთხელ, ჩუმად,
ჩემს სულს, სულ ერთხელ მოუკაკუნე...
სადაც ქედები და მთანი სდუმან,
და მყინვარწვერი ციდან დაჰყურებთ...
ის არ დაკარგავს თავის ღირსებას,
მას ვერ შებღალავს ჟამთა დინება,
ის მუდამ ასე თეთრი იქნება,
რადგან ვარსკვლავებს ეპოტინება...
და თუ შემოხვალ ჩემს აჭრილ სულში,
დანების პირზე თუკი გატარე,
შენ იქ ვერავის ვერ ნახავ უღირსს,
მე სულს არავინ არ გავაკარე...
და როგორც უნდა ბრუნავდეს მიწა,
რა სისწრაფითაც უნდა იაროს,
თავისუფლება თუკი ეღირსა,
სულს შეუძლია შენს სულს მიაგნოს...
მაგრამ არ ვიცი, როგორ ვეძებო,
დღეს თუკი შენიც ჩაკეტილია...
და მეც დავძრწივარ კვლავ უშედეგოდ,
როგორც ჰამლეტი თუ კაბირია...

მოუკაკუნე, მოუკაკუნე,
და მეც გაჩვენებ ჩემს ლაბირინთებს...
სადაც მოცარტი სოლოს ასრულებს,
და სალიერი დუელში მიწვევს...
აქ ვარსკვლავები ისე ანათებს,
შენ უეჭველად გაგიკვირდება...
მოდი და მაშინ გეტყვი დანარჩენს,
მოდი, მე შენი სული მჭირდება!

ამაღამ ჩემთან ქარი დაწვება

მე მიყვარს, თუკი ყურს ვუგდებ ქარებს,
რადგან ვამართლებ მათ გააფთრებას...
რად დამაბრალე, რად დამაბრალე,
თითქოს შენი ხმა არ მენატრება...
ამაღამ ჩემთან ქარი დაწვება,
და, ალბათ, შენზე ჭორებს მომიტანს...
ვიცი, სულ მალე დაგვიზამთრდება,
და შემოდგომას წაშლის ხსოვნიდან...
მე კარში გასულს ქარი მომატანს
და ჩემს გარშემო აწრიალდება,
და შენთან ყოფნა რომ ვერ მოვასწარ,
ვიცი, საშინლად დამენანება...
ახლა საცაა თოვლსაც ჩამოჰყრის,
გაჭირხლულია სარკმლის მინები...
და როგორც თეთრი ჩიტი სამოთხის,
მე ახალ თოვლში ჩავიყინები...

რად დამეკარგე (თამი სურგულაძეს)

სხვა გყვარებია, როგორ მეწყინა,
მე კი მეგონა ჩემზე ფიქრობდი...
მინდოდა თავი გადამერჩინა,
მეგონა, მართლაც, ამომიცნობდი...
მე ჩემს სურვილებს ქარებს გავატან,
ქარებს, რომლებიც მოვლენ შენამდე...
როგორ არა ვთქვა, როგორ არა ვთქვა,
რად დამეკარგე, რად დამეკარგე...
ასე კაცები სატრფოს ეძებენ,
როგორც დილიდან მე შენ გეძებდი...
მზე იცინოდა ჩემს იმედებზე,
მთვარეს ართობდა ჩემი შედეგი...
მე არა ვხუმრობ, მაინც გიპოვი,
დაგეწაფები როგორც წყაროს წყალს,
მართლაც, სიყვარულს თუ გამიყოფდი,
მითხარი, სად ხარ და მე წამოვალ!

იყავ ლამაზი (ბ.ა. - ს)

იყავ ლამაზი, იყავ ლამაზი,
შენ სილამაზით თავსაც გაიტან...
ლოყებს გაჰქონდეს მუდამ ღაჟღაჟი,
თავი მოგქონდეს ედელვაისად...
მე კი არ ვიცი, როგორ შემხვდები,
ან დამიჯერებ რამეს, თუ არა...

ბევრი რამ ხდება ქვეყნად შემთხვევით,
ბევრია ბლეფიც და მატყუარაც...
იქნებ, არც იცი, როგორ ასხივებ,
შურით გიცქერენ, ალბათ, ქალები...
მეც, როგორც იქნა, აღმოგაჩინე,
ვით უდაბნოში ღვთის ნაკვალევი...
ნუ მიმაკარგავ, როგორც ძველ ჩანთას,
როგორც ღვინის ბოთლს, ღამით გამოცლილს...
დაგიცდი, თუნდაც, სამარის კართან,
თუმც, ვიცი, მომკლავ შენი არ მოსვლით...

მე მუდამ ომში მიწევდა ყოფნა

ის არ ჩანს, არ ჩანს, ვინც შენ გინდოდა,
ვინც გიყუჩებდა ორმხრივ ტკივილებს...
ვინც გავიწყებდა უამინდობას,
სულ ყველამ, ყველამ გაიგვირილეს...
ასე მგონია გზაგასაყართან,
ვდგავარ და, მგონი, შეცდომას ვუშვებ...
რატომ გადატყდა, რატომ გადატყდა,
ხე, მე რომ დავრგე და შენ გაჩუქე...
მე ვუცდი როდის ჩადგება ქარი,
და მე არ მინდა ვინმემ დამცინოს...
რომ მე შენს გამო ვიყავი მკვდარი,
რომ გაცოცხლებას დღემდე არ ვცდილობ...
არ მინდა სიტკბო, შენგან რომ მოდის,
და აღარც შხამი, შენ რომ მასმევდი...
მე ვერასოდეს გავალ ბოლომდის,
თუმც დამრჩა რაღაც მეათასედი...
მე მუდამ ომში მიწევდა ყოფნა,
კატორღა იყო ცხოვრება ჩემი,
როცა არავის გრძნობა არ ჰქონდა,
როცა გაუშრა სულ ყველას ცრემლი...
ნუ გეგონება რამეს ვაჭარბებ,
ჰო, ნადირობდნენ ჩემზე ვეფხვები...
მე გადავურჩი ამ სიყაჩაღეს,
და მართლაც, მიკვირს, შენ რომ ვერ ხვდები...

თითქოს გიცნობდი (მადონა თევზაძეს)

ზოგჯერ არც ვიცით, ზოგჯერ ვერც ვხვდებით,
რომ ერთნაირად ვაზროვნებთ თურმე,
თითქოს გვერდიგვერდ გვედგა მერხები,
და ერთმანეთის წიგნებიც ვფურცლეთ...
მართლაც, ვინ იცის, საიდან მოდის,
ეს შეგრძნებანი ასე ძვირფასი...
თითქოს, გიცნობდი, თითქოს გიცნობდი,
თითქოს, ვიყავით, მართლაც, ერთ კლასში...
და, ახლა, ქვეყნად, რაც უნდა მოხდეს,
არ გაიშალოს ვარდი ბაღებში...
შენ მე სიკეთის ცეცხლი გადმომდე,
და მეც ვიწვები, ალბათ, ამ ცეცხლში...

ვერ შემაჩვიეს

შენ აღარასდროს გახდები ჩემი,
და სინამდვილე მინდა შევცვალო...
შენ ვერ მიშველი, შენ ვერ მიშველი,
რომ ამ დღეებმა თუნდაც შემშალოს...
ან რატომ ხდება, რომ მე შენს ნაცვლად,
სხვებთან ვდგავარ და ვეფლირტავები...
რომ საუკუნე მე უკვე გამცდა,
რომ სხვა, მთლად უცხო გზებზე გავედი...
ვერ შემაჩვიეს, ვერ შემაჩვიეს,
შენს უღვთო რისხვას შენმა თვალებმა...
თუმცა, მუზებმა ზურგი მაქციეს,
მიმიღეს ზღვებმა და გრიგალებმა...
იცი, ეგ თმები ისე გიხდება,
როგორც ძველ სახლებს თავის რიკული...
ზამთარი მოდის, მიწა ფითრდება,
მე კი ხელთ მრჩება შენი ფიტული...

ეს შენ გინდოდა

ეს შენ გინდოდა, შენ აირჩიე,
გზა ეკლიანი, გზა ღრსებისა...
ამიტომ წყენას გადაეჩვიე,
და ბევრს ნუ ითხოვ შენი მტრებისგან!
ყველანი ერთად, ყველანი ერთად,
ღვთის შვილები ვართ, შენც კარგად უწყი...
და ყველას ერთად გვაჩუქა ღმერთმა,
მშვიდი დილაც და საღამოს მწუხრიც...
ჰოდა, ნუ ეძებ, ვარდის ფურცლებით
და ყავავილებით მორთულ ხალიჩას...
სადაც დაძრწიან მათი სულები
ვინც შენი მიწა შენ აგახლიჩა...
შენი სისხლია, შენი სისხლია,
მარადიული შენი მოვალე...
რომელიც დღემდე ვერ შეგიცვნია,
და რომ გგონია შენთან სცოდავენ!
შენც როგორც ბევრმა, შენც როგორც ბევრმა,
უნდა იხადო სხვათა ვალებიც...
რომ დაინანოს მოსისხლე მტერმაც,
თარიღი შენი გარდაცვალების...

შენ მომეც ძალა

შენ მომეც ძალა, შენ მომეც ძალა,
უარვყო ყველა ბილწი ცდუნება...
მაჭამე შხამი და ბალამწარა,
და უარესიც თუ გეგულება...
ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია,
რომ დავიბრმავე ასე თვალები...
მშვენიერება რომ დიადია,
რომ ლამაზია თვით საფლავები...
ორ ძალას შორის, ორ ძალას შორის,
რომელს აირჩევ ნება შენია...
ასპარეზია სამყარო ბრძოლის,
გულებიც ბრძოლის ასპარეზია...
და იბრძვის, იბრძვის მთელი სამყარო,

რომ გამოკვებოს კუჭი მშიერი...
არ მინდა სული კუჭს ვანაცვალო,
არწივისა და ვეფხვის იერით...
მაგრამ შენც იცი, ძალა აღმართს ხნავს,
და მე არ ვიცი რა მიწერია...
მოგება არის ზეცის ქარვასლა,
წაგება ბევრად მიწიერია...

მე რომ გრაალი ამეღო

ზოგი ნიბლიას მისტირის,
ზოგი წიწკანა ჩიტებს...
მე კი ყოველთვის პირიქით,
საქმეს ვეფხვებთან ვიჭერ...
ესაა ჩემი სამყარო,
ეს უდაბნოა ჩემი...
ჰო, ჩემი მულღაზანზარო,
ჩემი ქვიტკირის ბჭენი...
ისე ვაგებ და ვაშენებ,
განა ვის შესწევს ძალა...
ვერავინ ვერ შემაჩერებს,
სანამ მწვერვალზე ავალ!
ვრცელია ჩემი სამეფო,
ვით გალაქტიკა მთელი,
მე რომ გრაალი ამეღო,
სიკვდილს წავართვი ცელი...
მტერიც მიყვარს და მოყვარეც,
ვიცი იუდას ფასიც...
თუ ათასობით მოწამე
დღემდე ფართხალებს მტკვარში...
არ მიყვარს სხეულს თუ ხავსი
ეკიდება და კვდება...
მომიხსენიებს ლოცვაში
იმ ქვეყანაშიც დედა...

დამთავრდა

დამთავრდა, კარი გავიჯახუნე,
ზამთარიც მოდის ყინვის ფეხებით...
დამთავრდა, ალბათ, არც გინახულებ,
ნუღარ შევხვდებით, ნუღარ შევხვდებით...
მე არც ის ვიცი, რა ჰქვია ამას,
რაღაც კანონი მიზიდულობის...
მე ჩემი გზა მაქვს, მე ჩემი გზა მაქვს,
გზა უგულობის და უფულობის...
გაშიშვლებულან, გაშიშვლებულან,
ჩემი სულივით, ჩვენს წინ ხეები,
მე თავი მომაქვს კვლავ წამებულად...
და გულის გარეთ ვერ ვიხედები...
იცი, ის გზებიც, რაც გავიარე,
მითხარი, რატომ უნდა გამევლო?
ან ეს სიკვდილიც რას აგვიანებს,
ან ბოროტება რატომ მბრძანებლობს...
ასე მგონია, სამრეკლოებზე
განრისხებული რეკავს ზარები...

დღეს ჩემი სული ღრმაა მორევზე,
და, გთხოვ, ახლოს ნუ გაეკარები!

მადლობა

ვკვდებოდი, მაგრამ ბედმა სასწრაფოდ,
მე სული შენი შემომაშველა...
როგორ ამავსო, როგორ ამავსო,
არის ჩვენს შორის რაღაც მსგავსება...
არის ჩვენს შორის ძაფი გაბმული
და ზედ იმედის მძივი ჰკიდია...
მე აფთარივით მკბენდა წარსული,
ჩემს ნაკოწიწებს დღემდე ჰყიდიან...
მაგრამ ჯანდაბას, ეჭვის ზარები,
რატომ შემოვკრა უმისამართო,
მე შენს მონაქსოვ ქსელში გავები,
და მინდა ჩემი სისხლით გაგათბო...
და შენ რომ არა, მართლაც, ვინ იცის,
ვემსხვერპლებოდი რომელ ასპიტებს...
ჩემგან მადლობა თავგანწირვისთვის,
თუ რამ ნერვები შემომაწყვიტე...
კიდევ, მადლობა, სილამაზისთვის,
შენ რომ ღმერთებმა დაგასაჩუქრეს...
ეგ სილამაზე მე გზას გამიხსნის,
რომ ზეციური ნება აღსრულდეს!!!

იის გულში აღმოგაჩენ

დავდიოდი დანის პირზე,
ნაკვერჩხლებზეც მივლია...
ბევრჯერ ისე გავისრისე,
კანიც გამომიცვლია...
მინდვრად შველებს დავეძებდი,
მაღლა ცაში მფრინავ ქორს,
გამოქვაბულს დევთა კლდეში,
ირემი რომ მყვირალობს...
არწივების საბუდრებზე,
წასვლა მიოცნებია...
ვერ იპოვი ვისაც ეძებ,
აქ ასეთი წესია...
ვიცი, ვიცი, თამამი ხარ,
სულაც არ მეკრძალები,
თეთრი იასამანი ხარ,
ხორბლისფერი მკლავები...
გძებნე, გძებნე, ამოვაშრე,
ყველა ტბა და მდინარე...
იის გულში აღმოგაჩენ,
ჩემში დაგაბინადრებ...

ბროწეულს ჰგავდი

შენ არ გეგონოს, რომ ვერა ვგრძნობდე,
თუ სულში როგორ შემომისახლდი...
ჰო, ჩუმად, თითქოს არაფერს მთხოვდე,
არადა, მიპყრობ მთელი სისწრაფით...

თან ვამჩნევ, როგორ გულდაგულ ანგრევ,
ნალოლიავებ ნეტვრის ხუხულებს...
მე გთხოვ, ნუ დამდევ, მე გთხოვ, ნუ დამდევ,
მე ვერ მოგიტან რახათ–ლუხუმებს...
და თუკი, მართლაც, მე ამომირჩევ,
დაემშვიდობე ბედნიერებას...
შენ ვერ გაუძლებ ჩემს ფერად სიზმრებს,
როცა ტკივილი ნაღმზე ფეთქდება.
შენ ვერ გაუძლებ, შენ ვერ გაუძლებ,
ამ ფარსს, მე რომ დღეს ყველგან ვთამაშობ...
რომ ნაგროვები ჩემი საუნჯე,
დაფანტულია უმისამართოდ...
ბროწეულების ტყეში შემომხვდი,
მიმოგებნია ყაყაჩო მკერდზე...
ბროწეულს ჰგავდი, მართლაც, გემოთი,
ბროწეულს მე რომ სიზმრად დავეძებ....

ვისი ბრალია

რად გახვეულხარ, რად გახვეულხარ,
რად გახვეულხარ ამ სევდის ნისლში?
ვაზი ატამზე გადახვეულა,
ატამი, ალბათ, თავს ვერც დაიხსნის...
შენ სად წასულხარ, ნეტა, ფიქრებით,
რომელ კუნძულზე გადგი ფესვები...
თუ ვულკანივით ამოიფრქვევი
ან ჩანჩქერივით მთებს მიემსხვრევი...
იქით არ მიდის, იქით არ მიდის,
იქით არ მიდის ჩემი ხომალდი,
შენ ხომ არ იცი, როგორ განვიცდი,
სიყარულს მუდამ პირველ კოცნამდი...
ვისი ბრალია, თუკი შემშალა,
მთვარემ თავისი სულისკვეთებით...
გუშინ ქუჩაში გადამეყარა,
და ამომახრჩო ლამის ლექსებით...

მე ვარსკვლავები ბღუჯ–ბღუჯად მცვივა

ვხარშავ და ვხარშავ, ყველაფერს ვხარშავ,
მაგრამ ბევრი რამ ვერ გადავხარშე...
იქნებ, რაიმე მეც შემეშალა,
ამ ნაღვერდლებით მოფენილ გზაზე...
როგორ ვუშველო, მე გული მტკივა,
როცა ჩემს ნათქვამს იმეორებენ...
მე ვარსკვლავები ბღუჯ–ბღუჯად მცვივა,
ხოლო, ისინი თავს იღორებენ!

მინდვრის ყვავილო

შენთან მოვედი, მინდვრის ყვავილო,
რომ მარტოობა აგატანინო...
ამ ქარ–წვიმებში ფიქრით დაღლილო,
ნეკისოდენა მინდვრის ყვავილო...
შენი სახლ–კარი მიწა და ცაა,
მიწა გკვებავს და ზეცა გმკურნალობს...

სად იმალები, როცა თავსხმაა,
თუ სანთელივით ქრები უკვალოდ...
მე შენთანა ვარ, ნუ გეშინია,
რომ არსებობა გაგიხანგრძლივო...
ვიქნები შენი ლეკვიც, ფინიაც,
ჩემო დაღლილო, მინდვრის ყვავილო...

ალეგორია

გაიშლებიან, აიმღვრევიან,
დაერევიან ნისლებს ღრუბლები,
სადმე უფსკრულში ჩაიქცევიან
სირბილით ცხრა მთას გაღწეულები...
არ შეჩერდება, არ შეჩერდება,
თუ კი აიწყვეტს ღრუბელთა რემა...
ცას შეასკდება ხან ნაკვერჩხლებად,
ხან წელ–ჩაზნექილ მთებს დაეცემა...
მიიქნ–მოიქნევს ელვის მათრახებს,
ზღვებს ლამის ტანზე შემოისალტავს...
ხან ოკეანეს ააცახცახებს,
ხან ცამდე აწვდილ მწვერვალს მიმართავს...
არ დაიცლება, არ დაიცლება,
გრგვინავს, თავს იქცევს წყეული შტორმი...
და უტევს, უტევს ის ჩემს ღირსებას,
უტევს და ახრჩობს, როგორც პითონი...

ქარი ვარ

არ მიღიმიან იანი,
არც მიმღერიან ნანასა,
ქარი ვარ თავქარიანი,
მოვგავარ ქარბორბალასა...
ხან მაყვლიანში დავძვრები,
ხან ანწლიანში ვმჭექარობ,
ვრცელია ჩემი საზღვრები,
ლამის ცას გადავეფარო...
სანამ ძალა მაქვს გავკივი,
ვაფეთიანებ ქალაქებს...
როგორც სვავი და არწივი,
გადავევლები ქარაფებს...
ასეა სანამ ქარი ვარ,
ცოფებს ვყრი, ვიბრძვი, არ ვცხრები...
შლეგიანივით დავქრივარ
სანამ კლდეს შევენარცხები...
სანამ ტყეს გადავეყრები,
ტყეს ტანაყრილს და ასწლიანს...
ქარი ვარ ქროლვით ვერ ვძღები,
ტანზე ხორკლები მაყრია...

ალბათ, რაღაც ვერ გავთვალე,

ალბათ, რაღაც ვერ გავთვალე,
მაშ, რად დამრჩი ხელუხლები?
ცხელი ქარი მიწვავს თვალებს,
ვდგავარ ქარებს ვემუქრები...

სურვილები მიყოლებით,
თითქოს ტრანსში ვარდებიან...
შენი მზერით ისევ ვტკბები,
და ნატვრებიც მძაფრდებიან...
რა სახე გაქვს, რა ტანი გაქვს,
სამზეო და საკალმახო...
ამ ღამესაც გადავიტან,
რომ დილაზე ისევ გნახო...
თუ გინახავს გაზაფხულზე,
ვაზის ყლორტი როგორ ფეთქავს,
და გავლებულ მიწის ხნულზ
ეყვავილი რომ ამოხეთქავს...
ხელის გულზე ამოხვედი,
აქვე ჰპოვე, მგონი, ბინა...
მე მეგონა მკლავს მომხვევდი,
შენ კი ჩემთან მოგეწყინა...

კლეოპატრა

შენ უკვდავების წყალს ისე მაწვდი,
როგორც დედა ჩვილს ძუძუს აწოვებს,
შხამიც რომ იყოს, ბოლომდე დავცლი,
ოღონდ მამყოფა შენს სიახლოვეს...
ოღონდ შემეშვან კვალარეული
და დაბნეული, გიჟი ქარები...
ოღონდ მატკბობდეს შენი სხეული,
თავის სითეთრით და ბრწყინვალებით...
და ღამეული სევდის სანაცვლოდ,
თავს ვგრძობდე ყველა ქალთა მბრძანებლად...
შენ ტახტს არ დათმობ, შენ ტახტს არ დათმობ,
ჰოდა, მეც ველი შენს მრისხანებას...
და, ვიცი, ვიცი, რომ არ დაცხრები,
თუ ვერ მიაგნებ ჩემში სინანულს...
რომ ბოლოს ისევ მე დავმარცხდები
და შევატოვებ შენს ხსოვნას წარსულს...
ვარ რომაელი და ჩემი ხელი,
ცივი ნემსივით ცურავს შენს კანზე...
დავყურებ სახეს თვალებახელილს,
და გველის ნაკბენს ცისფერ ვენაზე...

მაგრამ, თურმე...

მიდიოდი, მოგყვებოდა, ზურგში ჩემი ცივი მზერა...
მიდიოდი გამართული, ტანმაღალი, როგორც ანძა...
ვინ იყავი, ნეტა, ჩემთვის, ჯადოქარი თუ ქიმერა?
ვერ გავიგე, ვერ ავხსენი, ჩვენი გზები რატომ ასცდა...
ახლა ვფიქრობ, რა მომწონდა, რა მიყვარდა, ნეტა, შენში?
მოვარდისფრო კანისფერი, თუ ეგ ჩითის ჭრელი კაბა?
რას ფიქრობდი, რას ფიქრობდი, რას ფიქრობდი იმ წუთებში,
როცა წახველ და ჩვენს შორის ყველა ეჭვი გაიფანტა?
რას ფიქრობდი, როცა მოხველ პაემანზე ალეწილი,
მე გკოცნიდი, შენც მკოცნიდი, მაგრამ, თურმე, სხვა გიყვარდა...

აი, გითხარი...

მომწონხარ, თუ გსურს, გაგიმხელ, გინდა?
თუ არ მიიღებ ამას საწყენად...
მე გადმოვდივარ ნაპირებიდან,
როგორც ზღვის ტალღა ცად ასაფრენად...
როგორ შეგეხო ასე ნებიერს,
ასე მშვენიერს და სადედოფლოს...
ვერ მოვერიე, ვერ მოვერიე,
ჩემს სურვილს, ჰოდა, ამიტომ ვლოთობ...
დღეს დროის ათვლა შენით იწყება,
შენით იწყება ყველა ცისკარი...
ჰო, ყველა დილა შენით ბრწყინდება,
როგორც ბაღები სამოთხისანი...
აი, გითხარი, რაც მსურდა მეთქვა,
ნუ გაფრინდები, ნუ გაფრინდები...
რადგან, ვაითუ, გიმტყუნოს ფრთებმა,
და ვერ გათენდეს ჩვენი ცისკრები...

მოგონებებმა შემშალეს

აღემატება ჩემს ძალებს,
რომ გაქრე ჩემი ხსოვნიდან...
მოგონებებმა შემშალეს,
შენი ბაგე რომ მკოცნიდა...
ახლა, როდესაც წარსული
მარადისობას ჩაბარდა,
და აწმყო თავზე გასული,
კვლავ მიხმობს თავის ტატამთან...
მითხარი, ვისთვის შევება,
დღეებს გერივით ნაშვილებს...
დამხრჩვალა ბედნიერება,
გრამიც კი არ შემარჩინეს...
ვერც სიყვარულმა მიშველა,
და ვერც იმისმა დაკარგვამ...
ნუკრს ვგავარ ველზე პირველად,
მარტომ რომ გაინავარდა...
ის კი, რაც იყო წავიდა,
შეერწყა მარადისობას...
თითქოს ვიღაცამ მაღლიდან,
ხუმრობით გადმომისროლა...

პოეზიით გადაღლილს

დარჩეს ასე რაც დარჩა,
დარჩეს ხელუხლებელი...
ვდგავართ ხსოვნის ტაძართან,
მე და ჩემი ცერბერი...
ბავშვობიდან დამცინის,
დღემდე არ მერიდება...
ღიმილზე ვარ აცრილი,
ის კი კუბოს მპირდება...
მეც ჩემს უკვდავ ბალდახინს,
გზებზე მივარახრახებ...
პოეზიით გადაღლილს
ბედი მაწნავს მათრახებს...
აღარ ვიღებ მოლოცვებს,

მოდის ინკვიზიცია...
ლექსებს სწვავენ კოცონზე,
ეს მშვენივრად იციან...
მე კი ჯვარი აღვმართე,
რადგან, თავს ვერ ვუშველე...
და თუნდაც, რომ გავმართლდე,
მაინც მიმალურსმებენ!!!

ნუ იმეორებ

ნუ იმეორებ, ნუ იმეორებ,
შეცდომებს, შენ რომ ხშირად უშვებდი...
რაღაცით ვგავართ ჩვენც მეტეორებს,
ალბათ, ვარდნაში თავისუფლებით...
არ გაგიკვირდეს, თუ მეც, ძვირფასო,
დამწვან ვარდნისას ცეცხლის ალებმა...
ან მეც სხვებივით გადამიფასონ,
სიხარულები თუ მწუხარება...
არ გაგიკვირდეს, არ გაგიკვირდეს,
თუ მეც მათსავით გავქრე უკვალოდ...
ბედი უკიდებს ნაღმებს ფითილებს,
რომ სასიკვდილო ცდა ჩაუთვალონ...
და ჩვენც, ბოლო დროს, ისე ვფეთქდებით,
როგორც ფეთქდება დენთის კასრები...
ვეღარ უძლებენ სისხლს საფეთქლები,
ვკვდებით და ბედთან ომში ვმარცხდებით...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ ნაკვალევი თოვლმა ჩანამქროს...
მთვარე მზეს დილას სხივებს ვარცხნიდა...
მზე კი ლოყაზე ჰკოცნიდა სატრფოს...

გააფერმკრთალე

გააფერმკრთალე, დაისივით გააფერმკრთალე,
ყველა ბაღები, ფარშევანგთა თუ ყვავილნართა...
თვალწინ მიდგახარ, დავხუჭავ თუ ავახელ თვალებს,
სიზმარში, ცხადში, ყველგან, ყველგან თვალწინ მიდგახარ!!!
ვნანობ, ძვირფასო, რომ სხვადასხვა ეპოქას ვავსებთ,
და ვეხვეწები, ვეხვეწები ყველა სალოცავს,
რომ დამავიწყოს, დამავიწყოს ეგ სილამაზე,
შენ რომ გიხდება, შენ რომ გხატავს ასე საოცრად...
და მეც მგონია, რომაელი მეომარი ვარ,
ძველი ლაშქრების უმაღლესი მთავარსარდალი...
მემორჩილება ყველა, ყველა ჩემი ჯარიდან,
შენ კი ბავშვი ხარ, ფარაონთა შთამომავალი...
და სანამ გაჩნდი, ჩემზე ჯვარი უკვე დაგწერეს,
მაგრამ რატომღაც რა გამოლევს მტერთა ურდოებს...
და ვიდრე ყველა ჩემი მტრები გავაცამტვერე,
შენ მოგიტაცეს და საშინლად გაგაუცხოვეს...
და მეც დასჯილი ღმერთებისგან სიკვდილს დავეძებ,
მსურს სიძულვილმა გადაახმოს ჩემი ხეხილი...
ხელი ავიღე, უცხოებზეც, ჩემიანებზეც,
და ცხენიანად უფსკრულში ვარ გადაჩეხილი...
დედოფალი ხარ, ჩემი მტრების დარბაზს განაგებ,
სად ყველაფერი ბრწყინვალეა და დიდებული...

შევტოპე, მაგრამ, მე მდინარე ვერ გადავლახე,
რადგან ყოფილა სიყვარულით ადიდებული...

იქნებ ბუნებამ გაგწირათ

სადა ხართ, ნეტა, სად გძინავთ,
თქვენ, ლურჯკაბება იანო...
იქნებ, ბუნებამ გაგწირათ,
კლდეებს აგაკრათ ფრიალოს...
მე ყველა ვარდებს მერჩივნეთ,
ჩემს ბაღში ამოსულები...
მინდოდა გადამერჩინეთ,
შიგ გულში გადმორგულები...
მაგრამ ვერაფრით ვერ გაჭრა,
ჩემმა ჯადომ და ქველობამ...
ხან მთვარის დისკი მევაჭრა,
ხან ნიავს ჰქონდა მცდელობა...
ვერ მომისყიდეს ვერაფრით,
ან როგორ შეგელეოდით...
მომიხტნენ, ჯაჭვის პერანგი,
შემომაფლითეს გველობით...
გაგთელეს, თქვენმა სურნელმა,
ნაომარს თავბრუ დამასხა...
შუბლი შეიკრა ღრუბელმა,
ნანახი სხვებსაც გადასცა...
ცამ სეტყვა წამოუშინა,
თან მოიყოლა ქარები...
ხან ხოშკაკალა გბურჯღნიდათ...
ხან მათი სხვა ტიალები...
სადა ხართ, ჩემო იანო,
გულზე რომ მუზად მეხატეთ...
მინდა, რომ შემეხმიანოთ,
ამოდით, გამომეცხადეთ!!!

სავსეა მთვარე

სავსეა მთვარე, სავსეა მთვარე,
გული კი, გული ცარიელია...
ამ დღეებს გულს მე ვერ გავაკარებ,
კრაზანებივით რომ ირევიან...
რა უსაზღვროა ჩემი ლოდინი,
შენ, ალბათ, კარგად ამჩნევ ყველაფერს...
იცი, არა ვარ სულაც მოცლილი,
მაგრამ ამ დღეებს გულს ვერ შევაჭმევ...
რადგან არა აქვს აზრი აყოლას,
თუკი დღეები დღეებს ებრძვიან...
არ გამოვდგები მე წინამძღოლად,
მე მუდამ ნაღდი ბრძოლა მერჩია...
ან რის ბრალია, რომ ვერასოდეს,
ვერც ზეციური ვპოვე ნუგეში...
ვერც თავს ვერავის ვერ შეაცოდებ,
ამ ჩვენს უგულო საუკუნეში...
ერთი კი მინდა მაინც ვიცოდე,
სად გაქრა ის, ვინც ასე მიყვარდა...
მე მტრები მუდამ ამომიცნობენ...

მტრები, შენც იცი, ყოველთვის მყავდა...
სად გაქრა, მითხარ, ვინც მე მიყვარდა,
ვინც მე მიყვარდა, ვისაც ვუცდიდი...
ვინც სილამაზით დედოფალს ჰგავდა,
ვისაც დახურულ გულს გავუხსნიდი...

არ დადუმდე

დუღდეს, დუღდეს, უნდა დუღდეს,
სისხლი მუდამ ძარღვებში...
არ დადუმდე, არ დადუმდე,
შედი ამ გრიგალებში!
დღეს ზვავები ბატონობენ,
მთებში ჩამოლეწილი...
მსურდა, მაგრამ ვერ მოვთოკე,
ნერვები აწეწილი...
ალბათ, ისევ ომი მიჯობს,
და მეც მხედრებს მივკივი...
უნდა მტერი გავაგიჟო
ამ მერნების ჭიხვინით...
მაქეთ მხარეს თოვლი მოდის,
აქეთ ნუში ყვავილობს...
მითხრეს, თურმე, მეძახოდი,
მოვალ, ვისიყვარულოთ!!!

რა შორსა ხარ

რა შორსა ხარ, გვაცილებენ
ოკეანის მლაშე წყლები,
რა შორსა ხარ, რა შორსა ხარ,
იცი, როგორ მენანები...
შენ ზაფხულის ხვატი გთენთავს,
მე კი ზამთრის ლოლუები,
არ მოხერხდა, არ მოხერხდა,
არ გამოჩნდა კონტურები...
რომ ამ შავთეთრ პლანეტაზე
ბედმა შენს თავს გადამყაროს...
ნაღდად, რამე ცოდვა გვაწევს,
და ღმერთებიც აღარ გვწყალობს...
რა ფერია მონატრება?
ალბათ, ნისლის, ანდა წვიმის...
თუმც, ახალი წელი დგება,
მე სიხარულს არ განვიცდი...
შენ მანდ, იქნებ, ხარობ რამით,
რამე შეგრჩა სახალისო,
გაიღიმე, თუნდაც წამით,
მაგ ღიმილის მახსოვს სითბო...
გათენდა და დილამ სარკმელს
როგორც წესი, მოაკითხა,
ამ ზამთარსაც გავიზამთრებთ,
როგორ? მაგას ნუღარ მკითხავ!!!

ეს ოცნებანი

რაც უფრო მეტი ოცნება ახდა,

მით პრაგმატული გახდა სამყარო...
და ვფიქრობ, მართლაც, ჰო, ვფიქრობ, მართლაც,
ეს ოცნებანი სად გადავყარო...
ჩემს რომანტიზმსაც ყალბი გასვლია,
და, ალბათ, ღობე–ყორეს ვედები...
სიცოცხლე, ბევრად უფრო მკაცრია,
ვიდრე ხატავენ შემოქმედები...
მე ვერ ვიტანდი სენტიმენტალიზმს,
ის არც არასდროს არ მყვარებია...
რეალიზმს ახლავს თავისი დაღი,
ეს მწუხარების ვარსკვლავებია...
და ამიტომაც გზა გავუხსენი,
გზა გავუხსენი მე რომანტიკას...
რეალიზმს ათრევს ჯაგლაგი ცხენი,
მე კი მერნები ცაში ამიყვანს...
იქ, სადაც თეთრი ღრუბლების ჯარი,
ღმერთებს უშლიან ფაფუკ ხალიჩას...
ვარ დღემდე შენი წყურვილით მკვდარი,
მითხარ, ძვირფასო, შენ, შენ რა გიყვარს?!

მართლა

იცი, მინდა, ცხადში განახო,
როგორი ხარ, რა ფერების...
მართლა, მოდი, ცოტა ახლოს,
შორიდან რომ მეფერები...
ნუ გგონია ხელსა გტაცებ,
შემოგისვამ და, ჰაიდაა...
არა, ამგვარ ტუტუც ამბებს,
არ ელოდო არსაიდან...
მე, უბრალოდ, გაგეცნობი,
გაგიღიმებ, თუ ისურვებ...
ან რასაც მთხოვ, ნახე, მოდი,
უეჭველად აგისრულებ!!!

ქროლვა, ქროლვა მარადი...

მიდი, მიდი, მიუშვი,
შენი მერნის სადავე...
თორემ დროა პირქუში,
აჰყვები და გადაგრევს...
აჰყვები და ცოდვებით
ისე დაიხუნძლები,
ვით სამარის ლოდები,
ვით სიკვდილის წუთები...
არ გადადო, არ გინდა,
მიდი, გაიმერანე,
წუთისოფლის ბაღიდან,
ვერ მოწყვეტავ ყველაფერს!
ქროლვა, ქროლვა მარადი,
სიყვარულის მერნებით,
სანამ ბედი გადაგღლის
თავის გზაზე ჭენებით...
ამ მიწაზე რაც კია,
ვარსკვლავნიც თუ ელავენ,

ღვთის ბეჭედი არტყია,
შენც მიენდე მერანებს...
შორს, შორს, ჰორიზონტისკენ,
სადაც თოვლნი ბარდნიან,
სანამ ღამე მოგისწრებს
და სულს ამოგაცლიან!!!

რად შემიყვარდა ასე დაისი

შენ ხომ ვერ მეტყვი, რა ჰქვია სევდას,
რა ჰქვია სევდას, მე რომ შემყრია...
მე ამოვწურე, რაც უნდა მეთქვა,
რომ ეს დრო ჩემი მხრებით მეთრია...
თუ, შენც, უბრალოდ, ზურგი მაქციე,
სულ არ გაღელვებს ჩემი კითხვები...
იქნებ ეძახი მათ ნოტაციებს,
და ამიტომაც არ უფიქრდები...
მე კი სევდა მღრღნის, როგორც ხის მატლი,
მტკივანი კბილი ატკიებისას...
ჰო, როგორც რემბოს "მთვრალი ხომალდი",
და სევდა თვითონ ოკეანისა...
მითხარი, ასე რად ტირის სული,
ან მარტოობას თვითონ რად ირჩევს...
სული უფსკრულის პირას მისული,
როდის გადადგავს ბოლო ნაბიჯებს...
მართლაც, მითხარი, ნუ გერიდება,
რად შემიყვარდა ასე დაისი...
თითქოს მამულიც აღარ მჭირდება,
არც რაიმესი შემრჩა ხალისი...
ვერ ვცნობ სახეებს, ვერ ვცნობ ვერავის,
ვინ ჩემია და ვინ კი სხვისია...
და მარწმუნებენ ბედისწერანი,
რომ დასასრულის დასაწყისია...
რომ ჩემი მიწა, ვერც კი გავიგე,
როგორ დაიპყრო მოყვარე მტერმა...
და თუნდაც ცამდე ძეგლი აიგე,
ის შენი უკვე აღარ იქნება...
შენ ხომ ვერ მეტყვი, შენ ხომ ვერ მეტყვი,
რა ჰქვია სევდას, მე რომ გამომხრა...
ან კაცმა რომ თქვას, რას გეკითხები,
შენ, აღარასდროს ჩემთან არ მოხვალ...

ვერლიბრი (რა ვიცი)

ისე მჭირდები, როგორც ბალახი,
სიცოცხლისათვის ლოდ ქვას რომ ებრძვის...
ათასი რამ მაქვს გადასალახი,
ათასი ჭირი, ჭლექი და კეთრი...
შენ კი მოხვალ და ისევ გაქრები,
შენ მეგობრობა არა გცოდნია...
ამ ზამთრის თოვლში ჩაინამქრები,
ისევ ყელში მწვდა მელანქოლია...
ისევ დამონძილ ლაშქრით მიტევენ,
ავტორიტეტნი ამჟამინდელნი...
ჩემს ცივ სხეულზე დააბიჯებენ,

ეს მათხოვრები შიშველ–ტიტველნი...
შემზარავია მათი ვერლიბრი,
ყალბი სიტყვების ბანძი ტომარა...
გამომიტანეს ურცხვად ვერდიქტი,
მათთვის მე სისხლის გემატომა ვარ...
და ეწევიან სპეკულაციას,
ლამის მიმხრჩვალი კატის კნავილით...
შენი არ ესმით, ან რა აზრი აქვს,
განაჩენი აქვთ გამოტანილი...
უნაყოფოა ყველა თავდასხმა
ვერ მივხვდი, რაა მათი მიზანი...
თუ პოეზიას მუზა არა ჰყავს,
მუზად იქცევა "ყველა წვრილმანი"...

არ შემებრძოლო

მე ავმხედრდები თოვლისფერ რაშზე,
რომ შენს სიყვარულს მოვუღო ბოლო!
მაგ კარჩაკეტილ გულს შემოვამსხვრევ,
არ შემებრძოლო, არ შემებრძოლო!
გთხოვ, ძველებურად ნუ დამახვედრებ,
სპარტაში გაწვრთნილ ჯარს და მეომრებს...
რადგან ჭრილობას გამიახლებენ
და მეც დავაკლავ ერთი–მეორეს!!!
ამბობენ თურმე მგლების ჯიშის ვარ,
და პანტერებმა ძუძუ მაწოვეს...
ჰო, გეფიცები, მოვსრეს–მივსრისავ,
ვისაც კი ვნახავ შენს სიახლოვეს...
რაში მეახლა, უკვე ვმხედრდები,
გესმის ჭიხვინი? ეს მე მოვფრინავ...
და თუკი ახლაც არ დამნებდები,
ერთი შენია, ტყვია, ორიდან!!!

ნუ მიენდობი

იმ ბილიკებზე შენ რომ დადიხარ,
მე ბღუჯა–ბღუჯა ღიმილებს დავყრი...
და ღიმილები თუ შორს წაგიყვანს,
მესტუმრე შენი ლოდინით დაღლილს...
მესტუმრე თეთრი ვარდებით ხელში,
რომ შევადარო მათ შენი სახე,
ასე უსაზღვროდ მშვიდსა და კეთილს,
რატომ ჰყრის ღმერთი ჩემსავით თავხედს...
ვინ, ვინ განაგებს, ნეტა, შენს გზა–კვალს,
რომელ არწივის ბრჭყალი დაგწვდება,
ვინ მოგიყვება იმ ლამაზ ზღაპარს,
შენ რომ წარსული გაგიახლდება...
ნუ მიენდობი, ნუ მიენდობი,
ნურც ჩემს ზღაპრებს და ნურც ჩემს ღიმილებს...
მე ხომ, უბრალოდ, შენით ვერთობი,
შენ კი, ვინ იცის, პრინცად მიმიღე.

თოვს...

თოვს, ცამ ფიფქები, როგორც იქნა, გამოიმეტა,

თოვს აივანზე, თოვს ქუჩაში, თოვს ქუჩის იქით...
ნეტა, თუ გღვიძავს, თუ უყურებ ამ თოვლს შენც, ნეტა,
ან ვისთანა ხარ ამ თეთრ დილას, ნეტავი ფიქრით...
თოვს, ჩემს წინ ნაძვი სანახევროდ უკვე დათოვა...
თოვს, ფანტელების სიმსუბუქე მეც გადმომედო,
თოვს და უშენოდ, რა ძნელია, რომ დღეს მარტო ვარ,
გამახსენდი და თოვლის ნაცვლად ცეცხლი მომედო...
მართლაც, კი არ თოვს, ზეცა ჩემსკენ ცეცხლის ფანტელებს,
გზავნის და გზავნის, ნაძვსაც უკვე ცეცხლი მოედო...
ამ ცეცხლს, შენს გარდა, დღეს ვერავინ ვერ შეაჩერებს,
მოდი, ჩამეწან, მოდი, მითხარ, ჩემო პოეტო!
მოდი, ჩემს სულში, ფანტელების ნაცვლად შემოდი,
მოდი, გულმკერდი ამოღადროს ცხელმა ტუჩებმა...
მე ხომ, ძვირფასო, მთელი ღამე სიზმრებს ვებრძოდი,
დილასღა შევძელ თოვლის გამო მე ჩაყუჩება...

როგორ ახერხებ

როგორ ახერხებ, როგორ ახერხებ,
სულ ჩემთან ყოფნას, და თან დამალვას...
ზღვა ეხეთქება, თითქოს, საფეთქლებს,
მე ბოლოს, ალბათ, ზღვა გადამყლაპავს...
აქ უდაბნოა, სადაც დღეს მე ვარ,
მიტორტმანებენ ხვატში წუთები...
ალბათ, ვიღაცამ თუ მომაწყევლა,
რომ ვერ მეგემა შენი ტუჩები...
ვიცი, გავუძლებ უდაბნოს ქარებს,
ვიცი, ამ წუთსაც კიდევ გავუძლებ...
თუ შემიყვარებ, თუ შემიყვარებ,
მაგ ტუჩებს წამით თუკი მაჩუქებ...

მოყინავს

ამაღამ, ვიცი, ნაღდად მოყინავს,
სიცივე უკვე სარკმელშიც ატანს...
გავიხედე და ყინვა ჰკოცნიდა,
ყინვა ჰკოცნიდა გაძარცვულ ატამს...
და კანკალებდნენ ფოთლები მკრთალი,
ატამზე ჯერაც შემორჩენილი...
მე გამიშტერდა ორივე თვალი,
თრთოდნენ ფოთლები მიმოფენილი...
გაზაფხულამდე, გაზაფხულამდე,
რა აძლებინებთ უფოთლოდ ხეებს...
ლამის დავიდა ყინვა გულამდე,
მე კი ვეძებდი აქ სამოთხეებს...
როგორმე უნდა ამ ატამივით
მეც ეს ზამთარი გადავიტანო,
ეს ყინვაც, ალბათ, მკერდში გაივლის,
რომ გადაყინოს მერე მიდამო!

ველი სასწაულს

გადარებ, მართლაც, ვის არ გადარებ,
სულ ტყუილია, სულ ამაოა...
შენ, მე კი არა, ღმერთსაც გადარევ,

შენთან დილაა, აქ საღამოა...
დრო გადის, შენ კი მშვენიერდები,
ან მეჩვენება, ანდა ასეა...
საღამო ბრწყინავს ბედნიერებით,
რა სინაზეა, რა სინაზეა...
საღამო ბრწყინავს, თოვლის ფიფქებმა,
ჩემს წინ ნაძვები თეთრად მოხატა...
მე ვუსმენ, ხოლო ზეცა მიყვება,
თოვლში გაშლილი ვარდების ზღაპარს...
მე ყველა ვარდში შენს სახეს ვხედავ,
ვარდის ფურცლებს ჰგავს შენი ბაგენი...
ნაძვის ტოტებზე ჭინკები სხედან,
ხელში უჭირავთ თოვლის სანთლები...
ისინიც, ალბათ, ამით დროს ჰკლავენ,
როგორც მე შენით და შენ კი ჩემით...
მინდა მიყვარდე, მინდა მიყვარდე,
მე შენი ლურჯი თვალებით ვთვრები...
და თოვს კვლავ ისე, ისე საოცრად,
როგორც ჩნდებიან ცაზე ფიფქები...
ველი სასწაულს ამ საღამოსაც,
და ამას მხოლოდ შენ თუ მიხვდები...

ასე მგონია

სად ხართ, ღმერთებო, ჩამომხსენით ეს მწარე ტვირთი,
ან, იქნებ, მართლაც, აღარცერთი აღარ არსებობთ?
მე არ მინდოდა პოეტობა, თქვენც კარგად იცით,
არა, არ არის ეს ხელობა, ნაღდად, საჩემო...
ასე მგონია, რაღაც კოშკში გამომამწყვდიეთ,
სადაც დაძრწიან უსახელო ანგელოზები...
რა დავაშავე, ვერ გავიგე, რატომ გამწირეთ,
სხვებს ზეთის ხილი, მე კი შხამი და ნაფოტები...
საშინელია, სულს წვეთ–წვეთად როცა წამლავენ,
თითქოს გულგრილად აჭედებდნენ ჩემს კუბოს ლურსმნებს...
ვდგავარ კუთხეში მიმწყვდეული და ვგრძნობ ძარცვავენ,
საუნჯეს ჩემსას, ის რაც წლობით ძლივს შევაქუჩე...
ვიცი, ზეცაში ათასობით შავი ხვრელია,
ვიცი, სიკვდილი თუკი მოვა უნდა დავნებდე...
ჰოდა, ვაცხადებ, ეს გზა მე არ ამირჩევია,
და მირჩევია, თუკი, მართლაც, თავს დამანებებთ!!!

ვისი სული ხარ

გადახსნილი აქვს დედამიწას კრატერის მკერდი,
და ჩემს სულს ითხოვს გაავებით მეფისტოფელი...
თავზე ზეციდან ნაცრისფერი მეფრქვევა ფერფლი,
ეს ჩემს სულს მარხავს მოვარვარე ფერფლის მორევი...
ჩავყვები ლავას დედამიწის შუაგულისკენ,
სადაც დაძრწიან მილიარდი კაცთა სულები...
გამატარებენ კვლავ თავიდან გზას წარსულისკენ,
ქაჯმაჯუნები ეშმაკების განკარგულებით...
აღარ ვარსებობ, და განწყობაც უფერულია,
აქ მარადიულ სამყოფელში ვერ გაერთობი...
ენას რომ მიყოფს, მოღალატე ჩემი სულია,
დავყავარ ბაწარგამობმული მას ჯერჯერობით...

დგას ზედადგარზე გამურული ქვაბი კუპრისა,
ხელში მათრახით ქვაბის თავზე დაქრის ეშმაკი...
მე მეკითხება, თან ხარხარებს, ვისი სული ხარ?
და მეც ვპასუხობ: არავისი, მე ვარ სპეტაკი!!!

მადლობას გეტყვი

შენ, ალბათ, უკვე გადამივიწყე,
მე კი ჯერ ისევ ისე მახსოვხარ...
და თუმცა, სულ სხვა ცხოვრებას ვიწყებ,
შენ მაინც ისევ გულთან ახლოს ხარ...
და ველი, ველი, რომ ქარიშხლებმა,
ბოლოს და ბოლოს, გადაიაროს...
ჰო, ბოლოს მაინც იმედი კვდება,
შენც იმედებზე მინდა მიამბო...
რადგან, ხვალიდან ვიცი თოვლჭყაპი,
მელის და ზამთრებს უნდა ვაგინო,
მადლობას გეტყვი, თუკი მომკლავდი,
ისე რომ, სისხლი არ დამადინო!!!

ბრძოლა

მართლაც, არსებობს უაზრო ბრძოლა?
ბრძოლას ყოველთვის ახლავს მიზანი...
ამ გამოწვევამ მეც ამიყოლა,
ვკრიფო მტევნები დედოფლისანი...
რომ მიკნავებულ დღეებს გავექცე,
სადმე ვულკანთან დავიდო ბინა...
და ვიოცნებო იმ ტკბილ წამებზე,
როცა გავიგებ ბრძოლის ყიჟინას...
აი, სასახლეც, კართან დარაჯნი
ფხიზლობენ, მაგრამ არ მეშინია...
თითო მოქნევით თითოს გადავჭრი,
რას გამიძლებენ ასე ჟინიანს...
ერთი ნახტომიც და კარს შევლეწავ,
თუმცა, მძიმეა კარი სასახლის,
ჩემი მერანი ყალყზე შედგება,
მერე ჭიხვინით ჭიშკარს გადახსნის....
გავივლი დარბაზს ოქროსკედლიანს,
აი, გვირგვინნიც დედოფლისანი...
კარის დარაჯნი შუბებს მესვრიან,
მათკენ კი მიქრის ჩემი ისარი...
მარწყვის გემო აქვს დედოფლის ბაგეს,
სხეული რკინის მაჯებს ნებდება...
ფრთხილად, ძვირფასო, ბრძოლა წააგე,
სულ უაზროა ეს გახელება!!!

მიპასუხე, ოღონდ მიპასუხე!!!

ისევ მინდა გადავახტე ჩემ თავს,
გადავცვალო სევდა სიხარულზე...
ბნელი ღამე გაგინათო შემკრთალს,
მიპასუხე, ოღონდ მიპასუხე!!!
რა ძალაა, სიცოცხლეს რომ ბადებს,
მთვარე ღვინით სავსე ჭიქას მაწვდის...

დოქით ხელში ანგელოზი დამდევს,
ამურები მოჰყვებიან კვალში...
გავლილი მაქვს, მგონი, ყველა ზღუდე,
გაშლილია მუდამ ჩემი აფრა...
ხან ყინულის აისბერგებს ვუტევ,
ხან ცუნამის გააფთრებულ ტალღას...
ნუ ჩამძირავ, ნუ ჩამძირავ, ღმერთო,
ვერ გავუძლებ უკვე გულის ფართხალს...
წავალ სადაც სიყვარული მეფობს,
სადაც ქვეყნებს სიხარული მართავს...
აქ კი რადგან სიბნელეა სრული,
სადაც კაცი დანას უყრის მომმეს...
სადაც ღმერთად უქცევიათ ფული,
სად სატანა გაუხდიათ მოწმედ...
მე უსიტყვოდ ტახტს დავუთმობ ყველას,
ვინც კი ჩემსკენ გახელებით ილტვის,
ისე, როგორც ოკეანე ღელავს,
დუღილშია ჩემი ცხელი სისხლი...
ვიცი, წითლად გადავღებავ მიწას,
დავარწყულებ გაზაფხულის ბაღებს...
შენს ძუძუ–მკერდს დავაკვდები ისრად,
თუ აიტან, თუ აიტან ამდენს!

დარტყმა

როცა იღებ ასეთ დარტყმებს
და პასუხობ უარესით...
აბა, დიდხანს როგორ გასძლებ,
შენი სულაც თუ არ ესმით...
ამოხაპეთ, ამოხაპეთ,
სისხლი თუ რამ კიდევ დამრჩა...
მე კი მაინც ამოვზღაპრებ,
ამოვთლი და ამოვკალმავ...
და გაუშვი, იწრიალოს,
ელვამ თავის ღრუბლიანად...
ოღონდ ცაზე იბრიალოს,
რამ? ვარსკვლავმა კუდიანმა...

ნიღაბი

დღეიდან ვირგებ ყოველგვარ ნიღაბს,
ან იქნებ ისეც დავალ ნიღაბით?
ხან მიკეთია იანუსისა,
ხან თაფლისა და ხან დარიშხანის...
ანაღვლებს ვინმეს ჩემი ნიღაბი?
თუ ყველა თავის ნიღბებზე ნაღვლობს?
ყველა ნიღაბი არის პირადი,
ვის სახეზედაც არ უნდა ნახო...
დიახ, არსებობს დილის ნიღაბი,
დღის, შუადღისა თუ შუაღამის...
ნიღაბი კატის, ნიღაბი ძაღლის,
ნიღაბი ბატის, იხვის, ქათამის...
მაგრამ რატომღაც, ალბათ, ყოველთვის,
ნიღბებს ირგებენ ტვინის მიხედვით...
ნიღაბს გვიღებენ როცა მოვკვდებით,

და ისინია ნაღდი ნიღბები!!!

მიწა ირყევა

როგორ ვერა გრძნობ, როგორ ვერა გრძნობ,
მიწა ირყევა, მაგრად ირყევა...
მეც მიჯობს ზეცის კარი შევაღო,
სანამ შუაზე გადაირღვევა...
ჩანს, მგლოვიარე ქუჩის ძაღლები,
ჩემს მწუხარებას იზიარებენ,
მათი გაგებით ვართ მუტანტები,
ძაღლნი სიკეთეს თავზე მახევენ...
ვის დაჰკარგვიხარ, ვისა სჭირდები,
აღებულია შენი ზომები...
კუბოს თავს ლურსმნებს დააჭედებენ,
და აგორდება მერე ჭორები...

ვერ გაექცევი

დასაბამიდან მთელი სამყარო,
ცოცხლობს მომავლის ილუზიებით...
ღმერთი კი მოსვლას სულაც არ ჩქარობს,
ის ჩვენ ზეციდან გვკვებავს იმედით...
ვერ გაექცევი, ვერ გაექცევი,
საკუთარ სხეულს ვერანაირად,
დგები, ეცემი, დგები, ეცემი,
და სიმღერაც ჟღერს სულ სხვანაირად...
ის მარადიულ ბრძოლას მაგონებს,
სიმწრით ჭიხვინებს შავი ტაიჭი,
თუმც, ხართან გასულ ტორეადორებს,
გამოთვლილი აქვთ ყველა ნაბიჯი...
მე ბავშვობიდან დღემდე მაღელვებს,
რომ მწუხარეა დაისის ფერი,
რომ დეპრესია თავს არ მანებებს,
და რომ უკეთეს მომავალს ველი...

დაიწმინდება

დაიწმინდება, დაიწმინდება,
ასე აჭრილი ჩემი გონება...
ფიქრი ფიქრებზე აიკინძება,
ფიქრი–ფიქრსა ჰკლავს და ეომება...
რაა მიზეზი, როგორ ვარკვიო,
საკუთარ სულში ვერ ჩავიხედე;
მე გთხოვ, ეგ ფარდა არ გადასწიო,
მე სიყვარულში გადავიჩეხე...
ასე მგონია მიმაქანებენ,
უფსკრულისაკენ თოვლის ზვავები...
შენს თვალებს თავი ვერ მივანებე,
მიპყრობენ, როგორც შლეგიანები...
მე, როგორც ვატყობ, შენი მსხვეპლი ვარ,
ფიქრის მორევში ჩატაცებული...
კაცთა ცოდვების ნაპრალებიდან,
ჩაჩეხილი და დამარცხებული...

სევდის ვალსი

შემოდგომაა და ფოთლებიც სტოვებენ სახლ–კარს,
სტოვებენ ყლორტებს მთელი წელი ზედ რომ ეკიდნენ...
მეც ფოთლებივით ახლა უკვე არავინ არ მყავს,
მეც შემოდგომის ნიაღვრები გადამეკიდნენ...
და როგორც ღამით მწუხარების ვალსის ნოტები,
ჩემი ხსოვნიდან უგზოუკვლოდ მიფრიალებენ,
დღეები, რწმენის, სიყვარულის, გზად რომ ვტოვებდი,
მოგონებებზე ძველ ოცნებებს რომ გვიახლებენ...
ეს სევდის ვალსიც, ფოთლებივით წითელ–ყვითელი,
ქარიან მინდვრებს ნაღვლიანად რომ მოსდებია...
შენც კარგად იცი, არც ბოლოა და არც პირველი,
ეს დღეებია იმ დროების და დღეს კვდებიან...
და ვეძებ, ვეძებ სილამაზეს მწუხარებაშიც,
უკანასკნელი სადღეგრძელო მინდა დავლიო...
და მახსენდება, მახსენდება შენი ალერსი,
და შეცდომები, დღეს რომ მინდა მოვინანიო...

ვერ ვხვდები

ვერ ვხვდები, ალბათ, თვალი დამადგი,
მაშ, რა დავარქვა შენს ირონიას...
ვცხოვრობდი დღემდე სულის კარნახით,
მე სხვანაირად არ მიცხოვრია...
და რადგან ენას ძვალი არა აქვს,
სულყველა ცოდვას შენ აგკიდებენ,
თუ მარტოობამ არ მიღალატა,
თუ მთელ ქვეყანას გადაგკიდებენ...

მიყვარს მერნები

შემოამტვრიონ, შემოამტვრიონ,
ჩემი სარკმლები, ზამთრის ქარებმა...
მთვარე აბოლებს ცაზე ყალიონს,
და ფერფლს პირდაპირ ჩემს ბაღს აფერთხავს...
ვნახე სიზმრები გასაოცარი,
თითქოს დამითმეს ცირკის არენა,
გამომიყვანეს რაში ფრთოსანი
და თავსაც ვგრძნობდი გადასარევად...
გადავიფრინე ყველა უდაბნო,
როცა აისი თვალებს ახელდა...
მე რაში მყავდა, მართლაც, უბადლო,
გაუხედნავი და უკარება...
მიყვარს მერნები, თეთრი, უბელო.
როგორც ლამაზი ქალის თეძონი...
ამ დროს სიზმარში მაინც ვუყელოთ,
დავუნთოთ ცეცხლი არმაგედონის...
და თუკი მართლაც გადამაწყდები,
ფეხქვეშ ყვავილთა მინდვრებს გაგიგებ...
აი, შენ ჩემი რევერანსები,
და მე სიზმრიდან უნდა გავიდე...

თუ დამიჯერებ

თუ დამიჯერებ, შენ უნდა გგავდეს,
მე ვისაც ვეტყვი, რომ შემიყვაროს...
რადგან სასჯელი გამომიტანე,
და ძუ ვეფხვივით ჩემზე მრისხანობ...
რადგან თეთრფრთება ანგელოზები
ამ ქვეყანაზე აღარ ჩნდებიან,
და დაემსგავსა ჩვენი ლოცვები
ვაჭართა ლოცვებს ანგარებიანს...
მეც მირჩევია ისევ შენნაირს,
შენს ეკლებიანს გადავეყარო...
თუკი მომწყველი შენი ნესტარი,
მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მკერდზე ხარობს...
სულ ამომწოვა რაც კი რამ მქონდა,
გრამი არ შემრჩა სისხლის ნასახი...
შენ კარგად იცი, აქ ქარიც ქროდა,
და მეც გადავრჩი ვაივაგლახით...
რას ველოდები? ბართლომეს ღამეს,
რომ სული ჩემი სისხლით შევღებო...
და რადგან ვიცი, არ შემიყვარებ,
სხვა შენნაირი უნდა ვეძებო...

სიკვდილ–სიცოცხლე

ვერ ჩავეწერე, ამ წრებრუნვაში,
ვერა, ვერცერთხელ ვერ ჩავეწერე...
ალბათ, არაა ჩემს ნატურაში,
არ გამომივა არც ამის მერე...
თან ეს დღეებიც ისე გარბიან,
თითქოსდა, უკან ვინმე მისდევდეთ,
ვერც იმას ვხვდები, რად მამადლიან,
ღვთისგან გაღებულ მცირე სიკეთეს...
რა კავშირი აქვს სიკვდილ–სიცოცხლეს,
თუ დაფიქრდები არავითარი...
მე, ალბათ, მკვდარს თუ ამომიცნობენ,
თორემ სიცოცხლე მიდის მიქარვით...
თქვით, ერთდროულად ორივეს ხელში,
იქნება ვინმეს ვინმე ახსოვდეს...
არა, მსგავსი რამ ამ სიცოცხლეში,
არა ყოფილა ჯერ არასოდეს...
მაშ, რა ყოფილა სიკვდილის შიში?
ერთი რამაა ჩემთვის ნათელი,
მოვა და ყველა შიშისგან გიხსნის...
აღარ გეხება შენ არაფერი...

ნუ, ნუ დახუჭავ თვალებს

ყველა თავისას ქაჩავს
შენი არავის ესმის,
შენ კი იყავი რაც ხარ,
მაინც ვერაფერს შეცვლი...
შენ კი იყავი რაც ხარ...
ნუ, ნუ დახუჭავ თვალებს...
თუ თქმა სჯობს ხშირად არ თქმას,
თუნდაც კოცონზე გწვავდნენ...
თუნდაც კოცონზე გწვავდნენ,

როგორც მკვლელსა და ჯალათს...
ყვებოდნენ როგორც ზღაპრებს,
შენი ღალატის ამბავს...
ხალხი ჭრელია მუდამ,
უყვარს გათელვა სხვისი...
მათ საზეიმო სუფრას,
ხშირად ამშვენებს სისხლი...

წვიმად მოვალ

გინდა წვიმად მოვალ ციდან,
გაწვიმდე და გაღელვებდე...
ან მომსკდარი ჩანჩქერიდან
შენსკენ თვალებს ვაფეთებდე...
იმ ჩანჩქერის წვეთად ვიქცე,
შენს თბილ მკერდზე დავეწვეთო,
ჩავყვე ფრთხილად ნაპრალისკენ,
სადმე ძუძუს თავთან ვეგდო...
შენ კი ჩემი ხელისგულის
გადმოგედოს მხურვალება...
მიგრძნო, შენად დამიგულო
და ალერსის მომცე ნება...
ვისრიალო ფრთხილად ჩემთვის,
შენს ხორბლისფრად მბზინავ კანზე...
როგორც ტბების ლაქაშებში
გედი ცურავს განთიადზე...
მერე თუნდაც ისე გავქრე,
როგორც ცაზე კვამლი ქრება,
სულაც ლაქად შენს პერანგზე,
შევრჩე სანამ დაბინდდება!!!

კვლავ თოვლი მოვა

გავა ზამთარი ციებ–ცხელებით,
რომ გაზაფხულმა ჯავრი იყაროს...
ძირს ფანტელები, ძირს ფანტელები,
აქ ყვავილებმა უნდა იხაროს...
ჯერ კი იქამდე კვლავ დიდი დროა,
როგორ გავუძლო ზამთრის მუქარებს,
კვლავ თოვლი მოვა, კვლავ თოვლი მოვა,
და ძალიან ბევრს დაამწუხარებს...
ვეღარ ვენდობი ამ ზამთრის დღეებს,
გამიმეტებენ, ვიცი, თვითონაც...
მე ხომ გზადაგზა ვტოვებ იმედებს
რომლებიც, ალბათ, შენთვის მინდოდა...
სად არის ტალღა რომ გადალეკოს,
ამ უფერული დღეების რიგი...
რომ გაზაფხულმა იპერგამენტოს,
და გამოცვალოს დროთა განრიგი...

ნუ ელოდები

ნუ ელოდები, ზეცის წყალობებს,
ნუ ელოდები ვარდებს მთვარიდან...
რადგან ქარები ჯერაც ანჩხლობენ,

რადგან წუხელის ისევ ბარდნიდა...
და მეც, იცოდე, სულაც არ ველი,
რომ მოვა ვინმე და მიგალობებს...
ჩემი სხეულის ყველა მტკაველი,
ჯერ ისევ ისე ქარიშხალობენ...
ჩემს გზებზე ჯერაც აღმართულია,
ფიჭვის და არყის სახრჩობელები...
ასე რომ კივის ჩემი სულია,
ახრჩობს გველები მახრჩობელები...
ამიტომ ზეცაც დახურულია,
და მიწის პირიც ქვიშით გავსილი...
ნუ შემაწუხებ, არ ვარ გულღია,
არც ეს სიზმარი არ მაქვს დაცდილი...

ეს ღამეც შენი კარნახით გავა

ვიცი სხვისი ხარ, ვერ შემიყვარებ,
არ გაღელვებენ ჩემი აზრები...
რომ შეხვედრაზეც თავს შეიკავებ,
რომ ახლოსაც არ გამეკარები...
ერთს კი გეტყოდი, ვხედავ შენს თვალებს,
რომლებსაც თითქო, სევდა დაეტყო...
დრო თვალებს ისეც გააფერმკრთალებს,
ნუ, ნუ იტყვი დამეხმარეთო...
ჩალისფერი თმა მარწყვისფერ ტუჩებს,
უხდება, როგორც გზებს ალუბლები...
როგორც ნაყოფი ბაღში ალუჩებს,
როგორც მწვერვალებს თავის ღრუბლები...
ეს ღამეც შენი კარნახით გავა,
გავა წუთები და გათენდება...
ჩემი ნუგეში მთვარემ ითავა,
თუმც, ისიც შენი ცქერით ვერ ძღება...

საკუთარ მიწას თუ არ სჭირდები (ზეინაბ ზვიადაძეს)

მეც დავიღალე, როგორც, შენც, ალბათ,
ამ უღიმილო დღეებთან ბრძოლით...
კაცი გაუძლებს ყოველგვარ დაღლას,
რომ გაირბინოს თუნდ მარათონიც...
ოღონდ ელოდოს რაიმეს ახალს,
ოღონდ იმედი ჰქონდეს ხვალისა,
შენ სად გაგრიყა ცხოვრების ტალღამ,
საით მიიკვლევ გზებს მომავლისას...
ვიცი, ამ ხანას რომ შენც უჩივი,
რომ შენს მიწაში ჩაგრჩა ფესვები,
რომ არასოდეს იყავ გულჩვილი,
მაგრამ სხვის მიწას რომ ვერ ეჩვევი...
რა საწყენია, რა საწყენია,
საკუთარ მიწას თუ არ სჭირდები,
ნეტა, ან ვისი განაჩენია,""
თუ მიპასუხებ, შეგეკითხები...

ნუ მიჯავრდები

ეს დილაც სულში თოვით დაიწყო,

თითქოს მიმაბეს ზეცას ჯაჭვებით,
და ვუმზერ სული როგორ გაივსო,
ლაბირინთული ესტაკადებით...
და თუ კი, მართლაც, სულ შენსკენ მოდის,
ყველა გზა, როგორც მიდის რომისკენ...
მაშინ, მითხარი, რატომ ვერ გყოფნის,
თუნდაც ის, მე რომ გულთან მოგნიშნე...
ხომ ვაღიარე ძველი ცოდვანი,
მე ხომ გულწრფელად მოვინანიე...
რად მარცვლავს შენი კრიალოსანი,
მაინც, ყოველ წუთს, ჩემს ისტორიებს...
განა რომელი მეფე მე მნახე,
ანდა, რომელი ქვეყნის დამქცევი...
მე პოეზიის კარი შევაღე,
და იქ ჩემს მუზებს ვეთვალთმაქცები.
კი, ჰარამხანა მართლაც ჭრელია,
ყველას აქვს თავის ნექტარ–ნესტარი...
შენ, რომ იცოდე, როგორ მელიან,
მათი სულებიც, ალბათ, შენსავით...
ხედავ, დილიდან შენს თავს ვფიცულობ,
ლამის საკუთარ თავთან ვმაღლდები...
სხვებთან საშველად მინდა მივცურო...
და, გთხოვ, ტყუილად ნუ მიჯავრდები!!!

ატმის ყლორტზე ჩიტსა სძინავს

დაცხრა, ჩაცხრა სამუდამოდ,
ამ ზაფხულის ტკივილები...
ცოდვად აღარ ჩამითვალო
თუ ბავშვივით ვიღიმები...
ატმის ყლორტზე ჩიტსა სძინავს,
ვარდის ყლორტზე ვარდი ხარობს...
როგორ მინდა, რომ მომღიმარს,
თვალში თვალი გამიყარო...
მე თვალებში სარკმლები მაქვს,
შენში ჭარბობს ალბათ ვნება...
როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს,
როცა ბაგე გადასკდება...
ხორბლისფერ კანს ძუძუს თავზე,
ჩალის თმები აფენია...
ნუ წამართმევ ამ უნაზეს
წამებს, ატმისთვალებიანს!!!

ამაყი ვიყავ მეგონა

ვერც შეგონებამ მიშველა,
ვერც შთაგონებამ გაჭრა...
მიყვარხარ, როგორც პირველად,
დღესაც ისევე მძაფრად...
ვეცადე, ყური ვიყრუე,
ხან ვიბრმავებდი თვალებს...
ჭკუა ვერ გადავიტყუე
საპირისპირო მხარეს...
ამაყი ვიყავ მეგონა,
ის სიამაყეც გაქრა...

რაღაც ხომ უნდა მეღონა
ამ სიყვარულის ნაცვლად...
ბედი ყოფილა თამაში,
რომელსაც მუდამ აგებ...
დროსა ვკლავ ღმერთთან დავაში,
ან რას მიხვდები ამდენს...
შენ რომანტიკა გიტაცებს,
მე რეალობა მახრჩობს...
შენი გზა მიდის მზისაკენ,
მე ზღვის ფსკერზე ვარ ამ დროს...
შენ დღე ხარ, მე კი ღამე ვარ
და ველოდები ქარებს...
შენ ეძებ ოქროს ტახტრევანს,
მე კი ღვინოს და ქალებს...

შენ მოგიძღვენი (კ–ს)

და რაც დრო გადის, მეტად და მეტად,
ქრება სიმყარე, შეგრძნება მიწის...
სულმა ვერაფრით ვერ გაგიმეტა,
ვერ გაგიმეტა დავიწყებისთვის...
სამყარო ათას გამად იყოფა,
და იმაზეა თუ სად მოხვდები...
გული მიგრძნობდა, გული მიგრძნობდა,
წინასწარ, სანამ შენ შემოხვედი...
ეს, ალბათ, იყო ღმერთის ბრძანება,
ან იქნებ ბედის დაცინვა იყო...
რის უფლება მაქვს, ან მეკრძალება,
იქნებ შენ მითხრა, შენ მითხრა თვითონ!!!
მე ათას რამეს დაგაბრალებდი,
შენც დამაბრალე, ნუ გერიდება...
როცა პარალელს სხვებთან ვავლებდი,
ქრებოდა ყველა შთაბეჭდილება...
შენი ერთი იყავ, სხვანი ათასნი,
და შურდა, შურდა სულყველას შენი...
რომ პოეზიით ავავსე თასი,
და სხვებს კი არა, შენ მოგიძღვენი...

გეძახდი

გეძახდი, ნეტა, გესმოდა ჩემი?
თუ სხვისკენ გქონდა მთლად გულისყური?
შენ ჩემთან რჩები, შენ ჩემთან რჩები...
დაუსრულებელ შენს როლს ასრულებ...
არც მე ვცვლი როლებს, იგივედ ვრჩები...
მე ამ წყვდიადში სინათლეს ვეძებ...
თუკი ვპოულობ ფრთხილად ვეხები,
მის გამჭვირვალე და მყიფე კედლებს...
როგორ ახერხებ ღიმილთან ერთად,
რომ სიყვარულიც ჩადო მზერაში...
შენ ჯადოსნური სინაზე შეგრჩა,
სინატიფეა კვლავ მანერაში...
დავყურებ მშვიდად შენს ბროლის თითებს,
ბეჭდებს მძივივით ლამაზად ასხმულს...
ამ ახალ წელსაც შენით დავიწყებ,

შენით დავლოცავ ძველის დასასრულს...
და თუ მომავლის კარნავალებში,
მათამაშებენ ისევ დე გრიეს,
გასხლტა მანონი მწვანე თვალებში,
და დაისის მკრთალ ცას შეერიე...

ვერ ჩავეტიე ამ ჩარჩოებში

მომაწყვეტინებ აკრძალულ ნაყოფს?
უარი რომც თქვა, არსად არ წავალ...
ან კი მიხვდები თუ როგორ გნატრობ,
რა ყოფით ვწრუპავ ამ ჩემ სამსალას...
ახლა ღამეა, როგორც ყოველთვის,
როგორც ყოველთვის, მე არა მძინავს...
ვერ ჩავეტიე ამ ჩარჩოებში,
და დღემდე ვცდილობ თავის განწირვას...
თუმცა, ვინ იცის, ვის რა ბედი აქვს,
ვის ჩამოკაწრავს ბრჭყალი ლომისა,
მეც მქონდა ერთ დროს ჟინი ზღვებისა,
ჟინი ომისა, ჟინი ბრძოლისა...
ახლა კი მკვახე ნაყოფით ვტკბები...
როგორც რაინდი მოხეტიალე...
დავკეცე ჩემი დაღლილი ფრთები,
და ვცლი ზედიზედ შხამის ფიალებს...

საკუთარ სხეულს

შენ მაინც, ალბათ, არ შეგშურდება,
გადარჩენილი ჩემი ბედისა,
რომ რექვიემი თუკი სრულდება,
დგება წუთებიც მივიწყებისა...
მეც, როგორც ყველა. მეც, როგორც ყველა,
საკუთარ სხეულს ვუძღვნი რექვიემს...
და თუკი მიდის სულ სხვა ოპერა,
როგორც ჩანს, პირველს გადავეჩვიე...
გამომიწოდე, გამომიწოდე,
შენი ხელები მინდა დავეყრდნო...
მე ათასობით ეშმაკებს ვძლიე,
ვერ მოვიცლიდი შენს საალერსოდ...
ძნელი ყოფილა ტახტის დათმობა,
და მე არც ვიცი სად დავესახლო,
ყველაზე სწრაფად გადის ბავშვობა,
და მეც არ მინდა რომ დაგენახო...

ისე გავიდა

ისე გავიდა ეს ერთი წელიც,
ვერ მოვიცალე სიხარულისთვის...
სულ ტყუილია, როგორ მიშველი,
როცა ძარღვებში დედდება სისხლი...
ასე მგონია მეორედ გავჩნდი,
რომ მიცოცხლია, თითქოს, ოდესღაც,
რომ ვიმეორებ დღეს ადრე განცდილს,
რომ ოცნებანი რჩება ოცნებად...
მე არასოდეს ვიყავ დამყოლი,

არ ვასრულებდი მეფეთა ნებას...
აცივდა, ისევ მოვიდა თოვლი,
თენდება დილა და ღამე კვდება...

გილოცავთ დამდეგს

ნეტა, გველგესლას წელია?
თუ უშხამებო გველის?
ან განსხვავება ბევრია,
გველი გვიკბენს თუ მგელი?
ან საით წავა ქვეყანა,
რომელ მწვერვალზე ავა...
გველი იქცევა მერცხალად,
თუ კვლავ სოროში ჩავა...
ნეტა, რას დაგვაბედებენ,
ჩვენი ბედობის დღენი...
ან ისევ თუ იგველებენ,
ჩვენნი მოსისხლე მტერნი...
ვიყოთ მომავლის იმედით,
და გამარჯვებაც გვწამდეს...
წლები ბრუნდება დიდების
და მეც გილოცავთ დამდეგს!!!

ან დაგვიბრუნდნენ ანგელოზები

დღე თუ ჩაქრება, შენ გააბრწყინე,
შენ გააბრწყინე, ღამის წყვდიადი...
გაჩნდი? მზეს ნაღდად გული ატკინე,
რადგან წაართვი მას განთიადი...
ჩემთვის ყველა დღე შენით იწყება,
რომ სილამაზემ მკვებოს მთელი დღე...
შენ თუ ჩემთან ხარ, მე მავიწყდება,
ყველა ტკივილი რაც კი შევიგრძნე...
ასე მგონია დროს გაასწარი,
მოგდევს და დროც კი ვეღარ გეწევა...
ცაზე გაბაცდა ყველა ვარსკვლავი
მე კი, უბრალოდ, ამის შემსწრე ვარ...
შენ ამობრწყინდი და სხივებს აფრქვევ,
მზეს გადაარქვეს თურმე სახელი...
რადგან ახალი შენი შეარქვეს...
გთხოვ, შეიბრალო, ნუ ენახვები...
გიცქერი, როგორც სანთელს, კელაპტარს,
ჰყვავიხარ, როგორც ატმის ყლორტები...
ერთს კი გეტყოდი, ეს ან შენა ხარ,
ან დაგვიბრუნდნენ ანგელოზები!!!

ვიცი, არა ვარ შენი რჩეული...

ბედნიერების კარი შევაღე,
და რომ არ დამხვდი ისე მეწყინა,
როგორ მინდოდა რომ დამენახე,
მაგრამ ჩემი გზა კვლავ დამეწყრილა...
მაინც რად ვეძებ შენში სიყვარულს,
ვიცი, არა ვარ შენი რჩეული...
შენ იქნებ პრინცსაც კი ეძებ ზღაპრულს,

მის მასპინძლობას ხარ მიჩვეული...
მართლაც, ვინ იცის, ვისთვის გააღებ,
კარს, მე რომ ასე მსურდა შემეღო...
შენს ულამაზეს ედემის ბაღებს,
მე რომ ვტკეპნიდი წელს უშედეგოდ...

მას

მას, ვისაც მინდა რომ მივულოცო,
არ ვიცი, ელის ჩემგან თუ არა...
მე სიყვარულის ვუგზავნი კოცონს,
რომ დაწვას მისი ვნებების ალმა...
მე თუკი ვუძლებ, მანაც გაუძლოს,
ამ მოზღვავებულ ბედნიერებას...
სულმა გრძნობები რომ დააგუბოს,
და გადმოხეთქოს მერე ფერებად...
მეც ერთი ლოთი ქარიშხალი ვარ,
მთვრალი მაგ შენი მჭრელი თვალებით...
ჩემს ხომალდს ზღვაში მაინც გავიყვან,
გეყვარები თუ არ გეყვარები...
და როცა ზღვებსაც მზის ხვატი დაწვავს,
და მეც მირაჟი შენი გადამღლის,
შენს ტანს მე მკერდზე გადავიხატავ,
და სიყვარულის ტყვიას დავახლი!!!

ნუ ფრთხები

თანდათან, მართლაც, თანდათან უფრო,
კარგად ვგრძნობ, შენს თავს რომ წამართმევენ...
როგორ მოვიქცე, უნდა დავუთმო?
და შუბლში ტყვია მივირტყა, მერე?
რა დავაშავე, შენს გაჩენაში,
დემონის ხელი თუ ურევია...
მე არ ვყოფილვარ რჩევა–რჩევაში,
და არც, უბრალოდ, შენი ჯერია...
მეპატიება, არ მაქვს პასუხი,
როდესაც შენზე მეკითხებიან...
როგორ ავუხსნა, ვინ ვარ, რას ვუცდი,
ან პოეტები როგორ კვდებიან...
მეც საიდუმლოს ჩემსას ვატარებ,
როგორც ფოლადის ბებუთს ჯიბეში...
ვინც უნდა იყოს ვერ გავაკარებ,
ან როგორ გავხსნი ამ ნადირებში...
ნუ ფრთხები, ისე, როგორც ფრთხებიან,
ირმები ვეფხვებს გადაყრილები...
ასე რომ ბზინავს შენი თმებია
თუ თავთუხები ცად აჭრილები...
და თუნდ ათასი წელიც გავიდეს,
დაშრნენ წყარონი, დარჩნენ ქვიშანი,
ჩემს საიდუმლოს მე თან წავიღებ,
მას ვერ ამოხსნის ვერა მისანი...

არა ღირს ფიქრი

ორი წუთიც და გავა ბედობა,

არა ღირს ფიქრი, რა დამებედა...
რაც დღემდე ვნახე ისიც მეყოფა,
სადღაა ძველი სულისკვეთება...
როცა საჭირო იყო ვიბრძოდი,
არ დამიჟანგავს ჩემი ფრანგული...
იმ დღეებს უკვე ვუთხარ მშვიდობით,
რა სისწრაფით სცვლის აწმყოს წარსული...
და არც ვაპირებ, როგორც მჩვევია,
ვინმეს რამეში ჩავეზიარო...
მე ეკლიანი გზა მირჩევია,
დე ხალიჩებზე სხვებმა იარონ!!!

ჩემი ფორტუნა

ჩემი მერანი ოცნებებს გასცდა,
ვიცოდე, მაინც, სად მივაჭენებთ?
და ვინც არ უნდა ამიგდოს მასხრად,
მტრების ჯინაზე, არ შევაჩერებ!
არ მჯერა თუკი დეკორაციას,
სცვლიან და ტექსტი რჩება უცვლელი...
ჩემი ფორტუნა ბევრად მკაცრია,
მკვლელი, ჯალათი და შემმუსვრელი...
მე აქ სიკვდილი, მართლაც, არ მინდა.
არ მსურს საფლავზე თავი იტკიონ...
მე, ალბათ, გავჩნდი იმ ვარსკვლავიდან,
ცაზე რომ ავსებს უკვე ტრილიონს...
და მას, რაც დღემდე ჩუმად ვაკეთე,
რასაც ვრგავდი და რასაც ვთესავდი...
ოდესმე ღმერთი გააასკეცებს,
გამოაბრწყინებს, მჯერა, მზესავით!!!

ამ ღამეს ისევ ცაში გავათევ

ამ ღამეს ისევ ცაში გავათევ,
ყველაზე ლამაზ ვარსკვლავთა შორის...
მჯერა, სამყაროს რომ გადავარჩენ,
მჯერა ღმერთების და ჩემი ბრძოლის!
შენ ნუ დანიშნავ ცასთან პაემანს,
აქ ქარიშხლები ჯერაც დაძრწიან...
ხელიდან მგლეჯენ მეც უკვდავებას,
და დასცინიან ჩემს ფანტაზიას...
სასაცილოა, როგორ იყოფენ,
ალაფს, რომელიც ღმერთებს გასტაცეს...
თითქოს ლაშქრები ცაში მიჰქროდნენ,
არ აქვს საზღვრები მათს სიავკაცეს...
არ გააჩნიათ ბედნიერების,
ბედნიერების შეგრძნების ნიჭი...
დაეცემიან მიწას ყვედრებით
და მიწაც იწყებს კვნესას და ჭრიჭინს...
ვინ ვარ, უბრალო გამშველებელი,
თუ მაკისრია რამე მისია?
შავი ღამეა ჩემი მხლებელი
და ქარიშხლები ჩემი სისხლია...
მე ვარსკვლავებით ზეცას ვანათებ,
ეს მე მოვტაცე ღმერთს მნათობები...

ნუ მიღალატებ, ნუ მიღალატებ,
თუ ცას შევაკვდი და ვერ მოვედი...

მიჭირს სიმართლის სიმართლედ აღქმა

ვუყურებ ფილმებს, ვკითხულობ წიგნებს,
ხელს ვაფათურებ თითქოს სხვის სულში...
ან რეალობას მთლად მოვწყდი იქნებ,
და ჩემ ბედს იქნებ ნერვებსაც ვუშლი...
სხვებს ვეჯიბრები და როგორც ვატყობ,
ომი მაქვს სწორედ საკუთარ თავთან...
თან წაგებული ზნეობის პატრონს,
მიჭირს სიმართლის სიმართლედ აღქმა...
ხან ვეღარც ვარჩევ ბნელსა და ნათელს,
და ბევრ რამეზე თვალებსაც ვხუჭავ,
კითხვებს მწვადივით შამფურზე ვაგებ,
მერე ვზივარ და პასუხებს ვყლურწავ...
ვით ზღვის ტალღები, ჩემს წინ სამყარო
ვხედავ, თავს ირთობს მიქცევ–მოქცევით...
ნეტა, ვიცოდე, ამდენს რად ვწვალობ,
თავს რას ვიტყუებ შენზე ოცნებით...

სიყვარული

ვინ მოგაყენა გულზე ჭრილობა,
ასე უმწეოს, ასე საოცარს...
ჰო, მოდაშია დღეს გულგრილობა,
ჰოდა, ვინ იცის, ყელიც გამოგჭრას...
ვხუმრობ, შენც იცი, თუმც ხუმრობაში,
არის სიმართლის დიდი პროცენტი...
ჩემთან, რომ იყო ახლა ოთახში,
მაგ დაჭრილ მკერდზე მე გაკოცებდი...

ჰიპოთეზა

ვინა მართავს სამყაროს,
ღმერთი? არა მგონია...
მაშინ, რატომ არ გვწყალობს,
ვინ ჰქმნის ამ ჰარმონიას?
ფარდის იქით ვინა დგას,
ქრისტე? მეფისტოფელი?
ვინ გვიცხადებს წინასწარ,
ვინ ვართ და რა მოგველის!!!
ან რატომ ვართ დღედაღამ
ამ ომებში ჩართული...
ჩვენი სისხლით ვერ გაძღა,
დიახ, მიწა ქართული...
ჩვენი სული ცთუნების,
გამწყდარ ძაფზე ჰკიდია...
ვავსებთ ნაგვის ურნებით
და ვერ გაგვიფილტრია...
მართლაც, გვმართავს სატანა,
ორი აზრი არ არი...
ღმერთი გადაგვაყვარა,
ზედმეტია ბაზარი...

მეც ყინული ვარ

ნეტა, რა არის ყინულოვან კლდეთა ბუნება,
ალბათ, ის, რომ მზე არასოდეს არ ეკარებათ...
მათ, ზოგჯერ, სევდის გრიგალები ეჩურჩულებათ,
და არ ელიან არასოდეს გამოდარებას...
ჩვენ კი სულ ველით, წარამარა ზეცას გავცქერით,
რატომ შეგვარქვეს, ვინ ამიხსნის, ნეტა, მზის შვილნი?
თუკი მოგვპარეს ნიჭი რწმენის და აღტაცების,
განსხვავდებიან ჩვენგან რამით სიკვდილმისჯილნი?
მეც ყინული ვარ, მარადიულ მდუმარებაში,
ყოველწამიერ მეჯახება აისბერგები...
და სევდის გამო, განრისხებულ ზღვათა ღელვაში,
გამწარებული ჩემთა მსგავსთა მკერდებს ვეხლები...
მაინც არ მშველის, სულს ვერაფრით ვეღარ ვიოკებ,
ყინულის მთები სხეულიდან როცა მწყდებიან...
თითქოს, ალავერდს გრიგალებთან გადავდიოდე,
და ამის გამო, ქარიშხლები გულზე სკდებიან!

ის მიდის, მიდის...

ის მიდის, მიდის, რაღაც ეწევა,
და მალე, ალბათ, მარტოს დამტოვებს...
ჰო, მიმატოვებს ის უეჭველად,
არ დაბრუნდება აღარასოდეს...
მიდის და მიაქვს ყველა დღეები,
ერთ დროს ტკბილი და ნასათუთები...
და მრჩება ხსოვნა ვით თონეების,
კედლებს აკრული ცხელი ტუჩები...
ახლა მეც სევდის თანამგზავრი ვარ,
და საკუთარ თავს ვებაასები...
როგორ გადავრჩი შენი ხანძრისგან,
რომ არც მეგონა გამოვასწრებდი...
მიდიხარ, ალბათ, გული არ გწყდება,
გამარჯვებული სარდლის იერით...
სიყვარული კი, ისევ მარცხდება,
ერთ დროს ამაყი და ბედნიერი...

ნუ მეტყვი არას

მე მოვალ შენთან ოქროს კარეტით
და ულამაზეს ვარდებს მოგიტან...
ვიცი, ისედაც შემიყვარებდი,
ჰო, თუნდაც, თუნდაც ამ სიშორიდან...
მე ხომ ვულკანის ცხელი ლავა ვარ
და კრატერიდან შენსკენ ვეშვები...
არ გავვქვავდები შენს უნახავად,
მაგრამ შენც დაგწვავ თუ შემეხები...
არ დაიჯერებ, მაგრამ, მიყვარდი,
მიყვარდი, ალბათ, დაბადებიდან...
შენ ულამაზეს ჰყვავილსა ჰგავდი,
მოწყვეტილს თეთრი მწვერვალებიდან...
მე კი ვით ჯიქი, უფსკრულთან მდგარი,
გიცდიდი როდის გაიშლებოდი,

და შენი ნაზი სურნელით მთვრალი,
ლოლუებივით მზეზე ვდნებოდი...
იქნებ, არც უნდა ვამბობდე ამას
და დამშრალი ზღვის ფსკერზე ვბანაობ...
დაუფიქრებლად ნუ მეტყვი არას,
ნუ მეტყვი, თითქოს, დავშვრი ამაოდ...

რა აღმოჩნდება

ერთი შეხედვით, ერთი დანახვით,
რა ხდება, როცა არ გაგეგება...
თითქოს ანთებულ ზღვაში გადახტი,
და გიღალატეს იმ წამს ხელებმა...
ცდილობ როგორმე გამოაღწიო,
ის კი თანდათან უფრო გედება,
ვეღარც ვეფხვობ და ვეღარც არწივობ,
სული ფრთხება და თვალი ფეთდება...
სასაცილოა, მაგრამ არ იცი,
გაიცინო თუ არ გაიცინო...
რა ჯანდაბაა, ასეთ ქალისთვის,
რომ აღმა–დაღმა გინდა ირბინო...
სახე პატარა, ტანი არც იცი,
ააქვს თუ არა, უნდა იბწკინო...
ალბათ, უბრალოდ ნერვებს აიშლი,
ვერც იმას ხვდები რაზე ჯიჯღინობ...
რამ შემაყვარა, ერთი დანახვით,
სხვას დავცინოდი მთელი ცხოვრება...
არ ვარ ამ გრძნობის ავანჩავანში,
მაინტერესებს, რა აღმოჩნდება...

როგორ დავცილდით

როგორ დავცილდით, ასე მგონია,
არც მყვარებიხარ და არც გიცნობდი...
ამოვისუნთქე ეს წამებია,
აზრიც გამიჩნდა მგონი სიცოცხლის...
თორემ რა იყო, აღარ მახსოვდა,
დილა, შუადღე, თუნდაც დაისი,
სულ ერთი იყო წვიმდა თუ თოვდა,
დროსაც ვკარგავდი სულ არაფრისთვის...
და არც ის ვიცი, რა მიხაროდა,
ან ამ ქალაქში რას ვაკეთებდი...
წყალს რომ ვერ დალევ სუფთა წყაროდან,
მეგობარს მართალ სიტყვას ვერ ეტყვი...
ვაჭარბებ? მაგრამ, არა მგონია,
ჩემსავით ფიქრობს, ალბათ, რამდენი...
რამდენი ვინმე არა მცნობია,
მინდოდა, მაგრამ გზას ვერ ვაგნებდი...
ან იქნებ, მართლაც, კი არ მიყვარდი,
უბრალოდ გული გადაგაყოლე...
ჰოო, უბრალოდ, იქნებ, დროს ვკლავდი,
თუ ვარსებობდი შენს სიახლოვეს...
ყალბია გრძნობა, მუზაც ყალბია,
არ გიხარია, მზე რომ ამოდის...
ართმევ, შხამსაც კი თუ მოგაწვდიან,

ტირიხარ, მაგრამ ცრემლი არ მოგდის...
ცხოვრება ერთი დიდი სევდაა,
უნაპირო და უკიდეგანო...
მიდიხარ? მართლაც, შენი ნებაა,
არც მაქვს უფლება, შემოგედავო...

თუ კაცს თავის ჩალხანა ჰყავს

სიცოცხლისკენ, სიცოცხლისკენ,
ღმერთმა გზები მასწავლა,
ყველაფერი დავივიწყე,
რაც რამ ცუდს გადამყარა...
დარდის გამო, დროსა ვკარგავ,
თუ ვიცინი, პირიქით...
შენმა ნახვამ გამახარა,
ვთბები შენი ღიმილით...
მერე რა, თუ თოვს და მაწვიმს,
არც ფული მაქვს, მერე რა...
გადამივსე, მოდი, ყანწი,
თუნდა იყოს შენხელა...
მერე რა, თუ ბედი არ მაქვს,
შევეჩვიე, მერე რა...
არ მისრულებ არცერთ ნატვრას,
ნუ მისრულებ, მერე რა...
გადამხვიე მოდი ხელი,
დამავიწყე წარსული,
დღეს რომ იყო ბედნიერი,
უნდა იყო ავსული...
თუ ცხოვრება უკან მიდის,
დაქცეულა, მერე რა?
ქვა ყოფილა, ოქროდ ვთვლიდი,
არც მქონია, მერე რა...
ან გროშებად თუკი მყიდი,
შენ გაკლდება, მე ვერა...
მე ორ ჭიქა ღვინოსა ვსვამ,
შენ ქვევრებს ნთქავ, მერე რა...
მე ამ ორ ყლუპს გემოს ვატან,
შენ კი გული გერევა...
ეგებ, ჩემზე კარგიცა ხარ,
მე რა ვიცი, მერე რა...
თუ კაცს თავის ჩალხანა ჰყავს,
ბედი ვერ მოერევა!!!

ჭიშკარს გარეთ გოგო მიცდის,

მკერდზე თეთრი მთვარე მიზის,
ხელის გულზე ვარსკვლავები...
ჭიშკარს გარეთ გოგო მიცდის,
ქარვისფერი ნაწნავებით...
გოგოს ჩემი იმედი აქვს,
მე კი ყველა მიმოვფანტე...
სულ არ მინდა, სულ არ მინდა,
რომ ამ გოგოს შევუყვარდე...
მას კი, იქნებ, რა ესიზმრა,
ან მომავალს როგორ ხატავს...

მე რომ სულ სხვა აზრები მაქვს,
ვერ მიხვდება, ალბათ, ამას...
რას მიხვდება, რას მიხვდება,
სული თუ რა აჭრილია...
ანდა, გული რად მიკვდება,
გული ლამის აჩრდილია...
მკერდზე თეთრი მთვარე მიზის,
ხელის გულზე ვარსკვლავები,
გოგო ისევ ისე იცდის,
მე კი გარეთ არ გავედი...

ავივსე შენით

ავივსე შენით და გადმოვდინდი,
ავივსე შენით, როგორც ყანწები...
როგორ დამღალე ამდენ ლოდინით,
კლდიდან ვვარდები და ვენარცხები...
მაგრამ იქამდე, სანამ ფრენაში,
ვიყავ და სული კბილით მეჭირა...
მე დავინახე, იცი, ზეცაში,
ჩემი სიკვდილი როგორ გეწყინა...
მე დავინახე, როგორ მორბოდი,
კი არ მორბოდი და მოფრინავდი...
მერე ჩემს გვამთან როგორ მოგროვდით,
როგორ ტიროდი, როგორ გმინავდი...
რა ზღაპრებია, არც მე მოვმკვდარვარ,
შენც, ალბათ, სადმე კარგ დროს ატარებ...
ტვინი წაიღო ამდენ მორალმა,
თავს ლამის უკვე წმინდანს ვადარებ!!!

რატომ გწყინს

მიყვარდი, რატომ მსჯი ამისთვის,
უბრალოდ, მიყვარხარ, გითხარი...
მე, მართლაც, ვინა ხარ არ ვიცი,
ღამე ხარ, დღე ხარ თუ სიზმარი...
მოვშხამე, მოვშხამე ფიქრები,
აკვნობის დღიდან რომ მარწევენ...
მე შენთვის მზე ვეღარ ვიქნები,
შენ ჩემთვის კი მთვარე ასევე!
ამ ქალებს რატომ გწყინთ არ მესმის,
რა მოხდა, უბრალოდ, მიყვარდე...
არ მინდა მე შენი ალერსი,
მიყვარხარ, თავს გიხრი მიწამდე...
არ გჯერა, ტუჩებზე გეტყობა,
თვალებზეც, გვერდზე რომ გაგირბის...
დღეს ჩემზე ამური ერთობა,
და ისიც სიყვარულს აგიხსნის...

ოცნება

შემოდგომა არა, გაზაფხული მინდა,
მინდა სადმე ბაღში შენთვის იებს ვრგავდე...
მე მოვიყვან მაისს ხვალინდელი დღიდან,
იმედია, ამით მაინც შემიყვარებ...

მაგრამ თურმე უკვე ზამთარია გარეთ,
სულში ხომ, საერთოდ, მუდამ ზამთარია...
აბა, ამ ზამთარში როგორ შემიყვარებ,
როცა ყველგან ყინვას გააქვს რია–რია...
ვითომ ჩიტები ვართ, შეგიფარებ ფრთის ქვეშ,
დავსხდეთ სადმე ყლორტზე, ორივენი ფრთხილად,
მოვუსმინოთ დილის მობულბულე მგოსნებს,
თან ვუცქიროთ ყინვა სარკმლებს როგორ ჭირხლავს...

ყვავილის ნამი ხარ

წახვალ და მოგდევენ თან ჩემი ფიქრები,
უშენოდ დარჩენა რა ძნელი ყოფილა...
მიყვარხარ, მიყვარხარ და გთხოვ ნუ მიწყრები,
შენი ვარ, შენი ვარ და შენსკენ მოვფრინავ...
არ იცი, არ იცი, შენ ჩემთვის ვინა ხარ?
ყვავილის ნამი ხარ და ლურჯი ცისკარი...
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ...
დღეს მგონი დილიდან ათასჯერ გითხარი...
არა ვარ პეპელა, არც ფრთები არა მაქვს,
და მაინც ცაში ვარ, როცა შენ გნახულობ...
მივყვები, მივყვები, ფიქრების ქარავანს,
და ღრუბელს უზადოს, ცაზე რომ ქალწულობს...
ამ ველებს ათასი მზისფერი ყვავილი
სხეულზე მაისის ჭორფლივით აყრია...
არ მინდა, არ მინდა ქარის მოტანილი,
ქარის მოტანილი არც კოცნა არ მინდა...

მელანქოლია

აღარ დავეძებ, აღარ დავეძებ,
ვითომ სახლკარი სულ არ მქონია,
რომ ცხელი კოცნით შენს მკრთალ ბაგეზე
წავშალო ღამის მელანქოლია.
მარტოს ნუ მტოვებ, მარტოს ნუ მტოვებ,
ნუ მიბრაზდები, ნუ მიბრაზდები,
გადმოვსახლდები შენს სიახლოვეს,
შენს სიახლოვეს გადმოვსახლდები.
ან მზედ ვიქცევი, შენთვის ამოვალ,
და სადაც წახვალ გზებს გაგინათებ,
მე შენი ყველა სიტყვა მატკბობდა,
ბედნიერებაც შენგან ვისწავლე...
არ მავიწყდები, არ მავიწყდები,
დროს ზღაპარივით ჩაუქროლია,
გაგიხსენებენ ჩემი სიზმრები,
ღამე და თეთრი მელანქოლია.

ქრისტეშობა

გაიხსნა ზეცის ცხრა კარი,
გადმოეფინა წყალობა...
ზეცაზე რკალად დამსხდარი,
ცხრა ანგელოზი გალობდა...
ღმერთო, იდიდე, იდიდე,
ქვეყანას მტერი აცილე...

მიეც სიკეთე, სიმდიდრე,
თანაბრად გაუნაწილე...
რომ ზღვიდან დარიალამდე,
ცით იღვრებოდეს ნათელი...
ხარობდეს, როგორც აქამდე,
მარად ხარობდა ქართველი!!!

ლოცვა

იყოს დღე სიყვარულისა,
იყოს დღე მხოლოდ ფერების...
კაცს რომ მოუკლავს წყურვილს და
სავსეა ბედნიერებით...
რა უნდა მეთქვა ლოცვისას
ხელში ანთებულ კელაპტრით,
განა არსებობს ორი გზა,
მხოლოდ ერთია ღმერთამდი...
რას ვინატრებდი ან განა
თუკი მამულიც ერთია,
თუკი ეს ჩემი ქვეყანაც
ჩემი ნამდვილი ღმერთია...
რას ვინატრებდი, რას მოვთხოვ,
თუკი სურს, რომ გამეხარა?
მიცოცხლოს ჩემი სამშობლო,
ჩემი ლამაზი ქვეყანა!!!

ნუ დამპირდები

ნუ დამპირდები, რომ მალე მნახავ,
საკუთარ თავსაც ვეღარ ვუჯერებ...
გრძნობანი გულში რომ ჩამემარხა,
ზედიზედ ვცლიდი სავსე ფუჟერებს...
ჩუმად ვატარე რამდენი ტკენა,
რამდენი წყენა ამოვირეცხე...
ბევრჯერ მომშხამა შენმა სიტყვებმა,
და ბევრი სიტკბოც ამომიცეცხლე...
რას ვიზამ, ალბათ, მაინც ეს იყო,
მაინც ეს იყო ორივეს ბედი...
თითქოს სანთლები ანთებულიყო,
და ჩვენც ვიწვოდით სანთლების გვერდით...
რას გაიხსენებ, რას გაიხსენებ,
როცა მოგიწევს ცოდვათა ახსნა...
ღმერთის წინაშე ვერ იპირფერებ,
ჰოდა, ზეცაშიც ცოდვებით ახვალ...

ასე არ უყვართ

ასე არ უყვართ, ასე არ უყვართ,
ალბათ, როგორც მე, შენ, შემიყვარდი...
არც მიყვარხარო, ასე არ უთქვამთ,
ასე გულწრფელად, ასე სინაზით...
მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სხვას ეტრფი,
როგორ დავიწყო მაგის ძიება,
მაინც ნუ მეტყვი, მაინც ნუ მეტყვი,
შენ, ვგრძნობ, ღალატიც გეპატიება...

რადგან, ძვირფასო, მე შენს თვალებში,
ჩვენს მონანიე სამყაროს ვხედავ...
რომ ყველგან, ყველგან, კულუარებში,
მოჭორიკანო ყვავები სხედან...

რაზე მღერის ეს ქალწული

რაზე მღერის ეს ქალწული
იადონის უტკბეს ხმაზე...
იქნებ დგება გაზაფხული
და, უბრალოდ, მე ვერ ვამჩნევ...
ნეტა, თვალი ამიხილოს,
ნეტა, ახლოს არის ვინმე?
ამ ბავშვმა რომ გამიღიმოს,
რაც რამე მაქვს, სულ მას მივცემ...
მაგრამ რა მაქვს, რომ არც ვიცი,
რად წამომცდა ეს სიტყვები...
ის კი მღერის, ალბათ, სხვისთვის,
მე, უბრალოდ, მისით ვტკბები...
ვტკბები, როგორც ბავშვი ტკბება,
ნაყინით ან ტკბილი წყალით...
თან ბავშვობა მენატრება,
ის დღეები საოცარი...
ვენდობოდი როცა გულით
ჩემს გარშემო რაც ხდებოდა...
დაასრულებს ეს ქალწული,
მე კი როგორ არ მეთმობა...

ჯოჯოხეთის სილამაზე

მეც, როგორც სხვა, ვინც წერს ბევრი,
ვინც თეთრ ფურცლებს სიტყვით ავსებს,
ვფიქრობ რაა ჩვენი ხვედრი,
ჯოჯოხეთის სილამაზე?
არ არსებობს, არ არსებობს,
სხვა ქვეყანა ჩემის მსგავსი...
მე აქ გავჩნდი საარსებოდ,
ამ ედემში, ამ იგავში...
მაგრამ თუკი ჯოჯოხეთი
მახსენდება ასე ხშირად,
ალბათ, მისთვის, რომ შორს მთებში,
ალებსა და ჭინკებს სძინავთ...
ხანმოკლეა მათი ძილი,
იღვიძებენ, მრავლდებიან,
ჩამოდიან და ქირქილით,
ჩვენს სულებში სახლდებიან...
ამიტომაც სულ არ მიკვირს,
ჯოჯოხეთის სილამაზის...
რომ სამოთხეს ჩემი მიწის,
ხშირად სისხლის ცრემლი დასდის...

კი შეგხვდებოდი...

შენ არ მცილდები, შენ, ეგებ, მართლაც,
გიყვარვარ ქვეყნად ყველაზე მეტად,

ნუ მომექცევი სხვებივით მკაცრად,
მე ცეცხლი ვარ და ვიქცევი ფერფლად...
ვეცადე, მაგრამ მე ამ დროებას,
ფეხი ვერაფრით ვერ ავაყოლე,
ვიცი, ინახავ შენს სათნოებას,
როგორც ცივ სიოს ბაღში ნათრთოლებს...
ვიცი, გწყურია ჩემთან შეხვედრა,
კი, შეგხვდებოდი, თუნდ, საღამოხანს,
მაგრამ, როგორც ჩანს, მეც დამებედა,
მეც დამებედა უნახავობა...
რატომ ჩქარობენ, რატომ ჩქარობენ,
ხშირად შეხვედრებს ასე ქალები...
ალბათ, ყველაზე ეჭვიანობენ,
ალბათ, ყველა ჰყავთ სანახავები...
ან, იქნებ, ვცდები, ასე არაა,
და, შენ, სულ სხვასთან მიგეჩქარება...
წავალ ჩემ გზაზე, სხვა რა ჩარაა,
გადაყრილი დრო მეც მენანება!!!

ფიფქი ეს ზეცის საჩუქარია

ჩამოაფარა ფიფქებმა ჩემ სულს,
თოვლის ქათქათა თეთრი ფარდები...
სანამ ავივლი ყველა საფეხურს,
მეც, ალბათ, თოვლში ჩავინამქრები...
ფიფქი ეს ზეცის საჩუქარია,
რომ სული გახდეს ბევრად სპეტაკი...
თოვს, ალბათ, ზეცას თუ უხარია,
ზეცა ახლოა აღტაცებამდი...
თეთრია მთები, თეთრია მიწა,
და დილაც ისე თეთრად თენდება,
თითქოს ანგელოზს ვხედავდე სიზმრად,
მალე სიზმრებიც გადათეთრდება...
ასე მგონია, თითქოს, თან მოაქვთ,
თოვლის ფანტელებს ზეცის ამბები...
თოვლის გამოა, თოვლის გამოა,
ამწუთას ასე რომ მენატრები...
ნაძვები თოვლით თავს იწონებენ,
ქალწულებივით დგანან ნაძვები...
იცი, ფიფქებში მაინც მოგძებნე,
შენც ფიფქი ხარ და ხელზე მადნები...

რაფსოდია

ვუყურებ, თოვლში როგორ იცვლიან,
როგორ იცვლიან გუნებას მთები...
თითქოს ფიქრებით ცისკენ ილტვიან,
და მიფრინავენ თოვლიან ფრთებით...
ცა აღარა ჩანს, ცვივა ფიფქები,
და თითქოს სულის სიმებს ატოკებს...
და მეც ისეთი სევდით ვივსები,
თითქოს ვიცვამდე თოვლის სამოსელს...
მე ისევ ვრჩები თოვლის ამარა,
თითქოს ყველაფერს თოვლში მიცვლიან...
თოვს, სულიც ჩემი თოვლმა დაფარა,

სული, რომელიც ვეღარ მიცვნია...
და სიჩუმეში, ვით ზვავი მთებში,
როგორც ღამეში მეხის გავარდნა...
ჩერდება გული და სისხლით ხელში,
მიჭირავს, როგორც ჭიქა თამადას...

არ დამითმო

დაეკიდა მთვარე ცაზე,
თითქოს ძაფზე დაეკიდა...
მეც ოდისევსს დავემსგავსე,
შენი ნახვა არ მეღირსა...
სად არ ვიყავ, სად არ ვუნთე,
ხატებს ცვილის კელაპტრები,
გული ისე გადავთუთქე,
როგორც ტაძრებს სწვავდნენ მტრები...
ცხრა მთისა და ცხრა ზღვის სივრცეს,
ხელმეორედ გადმოვლახავ...
ათას ქალში შენ აგირჩევ,
თუ გიპოვე, თუ მოგნახავ...
არ დამითმო, არ დამითმო,
არ დამითმო არაფერი...
მართლაც, განა რამეს ვითხოვ.
მინდა დავთვრე შენი ცქერით!!!

იყო დრო

იყო დრო, იქნებ, მიყვარდი კიდეც,
არ ვიცი, ეს დრო გახსოვს თუ არა...
მერე, რატომღაც გადაგივიწყე,
როგორც ვივიწყებთ, ალბათ, უთვალავს...
დღესაც ჭრიალებს, დღესაც ჭრიალებს,
ჩემს ყურში შენი მძიმე ჭიშკარი...
იქნებ უხსნიდი სხვა ნაძირალებს,
იქნებ ასწავლე რამე ნიშანი...
ხსოვნის ფურცლებით მკერდი სავსეა,
ეს შენს მკერდზე მაქვს მე ლაპარაკი...
ვეღარ ვპოულობ წლებში მსგავსებას,
ესაა ჩემი იგავ–არაკი...
წაველ, გავქრი და შენც ბედს დანებდი,
წლები არავის არ იბრალებენ...
ვალივით შეგრჩა ჩემი თვალები,
უკანასკნელად თვალს რომ გავლებდნენ...
თუ სურვილი გაქვს, მე გიკარნახებ,
რა გზას დაადგე ამიერიდან...
თუ დამშრალ ტბაში ეძებ კალმახებს,
მაშინ, შენ, ღმერთიც ვერ გიშველიდა!

იყო დრო

იყო დრო, იქნებ, მიყვარდი კიდეც,
არ ვიცი, ეს დრო გახსოვს თუ არა...
მერე, რატომღაც გადაგივიწყე,
როგორც ვივიწყებთ, ალბათ, უთვალავს...
დღესაც ჭრიალებს, დღესაც ჭრიალებს,

ჩემს ყურში შენი მძიმე ჭიშკარი...
იქნებ უხსნიდი სხვა ნაძირალებს,
იქნებ ასწავლე რამე ნიშანი...
ხსოვნის ფურცლებით მკერდი სავსეა,
ეს შენს მკერდზე მაქვს მე ლაპარაკი...
ვეღარ ვპოულობ წლებში მსგავსებას,
ესაა ჩემი იგავ–არაკი...
წაველ, გავქრი და შენც ბედს დანებდი,
წლები არავის არ იბრალებენ...
ვალივით შეგრჩა ჩემი თვალები,
უკანასკნელად თვალს რომ გავლებდნენ...
თუ სურვილი გაქვს, მე გიკარნახებ,
რა გზას დაადგე ამიერიდან...
თუ დამშრალ ტბაში ეძებ კალმახებს,
მაშინ, შენ, ღმერთიც ვერ გიშველიდა!

მეტი რა უნდა, უკვდავია. ამ პასუხმა ფიროსმანი გამახსენა.

ამ ქვეყნად ჩნდება და შემდეგ, ალბათ,
თავის მსგავსს ეძებს ყველა სულდგმული...
აქ, ხშირად ყველა ერთმანეთს ძარცვავს,
ან ერთმანეთს ჭამს თავჩაღუნული...
ჰო, ასეთია მგლური კანონი,
შენ თუ არ მოკალ, სხვები მოგკლავენ...
ასე ჩნდებიან უსახლკარონი,
ლუკმაპურისთვის რომ დაბობღავენ...
ვინმემ მითხარით, ჰო, სულ ესაა?
თუ ყველაფერი შავად დავხატე?
ან, მართლაც, ღმერთი ვის მხარესაა,
ერთს ამდიდრებს და სხვებს აპარტახებს...
ყველაზე ბოლოს, ყველაზე ბოლოს,
წაგებას, ალბათ, სული ნებდება...
ასეა, ზოგი კიბის ქვეშ ცხოვრობს,
მისთვის ღმერთს მხოლოდ ეს ემეტება...

შავი თმები

შავი თმები, შენ რომ გქონდა,
შენ რომ ყელზე გეხვია,
არ მახსოვდა, არ მახსოვდა,
დამევიწყა მერჩია...
მითუმეტეს, ისე გარბის,
წუთის ყველა წამები...
თურმე შენი თმებით მკლავდი,
თურმე არ მიბრალებდი...
მომწონხარ თუ არ მომწონხარ,
შენთვის თუკი ერთია,
რას შემიჩნდი ამ ბოლოხანს,
ასეთ გიჟს და ფეთიანს...
შენს ყელზე რომ ძარღვი თრთოდა,
დაჭიმული სიმივით,
არც ის ძარღვი არ მახსოვდა,
დამავიწყდა, პირიქით...
ყველაფერი როგორ ერთად,
ბედმა მომიპირქვავა...

არც ის მახსოვს თუ რა მერქვა,
არც რამდენი წლისა ვარ...

ვხედავ

ვხედავ, შენი ორი თვალი
ზეცას მიგილურსმია,
თუ ატყვია ზეცას კვალი,
ჩემი რაშის ქუსლია...
ან ჭიხვინი თუ მოგესმა,
დაიკლაკნა ღრუბლები...
მე მივფრინავ რაშთან ერთად,
ღმერთებს ვესაუბრები...
მე ვერ გეტყვი, საით მიქრის,
ჩემი ბედის მერანი...
ტყვიას ჩემსკენ რატომ ისვრის,
მოშხამული მდევარი...
აქ ზეციურ უფსკრულებში,
სადაც მარად ნისლია,
მგელი ღმუის ქარის მკერდში,
ჯანღნი ფაფარს იშლიან...
მეხი ზეცას აზანზარებს,
რაშს გაუდის თქერანი...
მოსდევს, მოსდევს ჩემს ნაკვალევს,
ჩემი ბედისწერანი...
აქ სიკვდილიც უკან იხევს,
მთები მთებს ეჯახება...
ცა გულიდან ამოიღებს,
ქარიშხლების ნახევარს...
ხედავ, ისევ ატყდა ომი,
გაჩნდა სისხლის ღრმულები...
შენ თვალები გქონდა მგონი,
ზეცას მილურსმულები...

განსჯა

მიწას გვართმევენ ეს ბილწები, არ დავანებოთ,
მიწას გვართმევენ არა ბრძოლით, თვითონ ჰყიდიან...
ულამაზესი, უტურფესი ჩვენი სამეფო,
ახლა გაწეწილ–გაჯლეჯილ და გაფლეთილია...
უნდა წამოდგეს, ერი–ბერი, ვით ქუდზე კაცი,
კმარა ლაჩრობა, კმარა სხვათა ყურისგდებანი...
არ გვაპატიებს მომავალი თუ ახლაც ავცდით,
იმ გზას, რომელსაც მიუყვება ნათლის მხედარი!
მე მჯერა, ჩვენთვის მზე ჯერ კიდევ ამოიბრწყინებს,
მჯერა, ჯერ კიდევ, რომ ანათებს სვეტი ცხოველი,
რომ დავიბრუნებთ მიწას, მტრებმა მტრებს რომ მიჰყიდეს,
რომ ჩვენ გვეკუთვნის ჩვენი მიწის გოჯი ყოველი!!!

იქნებ ჯერ დროა

სულ ორი ღერძი მართავს სამყაროს...
ერთი ქალია და ერთიც კაცი...
ვინ იცის, ღმერთი სატანას სწყალობს,
დღეს ბევრ კაცს ვხედავ ქალებში გაცვლილს...

და თუკი ვუძლებ შენს მზერას როცა,
დუმილით ლამის შემიძრა ზეცა...
ვაგინებ ჩუმად ამღვრეულ დრო–ჟამს,
გადათენებულს ღამეებს თეთრად...
რა შეგვიძლია მე და შენ ამ დროს
ნუგეშისცემა თუ რჩება მხოლოდ...
გაცივდა გული და ვეღარ ვათბობ,
ჰო, რახანია უგულოდ ვცოცხლობ...
შენ ვერც კი მიხვდი, რომ გაგატანე,
ყველა იმედი რაც რამ გამაჩნდა...
არც ჩამოვარდნილ ციდან ვარსკვლავებს,
აღარ ვახვედრებ სურვილთა ჩათქმას...
და აღარც ზეცა აღარ მპირდება,
ადრინდელივით მზეს და აპრილებს...
სული ირღვევა, სული ირღვევა,
სული უარეს გახრწნას აპირებს...
იქნებ არ ღირდეს, იქნებ არ ღირდეს,
იქნებ ჯერ დროა დავბრუნდეთ უკან,
და გალაღებულთ სულზე ვამპირებს,
ოცდაათ ვერცხლზე უარი ვუთხრათ...

მე შენ ჩემად გიგულებდი

ლურჯი იყავ, ია გერქვა,
მკერდი მომიღიავე...
როგორც მიწის გული ფეთქავს,
ფეთქდა ძარღვში სიამე...
სუსტი იყავ, გაშინებდა,
ღამის ცა და დილის მზე...
ნაკადული გაღიმებდა,
მოშრიალე ბილიკზე...
თან ზედაც არ მიყურებდი,
ჩალადაც არ ჩამაგდე...
მე შენ ჩემად გიგულებდი,
შენ კი თურმე ამაგდე...

თუ მოინდომებ (ხათოს)

როგორ დამჭკნარა შენი ვარდები,
გადაუვლია ვარდისფურცლობას...
მგონი, სამყაროს ემონაზვნები,
გაშინებს დროის თავგასულობა...
თუ მოინდომებ, თუ მოინდომებ,
შენი ვარდები გაცოცხლდებიან...
ათას ქალებში ამოგიცნობენ,
მერანს მოგგვრიან ცეცხლისფრთებიანს...
და ყოველივე რაც გინატრია,
მაშინვე ცხადში აგისრულდება,
შენ სილამაზე მკერდში გაგყრია,
მომეცი მისი კოცნის უფლება!

მე პოეზიის ზღვაში შევტოპე

ვიცი, კარს მე აქ არვინ გამიღებს,
რომ ჩემი კარი უნდა შევგლიჯო...

ერთს კი მაინც გთხოვ, თვალს ნუ მარიდებ,
იცოდე, მალე მოვა ჩემი დროც...
თუმცა, მე ვიცი, ვისთვის და რას ვწერ,
რატომ ჩამისხეს სულში ქვიტკირი...
არ ვდარდობ, თუკი დღეს არ მიმართლებს,
მოვა ჩემი დროც ჭიხვინ–ჭიხვინით...
მე ხომ ამ ცრემლით მოკირწყლულ გზებზე,
ფეხი არასდროს ამირევია,
მე საქართველო მეფინა მხრებზე
და სისხლით ვწერდი ამ მისტერიას...
და ისიც ვიცი, დრონი მეფობენ,
რომ აწმყო მუდამ ბრიყვთა ხელშია...
მე პოეზიის ზღვაში შევტოპე,
და რომც დამახრჩოს ასე მერჩია...

სიყვარული ზღაპარშია

ისევ მინდა გაგახსენო,
ეს ცხოვრება თამაშია...
სიყვარული არ არსებობს,
სიყვარული ზღაპარშია...
მე რომ შენთვის მტრედი მყავდა,
მტრედი მყავდა მოთამაშე...
მე ის მტრედი შემიყვარდა,
თან სულ რაღაც ორ ნახვაზე...
ლამაზია, ლამაზია,
მთებში წითლად მზე რომ ჩადის...
თითქოს მკერდი გადაშლია,
და ვარვარებს ველი ქართლის...
როგორ მსურდა, როგორ მსურდა,
შენთვის ბედი მომეტანა...
ცაზე მთვარე ამოცურდა,
გველეშაპი წაეტანა...
არა მჯერა, მაგრამ ვმცდელობ,
ვეღარ მივხვდი, ხსნა რაშია...
სიყვარული არ არსებობს,
სიყვარული ზღაპარშია...

ჭკნობა

მართლაც, რა არის მარადიული,
მარადიული ზეცაა მხოლოდ,
შენ კი დღეს გქვია ალბათ ღვთიური,
დღესა ხარ ჩემი ლტოლვის სიმბოლო...
საოცარია, ეს საიდუმლო,
ამ ქვეყნად მხოლოდ მე და შენ ვიცით...
დრო მაინც ქურდობს, დრო მაინც ქურდობს,
მას კი არავინ არ სჯის ამისთვის...
მართლაც, არა ღირს და ნუ განიცდი,
თვალთან გაჩენილ პირველ ნაოჭებს...
ყური დაუგდე ჯერაც გაისმის,
ფრინველთა ჰიმნი ამ სამყაროზე...
ვარდი ამ ქვეყნად იმიტომ მოდის,
რომ გაიშალოს და მერე დაჭკნეს...

ჯანდაბას ჭკნობა, მე შენ გიხმობდი,
და მაპატიე თუ ხელიც წამცდეს...

სულთა კავშირი

ნუთუ არსებობს სულთა კავშირი?
არსებობს, იქნებ, კავშირზე მეტიც...
ძვირფასო, თოვს და მე ვარ დაჭრილი,
შენი ნაღველით და შენი სევდით...
ნუ გაიკვირვებ, თუ მართალია,
ახლაც, ჰო, აი, ამწუთას, თუნდაც,
ჩვენი სულები ერთად არიან,
ჰო, თუნდაც ჩემი კითხვის პასუხად...
და თუკი მაკრთობს ხორბლისფერ კანის,
ქალის უბიდან გამონათება,
მე არ მიმიძღვის ამაში ბრალი...
მე არ მჩვევია სულთა გათელვა...
რა ხდება იმით, თუ დღემდე მატკბობს,
მონათესავე სულთა თამაში...
არ თაკილობენ სულები ამბორს,
თაფლს ვხედავ მე მათ სულთათანაში...
თოვს და, ძვირფასო, მე ვარ დაჭრილი,
მე კვლავ დათოვლილ მინდორში ვწევარ...
და ჩემი სული შლეგიანივით,
შენს სულს რომ ეძებს, ნამდვილად მჯერა!!!

იმას ნუ მომთხოვ

რაღაც მინელდა ჟინი სიცოცხლის,
ლექსიც ბაგეზე თითქოს მიმაკვდა...
მთელი ცხოვრება, ალბათ, ვმისნობდი,
ვქმნიდი, ვანგრევდი, მძულდა, მიყვარდა...
მაგრამ არასდროს ჩემი მიზნისთვის,
არ გავეკარე საშუალებას...
დარაჯად მედგა მუდამ სინდისი,
ის მაფრთხილებდა და მაწყნარებდა...
იქნებ არც უნდა მეცხოვრა ასე,
და ყველაფერიც უნდა მეცადა...
მე და სინდიდი ერთმანეთს ვავსებთ...
ჰო, უღალატოდ, მუდამ ერთად ვართ...
გაუშვი, სხვებმა მოიმკონ ოქრო,
თუ მათთვის ასე უკეთესია...
მე კი, ძვირფასო, იმას ნუ მომთხოვ,
რაც არასოდეს დამითესია...

არ ვტყუი

თუ რამ გულს მტკენდა, ერთად წავშალე,
ალბათ, ასე სჯობს ჩემთვის და შენთვის...
შეგიყვარებდი, თუკი მაცალეს,
არ ვტყუი, მართლაც, შეგიყვარებდი...
რადგანაც მომწონს, როგორც მიყურებ,
როგორც მიყურებ და მაკვირდები...
წარსულის კარი გამოვიხურე,

მართლაც, რა იყო, რომ დავფიქრდები...
ყველა აღმართი ვიცი, ძნელია,
ზეცისკენ მიდის ყველა აღმართი,
როგორც გოლგოთა გზა შიშველია,
თან ლუციფერიც დამდევს მათარახით...
მართლაც, ვინ იცის, ამ ნათელ გზაზე,
რამდენ დამთხვეულს გადაეყრები...
მეც, როგორც ბავშვი დედის კალთაზე,
გამობმული ვარ შენზე ეჭვებით...
და თუ გოლგოთა არც მე ამცდება,
თუ მიმაკრავენ მეც ძელს მაჯებით...
ნუ გაიკვირვებ ბრბოს აღტაცებას,
ბრბოს უყვარს სისხლი და ჯამბაზები...

ფრთები მომტეხე

შენ, ალბათ, ხვდები, რომ მე თავს ვიცავ,
რომ მე თავს ვიცავ მთელი ძალებით,
ჩემთვის ისეთი ცხელია მიწა,
როგორც მზის გულის ნაღვერდალები...
მომტეხე ფრთები, მომტეხე ფრთები,
თორემ წავალ და არ დავბრუნდები...
შენ ჩემს ნახვაზე კვიცივით ფრთხები,
მე კი დავკარგე ჩემი ხუნდები...
იცი, ვერ ვუძლებ მე ამ ღამეებს,
როცა არა და აღარ თენდება...
ვარსკვლავებს ციდან მოთვალთვალეებს,
მეც ვეჩხირები თვალში ეკლებად...
ფრთები მომტეხე, ფრთები მომტეხე,
სანამ გაშლილა კვლავ მიმოზები...
ჩემი ცრემლებით გულს იოხებენ,
ზეცაში ავი ანგელოზები...

იღრინებიან

ეს წლები ისე იღრინებიან,
როგორც ძაღლები ჭიშკრის იქიდან...
მწარე წლებია, მწარე წლებია,
მე კი წუთებიც ოქროდ მიღირდა...
თითქოს სიცოცხლე მინდა მოვასწრო,
მინდა მოვასწრო თუკი მაცლიან,
თორემ სიკვდილის მერე დროდადრო
ჩემ სამარეზეც ჭიქებს დაცლიან...
რაც უნდა იყო რკინის მკვნეტელი,
რაც უნდა დროსთან ჭიდილი გქონდეს,
მოვა სიკვდილი, როგორც ცერბერი,
შემოგხედავს და რამე შარს მოგდებს...
იღრინებიან, იღრინებიან,
ეს წლებიც, როგორც ავი ძაღლები...
თითქოს მტრებივით ჩამსაფრებიან,
ჰოდა, მეც ვებრძვი, თან გააფთრებით!!!

სისხლსავსე იყო ცხოვრება ჩემი

სისხლსავსე იყო ცხოვრება ჩემი,

მოულოდნელი სიურპრიზებით...
ახლა კი ისე გადიან დღენი,
თითქოს დინებას უკან მივყვები...
გამოაშუქე, გამოაშუქე,
როგორც მზის სხივმა ცისკრისას მინდვრად,
რომ ჩემგან ღამით დაკბენილ ტუჩებს,
კვლავ ეტყობოდეს ლაქები წითლად...
რისგან შედგება ჩვენი ცხოვრება,
რა ჭარბობს, იქნებ, შენ მაინც მითხრა...
მზე აღმოხდება, მზე აღმოხდება,
და ალუბალიც ტკბილ ნაყოფს ისხამს...
მაგრამ შენც იცი, თუ რა ცოდოა,
ნაყოფი ხეზე უბრად შემჭკნარი...
არ სჯობს, ნაყოფი როცა ლორთქოა,
მაშინ იგემო მისი ნექტარი...
ქვეყნად ყველაფერს მოვლა სჭირდება,
წამებს, წუთებს და ყველა საათებს...
შენც ჩენთან ყოფნა თუ გაგიტკბება,
რაზეც გინდოდეს მემასლაათე...
კი, ვიცი, ვიცი, ახლა შორი ხარ,
თუმცა, მგონია, რომ ჩემზე ფიქრობ...
ღამეს სიზმრებში შემოჰყოლიხარ
და ირემივით ყვირილით მიხმობ!
მოვალ, დანამულ მარწყვებს მოგიტან,
ფრთხილად აიღებ თლილი თითებით,
მერე სისხლიან ტუჩს გიპოვი და
სერიოზულად დავაკვირდები...

ვერტიკალი

რაღაც სამყაროსეული
რეალურ გრძნობად ქცეული,
ნაღდი, ვით ჩემი სხეული,
ასეთი განცდა მინდა...
რით იწყებოდა სამყარო,
რომელ ჭირით ან ლხენით,
ეშმაკთა შეთქმულებებით,
ცოცხლებითა თუ მკვდრებით...
ვინ რომელ ღმერთს იფიცავდა,
ვინ რომელ მისანს უხმო...
ვინ რომელ ციხეს იცავდა,
ვინ დაფრინავდა უფრთოდ!!!
ათასი ერი ცოცხლობდა
და ისტორიას ქმნიდა...
მრავალნი შთანთქა კოცონმა,
თავს რომ გენიად თვლიდა...
ღმერთი, ეშმაკი, სამყარო,
კაცი, ქალი თუ ერი?
რის თქმა მსურს, ნეტა, რას ვწვალობ,
რაღაც სხვა ჰანგზე ვმღერი...
ქვეყნად სულ იყო ომის დრო,
და ერთმანეთის ჩაგვრა...
თუმც, ყველაფერი მოისპო
და ხელოვნება დარჩა...

ანუ

გარედან, მართლაც, მტერსა ვთხრი თვალებს,
შიგნით კი, შიგნით დუღს საიქიო...
ჩემს მკერდში თავს თუ შემოაფარებ,
შენ როგორც გსურდეს, მე რა გირჩიო...
ნუ გაიკვირვებ თუ ცეცხლმა დაგწვა,
როგორც დარჩენილს უდაბნოს მზეში...
ან სიყვარულის ტალღების ნაცვლად,
გაგლუმპავს თავსხმა და წარღვნის თქეში...
რა გითხრა, ჩემი ნდობა არა ღირს,
როგორც უფსკრულზე ბეწვის ხიდისა,
ნუ შეგაძრწუნებს ჩემი ღალატი,
შემკრთალი თვალებს თუ მოისრისავ...
ვიცი, სავსე ხარ, როგორც ვენერა,
და რომ საოცარ ღამეს მპირდები...
რომ სულ ახლოა ბედნიერება,
სულ ერთი წამით თუ დავფიქრდები...
ღმერთმა ხომ იცის, სულაც არა მსურს,
შენი შეცდენა, ცა კი მაქეზებს...
გიცქერი, როგორც გასულ გაზაფხულს,
გადასვენებულს მთვარის მკლავებზე...

ვერ დავიძინე

შენ არ მენდობი, მე კი შენს გამო,
ვერ დავიძინე, ვერა და ვერა...
უნდა შევბღალო, უნდა შევბღალო,
ჩემი ცხოვრების სუფთა ხელწერა...
რომ მეც გავნივთდე მაგ შენს ღიმილში,
რომ მორიდება ზღვაში ვისროლო,
ჩემს გარდაქმნაში ბრალი მიგიძღვის,
რადგან დღეიდან მე შენით ვცოცხლობ...
მეპატიება, მეპატიება,
თუკი სხვებივით გავხდი ორგული,
სამოთხის კარი თუკი იღება,
სიყვარულზეა, ალბათ, მობმული...
მოდი, რაც გსურდეს ის დამაბრალე,
მოდი, არა ვარ სიტყვის გამღები,
მოდი, მაგ ლამაზ თმებს შემაფარე,
თორემ, წავალ და დაგეკარგები...

სინანული

დონ კიხოტივით მეც ქარებს ვებრძვი,
როგორც მწუხარე სახის რაინდი...
ვერაფერს შეცვლი, ვერაფერს შეცვლი,
ვალს, შენ რომ გმართებს, ვერ გადაიხდი...
რადგან მას უკვე არავინ ელის,
ყველა, სულ ყველა, წასვლას აპირებს...
ასე მგონია გამოსჭრეს ყელი,
ჩემს წინ აფრენილს, ცაში, არწივებს...
დროშაც კი, ერთ დროს, მაღლა აწვდილი,
დაფლეთილა და ვეღარ ფრიალებს...
მეც ეს ცხოვრება ფორთხვით გავლილი,

მეორედ უკვე ვერ გავიარე...
ვერც შემოსეულ ყვავსა და ყორანს,
ვერ ვიგერიებ უკვე ვერაფრით...
უსიხარულოდ მივათრევ დრო–ჟამს...
მივათრევ, მაგრამ ღამეს ვერ გავცდი...
როგორ გაუგებ, შენ, ჩემს სინანულს,
როცა მე თვითონ ვერ გამიგია...
ველი გაზაფხულს, ველი გაზაფხულს,
მაგრამ ზამთრები აღარ მიდიან...
უკვე აღარც შენ მეიმედები,
თითქოს გადატყდნენ ძირში ყლორტები...
მე მირჩევია თუ ვერ შევხვდებით,
მართლაც, უშენოდ თუკი მოვკვდები...

გადამეკეტა

გადამეკეტა, გადამეკეტა,
ტვინი და ახლა შენს შველას ითხოვს...
გაჩენილი ხარ შენც ჩემს რეკეტად,
და ახლაც ჯვარზე გამაკარ თითქოს!
მართლაც, შენა ხარ ჩემი მძარცველი,
ვინც მიწიოკებს ყველა ოცნებებს...
და როგორც ალღო ნამდვილ მტაცებლის,
ზედ მაფხრეწ სულის შესამოსელებს...
ჩვენ ყველა ევას ნაშიერნი ვართ,
ეს შენც მშვენივრად მოგეხსენება...
თუ სამოთხეში ვეღარ შევდივართ,
ბრალი ამაშიც ევას ედება...
ჰოდა, მეც აქეთ–იქით ვაწყდები,
ვით სანთლის შუქი ოდნავ ნიავზე...
ნუ მიბრაზდები, ნუ მიბრაზდები,
მართლაც, არა ვარ შენს ხასიათზე!!!

ჯობს ისევ ომში ჩავება

ჯობს, ისევ ომში ჩავება,
ხელში ავიღო მახვილი...
მესმოდეს სარდლის ბრძანება,
მოწინავეთა ძახილი...
ცხენს ვეძახოდე შევარდენს,
ყალყზე ეყენოს ფაფარი...
მტრის შუაგულში შევარდეს,
აბჯარს გაჰქონდეს ჭახანი!
დამჭრან, მერანმა წამიღოს,
ჩამოიტოვოს მდევარი,
კლდეთა ნაშალი მარიდოს,
ტანთ შემრჩეს ხმალ–სატევარი...
ირბინოს, ჩორთით ირბინოს,
მძორებით სავსე ველებზე...
მიქროდეს, როგორც მიმინო,
მტერი ეკიდოს ფეხებზე!
მოვკდე იქ, სადაც ჩემები
გმირებს უთხრიან საფლავებს,
ცხენი დაღლილი ჭენებით,
იმათ მხარ–მკლავებს გადამცემს...

ჩემი სხეული ასწიონ,
არე–მიდამო ტიროდეს...
ქალებმა ცრემლი მაწვიმონ,
ჩემი ლეკვი კი ჰკვირობდეს!!!

მელაპარაკე თვალებით

მეც მიყვარს, როცა თვალებით,
რამეს მიყვები უხმოდ...
მიყვარს ახალი ამბები,
მითუმეტეს, თუ ხუმრობ...
თუ გინდა თოკი გამიბი,
არ გადმოვადგამ ნაბიჯს...
ვინა თქვა, ვარო რაინდი,
მოუთმენლობა არ მჭირს...
თუ, მითუმეტეს, ანკესი,
წყალში ტივტივებს უკვე...
თევზს ტყვიასაც ხომ არ ვესვრი,
დავიცდი რაღაც წუთებს...
იცი, რა, ჩვენი თვალები,
ბგერებს გამოსცემს თურმე...
ასე ნუ ფეთიანდები,
ვარდსა გფცქვნი ფურცელ–ფურცელ...
რა სილამაზე ყოფილხარ,
შენ კი მალავდი სხეულს...
ბედნიერებას მოგიტან,
ავს აგაცილებ წყეულს!
მელაპარაკე თვალებით,
მიყვარს, როდესაც მიმზერ...
შეხორცებიათ ბზარები,
შენგან ნაამბობ სიზმრებს...

როგორ ვუშველო

ზოგჯერ საკუთარ სხეულს ვაწყდები,
სადღაც მიგდებულს თავის ფიქრებთან...
ნუ ითარსები, ნუ ითარსები,
მეტყვის და ისევ ფიქრებს მიჰყვება...
როგორ ვუშველო საკუთარ სხეულს,
როცა ჩემს აზრებს ასე უარყოფს...
ასე საცოდავს, ასე დაბნეულს,
რა შევახსენო, ან რა ვუამბო...
თან მეცოდება, თან კი მაცოფებს,
ან რას ვიღონებ, რომ დამიჯეროს...
შემომიღრენს და შემიყრის კოპებს,
თითქოს მიხდიდეს სამაგიეროს...
ვერ შევირიგებ, რომც გავახსენო,
ამ ცოდვილს თავის ძველი ცოდვანი...
რაც იყო, ის ხომ აღარ არსებობს,
სამარეში წევს დღეს ის დრო–ჟამი...
მეტყვის და ჭიქას ისე მოუჭერს
ხელს, ჩაატყდება მინა თითებში...
და მეცოდება ასეთს რომ ვუმზერ,
ვიცი, რომ მე ვარ ამის მიზეზი!!!

მეკობრის დროშით

ნეტა, შემომრჩა რაიმე ძალა,
ასე გაძარცვულს და ღამენათევს,
რომ ძველებურად ვიბრძოლო კვლავაც,
შევიდე ზღვაში და გავყვე ტალღებს...
გავცურო სადაც ვეშაპთა მოდგმა,
სამშობიაროდ ყურეებს არჩევს,
სადაც უძველეს აფრიან ხომალდთ,
ჯერ ისევ ხელით ასობენ ანძებს...
მიმიხვდით უკან ვბრუნდები დროში,
რომ ფანტასტიკას შევახო ხელი...
ხომალდი ჩემი მეკობრის დროშით,
დაძრწოდეს ზღვაზე სახელით "მკვლელი"..
კაიუტაში მულატკა მყავდეს,
და მეკობრენიც სკდებოდნენ შურით...
ყვებოდნენ ჩემზე საოცარ ამბებს,
რომ ერთის ნაცვლად მაქვს ორი გული...
სხვათა ხომალდებს შიშის ზარს ვცემდე,
დაუნდობელი და გიჟი მერქვას...
სახელი ჩემი გავარდეს მზემდე,
როგორც სამეფო ზარბაზნის ჭექა!
რომ ლოცულობდნენ ქალწულნი ჩემზე,
ჩემს სიმდიდრეზე გაჩნდეს მითები,
და მართლაც ვიყო მე ყოვლისშემძლე,
ბროლ–ალმას–ფირუზ–მარგალიტებით...
ჯერ, ალბათ, კიდევ შემომრჩა ძალა,
რომ გაუმაძღარს ჩემ მტერს ვუყელო!
აღვმართავ ანძებს და ზღვაში გავალ,
თუ თქვან, რომ მომკლეს, არ დაუჯერო!!!
დღეს სული ჩემი შენსკენ ილტვოდა

დღეს შენი დღეა

ხშირად იმისგან გავრბივართ სწორედ,
ვისკენაც უნდა ვილტვოდეთ, ალბათ,
ვინცა გვჭირდება სწორედ მას ვტოვებთ,
და ვერც მივმხვდარვართ თუ ვისა ვკარგავთ...
ასეა, ზოგჯერ ბედნიერებას
თვალს არც შევავლებთ, ისე ჩავუვლით...
და ოცნაბანიც ნაღმზე ფეთქდება,
და, ფაფუ, შენი დღესასწაულიც...
დღეს შენი დღეა, დღეს შენი დღეა,
მე კი დღესა მაქვს ყველა ფეთება...
ბედნიერება ის სამოთხეა,
ჩვენს უკან კარი რომ იკეტება...
მინდოდა, შენი ნახვა მინდოდა,
შენ ვერც მიხვდები, როგორ მჭირდები...
დღეს სული ჩემი შენსკენ ილტვოდა,
მე კი ვგრძნობ, დღესაც რომ ჩავიჭრები...

მითხარ, ვინაა სხვა გამკითხავი?

გსურს რამე შექმნა? ეს იგივეა,
ბრძოლას იწყებდე უხილავ მტერთან...

და ნამქერივით რომ აირევა,
დაადე თავი და ადი ღმერთთან!
მითხარ, ვინაა სხვა გამკითხავი,
ვინც სიყვარულით მოგაპყრობს თვალებს...
წუთები გელის დაუვიწყარი,
თუ შექმნი რამეს, თუ შექმნი რამეს!
უსმინე ყველას, ავსაც და კარგსაც,
გულთან კი ერთსაც ნუ გაიკარებ...
თუ კი ქმნი ახალს, თუ კი ქმნი ახალს,
გადაეყრები სოფო მკითხავებს...
ვერ გაექცევი, ვერ გაექცევი,
უსამართლობის სასტიკ შეგრძნებას...
გაურკვეველი ბრძოლის წესებით,
ათასი მტერი შემოგერტყმება!
ჰოდა, გაუძლებ, თუ ვერ გაუძლებ,
არა აქვს აზრი არავითარი...
მოკვდები? ზეცა შემოგაშუქებს,
და გაიხსნება შენთვის ცის კარი!!!

ჩანახატი

ზეცა ვარ, მზეს ველოდები,
გადავიყარე ღრუბლები...
მლოცავენ ანგელოზები,
ჩემი ძვირფასი სტუმრები...
ხან შემომივლის ნიავი,
ხან წვიმებს მოვენატრები,
ფოთლების ტრიალ–ტრიალით
გადამივლიან ქარები...
როგორც მერანი ჭენებით,
ღამე დღეს გაეკიდება,
დღე გარბის შეუსვენებლივ,
თან ღამის თვალწინ შიშვლდება...
ზეცა ვარ, რაც კი რამ ხდება,
მუდამ მოწმე ვარ ყველაფრის,
ჩემს ტანზე ღამე გაწვება,
მე კი სულელი ვღელავდი...

წაველ ამ ხიდან

ბულბული ვარ და წაველ ამ ხიდან,
ყვავებს დავუთმე მე ასპარეზი...
ამნაირ ხეზე ყოფნა რად მინდა,
უნდა უყურო ყვავებს თვალებში...
ვინ გასტვენინებს, ისე ჩხავიან,
ხის ქვეშ შეყარეს მთელი მილეთი...
ეს ხე კი არა, ხის საფლავია,
თავის ყვავების საპყრობილეთი...
წავალ მოვნახავ სადმე იადონს,
დავუჩოქებ და ვთხოვ პატიებას...
ყვავებში ვიყავ, მუდამ იაგო,
და ნუ დამიწყებთ, გთხოვთ, ჩაძიებას!

ჩემი ეზო

აქ ამოსულა ისევ იები,
აქ კი ისეთი ნახანძრალია...
მე აქ შემოსვლას თავს ვარიდებდი,
და თურმე იებს გაუხარია...
დაბერებულა უკვე კაკალი,
მარტოობაში ამოსდის სული,
გადაიფრინა ჩხიკვმა კაკანით,
ყურს ვუგდებ ჰაერს სულგანაბული...
აქ ერთ დროს ჩემი ბავშვობა მოკვდა,
ის ანთებულმა ცეცხლმა ჩაყლაპა...
და დარჩა ეზოც ბავშვივით ობლად,
დაეპატრონა მასაც ჯანდაბა...

ხომ არ გამაგდებ

შენ ერთი შემრჩი საოცნებოდ, მე როგორც ვამჩნევ...
და სანამ ფრთებზე ცეცხლის ალი ისევ მედება,
ხომ არ გამაგდებ სამუდამოდ შენთან რომ დავრჩე,
ნუ შეგაშინებს ჩემი შენთან შემოჭენება...
მიყვარს ზღაპრული შენი სახე და შენი ტანი,
ცხელი მკლავები მოფერებას ჩემგან ელიან,
შენი ცდუნება არ ყოფილა ჩემი მიზანი,
როგორ აგიხსნა, როგორც მხედავ, მე ასეთი ვარ...
უკვდავების წყალს ვერ მოგიტან, ვერც დიბა–ატლასს,
ჩემი სიმდიდრე, ერთადერთი, ჩემი ნიჭია...
მას, ჩემო კარგო, შენც ხომ იცი, ფასი არა აქვს,
ჰოდა, უბრალოდ, არ არსებობს, ვერ იყიდიან...
რა შემიძლია რომ გაჩუქო, ალბათ, ღიმილი,
ტკბილი სიტყვები და ხანდახან ტკბილი კოცნები...
მე შენს თბილ მკერდში შემოვდივარ განდეგილივით,
სხვა არაფრისთვის არც უქნია, ალბათ, მგოსნები...

ვნატრობ

ჩემთვის მუდამ ნატვრის დღეა,
ბავშვობიდან ნატვრებს შევრჩი,
თუ კი სადმე ნატვრის ხეა,
ზედ ჰკიდია ჩემი ლექსიც...
ვნატრობ მუზას ულამაზესს,
ძველს რომ სჯობდეს თუნდ სინაზით,
სიყვარულით ვინც ამავსებს,
ფრთებს შემასხამს ბრძოლით დაღლილს...
ვნატრობ, მაგრამ არსადა სჩანს,
ვხვდები რატომ აგვიანებს,
უეჭველად სხვასთან დარჩა,
უყვარს ვინც კი აღიარებს...
მოვიარე, მოვიარე,
ბილიკები ყველა ზღვების...
მითხარ, თუ ვერ შემიყვარებ,
თუ ტყუილად გელოდები..

ბედი

ბედის გარეშე შემოქმედი არა არსებობს,
ბედის გარეშე არც სიცოცხლეს გაჩუქებს ღმერთი,

ბედის გარეშე ხე რომ დარგო, ია დათესო,
ვერ გაიხარებს, არ არსებობს, ვერცერთი ფესვით...
ბედი არასდროს არ დაწყევლო, არ შეაგინო,
რადგან ბედია ღმერთთან შენი შუამავალი,
ბედი გჭირდება რომ გიყვარდეს, რომ ივამპირო,
რომ მოიტაცო შენი სატრფო სხვისთვის დამტკბარი...
ბედი აგისვრის ცაში, მერე მიწას განარცხებს,
ბედი ეს შენი თილისმაა, ზეცის კოდია,
მართალი უთქვამთ, გამწირე და ბედი მანახე,
და დავიპყრობდი მწვერვალთ რაც კი დასაპყრობია.

შენ თოვლის კაბას გიკერავდნენ ანგელოზები

შენ თოვლის კაბას გიკერავდნენ ანგელოზები,
როცა დაისი აისების ფერზე ჯავრობდა...
სარკმლის წინ ისხდნენ ბულბულები, ვარდის მგოსნები,
და თეთრი ღამე, ქალწულივით პატარძალობდა...
და გიხდებოდა თოვლის კაბა, როგორც მზეს სხივი,
შენი შემყურე მთვარე თავის ძალას კარგავდა...
მოვარდა ქარი, სადღაც ღამით გადახვეწილი,
და შენს ნახვაზე, დაბნეული ზღურბლთან გაქვავდა...
ფიფქთა ბრჭყვიალზე აელვარდნენ შენი თვალები,
ქარმა დაცინვა ვერ გაბედა და დარდს გადაჰყვა...
მე კი დანახვის დღიდან ისე მესაყვარლები,
თავსაც კი ვიკლავ, რომ იცოდე, მართლაც, ხანდახან...

მიმღერე

მიმღერე, მიმღერე, სანამდე სიკვდილმა,
ჩამავლო თავისი ეშმაკის ბრჭყალები...
რა მოხდა თუ დღემდე არასდროს მილხინდა,
რა მოხდა თუ ცამდე ვერასდროს ავედი...
მიმღერე, რაც მომწონს, რაც მიყვარს, მიმღერე,
მიმღერე, რად მითხარ, კოცნაზე უარი...
რომ შენი სახელი შუბლზე დავიწერე,
რომ ვიყავ მაგ მკერდის თავხედი სტუმარი...
მიმღერე ზამთარში თუ როგორ აცივდა,
სახლს როგორ ავსებდა ქარი და ნამქერი...
თუ როგორ ჩნდებიან ბზარები დარდისგან,
და როგორ მათოვდა უშენოდ დარჩენილს...
მიმღერე, რომ გული გაგლიჯონ ბგერებმა,
მიმღერე სიმღერა რომელიც ჩემია...
მიმღერე, მიმღერე, სანამ გემღერება,
მიმღერე, ძვირფასო, რაც სულს ამჩნევია...

თვალებზე გამჩნევ

თვალებზე გამჩნევ, რომ ნაწყენი ხარ,
შენს სიამაყეს შეეხნენ ხელით...
სიბრაზეს ვეღარ გამკლავებიხარ,
და მიმზერ, როგორც მშიერი მგელი...
მიყვარს ეგ შენი არტისტულობა,
მაგრამ ვერ ვხვდები რა დავაშავე...
მე შენი თეთრი მკერდი მწყუროდა,
შენ კი ვერც ვხვდები, მგონი, წამშალე...

შემორიგება ახლა ძნელია,
ალბათ, შენც ხედავ, სულ აღარ ვცდილობ,
მე ჰამლეტი ვარ, შენ ოფელია,
და შხამიც უნდა გავინაწილოთ...
ეს, ალბათ, ქარი მიმტვრევს დარაბებს,
მე რა გავუგო ქარებს ღალატის,
მე სიყვარული მალაპარაკებს,
შენ კი ღალატზე გსურს ლაპარაკი...
მე კი რატომღაც ასე მგონია,
რომ მხოლოდ მაშინ მოდის დიდება,
როცა სიყვარულს და ჰარმონიას,
ის არაფერში აღარ სჭირდება...
ვინა ხარ ჩემთვის, მეფის ასული,
თეთრ ბროლის კოშკში გამოკეტილი...
მე კი უცნობი, ბნელი წარსულით,
სეტყვის ღრუბლიდან ჩამოწყვეტილი...
ვინ იცის, წვიმის ორი წვეთი ვართ,
დამუხტულები პლიუს–მინუსით,
შეშლილები ვართ, შეშლილები ვართ,
ერთმანეთით და ტრფობის ვირუსით...

ლოდინი

შორს, სადაც ზღვებმა შეიკრეს პირი,
და ქარიშხლები გემებს ელიან,
სადაც მღელვარე ზღვის ზედაპირი,
სამყაროსავით ვრცელზე–ვრცელია...
დგახარ და უცდი ჩემს გამოჩენას,
ვიცი, აცილებ ყველა ხომალდებს,
და მოლოდინი როცა მორჩება,
შენს ნაპირამდე, მაშინ მოვაღწევ!
გსმენია სულთა გადასახლების?
კი, რა თქმა უნდა, ალბათ გსმენია...
მე შენთან მოვალ ზეცის თანხლებით
და ვითამაშებ ჩემს მისტერიას!
შენ ყველა გიყვარს, შენ ყველა გიყვარს,
მე კი იმდენმა გამინაპირეს,
რომ არც კი ვიცი, ამ ყველაფრიდან,
რა გისახსოვრო, ან რა დაგპირდე!?
დანარჩენს გეტყვი, როცა შევხვდებით,
როცა მივხვდები, როგორ მელოდი...
ჩემს სიყვარულზე ნუ დაფეთდები,
მე დაჭრილი ვარ საქართველოთი!!!

შენ გამაღიმე (ლელაკო ლელას)

მართლაც, არ ვიცი, სადა ხარ, ლელა,
რომელ ზღვის ნაპირს ეალერსები...
საქართველოდან წავიდა ყველა,
მარტო მე დავრჩი ჩემი ლექსებით...
მარტო მე დავრჩი, რომ აქაური,
ცრემლგარეული სიზმრები ვკეცო...
ალბათ ესაა ის საზღაური,
თქვენთვის რომ მინდა გავაასკეცო...
არ დაინანო, მომეცი გული,

რომ საქართველოს შემოვუნახო...
შენ გამაღიმე დაღონებული,
ან ნაღვლიანი სადმე თუ მნახო!

მე რომ უშენოდ შემეძლოს

თუ შენ არა გაქვს სურვილი,
რომ ერთ ტაფაში ვიწვოდეთ,
რომ მთებზე გაზაფხულივით,
პირიმზედ ამოვიდოდეთ...
ან დილის ნაკადულებად,
ვიქცეთ მოსხლეტილ ჩქერებში...
შევერწყათ დედა–ბუნებას,
მის ულამაზეს ფერებში...
როგორ, სად გინდა ეძებო,
ბედნიერების წუთები...
მე რომ უშენოდ შემეძლოს,
ყველაფერს შენ გაჩუქებდი...
შენ გაჩუქებდი იის ნამს,
ყვავილებს რომ ეპრანჭება...
მზეს, როცა დილით პირს იბანს,
მთვარის ვერცხლისფერ ნათებას...
შენ გაჩუქებდი ჩანჩქერის, ხმას,
მთებს ექოდ რომ ედება,
კლდეზე ირმების ნატერფალს,
ველს, აყვავებულს ედემად...
ოღონდ დაემთხვას სურვილთა,
მზვაობა, ნატვრა, იმედი...
ჩემს ბედს გაჩუქებ, თუ გინდა,
და ღმერთსაც გავაკვირვებდი...

შენც ჯადოქარობ (ნანის, ბუცხრიკიძეს)

მითხარ, ვინ მოსპო საქართველოში,
ქალური ეშხი და სილამაზე...
შემომხვდი, როგორც ყვავილი თოვლში,
როგორც კალმახი ასხლტეს არაგვზე...
ჯერაც ქალები სადედოფალო,
ამ ჩვენს მიწაზე მრავლად არიან...
ერთ–ერთი შენც ხარ, შენც ჯადოქარობ,
რაღა მე შემხვდი, საოცარია...
სად გაექცევი ამ შარმს, ამ თვალებს,
სულ ტყუილია ჩემი მცდელობა...
თითქოს საყრდენი გამომაცალე,
და სიყვარული მექცა მკვლელობად!!!

წითელი ტუჩები

რა გავუგო წითელ ტუჩებს,
გადათხაპნილს მარწყვის წვენით...
რა გავუგო შენს პასუხებს,
თუმც, პასუხებს არც იძლევი...
სულ თავისით აილაგმა,
რაც შენს გამო ღამე ვტეხე...
მთვარემ ზეცა გაინაღდა,

ხოლო, მე შენ აგიტეხე...
ცას გაბზარავს, ცას გაბზარავს,
ალბათ, ჩემი ტკივილები...
ქერა თმები მკერდსა ფარავს,
ძუძუს კერტებს გვირილები...
ხარ ნაპრალი ჩემი ხსოვნის,
სასწაული ჩემი ბედის...
თუ წავედი, ვერ მიპოვნი,
მე ზეცასთან შევრიგდები...

ულამაზეს წითელ პერანგს

იცი, მინდა მოგეფერო,
ავხორცულად, ხარბი მზერით,
რომ სხეულზე მომეკერო,
მთელი ძალით, მთელი გზნებით...
ულამაზეს წითელ პერანგს,
ვარსკვლავები ახატია...
ვერსად ვნახავ შენზე ვერაგს,
ჩემზე რომ აქვს აპათია...
ვერსად ვნახავ, ვერსად ვნახავ,
მე ამნაირ გველის თვალებს,
მიმზერ, როგორც ლომის ხახა,
ღოჯები რომ უბრჭყვიალებს...
მაგრამ სწვრთნიან, მაინც სწვრთნიან,
ლომსაც, ვეფხვსაც და მისთანებს...
მე შეჭმაც კი შემიძლია,
შენ კი კოცნაც ამიკრძალე!!!

ხედავ, რაღაც მოვახერხე...

ისე გაცვდა ყველა სიტყვა,
სიკამკამე, სიფაქიზე...
სხვა კი, აბა, როგორ გითხრა,
შენ რომ გხედავ, წნევა მიწევს...
შენ რომ გხედავ გამჭვირვალეს,
ზეციური სხივით მოსილს...
მომწონს შენი სიფერმკრთალე,
როგორც ნისლი საღამოსი...
როგორ მინდა ჩემთან იყო,
ჩემს ოცნებებს ეყრდნობოდე...
სიყვარულიც შენ დაიწყო
და ბავშვივით მენდობოდე...
ხედავ, რაღაც მოვახერხე,
რამდენიმე ეპითეტი...
რამდენს ვცდილობ, რომ არ შემხვდე,
რადგან, ვიცი, რასაც მეტყვი...

რაც ზამთრებს მიაქვთ

რა ხშირად ვხვდებით, რა ხშირად ვხვდებით,
მითხარი, იქნებ, რამე გაწვალებს;
რამე ტკივილი, ხელშესახები,
გული რომ კრთის და ხანაც ფართხალებს...
მე გარს ათასი ვინმე მარტყია,

შენ შემორტყმული გყავს სულ სხვა ჯარი;
მე ხომ ზურგიდან ტყვიებს მახლიან,
შენ კი გახსნილი გაქვს ყველა კარი.
მითხარი, იქნებ, რაიმე გინდა,
რაც ზამთრებს მიაქვთ და არ ბრუნდება...
მითხარ, ვეცდები მე ჩემი მხრიდან,
და ტკივილები გაგიყუჩდება...
სულ ზედმეტია, სულ ზედმეტია,
ვიცი, ეს ჩემი ფრთხილი თხოვნები...
შენი მშვენებით სხვები ტყვრებიან,
მე კი ვდგავარ და გემათხოვრები...

მოვთოკე ლექსთა ყველა სამეფო

ეს მე ვიყავი ვინც პოეზიის
დაუსაბამოდ გახსნა საზღვრები...
მე ღმერთს მივწერე ლექსით მესიჯი,
ლექსები იყო ჩემი ტაძრები...
თუნდ მიითვისონ, თუნდ გადაწერონ,
ამ სიველურის არა მაქვს დარდი...
მე ჩემი ქნარი უნდა ვაჟღერო,
როგორც მომწონდით, როგორც მიყვარდით!
მე მიწას ჩემი გული მივეცი,
ვარსკვლავებს ჩემი სული ჩავბერე...
მე ისე მოვკვდი ჩემს სიმღერებში,
თვითონ სიკვდილიც გავაცამტვერე...
და მაპატიეთ ეს სითავხედე,
თუ ბედისწერას არ ვეპუები...
მე ჩემი რაში თვითონ გავხედნე,
ხან მათრახებით, ხან მოტყუებით!
გაფრინდეს, თუნდაც და გადამჩეხოს,
ზოგჯერ ღმერთებიც ვერ რიგდებიან...
მოვთოკე ლექსთა ყველა სამეფო,
ბევრს, რაც ძილშიც არ დასიზმრებია!!!

დამემშვიდობოს მინდა ზამთარი

დამემშვიდობოს მინდა ზამთარი,
თავის თოვლით და თავის ქარებით...
ლოგინში მეწვა, როგორც წაწალი,
მყინავდა ხელს თუ მივაკარებდი...
დამემშვიდობოს, დამემშვიდობოს,
სანამ ჯერ კიდევ ვცოცხლობ იმედით...
დაველოდები თებერვლის ბოლოს,
ისე კი, ახლაც გავაცილებდი...
მაგრამ სად წავა, სანამ ბოლომდე,
არ ამოიყრის ჯავრს სხვა დროების...
არ გაბოროტდე, არ გაბოროტდე,
გჯეროდეს მზის და უსაზღვროების...
ის მოვა, მოვა, მანათობელი,
და ზამთრის სუსხიც ქარებს გაჰყვება...
მოვა ნათელი და ახლობელი,
და დაღლილ სულში ჩაგისახლდება...
და დაზაფრული ყინვით დილები,
სულ სხვა ხალისით გაიღვიძებენ,

და მთებიც გულხელდაკრეფილები,
მკერდზე ყვავილებს გაიფინებენ...
და მოწყურებულს ასე სიცოცხლეს,
ველები ველებს შეაგებებენ...
დღეს, რომ, შენ, ჩემი ნახვა გინდოდეს,
ალბათ, დილიდან უნდა მეძებდე...

როგორ მომწონს

როგორ მომწონს ეს პროფილი,
ულამაზეს შტრიხებით,
ყველა ნაკვთი გაწყობილი
თვითონ ღმერთის თითებით...
ციდან მუზა ანგელოზებს
მაცნობს შენზე სიზმარით...
მე მინდოდა დამეკოცნე,
შენ კი გადამისწარი...

გაორება

ჩემს გაორებას საზღვარი არ აქვს,
გაორებაში ნეტა რა ყრია...
მინდა გავიჭრა ათად და ასად,
შენ როგორ ფიქრობ, ვითომ ნაკლია?
თუ ყველა გიყვარს, ვისაც კი ხვდები,
და არც თაკილობ გრძნობის გამხელას,
ყველას ჰკოცნი და ყველას ეხვევი,
ამაში ხედავ მათ გადარჩენას...
მართლაც, ვინ იცის, ამ ყველაფერში,
იყოს კიდევაც რამე რეზონი...
რასაც ვკითხულობთ ქალთა თვალებში,
სწორედ იმგვარი გახლავთ სეზონი...

მე პოეზიის ტოგა მასხია

სანამ სიკვდილი არ ეახლება,
არ დადინჯდება ჩემი გონება,
ვიბრძვი, არ მიყვარს უკან დახევა,
სხვისი ნათქვამის გამეორება.
ვიბრძვი, სიცოცხლეს სანამ მანდობენ,
სანამ ვარსებობ და მხრავს ეჭვები...
სანამ ზეცაზე ვხედავ მნათობებს,
სანამ მოვკვდები და დავეცემი...
ასე მგონია, გუთანს მივყვები,
კვალში და სახრეს ვიქნევ თამამად...
უნაპიროა ჩემი ფიქრები...
მათ უკვდავება ადგათ თამადად!
არსებობს ღამე მე რომ გამიძლოს,
თავს მომახვიოს თავის აზრები...
მე კლდის ლოდებშიც ვხედავ საფირონს,
მე ნემსის ყუნწშიც თუ მსურს გავძვრები...
ისე ვენდობი ჩემს ფანტაზიას,
როგორც ცას მთვარე და ვარსკვლავები...
მე პოეზიის ტოგა მასხია,
და ყველა პოეტს ვეხმალავები!

ასეთია ცხოვრება

ასეთია, ასეთია ცხოვრება,
ხორცის საკეპ მანქანაში გატარებს...
გარბიხარ და მგელიც უკან მოგყვება,
შეჩერდები? დაგფლეთს, არ გაგახარებს...
რა ცუდია, პატიება არ იცის,
გიცქერს, როგორც ციხის "ნადზირატელი",
თავს კარგად გრძნობ? გაჩუმდება, დაიცდის,
გამოჩნდება, მაშინ, როცა არ ელი...
გამოჩნდება და მთლად აგირ–დაგირევს,
რაც აკეთე, ბრძოლით, სისხლით, წამებით...
უტკბეს თაფლში შხამს და ბალღამს გაგირევს...
გადაგკიდებს ვისაც კი ეყვარები...
შენც ნუ იტყვი, რომ ცხოვრება ავია,
გაიცინე თუკი მკვლელებს გიგზავნის...
ის რაც ხდება განა მისი ბრალია,
სიცოცხლეა თვითონ მწარე იგავი...

სინანული

გულს სინანული ამოვაყოლე,
ხელზე დავიდე, მკვდარი მეგონა,
შემომხედა და მითხრა – ჩამქოლე,
არ გამოვდგები მე შენს მეგობრად...
ვერ ვხვდები, რატომ შემომეჩვია,
მართლაც, სად მე და სად სინანული...
სევდა, რომელიც მუდამ ჩემშია,
ძველია, თანაც კაპიტალური...
სანანებელი კი ისეთია,
ისე ძლიერი, ისე ნამდვილი...
რომ გახსენებას მუდამ მერჩია...
ხსოვნიდან იყოს ამოვარდნილი...
ამიტომ ვცხოვრობ მუდამ ღიმილით,
იქნებ, რაც იყო, არცა ყოფილა,
შეცდომებს ვსწავლობ გაკვეთილივით,
დარდთანაც მაგან დამაძმობილა...
და ვცდილობ, ვცდილობ, რომ დრო არ დამრჩეს,
რომ დრო არ დამრჩეს სინანულისთვის...
ბედი კი, აბა, მე რას შემარჩენს,
თავსაც კი იკლავს ჩემი გულისთვის...

გაანათე, გაანათე ეს ბნელეთი!!!

მუზები სდუმს, ქვემეხები გრუხუნებენ,
მუზები სდუმს, მუზები სდუმს, რა ხანია...
ვერ გავექეც ამ რაღაც სენს უკურნებელს...
ყვავ–ყორნები ჯერაც თავზე დამჩხავიან...
სადაც მე ვარ, აქ არ არის არც სამოთხე,
არც ედემი, არც ბაღნარი აქ არ არის...
დღემდე ვცდილობ, დღემდე ვცდილობ არ წამომცდეს,
არ წამომცდეს რამე, მართლაც, დასანანი...
ჩემი ენა, ჩემი მტერი დასაბამით,
ამოღებულ ხანჯალივით გალესილა...

ჰოდა, როგორც ინსტრუმენტი დასარტყამი,
ამბობს, რაც კი სულში სიტყვა დალექილა...
ზოგჯერ, მართლაც, ცეცხლის ალი უკიდია,
ვერ ჩააქრობს მის ცხელ ხანძრებს ნიავ–ქარი...
სიმართლის თქმა, როგორც ვატყობ, მის სისხლშია,
და აბრწყინებს წყვდიადს, როგორც ჩირაღდანი!!!
გაანათე, გაანათე ეს ბნელეთი,
ენავ ჩემო, ქრისტეს სისხლში განბანილო...
სულ მძიმდება, სულ მძიმდება დღეს ხმელეთი...
და სატანას თუ წავაწყდი რას დამინდობს...
აღარაფერს მკარნახობენ ეს დღეები,
ერთმანეთზე ცოდვა–ბრალით გადაბმული...
აღარ ჩანან სიყვარულის მეკვლეები,
თითქოს, ჟამი მოდიოდეს აღსასრულის...
ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას ასე იყოს,
ხანჯალივით ენაც სულში ჩაეგება...
ახლა უკვე თვით სატანაც გამერიდოს,
წავა კიდეც, თუკი რამე გაეგება!!!

რაღაც დავკარგე

ასე მგონია, რაღაც დავკარგე,
ჰო, სიყვარული დავკარგე მგონი...
რომელიც, თითქოს, მქონდა აქამდე,
და შემომადნა ხელთ, როგორც თოვლი...
ამტკივდა გული, არ მიამდება,
მტკივდება, როცა არავინ უყვარს...
ისე ღამდება, ისე ღამდება,
რომ ჩემს ეზოში ატმები სწუხან...
ატმები, ადრე ყვავილებს შლიდნენ,
და სურნელებაც იდგა აპრილის,
შეყვარებულად როდესაც მთვლიდნენ,
კვირტები ყლორტზე გამოტანილი...
არ გელოდები და აღარც სუნთქავს,
მთვარე რომელიც ღრუბელს აეკრა,
ქარი რომელიც სარკმლებზე უკრავს,
მიუსაფრობას და მწუხარებას...
არ გელოდები, არ გელოდები,
შენ შეასრულე შენი მისია,
მგლოვიარობენ ხეზე ფოთლები,
და ჩემი ბაღი ვეღარ მიცვნია...
აღარ გამოვა, აღარ გამოვა,
ის რაც აქამდე მეგონა ნაღდი...
ბაღში ატმები აღარ ამოვა...
რადგან წახვედი, მე კი მიყვარდი...

შენი კოცნა ისე მინდა

წვიმა დავრგე, ნიაღვარი ამოვიდა,
ცრემლი დავრგე, ამოვიდა გლოვის ზარი...
ალბათ ზეცა შენს ოცნებებს დათოვლიდა,
იტირებდი, ამიტომაც ვერ გითხარი...
გადათეთრდა, მე კი შენი წადილი მაქვს,
მე კი შენი წადილი მაქვს დაუძლევი,
ვუმზერ, ვუმზერ, თოვლის ზეწარს ისე დიდხანს,

ყურს ჩამესმის ანგელოზთა საუბრები...
თოვლი დავრგე, ყინულები ამოვიდა,
ვარდი დავრგე და ეკალმა გაიხარა,
მინდა, მინდა, შენი კოცნა ისე მინდა,
სურვილისგან ლამის ზეცა დაიბზარა...

მოლოდინი

ზიხარ მიცდი, ვიცი, ისევ ჩემზე ფიქრობ,
ზიხარ მიცდი, შორს, ჰორიზონტს აბჯენ თვალებს...
რა ძნელია, ვარსკვლავებში ამოიცნო,
ის, რომელიც, შენს ოცნებებს ანიავებს...
რა მძიმეა, მოლოდინი, როცა იცი,
როცა იცი, რომ არასდროს ის არ მოვა...
ვისაც, თითქოს, გადაუსხი შენი სისხლი,
ვინც ეს სისხლი წვეთწვეთობით ამოგწოვა...
შორს, ჰორიზონტს, მკრთალი მთვარე მიეხატა...
სდუმან, სდუმან, ცად აწვდილი მწვერვალები...
ყველა მათგანს ალამაზებს თოვლის ფატა...
მებრალები, მებრალები, მებრალები...

სული მხრებით როგორ ვზიდო

რა ჯობს, ნეტა, ჩუმად ვიყო, ჩუმად, ჩემთვის,
სადმე ტყეში, ნაძვის ძირას მიყუჟული...
და ვუსმენდე ტყის ჟრიამულს როგორ ერთვის,
ხმა მიწაზე მობუტბუტე ნაკადულის...
თუ ამ ბრბოში ვტრიალებდე, ვწრიალებდე,
ბრბოში, სადაც მე არავის არ ვახსოვარ....
სადაც წმინდა, მართლაც ნათელ მისწრაფებებს,
დასცინიან და მოელის კატასტროფა...
სადაც ყველას, შურისგება, სისხლი, მსხვერპლი,
ყველას რაღაც ამდაგვარი ენატრება...
სადაც შენი გულისცემა აღარ ესმით,
სადაც ტკივილს განრისხება ენაცვლება...
მოვალე ხარ, მოვალე ხარ, გაერიდო,
ამ ბნელ ქაოსს, ამოზიდულს მორევიდან...
ან მასწავლე, სული მხრებით როგორ ვზიდო...
გაკოცებდი, მაგრამ, რაღაც, მომერიდა...
არა, არა, მიჯობს, მართლაც, სადმე ვიყო,
ტყეში, სადაც, აღარავინ შემომიღრენს...
სადაც, თუნდაც, წყვდიადი და ღამე იყოს,
მაგრამ სული მომწყდება და ცაში იფრენს...

შუამავალად მე სატანა მყავს

იცით, ძაგება მე ძალას მმატებს,
მათგან, ვინც თბილ–თბილ სკამებზე სხედან...
ილაპარაკონ, ნიჭს ვინ წამართმევს,
მე ჩემი ნიჭი მაჩუქა ბედმა...
და მეც ვცდილობდი არ გამეფლანგა,
არ დამკარგვოდა არცერთი გრამი...
თვით სატანაც კი გამომეცხადა
რომ მიმეყიდა მე მისთვის თავი...
უარი ვუთხარ, ჰოდა, მას მერე,

მეთამაშება, როგორც კატა თაგვს...
მტრებმა კი, მართლაც, რაც გსურდეთ წერეთ,
შუამავალად მე სატანა მყავს...
ყველას ვინც ზეცის შეაღო ბჭენი,
მათ ყველას ჰყავდა თავის დემონი...
ლაპარაკობენ იაგოს ენით,
დახრჩობა მიწევს მეც დეზდემონის...
ვერ დავუჯერებ, მათ გაქნილ ენებს,
როგორც არ უნდა ლაფში გამსვარონ...
და ვერც ვერავინ ვერ შემაჩერებს,
რადგან ჩემია უკვე სამყარო!!!

ზღვა ამოდის თითქოს წყლიდან

ღამდებოდა, ზღვაზე ტალღებს,
შეპარვოდა სევდა ხმაში,
ვარსკვლავებით იყო სავსე,
ზეცა, როგორც ღვინით თასი...
სად მიდიან ეს გემები,
ზღვის ნაპირას მოდრეიფე...
იალქნები, როგორც ფრთები,
მიფრინავენ თითქოს ცისკენ...
ამ გემებმა რა იციან,
რა იციან ჩემი სევდის,
გულმა როგორ ჩაიხვია
მარჯნისფერი იალქნები...
მინდა ზღვაში გადავეშვა,
იმ ანძიდან გემს რომ ადგას,
აფრა მოჩანს წყალზე თეთრად,
გემი თითქოს მისდევს აფრას...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
თან წაიღოს ჩემი სევდა...
ზღვა ამოდის თითქოს წყლიდან
და ზეცისკენ გემს მიჰყვება...

გაუშვი იყოს თუნდაც ომები

ჩემს სამფლობელოს მაღლიდან დავცქერ,
სამყაროს ათვლაც ჩემით იწყება...
თავისუფლება მივეც შევარდნებს,
ვერ შევეხები მე მათ ღირსებას!
აქ, ზეციური ღრუბლების ზღვაში,
გზა გავუკაფე მე ჩემს ხომალდებს...
წინ მიიწევენ გრიგალშიც, ქარშიც,
წინ მიიწევენ და მისტოპავენ!
აქ, სადაც ასე მრავლად არიან,
სიკვდილის მაცნე შავი ყორნები,
და ჩემს უძირო ცას, ვარსკვლავიანს,
შემოსევიან ვით ჯვაროსნები...
ომის მოგება ურთულესია,
ეს ტოლფასია სიკვდილთან ბრძოლის...
მაგრამ მეცა მყავს ჩემი მესია,
ჩემი მეტოქე და თანასწორი...
გაუშვი, იყოს თუნდაც ომები,
მიწას აწვიმდეს სისხლის წვიმები...

დანაღმულ მკერდზე ვით ფანტომები,
სკდებოდნენ შენი თლილი თითები...
მე გადავყურებ ჩემს სამფლობელოს,
უმისოდ წამიც არ შემიძლია...
ნისლის ნაბადი უნდა მოვთელო
და დავაფარო მიწას სისხლიანს...

მე მეშინია

თითქოს ღრმა ძილით სძინავს მთაწმინდას,
ყველას ვინც კი იქ განისვენებენ...
მარმარილოდან ყვავი აფრინდა,
სხვა ყვავს მიუჯდა, იქვე, კედელზე...
სხვა სახე ჰქონდა აქ ეკლესიას,
როცა ტატოს და ვაჟას მარხავდნენ...
ბევრის საფლავში მხოლოდ ძვლებია,
ანუ რაც დარჩა გადმომარხვამდე...
მე მეშინია, ჰო, მეშინია,
ჩემი ერის და ტოლერანტობის...
რომ მთაწმინდასაც გამიყიდიან...
რომ სხვებს დარჩებათ ყველა მაღლობი...
წმინდა იქნება თუ უწმინდური,
რაც კი არსებობს საქართველოში...
თვით საქართველო კი გახიზნული,
როგორც გადაღვრილ სადღეგრძელოში...

ან რა მაშორებს უსასრულობას

მე ჩავიკარგე შენს ცივ მზერაში,
და მივხვდი, როგორ დავრჩი უშენოდ...
თითქოს სითბოდან გამაგდეს კარში,
თითქოს, დამტოვეს უფეხ–უხელოდ...
შემოვტრიალდი, ყველგან გზებია,
მაგრამ არცერთი არ არის ჩემი...
ზოგნი რა ბედზე იბადებიან,
ზოგს კი ღმერთებიც კი ვერას შველის...
აქეთ წვიმაა, აქეთ ქარია,
აქეთ თოვლია და თოვლჭყაპია...
მკერდს რომ მიღადრავს ვეფხვის ბრჭყალია,
სეცდას კი გული შეუჭამია...
ვხედავ რომ ჩაქრა, ვხედავ რომ ჩაქრა,
ირმის თვალებში ცხელი სანთლები...
ვისთან წახვედი, ვინ მოგეახლა,
საღამოებზე ვის უთანხმდები...
მსურდა ღვინოში თავი ჩამეკლა,
მაგრამ წყლად მექცა ღვინის წვეთები...
დაღამდა ძილი არ მეკარება,
მტკვრისკენ მირბიან ჩემი ფეხები...
ან რა მაშორებს უსასრულობას,
ერთი ნაბიჯი, სხვა არაფერი...
მტკვარი ცივია, მე ხომ მწყუროდა,
მეც შენს მაგიერ მტკვარს ვეწაფები...

კვლავ დამავიწყდი

კვლავ დამავიწყდი, ნეტა, რას ნიშნავს,
ან რა დავრქვა ამ დავიწყებას?
დაგეკარგეო, გთხოვ, რომ არ მითხრა,
გული დამწყდება და მეწყინება...
თითქოს ჩიტები ბუდეს არღვევდნენ,
თითქოს ძაღლები ყეფდნენ ალიონს,
ჯოჯოხეთისკენ მიმაქანებდნენ,
და მიკეტავდნენ გზებს სახვალიოს...
არა, ვერ დავთმობ მე შენს ღიმილებს,
ვერც დავიწყების მივცემ ღამეებს...
მოვალ, აპრილად ავაბიბინებ,
ჩემი დანახვით დამთვრალ ბაგეებს...
მოვალ, უბრალოდ, თავს შეგახსენებ,
რომ შენი კანის ვიგრძნო ალმური...
და ჩაგჩურჩულებ ყველა სახელებს,
ვისთანაც ვიყავ გადაკარგული.

მე მაისი ვარ

მითხარი, როგორ გამოვამტვრიო,
სარკე, რომელიც ჩვენ ორს გვაშორებს...
ან შენს გულამდე რომ მოვაღწიო,
ხომ არ დამიყრის ქალაქი ჭორებს...
კი, მართალია, არ მიყვარს მალვა,
ზედაპირული, ყალბი გრძნობების...
ეს თამაშია, სული კი მაღლა
მიფრინავს, როცა შენ გეტოქები...
მე მაისი ვარ, შენთვის ვარდები,
ჩემს ხელის გულზე ამოვიყარე...
გაჩუქებ ჩემ ხელს, თუკი დატკბები,
თუ სხვებს დატოვებ და შემიყვარებ!
არ შეგეკითხე, შენს ბედს სიზმარში,
ბედნიერების ძაფი მივაბი...
და დავძვრებოდი მე შენს ბინაში,
სიზმარში, მაგრამ, მაინც დილამდი...
და ვუცქეროდი თვალდახუჭული,
შენი წითელი კაბის კონტურებს...
მთვარეს ესმოდა ჩვენი ჩურჩული,
და ნახა, როგორც გამომისტუმრე!!!

ქარი ტიროდა

რაღაც უცნაურ წუხილით წუხელ,
ჩემს ფანჯარასთან ქარი ტიროდა...
რატომ, ვერ ვკითხე, ვერ შევაწუხე,
მომეჩვენა, რომ ჰქონდა ჭრილობა...
ჰო, როგორც იცის, ველარა ქროდა,
რატომღაც, თითქოს, იყო დამფრთხალი...
მივხდი, რომ ჩემი თავი არ ჰქონდა,
ისე საბრალოდ მომაპყრო თვალი...
მერე წავიდა, ფეხი ითრია,
მართლაც, აშკარად, წასვლა არ სურდა...
მხრით შეეჯახა ცაცხვებს ფიქრიანს,
ხმელი ტოტები აუტკაცუნა...
საიდან იყო, ვის გამოექცა,

ქარებსაც, ალბათ, ბედი არ სწყალობთ...
ვხედავ, ნიავი კართან მოცეკვდა,
ეცინებოდა, ქარს ვუყვარვარო...

სახელი

შეცდომებს მე რომ ვუშვებ, რა დათვლის...
რა დათვლის ცოდვებს, მე რომ მამძიმებს...
ასე მგონია, ამ ცოდვა–ბრალში,
პირდაპირ ციდან ჩამომაფრინეს!
თითქოს მცდიდნენ და უკან დამდევდნენ,
თან სასწაულებს ელოდნენ ჩემგან...
მეც დავდიოდი, როგორც დანებზე,
და მიხაროდა, რომ სული მედგა...
სული, რომელიც, როგორც ჯალათი,
ბელზებელივით ცოდვებს მითვლიდა,
გაკრული ვყავდი ჯვარზე მაჯათი
და მცლიდა, მცლიდა მუდამ სისხლისგან...
და მიკვირს, მიკვირს, როგორ გადავრჩი,
რაც მე დაცინვა ამიტანია...
მე დავიბადე ამ ქვეყანაში,
აქ შური მეფობს და ტირანია!!!
კვლავ ველოდები მძიმე აკორდებს,
უკვდავების წყალს აქ არვინ ეძებს...
თუნდაც ძაღლივით მოკვდე, გაცოფდე,
სახელი? მხოლოდ სიკვდილის შემდეგ!!!

მეწყინა

როცა მთავრდება სულ ყველაფერი,
და, ჰა, სიკვდილიც უნდა მომადგეს...
საცაა უნდა გამოჰკრას ცელი,
გადამაბაროს ზეცის მონაზვნებს...
რომ სადაინღაც რაღაც იმედი,
ამ წყვდიადიდან გამოიბჟუტებს,
მეც, რა თქმა უნდა, გავიღიმები,
და ვხედავ კიდეც სიკვდილის ქუსლებს...
ახლაც ასეა, მოდის იმედი,
და გადახერგილ ჯეგირებს ამსხვრევს...
ვიცი, არა ვარ მე "დიდი გეტსბი",
მაგრამ, მეც წყენას ბევრს ვერ შევარჩენ!!!

არა ღირს

ნუ ეძებ, ნუ ეძებ, ამ ქვეყნად ნურაფერს,
ყველაფერს დაფარავს ხავსი და ბალახი...
ნუ გიკვირს, ნუ გიკვირს, რაიმეს თუ აღწევ,
თვითონ ოქროს მთებიც თეთრიც კი არა ღირს...
ვის უწევს, აქედან რაიმეს წაღება,
შიშვლები მოდიან, შიშვლები მიდიან...
რაც უფრო მეტი გაქვს, მეტად გენანება,
არ გაქვს და სიკვდილიც ფეხებზე გკიდია!
ასეა, მზე ყველას ერთფერად ანათებს,
მდიდარსაც, ღარიბსაც და არასმქონესაც...
არა აქვს, არა აქვს, აქ აზრი არაფერს,

დასცინებს სიკვდილი მეფეს და მონებსაც...
ჩემამდე ეს, ალბათ, ათასმა ვინმემ თქვა...
სიყვარულს ველოდი და შემრჩა სიკვდილი...
მომთხოვა სიცოცხლე და უნდა მიმეცა,
და ვცხოვრობ მას მერე, მეც განდეგილივით!!!

ბატის ბუმბული

მინდა დავმშვიდდე, მინდა დავმშვიდდე,
მაგრამ სიმშვიდის არ მაქვს უფლება,
გული მკარნახობს სულ სხვას მაშინვე,
გულზე მხეთქავს და სხვას მეუბნება...
არ მინდა ავყვე, არ მინდა ავყვე,
შორს ჰორიზონტი წითლად ანთია,
ვიცი, რატომაც ჰყვებიან ზღაპრებს,
და იმ ზღაპრებში რა აზრიც ყრია...
აღარ იციან როგორ გათვალონ,
როგორ მიაბან ამბებს ამბები...
რამდენი დედა დედინაცვალობს,
ან მიჰქარავენ ჭორიკანები...
მართლაც, ამოხსნა რა ადვილია,
საით უმიზნებს მათი დარტყმები,
ჩემს ხელისგულზე გადაშლილია,
სიტყვის ღვთიური ფოლიანტები...
აქ ლექსებითაც ისე ვაჭრობენ,
როგორც ვაჭრობენ სიტყვით ჩარჩები,
ჟანგი და ქვიშა ბრილიანტობენ,
და ქვა–ღორღობენ ბრილიანტები...
მართლაც, რად მინდა ყალბი სახელი,
ხმალი მაქვს სისხლში ამოწობილი...
მე ხალხს არასდროს დავენახვები,
ბატის ბუმბულში გამოწყობილი...

მე მარტო არა ვარ

მინდა რომ წავიდე, მინდა რომ წავიდე,
იქ სადაც ზეცაზე სიცოცხლე წერია...
იცი, დაგიჯერებ, თუკი დამარიგებ,
და შენი სიტყვები თუკი მიშველიან...
არასდროს, არასდროს მე მარტო არა ვარ,
ჩემს გვერდით, მკვდრებიც კი, ჰო, მკვდრებიც არიან...
ამიტომ ყოველთვის ვიპოვი თანამგზავრს,
შენთვის რაც ცხადია, ჩემთვის სიზმარია...
აქ ყველა დღეები გადიან უაზროდ...
ჩავკეტე კარები და მომყვა თითები...
მე ყველა ბრალდებას თავშივე ვუარყოფ,
შენც ხედავ, არაფერს, არაფერს გპირდები...
ვერ იზამ, ვერაფერს, ვერაფერს, ვერაფერს,
აქ დროთა კავშირი კვლავ გაწყვეტილია...
ქვის სიმებს რას უზამ, ან როგორ შეარხევ,
აქ, იცი, დედებიც უცრემლოდ ტირიან...
მე დღემდე მონა ვარ და იმედს დავათრევ,
თუმც ყველა იმედი მე სისხლით შევღებე...
მივდივარ, მივდივარ, რომ იქნებ გადავრჩე,
შენ კი ხვალ, ძვირფასო, საფლავში მეძებე!!!

ასე მგონია ენა წამართვეს

ჰაერი გახდა ისე უხეში,
როგორც ბებერი ძაღლის ნეკნები...
ენა ჩავიგდო უნდა მუცელში,
რომ მოვირჩინო ეს ნაკბენები...
ვიცი, რომ ჰაერს დავეჯახები,
ახლა საითაც უნდა წავიდე,
ნუ მეთანხმები, ნუ მეთანხმები,
ნურც რჩევას მომცემ, ნურც დამარიგებ...
მე ვეღარ ვარჩევ, იცი, ასოებს,
ასე მგონია ენა წამართვეს...
ვერც შენი სახე დავიმახსოვრე,
ვერც ეს სიტყვები ვერ დავალაგე...
რატომ გარბიან, რატომ გარბიან,
წუთები, მე რომ ასე ველოდი,
ცას რატომ შერჩა შავი მანტია,
რად ვერ ვამაყობ საქართველოთი...
რა რჩება ჩვენი სიკვდილის შემდეგ,
ძეგლი რომელიც აღარც ძეგლია...
მე დავდივარ და ჩემს საფლავს ვეძებ,
სასაფლაო კი მგონი შემშლია...

ნუ აუკრძალავ

როგორ არ მინდა შენს ლამაზ სხეულს,
სიბერემ გაჰკრას თავისი ბრჭყალი...
და მკერდს, ბაღჩად და ბაღნარად ქცეულს,
დაადგას თავის ბოროტი თვალი...
როგორ არ მინდა შენს ღვთიურ სახეს,
მოაკლდეს ციურ ვარსკვლავთა ელვა,
როგორც დაისის სუნთქვა მწუხარე,
და მიქცეული ზღვის ჩუმი ღელვა...
თვალები ხშირად ბევრ რამეს მალავს,
და ხშირად ბევრად ადრეც ქრებიან...
ნუ აუკრძალავ, ნუ აუკრძალავ,
შენს თვალებს, რასაც მე მპირდებიან...
გესმის, დროების რეკავს ზარები,
და გარეთ ცხელი ქარები ქრიან...
მშვიდად ახრჩობენ წამებს წამები...
არ დაგიდევენ სამყაროს წრიალს...
და თუ დღეს ასე გამჭვირვალეა,
შენი სხეული და შენი კანი...
თუ მოწმენდილი ცაც ბრწყინვალეა,
გახსენი შუბლი, რად შეიკარი!

თეთრი ცხენი

თეთრი ცხენით თეთრი ქალი მოჯირითობს,
თეთრი ცხენი თეთრ ნაბიჯებს დგამს...
გადავუდექ, არ დაგითმობს, არ დაგითმობს,
საფეთქლებში სისხლი რეკავს ზარს...
ამარიდებს, ამარიდებს, მაგრამ ვიცი,

დამიტოვებს მკერდზე ტრფობის ბზარს...
გავეკიდო? მაგრამ, ვიცი, არ დამიცდის,
ღმერთმა, უკვე, მიაკუთვნა სხვას!!!

შენ ჩემს გარდაქმნას ტყუილად უცდი

შენ არ წასულხარ, შენ სულში ჩამრჩი,
და თავს აფარებ შიგ ძველ იმედებს...
ვერ გენახვები, ვიცი, რომ ჩამჭრი,
ვერ ვხვდები, რატომ ამომიჩემე...
მე ვიცი, ვიცი, ცივა ჩემს სულში,
შენ კი რატომღაც წასვლას არ ჩქარობ...
შენ ჩემს გარდაქმნას ტყუილად უცდი...
აბა, რა გითხრა, რით გაგახარო...
ან რა დავარქვა ამ გაორებას,
როგორ აგიხსნა რისი შიში მაქვს?..
თითქოს გელოდი მთელი ცხოვრება,
მაგრამ ყოველთვის რაღაც მიშლიდა...
ახლა კი როცა სული აღარც მაქვს,
ის ქაღალდივით დაჭმუჭნილია...
ასე მეგონა რომ დროს გადაჰყვა,
შენ კი კვლავ სულში შემოგივლია...
შენ ხომ არ იცი, თუ რამდენს ვცდილობ,
იცი, შენს წასვლას მე ვერ დავმალავ...
ძვირფასო, სულში თუ მოიწყინო,
გარეთ გამოდი, მე ხომ აქა ვარ...

ვის ვკითხო

იმ სიამაყეს მე რომ ვატარებ,
ბრაზს, მრისხანებას, არეულს ერთად...
მთელი ცხოვრება, რომ მაჭანჭყარებს
და არ მეშვება, რა ჰქვია, ნეტა!?
სიყვარულს, მე რომ ვერ მოვიცილე,
როგორც საშოდან ბედის პერანგი...
როცა სამშობლო აღმოვიჩინე,
თუმცა ცოდვებში ვიყავ ყელამდი...
რად არის მიწა ასე ძვირფასი,
ან სხვებზე, მითხარ, რატომ ჰყიდიან?
ან როგორ ჩადის ღვინის ჭიქაში,
ან მუდამ ბეწვზე როგორ ჰკიდია...
ვინა ვარ, რა ვარ ან რატომ გავჩნდი?
ვის ვკითხო, არის ვინმე ამხსნელი?
როგორ გადავრჩი, რისთვის გადავრჩი?
რად მივლის ტანში ეს ჟრუანტელი!!!

როგორ დაზამთრდა

გამოლეოდა მზეს მზის სხივები,
და მთვარის მკლავზე ჩუმად კვდებოდა...
შეძრწუნებული ჩემი იმედი
ოცნების კედლებს ეხეთქებოდა...
მართლაც, ვინ იცის, რამდენჯერ მოკვდა,
სული და აღსდგა ისევ თავიდან...

შეუჩერებლად თოვდა და თოვდა,
როცა მზე მოკვდა და გადავიდა...
და ვარსკვლავებიც მზის დაკრძალვაზე,
მდუმარედ იდგნენ თავდახრილები,
გაფითრებული ეკიდა ცაზე,
მთვარე თავისი შავი ჩრდილებით...
მხოლოდ შორს, სადაც დასალიერთან,
ცა უერთდება ჰორიზონტის ხაზს,
მოთეთრო ალი ცისკენ იწევდა,
და მოისმოდა ანგელოზის ხმა...
რაზე მღერიან ანგელოზები,
ეს ან დადგმაა, ან მისტერია...
ნეტა, ღმერთამდე ადის ლოცვები?
იქნებ ისინიც გზაში ქრებიან...
რაზე ვილოცო, ვისზე ვილოცო,
თუკი მზე მოკვდა და მთვარეც ჩაქრა...
ალბათ სულია ყველაზე ცოდო,
როგორ დაზამთრდა, როგორ დაზამთრდა...

უყვარდეთ მართლაც

ზოგჯერ მგონია მთვარე თვალს მიკრავს,
მეთამაშება თავისებურად...
ქარი შორიდან ჭორებს მომიტანს,
ჩამომიკაკლავს მთვარეს ვინ უყვარს...
უყვარდეთ, მართლაც, ვისაც ვინ უყვარს...
ისე, ნეტა, მე რა შუაში ვარ...
ჯერ ისევ უყვართ თავგანწირულად...
ქარი კი ჩემთან იკლავს ხვაშიადს...

აღარ მოვალ

როცა მოვალ და არ მხვდები,
ის წუთები აზრსა კარგავს...
თითქოს მთებში ვიკარგები,
ხეობაში, ქვემოთ, სადღაც...
სადაც ველებს, ღელის პირას,
არ ხატავენ ყვავილები...
ბალახებში მწერებს სძინავთ...
და უაზროდ გადის წლები...
შენს შავ თმებში ნატიფ თითებს,
თითქოს ბინა უპოვიათ...
მე კი სული გამიფილტრეს,
და ფიქრებიც იწყებს წრიალს...
აღარ მოვალ, აღარ მოვალ,
შენ მიზეზებს თუკი ეძებ,
აბა, ვნახოთ რა გამოვა,
ჩაგიარო უნდა გვერდზე...

ზედ მეხეთქება ზღვასავით

მიყვარხარ, როგორც ქალები,
ალბათ, უყვარდათ ძველად,
მიყვარხარ, სხვა ნეტარებით,
ღელვით, გზნებით და მწველად...

სხვისთვის ცხოვრება გრძელდება,
ჩემთვის მოკლდება, მგონი...
ბედნიერების შეგრძნება,
თურმე ყოფილა ჭორი...
ერთბაშად ყველა ვარსკვლავი,
როცა ინთება ცაზე,
ზედ მეხეთქება ზღვასავით,
შენი გულმკერდი სავსე...
სიხარულს გადავეჩვიე,
რაღაცას ვეძებ ახალს...
მოდი, ძვირფასო, მეწვიე,
ნუ დამამადლი ნახვას...
მოდი, მერანზე შემოვსხდეთ,
როგორც იცოდნენ ადრე,
შეშურდეთ მტრებს და მეზობლებს,
ერთად მისცვივდნენ სარკმლებს...
ჩვენ კი, დეზი ვკრათ, გავფრინდეთ,
აღარ დავეშვათ დაბლა...
მხარი ვუსწოროთ არწივებს,
როგორც სიზმრად და ზღაპრად!!!

თითქოს ვწევარ ფანტელებში

ჩამაკვდება ცა ხელებში,
ხელს თუ ავწევ ცისკენ...
თითქოს ვწევარ ფანტელებში,
და მათ ჩურჩულს ვისმენ...
რომ ამ ღამეს, როცა ზეცა,
მოათავებს თოვას,
ციდან ჩემთან საკოცნელად
ანგელოზი მოვა...
თოვლის კაბით შემოსილი,
ფანტელების ფრთებით
შემოჰყვება ნისლებს დილით,
როგორც თეთრი გედი...
თეთრი გედი ნისლოსანი,
არის ჩემი ბედი...
ჯერ კი, ჯერ კი ის შორს არის
და მეც ველოდები...

მოგენატრა? ასე იცის ქუთაისმა (მაიკო ფერაძე).

არ მინდა გითხრა რამე ნათქვამი,
ისედაც გქვია პოეტთა მხარე...
შენ არაფერი არ დამაბარე,
რომ გეთქვა, მაინც არსად გაგთქვამდი...
დავესესხები რითმას ტიციანს,
აქ ქარი დარბის ახალ–უხლებით...
თუ რაც გულში გაქვს არ მეუბნები,
ალბათ, სათქმელი სხვისთვის გითქვია...
ვიგრძენ, შენს ქალებს ძველი სურვილით,
სწვავენ იმერის თეთრი თაღები...
შენ ავთვალს დღესაც არ ენახვები,
მაინც დახვდები სტუმარს სულ ღვინით...
თითქოს ასი წლით უკან დამხიე,

მაშინდელ ლექსებს ვეცი თაყვანი...
მიყვარხარ, თითქოს, ხმალი დამკარი,
და შენი ბაღის ვარდად მაქციე...
და ახლაც თითქოს ისე დაგეძებ,
როგორც ეძებენ შეყვარებულებს...
ის რაც დავკარგეთ, შენ დამიბრუნე,
და, მითხარ, თუკი თავს მოგაბეზრებ!!!

მადლობა (კ–ს)

მადლობა, შენ რომ არსებობ ქვეყნად,
ამდენ სინანულს რომ ამარიდე...
რაც უნდა გერქვას, რაც უნდა გერქვას,
ეს შენ შეხსენი სამყაროს რიდე...
მჭირდები, როგორც, წყალში თევზს წყალი,
როგორც გულს სისხლი, ფილტვებს ჟანგბადი...
როგორც გაზაფხულს ერთი მერცხალი,
და მწყემსს თავსხმაში თექის ნაბადი...
სად შენ და სად ეს შედარებები,
ეს საიდუმლო მე ვერ გავეცი...
მე ხომ შენს გამო დამემსხვრა ფრთები,
და დამავიწყდა ქალის ალერსი...
ასე გზადაგზა ვაგროვებ ფიქრებს,
შენ რომ მიგზავნი და მე მახრჩობენ...
სწორედ შენს გამო არ მყოფნის სივრცე,
რომ ვიმყოფები შენს სიახლოვეს!
თუმცა, ვინ იცის, მოვკიდო ხელი,
ჩემ ბედს და ისე შევაჯანჯღარო,
რომ ერთიანად, ახალიც, ძველიც,
ფეხქვეშ გამიგოს მთელი სამყარო...

მე მოგონებებს ვისვრი ხიდიდან

შენ თმებგაშლილი ვარდის კაბაში,
მაგონებ ცაში მტრედების ამბორს...
მე კი წარსულის ფურცლებს გადავშლი,
სადაც შავ–თეთრი ფერები ჭარბობს...
წლები კარს ისე შემომიღებენ,
როგორც მდინარე არღვევს კალაპოტს...
მწარე წუთები თვალს მარიდებენ,
თითქოს საყვარელ ქალს ეღალატოს...
ისე შემოდის ვიოლინოს ხმა,
როგორც ქვრივისთვის სიზმრის ნუგეში...
ხეებზე ძველი ნაყოფი მოხმა,
მთვარე ჩაისვა ზეცამ უბეში...
ასაკს იმდენად ვერ ეგუები,
სარკეს უხდება თავის მართლება...
გახუნდა მინა ამდენ ყურებით,
და ანარეკლსაც უჭირს გაძლება...
მე მოგონებებს ვისვრი ხიდიდან,
ხსოვნას ჩაითრევს ფსკერზე მორევი...
კოცნები მცვივა გულის ჯიბიდან,
და შემოდგომა სთვლემს მოშორებით...

დაგელოდები

დაგელოდები, კლდის პირას, სადაც,
ჩანჩქერი, თეთრი ფრთებით ეშვება,
სადაც ჰაერი ჰგავს იასამანს,
კლდეები ღმერთის შემოქმედებას...
ან როგორ უძლებს ნეტა ჩანჩქერი,
კლდეთა ტინებზე მინარცხებული,
რომ არ თავდება ეს ღრიანცელი,
აყეფებული, აქაფებული...
მზე აქ სამზერად სხივებს მოიყვანს,
და დათვი ბელებს დასარწყულებლად...
მორევი ქაფით სახეს მოირთავს,
ჩვენ კი ვისხდებით მათ მაყურებლად...
ამბობენ, თურმე, დიდი ხანია,
კლდეს რაც ჩანჩქერი შეჰყვარებია,
და წყლის წვეთებიც იმ სიმაღლიდან
მიწას უსულოდ ენარცხებიან...
ხომ შეიძლება გული ასტკივდეს,
ჩანჩქერს ამდენი კლდეზე ფეთებით,
როგორც არწივი ცაში გაფრინდეს,
თავის ქაფით და თავის შხეფებით...
მოდი, ჩამოვსხდეთ ასე გვერდიგვერდ,
მე და შენ ვიყოთ ამის შემსწრები...
მე ჩემს სიყვარულს დაგალევინებ,
შენ ჩანჩქერივით ამეწებები...

სანამ გული გამტეხია

ვერაფერი ვნახე ქვეყნად,
თუნდაც, ოდნავ შენ რომ გჯობდეს...
ვერც მზის გულში აფეთქება,
ვერც ყვავილი მბზინავ თოვლზე...
ვუსმენ, ვუსმენ ნატვრის ჩურჩულს,
შენს თვალებში რომ წრიალებს...
გამოექეც სევდის კუნძულს
და ჩემს მკერდში გაიარე...
სულ არ მინდა შეგიყვარო,
თუმცა, ვგრძნობ, რომ მიყვარდები...
მზე მთვარესთან გაყრას ჩქარობს,
სულ დაცალა ფიალები...
და ზეციდან წვიმა რომ ღვრის,
თურმე ღვინის წვეთებია...
ღამით მკერდზე შენ რომ გკოცნის,
შენ რომ ბაგით გეხებიან...
ეს ხომ ჩემი ნატვრებია,
შენთან ჩემი მოგზავნილი...
სანამ გული გამტეხია,
სანამ კოცნა არის ტკბილი...

ღამე გაქრა, ირიჟრაჟა...

ღამე გარბის, როგორც ნისლი,
იკრიფება ფერდობიდან,
მთვარეს მთებში პარაკლისი,
ჰქონდა თავის მეგობრისა...

მეგობარი ერთი ძველი,
შემრჩა ძველი დროებიდან...
აითრია ღამემ წელი,
თავის შავი ფერდობიდან...
არ დაუცდის, არ დაუცდის,
ღამე დილის გათენებას...
მთვრალი მთვარე ნაკადულში,
დგას და არა გაეგება...
ელოდება ცისკრის ვარსკლავს,
გამოსტყუოს იქნებ კოცნა,
ღამე გაქრა, ირიჟრაჟა...
მზეს არა აქვს უკვე მოცლა...
რატომ ჩქარობს,ნეტა, ასე?
დუმს მთვარე გულგატეხილი...
უკანასკნელ ჭიქას ავსებს,
მზე, ულვაშებაპრეხილი...
არ გამოვა, არ გამოვა,
ეს ამინდიც აღრენილი...
ცამ მინდვრები გადათოვა,
წინა ღამით დამეწყრილი...

შენი თმები

ისევ მელის შენი თმები,
თუ გაწეწეს ქარებმა?
ნუთუ, სხვასთან იღიმები,
ნუთუ სხვა გეყვარება?
დააკვდება მინდვრებს სხივი,
როგორც ძუძუს ბაგენი...
შენს თმებს ვტოვებ ანდერძივით,
სულ სხვა თმებს მივაგენი...
მითამაშებს მგონი თვალი,
ალბათ, რამეს მანიშნებს...
ვკვდები შენი თმებით მთვრალი,
შენს ვარდისფერ ბალიშზე...
რას არ იტყვის, მართლაც, ენა,
ჩემი ენა – მისანი...
არ მინდოდა შენი წყენა,
როგორ ვერ გამიცანი...

და საყვირები

ბოლო დროს ხშირად მაგონდება თეთრი ვარდები,
ჩემი ბავშვობის პატარძლები ჩვენი ბაღიდან,
ლურჯი იები გაზაფხულის ბრილიანტები,
და საყვირები ღობეზე რომ ჩამობარდნილან...
სადღა იპოვი, იმ სიმშვიდეს, იმ სიყვარულებს,
დრომ ჩემ ხსოვნასაც ქურდივით რომ შემოაძარცვა...
მინდა დაბრუნდეს, სიყვარული მინდა დაბრუნდეს,
ძველი ზარების ხმოვანება მაღალ ტაძართა...
სულ ყველაფერი, ყველაფერი რომ გამიყიდონ,
სულს, ღვთის ნაჩუქარს, ვერასოდეს გამიყიდიან...
ეს ჩემი ჯვარი, გოლგოთამდე მეც უნდა ვზიდო...
სანამ ცრემლი აქვთ ანგელოზებს, სანამ ტირიან...
ეს სონეტია, მე მეგონა ტაძარს ვაგებდი...

შემომიერთდით, თუ გადარჩით ჩემი გამგებნი!!!

გელოდი

გელოდი, მსურდა, რომ დამენახე,
შენი ლოდინი კი გვერდით მეჯდა...
წვიმის ღრუბელი მოესხა ტანზე,
და ლაპარაკი უნდოდა ჩემთან...
მკერდზე ეკეთა შენი ნიშანი,
და გამომცდელად შემომცქეროდა...
ვფიქრობდი, ნუთუ, მართლაც, ის არი,
მაგრამ ბოლომდე არა მჯეროდა...
მერე მომაპყრო სერი თვალები,
და ტუსაღივით კედელს ამაკრა...
გამომიწოდა ხელით წამები,
მოცდა მოგიწევს, მითხრა, ამაღამ...
ის გავიდა და მე კი გამექცა,
დრო, მისი ხელით დატოვებული...
ვფიქრობდი, ნეტა, რა უნდა ეთქვა,
თუმცა, მოსმენის არ მქონდა გული...
ყოველთვის, როცა ვიღაცას ველი,
დრო და წამები ისე ფრთხებიან,
ვით ტყვიის ხმაზე ნუკრი და შველი,
და მერე ცაში იფანტებიან...
შენ არ მოხვედი, და მქონდა განცდა,
რომ თვითონ ვიქეც მე მოლოდინად...
შენ არ მოხვედი, თუმცა, შენს ნაცვლად,
შენი ლამაზი სევდა მოვიდა...

სავარჯიშო

ვარსკვლავების სიყვარული გასჩხეროდა მთვარეს ყელში...
სჭირდებოდა მას ეს განცდა?
ალბათ, არა, არაფერში...
ომი იყო, ზეცა ქუხდა, აირია სისხლი ძვლებში,
იმან, ვინც იქ გაიმარჯვა,
სჭირდებოდა? არაფერში...
კაცმა ცოლი მოიყვანა და ჩავარდა განსაცდელში,
სჭირდებოდა ამ კაცს ცოლი?
ალბათ, არა, არაფერში...
მე რომ ვზივარ მთელი ღამე,
და რომ ვგავარ გიჟს და შეშლილს,
მჭირდება კი, ნეტა, რამედ?
ალბათ, არა,არაფერში...
გადავიქეც დანამატად, ამ ცხოვრების ყველაფერში...
ღვინო ვარ და მიწა მყლაპავს
გატარებულს საწნახელში...

არ ველოდი მე ამ ღალატს

არ მცილდება, არ მცილდება,
მოგანგაშე რაღაც განცდა...
დამაწევრა ნაწილებად,
ყველა ნერვი ამომშანთა...

ამომწოვა მთელი სისხლი,
სული გარბის, თითქოს, სადღაც...
სისხლის ნაცვლად მკერდში ნისლი,
და წვიმები ჩამისახლდა...
ვზივარ ცაში ვიყურები,
და თვალებით ვეძებ მუზას...
ვეძებ, მაგრამ, ბოლოს ვხვდები,
იმას თურმე სულ სხვა უყვარს...
და კრიალა თავის სისხლიც,
თურმე სულ სხვას გადაუსხა...
არ ველოდი მე ამ ღალატს,
არ ვიყავი ამის ღირსი,
ახლა, ალბათ, მეც სულ სხვა ვარ,
მეც სულ სხვა ვარ, მუზებისთვის...
ნუთუ, აღარ შემომივლის,
არ ამინთებს სანთელს ჩუმად,
ნუთუ სხვების პოეზიის
მხოლოდ სხვების გამო ზრუნავს...
მაშ, რად მომცეს ჩირაღდანი,
რად მიქციეს გული ცეცხლად...
სად წავიდა ჩემი მძაფრი
სილამაზით აღტაცება...
ასე უნდათ? ასე იყოს,
დავწვავ, რაც რამ დღემდე ვწერე...
თუკი მუზამ ვერ გამიგო,
უკან მიმაქვს, რაც ვეფერე!!!

დილა ვარ

დილა ვარ, გავყრი ყველა ვარსკვლავებს,
და მზეს მოვუხმობ ამოსასვლელად...
ეს მთვარე თვალსაც არ ახამხამებს,
მიყურებს, მგონი, ჩემი არ სჯერა...
დაკარგა თავის ყარაჩოღლები,
საუკუნეა სულმთლად მარტოა...
აღარც კინტო და აღარც დოსტები,
ჩემ გარდა, მართლაც, ყველამ დასტოვა...
დროებით მთვარეც უნდა ჩავაქრო,
გადავასახლო, სადმე, ცის იქით...
აჯობებს დღისით, რომ მზემ ანათოს...
რისთვის? რისთვის და შენი სიყვარულისთვის!!!

ბედნიერებას ჩვენ რომ ვეძებდით

დღეს, ერთადერთი, მე რისიც მჯერა,
ეს ზღაპრებია, ანდა, სიზმრები...
ალბათ, არსებობს სხვა ბედისწერაც,
არსებობს სულ სხვა, სულ სხვა მიზნებიც...
ასე მგონია, კარს გამიღებენ,
ზეცაზე მთვარე და ვარსკვლავები...
თორემ მუზები აგვიანებენ,
ანდა, მათთანაც ზღვარს გადავედი...
და, ერთადერთი, რაც აქ მაჩერებს,
ძალა რომელიც ქვევით მეწევა,
ჩემი გონება შენ გასახელებს,

და, იქნებ, სწორედ, გასახელებლად...
შენც ხედავ, როგორ მიდის ლპობაში,
რომ სურნელებას ჰკარგავს ვარდები...
ჩვენც ხომ ვბერდებით ამასობაში,
როგორც ეს მთები და ნაპრალები...
ბედნიერებას ჩვენ რომ ვეძებდით,
ხომ ნახე, სხვებმა დასტაცეს ხელი...
ჩვენ ვერ მოვკვდებით ბედნიერები...
აქ წყვდიადია და ღამე ბნელი...
ვერ გავუმართლე მე შენს იმედებს,
ყველა კოშკებთან იწვა დრაკონი...
ხედავ, ზეცაში თაღებს გვიღებენ,
და იქამდეა ერთი ნახტომი...
ერთი ნაბიჯი და ჩვენს სხეულებს,
პირდაღებული უფსკრული ჩანთქავს...
სულებს კი გულ–მკერდ გადახვეულებს,
ზეცა მიიღებს სამარის ნაცვლად!!!

ნუ დამიჭერთ

შავ ტაიჭზე შაოსანი,
შენსკენ მოვქრი შავი ფიქრით...
ამ მიწებზე საოცარი
ველი ვიცი აფრენისთვის...
ნუ დამიჭერთ, ნუ დამიჭერთ,
თუ შემთხვევით ჩვენს მთებს გავცდე...
რაც არ უნდა შორს წავიდე,
შევეყარო გზაში აფთრებს..
ცას მინათებს, ცას მინათებს,
ეგ დეკოლტე თეთრი მკერდის...
მერნის აღვირს ქარი მართმევს,
და მომყვება ირგვლივეთი...
მართლაც, უკან ამედევნა,
ყველა ძუკნა, ყველა მგელი...
გაქცევაა ჩემი შვება,
და მინდვრებიც არი ვრცელი...
ვიცი, ვიცი, მოუთმენლად.
მთებს გასცქერი, მელოდები...
ჩემი რაში გზაში კვდება,
მე კი მჭამენ, მჭამენ მგლები...

როგორ გელოდი

რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება...
არ ვიცი, ალბათ, ტკბობა სიცოცხლით,
ცას ვარსკვლავები, როგორ მოსწყდება,
და როგორ ქრება თითო–თითობით...
დილით მზე მთებში როგორ ამოდის,
ქარი თავს როგორ იგიჟიანებს,
ტკბობა დაისით, თვეთი თაფლობის,
ქალი შენს ღიმილს რომ იზიარებს...
რამდენი რამე არის ტკბობაში,
თუკი სიცოცხლე გიყვარს ნამდვილად...
ამას ვერა ვგრძნობთ ჩვენ ბავშვობაში,
მერე კი ვკარგავთ ასე ადვილად...

დატკბი სიცოცხლით, დატკბი სიცოცხლით,
სანამ არსებობ, სანამ განიცდი...
გამოჩნდებოდი, ასეც ვიცოდი,
როგორ გელოდი, შენ ხომ არ იცი!!!

გველეშაპი ვარ

გველეშაპი ვარ, ყოველდღე ვყლაპავ,
თითო ლამაზმანს, ტკბილებს, ქალწულებს...
ახლა, ამ ქალაქს სულ გადავთხაპნავ...
რადგან, რატომღაც ავითვალწუნე...
გველეშაპი ვარ, შევაზანზარებ,
მიწას, მთებს, კლდეებს, ყველა მწვერვალებს...
ხალხს გავამწარებ, ხალხს გავამწარებ,
თუკი რაიმეს გამიბედავენ!
მოვალ, მოვდივარ და ზღვებს მოვტოპავ,
რომ ცოდვის კალო დავატრიალო...
ყველა ქალაქებს ერთად მოვპორჭყნავ,
კოცონად უნდა ავაბრიალო...
რომ ცეცხლმა შთანთქოს ყველა სულდგმული,
ღმერთს ვინც შეცდომით გაუჩენია...
სამყარო დამწვარ–გადაბუგული,
დღეს მე მეკუთვნის, მხოლოდ ჩემია...
იმას, რასაც თქვენ თავში გაივლებთ,
მე ხომ, ბრიყვებო, წინასწარ ვიცი...
კისერს მოვუგრეხ მაგ თქვენს რაინდებს,
ამ მთებს შევღებავ მაგათი სისხლით!!!
სულ მუხლის ჩოქვით უნდა იაროთ,
რომ არასოდეს გასწორდეთ წელში...
ქალწულები, რომ დამიგვიანოთ,
ჩამივარდებით, იცოდეთ, ხელში!!!

მომეცით სისხლი რომ გადავისხა

რა ქვეყანა ვართ, რა ქვეყანა ვართ,
აქ პოეტები ჰკლავენ პოეტებს...
დღემდე მაგათთვის მე არ მეცალა,
ახლა კი ვუსმენ ამ კაპოეტებს...
ვწერო–არ ვწერო ლამის გამიხდეს,
ყოფნა–არყოფნის მწარე შეკითხვა...
სისხლი მუზებმა თუ გადამისხეს,
ჩემი ლექსები რომ შემეთითხნა...
რომ მსურდეს ამყვეს, რომ მსურდეს ამყვეს,
ვიცი, არცერთი მე არ ამყვება...
ალბათ, სხვა ჯიშზე თუ გადაამყნეს,
გადააქციეს გნოლნი ტახებად...
გადათხრილია, გადათხრილია,
ჩემი ოცნების ველი მთლიანად,
და ჩემი ლექსიც თვალდათხრილია,
გამოშიგნული გულ–ღვიძლიანად...
მომეცით სისხლი, რომ გადავისხა,
მათ ჩემი სისხლი შხამად მიქციეს...
ჩემი ხეხილი ნაყოფს არ ისხამს,
ჩემი ვარსკვლავი აღარ ციმციმებს...
დასკდა, ვერაფრით გადავირჩინე,

მკლავზე ძარღვები, მკერდში აორტა...
ჩემი მერანი აღარ ჭიხვინებს,
რადგან უფსკრულის თავზე დაოთხდა...

მე დავიბადე მერნად

ალბათ, სახელიც ჰქვია,
შენს ერთგულებას ასეთს...
ვუსმენ ფოთლების შრიალს,
შენსავით სევდით სავსეს...
რისთვის მოვდივართ ქვეყნად,
თუ ისევ უნდა გავქრეთ,
მე შენი სულის ტყვე ვარ,
შენ ჩემი ბუდის მართვე...
იქნებ გავფრინდეთ ერთად,
სადაც წყარონი დიან...
რამე ისეთი შევქმნათ,
მიუახლოვდეს დიადს...
ნუ გაიკვირვებ ჩემგან,
თუ მოგიყვები ზღაპრებს...
მე დავიბადე მერნად,
და მერნებს მინდა გავყვე...
თუკი შენც გიყვარს ქროლა,
თუკი შენც ჟინი გივლის...
მე გარიჟრაჟზე მოვალ,
და ჩვენ დავტოვებთ თბილისს...
მერე ჭიხვინით ცისკენ,
წავა ცხენების რემა...
მიწვევს, ცისაკენ მიწვევს,
შენი კვდომა და კდემა!!!

შენი ღიმილი

შენი ღიმილი გამყვება შვებად,
როცა მოვკვდები, როცა დამმარხავ...
ნისლი გადაბმულ ქედებს აჰყვება,
მთარე ამოვა შენს სანახავად...
ღამეა, ქედებს ისევე სცივათ,
როგორც აძრებათ ხეებს ყლორტები...
ცას ვარსკვლავები ჰკიდია მძივად,
მთვარეზე სხედან ანგელოზები...
რას ჩურჩულებენ, რას უყვებიან,
ერთმანეთს, ნეტა, ცა და ნიავი...
ცას ქარიშხალი დასიზმრებია...
ნიავს ვარსკვლავნი და განთიადი...
ვინ იცის, ჩემთვის ისიც მეტია,
რაც ნაჩუქარი წლები ვიცოცხლე...
ხეები ჩვენსკენ იცქირებიან,
ხეები ნაღდად ჩვენზე მისნობენ...
მთვარე ნისლიან სამოსს იფერებს,
ღამე კი დადის როგორც ავაზა...
სახეს ბავშვობის ცრემლი გისველებს,
და გეღიმება ისევ ლამაზად...

აღარც დღე მაქვს, აღარც ღამე...

ეს რა ხდება, ვერ გავიგე,
რა მუზები მომესია?
ლექსი–ლექსზე გულმკერდს მინგრევს,
არ მასვენებს პოეზია...
აღარც დღე მაქვს, აღარც ღამე,
დუელი მაქვს ყველა ქალთან...
მიჟუჟუნებს მთვარე თვალებს,
მზე კი მიბღვერს მუდამ მკაცრად...
როგორც ვატყობ, როგორც ვატყობ,
მუზის ძუძუ მიწოვია...
თურმე, აქ კი არა ვსახლობ,
სულ ზეცაში მიცხოვრია...
არა, მსურდა გეფიცები,
რომ მეფრინა სხვებზე მაღლა...
რომ მოსისხლე ჩემი მტრები,
ჩემი ლექსით დამემარხა...